

სამოქალაქო პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2016, №6

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2016, №6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2016, №6

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2016, №6

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ქეთევან შინგალია**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298 21 03; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. უწყებრივი ქვემდებარეობა

ბანჩინება

№ას-559-530-2015

30 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძური

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა, ნასყიდობის სა-
ფასურის უკან დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

უცხოურმა საწარმომ „S-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე) სარ-
ჩელი აღძრა სასამართლოში ქობულეთის მუნიციპალიტეტის
გამგეობის (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ და მოითხოვა 2011
წლის 27 იანვარს გაფორმებული „ქობულეთის მუნიციპალიტე-
ტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების პირობე-
ბით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურე-
ბელი ოქმის“ მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის დადების მომენტი-
დან ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლის თანახმადაც, გამ-
ყიდველის მხრიდან ოქმის ცალმხრივად მოშლისა და უძრავი ქო-
ნების გამყიდველისათვის საკუთრებაში დაბრუნების შემთხვე-
ვაში მყიდველს არ დაუბრუნდება მის მიერ განყული დანახარ-
ჯები, ასევე, მოითხოვა მის მიერ გადახდილი ნასყიდობის სა-
ფასურიდან ბეს გამოკლებით დარჩენილი თანხის 1 157 500,50
ლარის, მოპასუხისათვის დაკისრება.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უა-
რის თქმა მოითხოვა.

**3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილე-
ბის სარეზოლუციო ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 დეკემბრის
გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით
გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გა-
დაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1 000 000 ლარის, ასევე, 12 000 ლარის გადახდა, უცხოური სანარმოს „შ-ის“ სარჩელი 2011 წლის 27 იანვარს გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის მე-6 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

5.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2011 წელს აუქციონის წესით გასხვისებული იქნა ქ.ქობულეთში, ... №...ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ქონების პრივატიზებისას პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა რ. კ-ე.

5.1.2. აუქციონზე შექმნილი ქონების საფასური განისაზღვრა 1 652 715 ლარით. მიწის ნაკვეთი გასხვისდა შემდეგი პირობებით: ა) საპრივატიზებო თანხა უნდა გადახდილიყო აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში; ბ) 2014 წლის 1 თებერვლამდე უნდა განხორციელებულიყო 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო კომპლექსის (მინიმუმ 150 ნომერზე, რესტორნით, საბანკეტო დარბაზით, კაზინოთი) მშენებლობა; გ) სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის დაწყების ვადა განისაზღვრა აუქციონში გამარჯვების ოქმის გაფორმებიდან არა უგვიანეს 2011 წლის 1 ნოემბრისა (9 თვე), სასტუმრო კომპლექსის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე უნდა განხორციელებულიყო არა უგვიანეს 2012 წლის 1 მაისისა (და სხვა).

5.1.3. რ. კ-ის სახელზე 2001 წლის 2 თებერვალს გაიცა საკუთრების მონაბო და უძრავი ქონება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იქნა მის სახელზე.

5.1.4. მხარეთა შეთანხმებით, 2011 წლის 18 ნოემბერს, ცვლილებები შევიდა 2011 წლის 27 იანვარს გაცემულ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისას პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ხელშეკრულება) მე-6 პუნქტის „ბ“

და „გ“ ქვეპუნქტში, რომლის საფუძველზეც მიიღვეს დაევა-
ლა: „ბ“ გასხვისებულ ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლო-
ბის შესაბამისად, 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2016 წლის პირ-
ველ მაისამდე, არანაკლებ 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო კომ-
პლექსის მშენებლობა; „გ“ სასტუმრო კომპლექსის (მინიმუმ 150
ნომერზე, რესტორნით, საბანკეტო დარბაზით) მშენებლობის
დანყების ვადა განისაზღვრა არა უგვიანეს 2012 წლის 1 სექ-
ტემბრისა, ხოლო ვარგისად (ექსპლუატაციაში შესვლა) უნდა
ელიარებიანთ არა უგვიანეს 2016 წლის პირველ მაისამდე.

5.1.5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ნებარ-
თვით, 2011 წლის 8 დეკემბერს რ. კ-ემ ზემოხსენებული მიწის
ნაკვეთი (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულე-
ბის პირობით) გაასხვისა უცხოურ კომპანიაზე, რომლის შემდე-
ნი გახდა „შ.“ და იკისრა მხარეებს შორის უკვე არსებული ვალ-
დებულების შესრულება.

5.1.6. მიიღვეს ნასყიდობის საფასური – 1 652 715 ლარი
გადახდილი აქვს.

5.1.7. 2014 წლის 27 მაისს ქობულეთის მუნიციპალიტეტის
გამგეობამ ცალმხრივად მოშალა (შენწყვიტა) ხელშეკრულება და
უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა კვლავ მის სა-
ხელზე. ხელშეკრულების შეწყვეტას საფუძველად დაედო მო-
სარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა.

5.1.8. არ იქნა გაზიარებული გასაჩივრებული გადაწყვეტი-
ლების შეფასება და დავის გადაწყვეტისათვის „სახელმწიფო ქო-
ნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნ-
ქტზე მითითება, რადგანაც აღნიშნული ნორმა კანონს 2013
წლის 29 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ
დაემატა. მხარეთა შორის კი, სახელშეკრულებო ურთიერთობა
წარმოიშვა 2011 წლის 27 იანვარს. სადავო ხელშეკრულება აღ-
ნიშნული კანონით დაცულ ობიექტზე არ იყო დადებული. საპი-
რისპირო ვითარებაშიც კი, კანონში განხორციელებული ცვლი-
ლების დოკუმენტით არ დადგენილა, რომ იგი მის ძალაში შეს-
ვლამდე წარმოშობილ ურთიერთობებზეც ვრცელდება (სკ-ის
მე-6 მუხლი).

5.1.9. გასაჩივრებული გადაწყვეტილება ემყარებოდა „აჭა-
რის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარ-
გვის შესახებ“ კანონის 9.5. მუხლსაც, რასაც არ დაეთანხმა პა-
ლატაც, რადგანაც დავის საგანი მუნიციპალური ქონება და მი-
სი სარგებლობა-განკარგვიდან გამომდინარე ურთიერთობები
იყო, მითითებული კანონი კი, ავტონომიური რესპუბლიკის სა-
კუთრებასა და გამგებლობაში არსებული ქონებების მართვისა

და განკარგვის საკითხებს არეგულირებდა. თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისა და მისგან გამომდინარე საკითხებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ არეგულირებს, რომლითაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ საქართველოს კანონი გაუქმდა (ეს კანონი ძალადაკარგულია 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან, საქართველო 02/05/2014 №1958 ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი). ხელშეკრულების დადების დროისათვის მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი განსაზღვრავდა „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების კატეგორიებს, მათი შექმნის წესსა და ქონებრივ უფლებებს, ასევე, თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის სამართლებრივ ... და სხვა ძირითად პირობებს. მითითებული კანონის მე-19¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განსახილველ საკითხებს (ქონების განკარგვა, პრივატიზაცია და სხვა) ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო. აღნიშნული დანაწესის შესაბამისად, საქმეში წარმოდგენილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისას პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 27 იანვრის ოქმი, რომლის თანახმად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 30013.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის ქობულეთში, ...-ის №...დან №...მდე მდებარე საწყისი ფასია 1 650 715 ლარი. ქონების პრივატიზების მიზნით მოწყობილ აუქციონზე გამოვლინდა გამარჯვებული, რომელსაც „ადგილობრივი თვითმმართველი ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ოქმით (ხელშეკრულებით) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით გადაეცა ზემოაღნიშნული ქონება. მითითებული ოქმის (ხელშეკრულების) მე-6 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სააუქციონო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამყიდველი (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) განახორციელებს საჯარიმო სანქციას... მყიდველს განეული დანახარჯები არ აუნაზღაურდება“.

5.1.10. პალატამ მიუთითა „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19¹ მუხლის მე-2 პუნქტზე და აღნიშნა, რომ საპრივატიზებოდ გატანილი სადავო ქონება ზემოაღნიშნული კანონის მითითებულ 19¹ მუხლის მე-2 პუნქტის რეგულაციის სფეროში არ ექცეოდა.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტით, დადგენილია, რომ „თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების პროცესში თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო ხელმძღვანელობს ამ კანონით, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ დებულებებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კანონს და სხვა ნორმატიულ აქტებს.

5.1.11. ქონება, რომლის განკარგვასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს დავა, არ წარმოადგენს აჭარის ა.რ საკუთრებას. პალატამ, ხელშეკრულების დადების დროისათვის (2011 წლის იანვრისათვის) მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, განმარტა, რომ სადავო ქონების გასხვისებისას, უპირველესად, სწორედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმები უნდა გამოყენებულიყო. აღნიშნულზე მითითებას სადავო ხელშეკრულების (ოქმის) მე-16 პუნქტიც შეიცავდა. სასამართლოს მოსაზრებით, მხარეთა შორის გაფორმებული ოქმის მე-6 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაწესი არის საჯარიმო სანქცია, პირგასამტეხლო, რომელიც მხარეს ეკისრებოდა ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის. პირგასამტეხლო, ბესთან და მოვალის გარანტიასთან ერთად მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება, პრევენციული ხასიათის მატარებელი სამართლებრივი კატეგორიაა და მისი გამოყენება გონივრულ და სამართლიან შედეგებს უნდა იწვევდეს.

5.1.12. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 416-ე, 417-ე, მე-400 მუხლებით, 399-ე მუხლის 1-3 ნაწილებით, 405-ე მუხლის მე-2 ნაწილით და აღნიშნა, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება შეწყვეტილი იყო და სადავო ქონება კვლავ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღირიცხა. ამასთან, არც ერთი მხარე არ დავობდა ხელშეკრულების შეწყვეტის კანონშესაბამისობაზე. სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლის მოთხოვნა, მოცემულ შემთხვევაში, დაცული იყო, 420-ე მუხლის თანახმად კი, იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ დაკარგა ბეს სახით გადახდილი 495 214 ლარი, ნასყიდობის მთლიანი თანხის დაუბრუნებლობა, იმის გამო, რომ ხელშეკრულებით (ოქმით) ნაკისრი ვალდებულებები არ შესრულდა, საკითხის არაგონივრული გადაწყვეტა იქნებოდა და ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის მოთხოვნებს.

5.1.13. პირგასამტეხლოს სახით 157 500 ლარის დაკისრება, სასამართლოს შეფასებით, გონივრულსა და სამართლიანს წარმოადგენდა. რაც შეეხებოდა ოქმის სადავო ნაწილის მე-6 მუხ-

ლის „ზ“ ქვეპუნქტის ბათილად ცნობას, პალატამ ეს მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია, რადგანაც ის გარემოება, რომ პირგა-სამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი იყო (რომლის თანახმადაც გადახდილი თანხა უნდა დარჩენოდა გამყიდველს), გარიგების ამ პუნქტის ბათილად ცნობის შესაძლებლობას არ იძლეოდა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

6.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

კასატორმა მიუთითა აუქციონის ჩატარების პირობებზე, აუქციონის ოქმით გამარჯვებული პირის მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე, რომელიც მოსარჩელემ დაარღვია და თავად მიმართა კასატორს 2013 წლის 29 ოქტომბრის წერილით, რომლითაც მოთხოვნილ იქნა სამშენებლო სამუშაოების დაწყების გადავადება, რაც დააკმაყოფილა მოპასუხემ. კომპანია არ დაეთანხმა შეთანხმების იმ პუნქტს, რომლითაც დაზუსტდა შემდეგი: ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, ნასყიდობის თანხა არ დაბრუნდებოდა (მე-6 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი). მხარეთა შორის შეთანხმება ვერ შედგა. 2014 წლის 27 მაისის წერილით მოსარჩელემ აღიარა, რომ შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი ხელშეკრულების შეწყვეტა იყო. საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 27 მაისის ბრძანებით შეწყდა სახელშეკრულებო ურთიერთობა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მხარეთა შორის შემდგარი ხელშეკრულების სადავო პუნქტი და განუღო ხარჯად არ მიიჩნია ნასყიდობის თანხა, რაც დაუსაბუთებელია, რადგანაც ხელშეკრულების ეს პირობა ვრცელდებოდა ყველა დანახარჯზე. პალატამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ „საპრივატიზაციოდ გატანილი ქონება „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19¹ მუხლის მე-2 ნაწილის რეგულაციაში არ ექცეოდა, შედეგად, სასამართლომ არასწორად გააუქმა საქალაქო სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქ-

ტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ:

1.1.1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2011 წელს აუქციონის წესით გასხვისებული იქნა ქ.ქობულეთში, ...-ის №...ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ქონების პრივატიზებისას პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა რ. კ-ე.

1.1.2. აუქციონზე შეძენილი ქონების საფასური განისაზღვრა 1 652 715 ლარით და მიწის ნაკვეთი გასხვისდა გარკვეული პირობებით.

1.1.3. 2001 წლის 2 თებერვალს რ. კ-ის სახელზე გაცემული იქნა საკუთრების მონმოზა და უძრავი ქონება საჯარო რეესტრში აღირიცხა მის სახელზე.

1.1.4. 2011 წლის 18 ნოემბერს ცვლილებები შევიდა 2011 წლის 27 იანვარს გაცემულ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისას პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ხელშეკრულება) მე-6 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში, რომლითაც ახლებურად განისაზღვრა შემძენის ვალდებულებები და ამ ვალდებულების შესრულების ვადები.

1.1.5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ნებართვით, 2011 წლის 8 დეკემბერს რ. კ-ემ აუქციონის ოქმის საფუძველზე მიღებული მიწის ნაკვეთი (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით) გაასხვისა უცხოურ კომპანია „S-ზე“, რომელმაც იკისრა მხარეებს შორის უკვე არსებული ვალდებულების შესრულება.

1.1.6. მყიდველს ნასყიდობის საფასური – 1 652 715 ლარი გადახდილი აქვს.

1.1.7. 2014 წლის 27 მაისს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ცალმხრივად მოშალა (შენწყვიტა) ხელშეკრულება და უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა კვლავ მის სახელზე. ხელშეკრულების შეწყვეტას საფუძველად დაედო მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა.

1.2. წინამდებარე დავის ფარგლებში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და პირგასამტეხლოს გამოკლებით მოსარჩელის მიერ გადახდილი ნასყიდობის თანხის დაბრუნება.

1.3. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს თავად ხელშეკრულებაზე – პრივატიზაციის ოქმზე, რომლის თანახმადაც, წინამდებარე ოქმი (ხელშეკრულება) გაიცა აუქციონში გამარჯვებული პირის სასარგებლოდ, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შე-

საბამისად, ქობულეთის მინიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2011 წლის 27 იანვარს მოწყობილ აუქციონზე გამარჯვებული პირის მიერ შეთავაზებული ფასის საფუძველზე. ოქმის (ხელშეკრულების) შემდგომი ნაწილი დეტალურად არეგულირებს მხარეთა შორის წარმოშობილ უფლება-მოვალეობებს.

1.4. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის (ძალადაკარგულია – 05.02.2014წ, №1958) პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად (პრივატიზაციის ოქმის შედგენის დროს მოქმედი რედაქცია), ეს კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ საფუძველებსა და ძირითად პირობებს. კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ თვითმმართველი ერთეულის ქონება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთეა, მათ შორის, ქონება, რომელსაც თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადასცემს სახელმწიფო, ან, რომელსაც თვითმმართველი ერთეული შექმნის, ან შეიძენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. რაც შეეხება ამ კანონის მოწესრიგების ფარგლებში მოქცეული ქონების განკარგვის წესსა და პირობებს, იგი III¹ თავის შესაბამის დებულებებშია მოცემული და დადგენილია ქონების აუქციონის წესით გაყიდვის სამართლებრივი წინაპირობები. კანონის ამავე თავით, განსაზღვრულია გარიგების ბათილობის წინაპირობებიც (19⁴ მუხლი), გარდა აღნიშნულისა, საგულისხმოა, რომ მხარეთა შეთანხმება გარკვეულ საჯაროსამართლებრივ მიზნებს ემსახურება – მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განაშენიანება, საქართველოს მოქალაქეთა დასაქმება.

1.5. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით ადმინისტრაციული ხელშეკრულება განმარტებულია, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება.

1.6. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების ობიექტს წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირს შორის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის წესით გასხვისების თაობაზე დადებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე

მოთხოვნების კანონიერება. სააპელაციო სასამართლომ, გარეგნობის პირობის ბათილად ცნობის მოთხოვნის საფუძველიანობა სამოქალაქო კოდექსის ნორმების შესაბამისად შეამოწმა, თუმცა საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებებსა და დასკვნებს, რადგანაც მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

1.7. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე, რომელშიც მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

1.8. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით შემოთავაზებული დავები, რომელთა შორისაცაა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან ნაწარმოები დავები. კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნულ ნორმებში, ამასთან, აღნიშნული დავები წარმოშობლი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

1.9. საკასაციო პალატის შეფასებით, წინამდებარე დავის ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას დაქვემდებარებულ დავად მიჩნევას განაპირობებს შემდეგი გარემოებების ერთობლიობა: ერთ-ერთი მოდავე სუბიექტი თვითმმართველი ერთეულია, გარიგების საგანი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებაა, მხარეთა შორის სადავოდ გამხდარი გარიგების დადების სამართლებრივი საფუძველი კი, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონია.

1.10. ამდენად, მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი, რის გამოც არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის, ხოლო ამ კატეგორიის საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

1.11. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს, როგორცაა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღება. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26), კერძოდ, დავის განხილვასა და გადაწყვეტას უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

1.12. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩ-

ნევს, რომ სააპელაციო საჩივრის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ის საკითხი, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე მხარეთა მოთხოვნები, ასევე, თავად სახელშეკრულებო პირობის კანონიერება სამოქალაქო სამართალწარმოების გზით უნდა შეფასებულიყო და არასწორად არ გადაუგზავნა საქმე განსჯად ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომელსაც, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გააჩნდა ამ საქმის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება.

1.13. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლებით, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, ვინაიდან გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მოცემული საქმის განსჯადობის წესების დაცვით იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემის საკითხი.

2. სასამართლო ხარჯები:

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო

ლაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უწყებრივი ქვემდებარეობა

განჩინება

№ას-292-279-2015

30 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძური**

დავის საგანი: ძირითად სარჩელში – თანხის დაკისრება, შეგებებულ სარჩელში – პირგასამტეხლოს დაკისრება, ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო/შეგებებული სარჩელის ავტორის მოთხოვნა:

1.1. შპს „პ-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე) მოითხოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან (შემდგომში – მოპასუხე, შეგებებული სარჩელის ავტორი) 2012 წლის 28 მარტს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 8.1. პუნქტის ბათილად ცნობა, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე განეული ხარჯის – 999 960 ლარის ანაზღაურება და მოპასუხის მიერ 2013 წლის 21 ნოემბერს გამოცემული ბრძანების მე-3 პუნქტის ბათილად ცნობა, რომლითაც მოსარჩელეს 146 400 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა.

1.2. მოპასუხემ შეგებებული სარჩელით სასამართლოს მიმართა თავდაპირველი მოსარჩელისათვის ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო, ზიანის – 73 221,75 ლარისა და პიორგასამტეხლოს – 146 400 ლარის დაკის-

რების მოთხოვნით.

2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

2.2. შეგებებული სარჩელის მოთხოვნას არ დაეთანხმა არც თავდაპირველი მოსარჩელე.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „პ-ს“ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 30 000 ლარის გადახდა, ხოლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში შეგებებული სარჩელის ავტორს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა: მოსარჩელემ მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა, შეგებებული სარჩელის ავტორმა კი – მისი სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „პ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბ-ის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი და შპს „პ-ს“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სასარგებლოდ, დაეკისრა 30 000 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ – 900 ლარი და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შპს „პ-ს“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 73 221 ლარისა და 75 თეთრის, ასევე, 73 200 აშშ

დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

5.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სა-მართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 28 მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „პ-ს“ შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შპს „პ-მა“ შეიძინა ქ.ბ-ში, კ-ის დასახლებაში არსებული 36 400 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ნაკვეთი მხარეებმა შეაფასეს 2 227 680 ლარად. ნასყიდობის საფასურად შპს „პ-ს“ გარიგების დადებიდან 1 თვის ვადაში უნდა გადაეხადა 732 000 აშშ დოლარი, უნდა აეშენებინა არანაკლებ 3-ვარსკვლავიანი, 110-ოთახიანი სასტუმრო კომპლექსი და იქ დაესაქმებინა საქართველოს მოქალაქეები.

1.5.2. ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო ყინულის სასახლე.

1.5.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად საჭირო იყო ნაგებობის დემონტაჟი. ხელშეკრულების 6.2. მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით ყინულის სასახლის გადატანის ვალდებულება იკისრა შპს „პ-მა“.

1.5.4. 2012 წლის 15 მაისს შემძენმა დადო ხელშეკრულება შპს „ბ-თან“. ამ ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ბ-მა“ შპს „პ-ის“ მიერ შეძენილი მიწის ნაკვეთიდან ყინულის სასახლე გადაიტანა გამყიდველის კუთვნილ ტერიტორიაზე, ქ.ბ-ში, ლ-ისა და ს-ის ქუჩების კვეთაზე. ყინულის სასახლის გადასატანად შპს „პ-მა“ შპს „ბ-ს“ გადაუხადა 999 960 ლარი, თუმცა ეს თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა და, გარდა ამისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ყინულის სასახლის დემონტაჟისათვის დახარჯა 73 221,75 ლარი.

5.1.5. 8.1. პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მყიდველს, ნასყიდობის ფასის გადაუხდელობის შემთხვევაში, დაეკისრებოდა პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ნასყიდობის თანხის გადასახდელი ნაწილის 0,1%-ის ოდენობით, ხოლო, თუ ვადაგადაცილება გაგრძელდებოდა 90 დღეზე მეტ ხანს, მაშინ გამყიდველი უფლებამოსილი იქნებოდა, მოეშალა ხელშეკრულება, ამასთან, მყიდველს მის მიერ გადახდილი თანხა და განუვლი დანახარჯები არ აუნაზღაურდებოდა.

5.1.6. შპს „პ-ს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები არ შეუსრულებია, არც ნასყიდობის ფასი გადაუხდია და არც სასტუმრო აუშენებია. ამის გამო, გამყიდველმა მას ხელშეკრულება მოუშალა.

5.1.7. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილით, 508-ე მუხლით და არ გაი-

ზიარა შპს „პ-ის“ მოთხოვნა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 8.1. პუნქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობის, ასევე, მონინალმდევე მხარისათვის თანხის გადახდის დაკისრების თაობაზე, რადგანაც 508-ე მუხლის საფუძველზე, ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან, ერთმანეთს დაუბრუნონ არა ყოველგვარი შესრულება, არამედ ის სარგებელი, რაც ამ გარიგების შედეგად მიიღეს. შპს „პ-მა“ 999 960 ლარი არა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, არამედ შპს „ბ-ს“ გადაუხადა. უშუალოდ, ამ გადახდით სამინისტროს სარგებელი არ მიუღია. შპს „პ-მა“ ყინულის სასახლე გადაიტანა ისევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილ ტერიტორიაზე, ოღონდ სხვა ადგილას. მართალია, ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი ერთი ნაკვეთი ყინულის სასახლისაგან გათავისუფლდა, თუმცა დაიტვირთა მეორე, თავისუფალი ნაკვეთი. ამ ვითარებაში, ავტონომიური რესპუბლიკის სარგებელი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ სხვაობა ამ ორი ნაკვეთის ღირებულებებს შორის, თუმცა შპს „პ-ს“ მოპასუხისათვის ამ სხვაობის დაკისრება არ მოუთხოვია და არც აღნიშნული სამართლებრივი შედეგის დამდგენ ფაქტებზე მიუთითებია – თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლისა.

5.1.8. არ იქნა გაზიარებული შპს „პ-ის“ პოზიცია, რომ მის მიერ შექმნილი ქონება იყო ნივთობრივად ნაკლიანი, რადგანაც იგი შეესაბამებოდა მხარეებს შორის შეთანხმებულ პირობებს, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 488-ე მუხლის პირველი ნაწილისა.

5.1.9. სააპელაციო სასამართლომ შპს „პ-ის“ არც ის პოზიცია გაიზიარა, რომ მხარეთა შეთანხმება „გადახდილი თანხებისა და განუღი დაუნახარჯების ანაზღაურებაზე“ უარის ნაწილში იყო ბათილი. სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების 8.1. პუნქტის შეფასებით, პალატამ დაასკვნა, რომ სადავო პირობა უზრუნველყოფდა შემძენის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას. ეს იყო სამოქალაქო კოდექსის 416-ე, 417-ე მუხლებით განსაზღვრული ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალების – პირგასამტეხლოს ერთგვარი ფორმა, რომელიც მხარეებმა ხელშეკრულებით გაითვალისწინეს. ამის შესახებ, შპს „პ-ი“ მიუთითებდა სარჩელშიც. სადავო პირობის სხვაგვარად განმარტების შემთხვევაშიც კი, პალატამ აღნიშნა, რომ შპს „პ-ს“ ავტონომიური რესპუბლიკის სასარგებლოდ არც თანხა გადაუხადა და არც ხარჯი გაუწევია. ამჟამად ნასყიდობის ხელშეკრულება მოშლილია, რაც აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის არარსებობას ადასტურებდა.

5.1.10. არ იქნა გაზიარებული შპს „პ-ის“ მოთხოვნა აჭარის ავ-

ტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2013 წლის 21 ნოემბრის ბრძანების მე-3 პუნქტის ბათილად ცნობის თაობაზე. ბრძანების ამ პუნქტით სამინისტრომ გამოავლინა ნება, მოწინააღმდეგე მხარისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. ნების გამოვლენის ბათილობას ინვეფს ნების ნაკლი, მისი არანამდვილობა. გასაჩივრებულ ბრძანებაში გამოვლენილი ნება კი, სავსებით შეესაბამებოდა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებსა და ფაქტობრივ ვითარებას. სამოქალაქო კოდექსის, როგორც 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, ისე 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პალატამ განმეორებით აღნიშნა, რომ, მართალია, ამავე კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნების გამოვლენა, ანუ შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ ან მისი მოთხოვნა, ბათილია.

5.1.11. არ იქნა გაზიარებული საქალაქო სასამართლოს პოზიცია შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შესრულება შპს „პ-ის“ სასარგებლოდ არც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განუხორციელებია – სამინისტროს მიერ 73 221,75 ლარის ხარჯის განწევით შპს „პ-ს“ არავითარი სარგებელი მიუღია. ამიტომ, სამინისტრო მოწინააღმდეგე მხარისათვის თანხის დაკისრებას სამოქალაქო კოდექსის 508-ე მუხლის საფუძველზე ვერ მოითხოვდა. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შპს „პ-ი“ ვალდებული იყო, მოწინააღმდეგე მხარისათვის აენაზღაურებინა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი. რადგანაც სამინისტრომ თავად გაიღო ხარჯი, დაკარგა 73 221,75 ლარი და ამის შესაბამისად მიადგა ზიანი, ამიტომ, შპს „პ-ს“ ამ ზიანის ანაზღაურება (73 221,75 ლარის გადახდა) უნდა დაკისრებოდა.

5.1.12. ნაწილობრივ იქნა გაზიარებული სამინისტროს მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე და, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 0,1%-ისა, გადასახდელი პირგასამტეხლო ყოველდღიურად, გადაუხდელი თანხის 0,05%-ით უნდა განსაზღვრულიყო. დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა სავსებით შეესაბამებოდა, როგორც შპს „პ-ის“ მიერ გადაუხდელი ნასყიდობის საზღაურს – 732 000 აშშ დოლარს, ასევე, ვალდებულების დარღვევის პერიოდს – 200 დღეს.

6. კასატორების მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წე-

სით გაასაჩივრეს მხარეებმა, თავდაპირველმა მოსარჩელემ მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ კი, მოითხოვა შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

6.1. შპს „პ-ის“ საკასაციო საჩივრების საფუძვლები:

6.1.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მონინალმდევე მხარეს არ ევალებოდა ცინულის სასახლის გადატანის შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მხარეები ხელშეკრულების დადებისას მოქმედებდნენ სამოქალაქო კოდექსის 487-ე, 488-ე და 492-ე მუხლების შესაბამისად, რადგანაც ცინულის სასახლისა და ელექტროგადამცემი ხაზების გადატანაზე შეთანხმება მიაწინებებს მხარეების ნებას, აღმოფხვრან ნასყიდობის საგნის ნაკლი. შესაბამისად, უსაფუძვლოა სასამართლოს დასკვნაც, რომ გარიგების საგანი არ იყო ნიეთობრივი ნაკლის მქონე. გასანევი სამუშაოების ღირებულებაზე მხარეთა შეთანხმება წარმოადგენდა ნასყიდობის საზღაურს, ამ გარემოებაზე სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, ისე მივიდა დასკვნამდე, რომ 999 960 ლარი არ წარმოადგენდა სარგებელს.

6.1.2. სააპელაციო სასამართლომ მონინალმდევე მხარის სასარჩელო მოთხოვნის არარსებობის პირობებში იმსჯელა 999 960 ლარის კასატორისათვის პირგასამტეხლოსა თუ ზიანის დაკისრებაზე და არ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 508-ე მუხლებით, ამასთან, არ გაითვალისწინა, რომ შეგებებული სარჩელით მოპასუხისათვის მხოლოდ 73 221,5 ლარის დაკისრება იყო მოთხოვნილი.

6.1.3. სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, სამინისტროსათვის მოეთხოვა ცინულის სასახლის კუთვნილების დამადასტურებელი მტკიცებულება, რადგანაც იგი, როგორც შენობა-ნაგებობა, მშენებლობის დასრულების შემდეგ აღირიცხა თვითმმართველ ქ.პ-ის მერიის ბალანსზე.

6.1.4. მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევას წარმოადგენდა ისიც, რომ სასამართლომ კასატორს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განუცხადა იმიტომ, რომ ცინულის სასახლის სხვა ადგილას გადატანაზე განეული ხარჯი სამინისტროს სარგებლის სახით არ მიუღია. სასამართლომ არ გამოუკვლივია თუ ვინ ააშენა ცინულის სასახლე, ხოლო ამ კუთხით გადაწყვეტილების დასაბუთება ზიანის ფაქტის მტკიცებას წარმოადგენს.

6.2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

6.2.1. ქვემდგომმა სასამართლოებმა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე მიიღეს იურიდიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რადგანაც პირგასამტეხლოს დაკისრებაზე მსჯელობისას არ გამოუკვლევიათ მხარეთა შეთანხმება ვალდებულების დარღვევაზე.

6.2.2. სამოქალაქო კოდექსის 418-ე და 419-ე მუხლების თანახმად, ხელშეკრულების მე-8 მუხლით, მხარეებმა პირგასამტეხლო 0,1%-ით განსაზღვრეს. აღნიშნული მიმართული იყო იმისკენ, თუ რას მიღებდა სამინისტრო ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, ამდენად, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, შეთანხმებული პირგასამტეხლო შეემცირებინა 0,05%-მდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრების საფუძველები და მიიჩნევს, რომ ისინი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ:

1.1.1. 2012 წლის 28 მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „პ-ს“ შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „პ-მა“ შეიძინა ქ.ბ-ში, კ-ის დასახლებაში არსებული 36 400 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ნაკვეთი მხარეებმა შეაფასეს 2 227 680 ლარად. ნასყიდობის საფასურად შპს „პ-ს“ გარიგების დადებიდან 1 თვის ვადაში უნდა გადაეხადა 732 000 აშშ დოლარი, უნდა აეშენებინა არანაკლებ 3-ვარსკვლავიანი, 110-ოთახიანი სასტუმრო კომპლექსი და იქ დაესაქმებინა საქართველოს მოქალაქეები.

1.1.2. ნასყიდობის საგანზე – მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო ყინულის სასახლე.

1.1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად საჭირო იყო ნაგებობის დემონტაჟი. ხელშეკრულების 6.2. მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით ყინულის სასახლის გადატანის ვალდებულება იკისრა შპს „პ-მა“.

1.1.4. 2012 წლის 15 მაისს შემძენმა დადო ხელშეკრულება შპს „ბ-თან“. ამ ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ბ-მა“ შპს „პ-ის“ მიერ შეძენილი მიწის ნაკვეთიდან ყინულის სასახლე გადაიტანა გამყიდველის კუთვნილ ტერიტორიაზე, ქ.ბ-ში, ლ-ისა

და ს-ის ქუჩების კვეთაზე. ყინულის სასახლის გადასატანად შპს „პ-მა“ შპს „ბ-ს“ გადაუხადა 999 960 ლარი, თუმცა ეს თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა და, გარდა ამისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ყინულის სასახლის დემონტაჟისათვის დახარჯა 73 221,75 ლარი.

1.1.5. ხელშეკრულების 8.1. პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მყიდველს, ნასყიდობის ფასის გადაუხდელობის შემთხვევაში, დაეკისრებოდა პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცობულ დღეზე ნასყიდობის თანხის გადასახდელი ნაწილის 0,1%-ის ოდენობით, ხოლო, თუ ვადაგადაცობა გაგრძელდებოდა 90 დღეზე მეტ ხანს, მაშინ გამყიდველი უფლებამოსილი იქნებოდა, მოეშალა ხელშეკრულება, ამასთან, მყიდველს მის მიერ გადახდილი თანხა და განუული დანახარჯები არ აუნაზღაურდებოდა.

1.1.6. შპს „პ-ს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები არ შეუსრულებია: არც ნასყიდობის ფასი გადაუხდია და არც სასტუმრო აუშენებია. ამის გამო, გამყიდველმა მას ხელშეკრულება მოუშალა.

1.2. წინამდებარე დავის ფარგლებში შპს „პ-ის“ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მხარეთა შორის 2012 წლის 28 მარტს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 8.1. მუხლის ბათილად ცნობა, რომლითაც განისაზღვრა ნასყიდობის ფასის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის უფლება, ხოლო ამ მოშლის შედეგად შემძენს გადახდილი თანხა არ დაუბრუნდებოდა; ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, შექმნილი მინის ნაკვეთიდან ყინულის სასახლის გადატანაზე განუული ხარჯის – 999 960 ლარის ანაზღაურება; მოპასუხე სამინისტროს 2013 წლის 21 ნოემბრის ბრძანების მე-3 პუნქტის ბათილად ცნობა, რომლითაც მოსარჩელეს პირგასამტეხლოს 146 400 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა. რაც შეეხება შეგებებულ სარჩელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველად მითითებულია 2012 წლის 28 მარტის ხელშეკრულება, რომლის პირობების დარღვევის გამოც სამინისტრო ითხოვს მონინალმდეგე მხარისათვის პირგასამტეხლოს, ასევე, ზიანის (ელექტროგადამცემი ხაზების გადატანის გამო განუული ხარჯი) ანაზღაურების დაკისრებას.

1.3. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სადავო ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმადაც, უძრავი ნივთის გამყიდველს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო წარმოადგენს, ხოლო შემძენს – ქართუ-

ლი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი შპს „პ.“. გამყიდველის უფლებამოსილება განსაზღვრულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2012 წლის 27 მარტის №60 ბრძანებითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 27 მარტის №185 ბრძანებით. ხელშეკრულების 1.1. მუხლის თანახმად, უძრავი ქონება გამყიდველის საკუთრებაა, რომელიც უნდა გადაეცეს წინამდებარე ხელშეკრულებაში განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პირობით.

1.4. მოცემულ შემთხვევაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების ობიექტს წარმოადგენს ავტონომიურ რესპუბლიკასა და კერძო სამართლის იურიდიულ პირს შორის სახელმწიფო ქონების ნასყიდობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე მოთხოვნების კანონიერება. სააპელაციო სასამართლომ, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მიიჩნია, რომ მხარეთა მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საფუძვლიდან – ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა და მოთხოვნის საფუძვლიანობაც სამოქალაქო კოდექსის ნორმების შესაბამისად შეამოწმა, თუმცა საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებებსა და დასკვნებს, რადგანაც მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, კერძოდ, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე, რომელშიც მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი. ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარადა აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამარ-

თლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

1.5. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით შემოთავაზებული დავები, რომელთა შორისაცაა, სხვა დავები, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნულ ნორმებში, ამასთან, აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

1.6. საკასაციო პალატის შეფასებით, წინამდებარე დავის ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას დაქვემდებარებულ დავად მიჩნევას განაპირობებს შემდეგი გარემოებების ერთობლიობა: ერთ-ერთი მოდავე სუბიექტი ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლებაა, გარიგების საგანი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონებაა, მხარეთა შორის სადავოდ გამხდარი გარიგების დადების სამართლებრივი საფუძველი კი, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონია.

1.7. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. კანონის მე-2 მუხლით განმარტებულია სახელმწიფო ქონების განკარგვის ცნება და ნორმის „ბ“ ქვეპუნქტით განკარგვის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს პრივატიზაცია. თავის მხრივ, პრივატიზაციის ცნების ქვეშ კანონმდებელი ქონების პირდაპირი მიყიდვის წესსაც გულისხმობს. (მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, ასევე მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი). კანონის მიზნებისათვის უძრავი ქონება განმარტებულია, როგორც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული) ან მის გარეშე (მე-2 მუხლის „უ“ ქვეპუნქტი). კანონის 23-ე მუხლით (გარიგების დადების დროს მოქმედი რედაქციით) დადგე-

ნილია, რომ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვა, განკარგვა და სარგებლობაში გადაცემა ამ კანონით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში შეიძლება განახორციელონ სამინისტროს შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას განკარგავენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები სამინისტროს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებას ახორციელებენ სამინისტროს სახელით.

1.8. ამდენად, მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი, რის გამოც არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის, ხოლო ამ კატეგორიის საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

1.9. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონ-

მდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს, როგორცაა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადანყვეტილების მიღების თაობაზე. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი, ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26), კერძოდ, დავის განხილვასა და გადანყვეტას უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

1.10. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა სააპელაციო საჩივრების განხილვისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ის საკითხი, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე მხარეთა მოთხოვნები სამოქალაქო სამართალწარმოების გზით უნდა განხორციელებულიყო და არასწორად არ გადაუგზავნა საქმე განსჯად ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომელსაც, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გააჩნდა ამ საქმის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება.

1.11. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლები, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, ვინაიდან გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების საფუძველია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომელმაც უნდა გადანყვიტოს მოცემული საქმის განსჯადობის წესების დაცვით იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემის საკითხი.

2. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, შპს „პ-ის“ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია, ხოლო „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო

ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებას, ეს საკითხი ასევე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა გადანყდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „პ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

4. შპს „პ-ის“ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. პროცესის ხარჯები

სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლება

ბანჩინება

№ას-986-931-2015

19 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული თანხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით ა. ხ-ის (შემდეგში მოსარჩელე, აპელანტი ან კერძო საჩივრის ავტორი) სარჩელი მ. დ-ის მიმართ უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული თანხის დაბრუნების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება. აპელანტი ითხოვდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან იმ საფუძვლით გათავისუფლებას, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში იმყოფებოდა აღრიცხვაზე.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ივნისის განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და, მისი შევსების მიზნით, დაევალა სახელმწიფო ბაჟის, 150 ლარის, სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა და გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების ამ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სასამართლოში წარდგენა. აპელანტს განემარტა, რომ, თუ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ შეავსებდა ხარვეზს, სასამართლო გამოიტანდა განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

4. აპელანტმა ვადაში ხარვეზი არ შეავსო, რის გამოც მისი

სააპელაციო საჩივარი, ამავე სასამართლოს 2015 წლის 14 ივლისის განჩინებით, განუხილველად იქნა დატოვებული.

5. აპელანტმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 ივლისის განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განხილვა.

6. კერძო საჩივარი დამყარებულია შემდეგზე:

6.1. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო საჩივრის ფორმაში არსებულ სპეციალურ გრაფაში მან მიუთითა, რომ იყო სოციალურად დაუცველი და სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებოდა, თუმცა, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარზე ხარვეზი დაუდგინა და მოსთხოვა სახელმწიფო ბაჟის, 150 ლარის, გადახდა და არა რაიმე დოკუმენტის სასამართლოში წარდგენა.

6.2. სასამართლოს განჩინებით ხარვეზის დადგენის შემდეგ, მან მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს და გადაამოწმა, იმყოფებოდა თუ არა კვლავ აღრიცხვაზე, სადაც დაუდასტურეს სიაში ყოფნის ფაქტი და ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების უფლება, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხადა.

6.3. მიმდინარე წლის 17 ივლისს კვლავ მიიღო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლის თანახმადაც, მისი სააპელაციო საჩივარი, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, განუხილველად დარჩა.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2015 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით, მოსარჩელის კერძო საჩივარი მიიღო წარმოებაში განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და კერძო საჩივრის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

8. კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 14 ივლისის განჩინების კანონიერებას, ვინაიდან მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან უნდა გაეთავისუფლებინა და მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად არ უნდა დაეტოვებინა.

9. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) 368-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულია ის სავალდებულო მოთხოვნები, რასაც სააპელაციო საჩივარი უნდა პასუხობდეს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამის-

სად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს კანონის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

10. სსსკ-ის 374-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სასამართლომ უნდა შეამოწმოს, მისი დასაშვებობა. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

11. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში აპელანტი ვალდებულია, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟი გადაიხადოს, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ითა და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

12. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მ¹ ქვეპუნქტი ითვალისწინებს, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან იმ პირების გათავისუფლების შესაძლებლობას, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მარვენებელი ტოლია ან ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე. ეს საკითხი დარეგულირებულია სსსკ-ის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტითაც.

13. დადგენილია, რომ კერძო საჩივრის ავტორი სააპელაციო საჩივარში ითხოვდა სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლებას, როგორც სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი. საქმეში, კერძო საჩივარს ერთვის ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, საიდანაც ირკვევა, რომ კერძო საჩივრის ავტორი და მისი ოჯახი ნამდვილად არიან რეგისტრირებული აღნიშნულ ბაზაში და ოჯახს 2015 წლის 31 მარტს მიენიჭა 52600 სარეგისტრაციო ქულა, შესაბამისად, ისინი ღებულობენ საარსებო შემწეობას.

14. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის მე-2 მუხლით დამკვიდრებულია პირის უმნიშვნელოვანესი უფლე-

ბა, მიმართოს სასამართლოს თავისი დარღვეული ან სადავო უფლების დაცვის მიზნით. საკითხი იმის შესახებ, ნამდვილად დარღვეულია თუ არა ეს უფლება, უნდა გაირკვეს საქმის განხილვის შედეგად, სასამართლოს გადანყვეტილებით. სასამართლოს უფლება არ აქვს, უარი უთხრას პირს უფლების დაცვაზე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც აპელანტი სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლებას ითხოვდა, როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, სასამართლოს ევალებოდა, ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებით, მოეთხოვა აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება და არ უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ იმაზე მსჯელობით, რომ აპელანტს სასამართლოსათვის უნდა წარედგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი.

16. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებით, დაირღვა მისი ფუნდამენტური უფლება, მიემართა სასამართლოსთვის და იმ ფაქტს, რომ აპელანტმა სასამართლოს 2015 წლის 26 ივნისის განჩინებით დადგენილ ვადაში განმეორებით არ მიმართა სასამართლოს მისი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე, სოციალურად დაუცველი სტატუსის საფუძველზე, არ შეიძლებოდა სასამართლოს მხრიდან პირის უფლებების დაცვაზე უარი გამოეწვია, როგორც წინამდებარე განჩინების მე-15 პუნქტშია აღნიშნული. აპელანტის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ კონკრეტული საფუძვლის მითითება, წარმოადგენდა სასამართლოს მიერ შესაბამისი მტკიცებულების მოთხოვნის წინაპირობას ხარვეზის დადგენის განჩინებაში.

17. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორი წარმოადგენს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „მ¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სუბიექტს, რომელსაც მითითებული კანონი ათავისუფლებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე. შესაბამისად, სასამართლომ აპელანტს არასწორად მოსთხოვა სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ხოლო, მისი გადაუხდელობის გამო, არასწორად დატოვა საჩივარი განუხილველად, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ა. ხ-ის კერძო საჩივარი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 ივლისის განჩინებაზე, დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 ივლისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო ხარჯების დანაწილება მხარეთა შორის

განჩინება

№ას-444-423-2015

30 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძური

დავის საგანი: ვალდებულების არარსებობის აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

გ. ქ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, კერძო საჩივრის ავტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „პ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ და მოითხოვა შემდეგი: 2009 წელს მხარეთა შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე აღიარებულ იქნეს მოსარჩელის ძირითადი ფულადი ვალდებულების – 504,82 ლარის არარსებობა მოპასუხის წინაშე; აღიარებული იქნეს ძირითადი ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული, პროგრესირებადი დენადი

პროცენტის, ჯარიმების, მომსახურების თვიური საკომისიოს ვალდებულების არარსებობა 2009 წელს მხარეთა შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მათი დარიცხვიდან, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საქმის სასამართლოში განხილვის მანძილზე დარიცხვის გათვალისწინებით; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს მიუღებელი შემოსავლის 1 ლარის; სახელმწიფო ბაჟის გადახდისას დამატებით საკომისიოს სახით გადახდილი 1 ლარის; წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით გაფორმებისას განეული ხარჯის – 12 ლარის; წარმომადგენლის მომსახურებაზე განეული ხარჯის – 1 ლარის; საფოსტო მომსახურებაზე განეული ხარჯის – 5,40 ლარის, ასევე, გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის ანაზღაურება და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა.

2. მოპასუხის პოზიცია:

მარტივი შედავებით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, აღიარებულ იქნა მოსარჩელის ძირითადი ფულადი ვალდებულების – 504,82 ლარის არარსებობა მოპასუხის წინაშე 2009 წელს მხარეთა შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე; აღიარებულ იქნა ძირითადი ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული, პროგრესირებადი დენადი პროცენტის, ჯარიმების, მომსახურების თვიური საკომისიოს ვალდებულების არარსებობაც, 2009 წელს მხარეთა შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მათი დარიცხვიდან, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საქმის სასამართლოში განხილვის მანძილზე დარიცხვის გათვალისწინებით, მოსარჩელის მთხოვნა მიუღებელი შემოსავლის – 1 ლარის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ხოლო პროცენტის ხარჯების ნაწილში წარდგენილი მთხოვნა დაკმაყოფილდა, კერძოდ, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა წარმომადგენლის მომსახურების ხარჯის – 1 ლარის; საფოსტო მომსახურების ხარჯის – 5,40 ლარის; წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო დამონების ხარჯის – 12 ლარის; სახელმწიფო ბაჟის გადახდისას საკომისო მომსახურების გამო გა-

წეული ხარჯის – 1 ლარის; სარჩელზე წინანარ გადახდილი ბაჟის – 50 ლარის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე.

4. აპელანტის მოთხოვნა:

4.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

4.2. სააპელაციო პასუხით (შესაგებლით) აპელანტის მონინაალმდეგე მხარე არ დაეთანხმა მოთხოვნას, ამასთანავე, იშუამდგომლა პროცესის ხარჯების აპელანტისათვის დაკისრების თაობაზე, კერძოდ, სააპელაციო შესაგებლისა და წერილობითი შუამდგომლობების მომზადებისას გახარჯული ფურცლების ღირებულების – 5,55 ლარის, სხვა წერილობითი მასალებისა და მათი ასლების ხარჯების – 0,05 ლარის, ლითონის ამკინძავის ღირებულების 0,05 ლარის, საფოსტო მომსახურების ხარჯის – 5,55 ლარის, სხდომაზე გამოცხადების ტრანსპორტირების ხარჯის – 55,55 ლარის, აუცილებელი კვების ხარჯის – 55,55 ლარი-სა და სასამართლოში მოცდენის დროის – 55 555 555,55 ლარის, ასევე, საადვოკატო მომსახურების ხარჯის – 2 400 ლარის ანაზღაურება.

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინებების სარეზოლუციო ნაწილები:

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

5.2. ამავე სასამართლოს 2015 წლის 26 მარტის განჩინებით გ.ქ-ის განცხადება დამატებითი განჩინების მიღების შესახებ არ დაკმაყოფილდა

6. გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 261-ე მუხლებისა და 37-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, განმარტა, რომ აპელანტის მონინაალმდეგე მხარის მიერ სააპელაციო შესაგებლით მოთხოვნილი ხარჯები სასამართლოსგარეშე ხარჯებს მიეკუთვნებოდა, ხოლო დამატებითი გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში მიიღებოდა, თუ ძირითადი გადაწყვეტილებით სასამართლო ხარჯების საკითხი არ გადაწყვეტილა, ამდენად, მონინაალმდეგე მხარის მიერ მითითებული საფუძვლით დამატებითი განჩინების მიღების შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცეს კოდექსის 261-ე მუხლის

პირველი ნაწილის არც ერთი ქვეპუნქტი არ ითვალისწინებდა, გარდა აღნიშნულისა, პალატამ განმარტა, რომ მონინალმდეგე მხარეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შე-საბამისად, მოთხოვნილი ხარჯების განევის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება არ წარუდგენია სასამართლოსათვის.

7. კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

7.1. კერძო საჩივრის საფუძვლები:

7.1.1. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი, ვინაიდან იგი დამატებითი გადაწყვეტილების ობიექტად მხოლოდ სასამართლოს ხარჯებს არ ითვალისწინებს, ამ კუთხით პალატის განმარტებანი ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას, გარდა აღნიშნულისა, ლოგიკურია, რომ აპელანტის მონინალმდეგე მხარემ სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე სულ მცირე ადვოკატის მომსახურებისთვის განია ხარჯები, რაც უნდა დაკმაყოფილებულიყო.

7.1.2. დაუსაბუთებელია პალატის მსჯელობა იმ ნაწილშიც, რომ საქმეში არ არის ხარჯების განევის დამადასტურებელი მტკიცებულებები. სასამართლო ვალდებული იყო, ასეთი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, თავად განესაზღვრა ხარჯების ოდენობა.

7.1.3. გარდა აღნიშნულისა, გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია არაკანონიერი სასამართლო შემადგენლობით, კერძოდ, განჩინებას ხელს აწერენ მოსამართლეები, რომლებიც მოცემული საქმის განხილვაში არ მონაწილეობდნენ, რაც მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძვლები, საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიიჩნევს, რომ გ. ქ-ის კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების შეცვლის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლო-

ებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

1.2. წარმოდგენილი კერძო საჩივრის შესწავლით ირკვევა, რომ მხარე გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას ძირითადად ორი საფუძვლით მოითხოვს: ა) საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ; ბ) სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა საპროცესო ნორმა.

1.3. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მხარის არგუმენტს საქმის არაკანონიერი შემადგენლობით განხილვისა და განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების არსებობის თაობაზე და აღნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივრის არსებითად განმხილველი სასამართლოს კოლეგიური შემადგენლების ცვლილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით განსაზღვრულ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს არ ქმნის, რამდენადაც შეცვლილი შემადგენლობით სასამართლომ არსებითად განიხილა შუამდგომლობის საფუძვლიანობა და არ დააკმაყოფილა იგი, ამასთანავე, საგულისხმოა, რომ კერძო საჩივრის ავტორს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე-31-ე მუხლებით გათვალისწინებულ არც ერთ საფუძველზე არ მიუთითებია.

1.4. რაც შეეხება კერძო საჩივრის მეორე არგუმენტს, პალატა იზიარებს მას და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავი ეძღვნება პროცესის ხარჯებს. კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განმარტებულია, თუ რას შეადგენს თითოეული მათგანი, კერძოდ, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე, მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები. სახელმწიფო ბაჟი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტში სავალდებულო შესატანს. რაც შეეხება საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათი ამომწურავი ჩამონათვალი მოცემულია საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, საქმის განხილვასთან დაკავშირებული

ხარჯები: მონმეების, სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის მისაცემი თანხები; თარჯიმნად მონვეული პირებისათვის მისაცემი თანხები; ადგილობრივ დათვალიერებებზე განეული ხარჯები; სასამართლოს დავალებით ფაქტების კონსტატაციაზე განეული ხარჯები; მოპასუხის მოძებნის ხარჯები; სასამართლო გადანყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები; ადვოკატისათვის სახელმწიფო სალაროდან გადახდილი თანხები; სპეციალურ საექსპერტო დანესებულებაში სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები. ამდენად, მითითებული მუხლის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს იმ პირებისათვის ასანაზღაურებელ ხარჯებს, რომლებიც დახმარებას უწევნ სასამართლოს (მონმეები, სპეციალისტები, ექსპერტები, თარჯიმნები და ა.შ). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოგებული მხარის სასარგებლოდ წაგებული მხარისათვის პროცესის ხარჯების დაკისრების სამართლებრივი საფუძველი მოცემულია საპროცესო კოდექსის 53-ე და 54-ე მუხლებში. ზოგადი პრინციპი ასეთია – იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. საკასაციო პალატა მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საპროცესო კანონმდებლობა პროცესის ხარჯების საკითხის განხილვის თაობაზე რაიმე სპეციალური წარმოების სახეს არ იცნობს, გარდა კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა, რომელსაც ქვემოთ შევხებით. ამასთან, სასამართლოს ყოველთვის შეუძლია გამოიტანოს გადანყვეტილება პროცესის ხარჯების თაობაზე, თუკი ამას მხარეები მოითხოვენ და დაადასტურებენ სათანადო მტკიცებულებებით. სასამართლოსთვის მინიჭებული ამგვარი ლეგიტიმური უფლება გამომდინარეობს საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულებიდან, რომლის მიხედვითაც, გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. საპროცესო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის ხდება თითოეულ ინსტანციის სასამართლოში ცალ-ცალკე და იმის მიხედვით, თუ როგორ შეცვლის ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გადანყვეტილებას, ამას მოჰყვება პროცესის ხარჯების განაწილების ცვლილება. ამდენად, საკასაციო პალატის შეფასებით, ვინაიდან არსებობს დავის გადანყვეტასთან ერთად იმავე დავაზე განეული ხარჯების დაბრუნების სამართლებრივი მექანიზმი, ხოლო საპროცესო კანონი სპეცია-

ლურ რეგულაციას არ იცნობს, მხარეებმა პროცესის ხარჯების დაბრუნების (მეორე მხარისათვის მათ სასარგებლოდ დაკისრება) შესახებ უნდა მიუთითონ ძირითად სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ მათ პრეტენზია პროცესის ხარჯებთან დაკავშირებით არ გააჩნიათ. ამასთან, მხარეებს არ უნდა შეეზღუდოთ პროცესის ხარჯების მოთხოვნის უფლება საქმის მომზადების დასრულების შემდგომ, ან საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, თუკი ხარჯების საკითხი სწორედ საქმის განხილვის ამ სტადიაზე წარმოიშვა და მანამდე მხარისთვის ამ ფაქტის შესახებ ობიექტურად ცნობილი ვერ იქნებოდა. რაც შეეხება საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილ პროცედურებს (დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა), საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული მუხლი ითვალისწინებს ისეთი ხარვეზის აღმოფხვრის მექანიზმებს, როდესაც, მართალია, მხარემ მოითხოვა პროცესის ხარჯების დაბრუნება სასამართლოსაგან, მაგრამ სასამართლოს თავისი მიზეზით გამოიჩინა მხედველობიდან ამ საკითხის გადაწყვეტი (261.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). გასათვალისწინებელია, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის დასმა ვადითაა შეზღუდული, კერძოდ, 261-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ზემოთ მოყვანილ ნორმათა ანალიზი, ასევე, საკასაციო სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა, იძლევა ცალსახა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იმის თაობაზე, რომ მხარე საპროცესო კანონმდებლობით საკმარისად არის დაცული, რათა მან პროცესის მოგების შემთხვევაში დაიბრუნოს მის მიერ განეული ხარჯები და აღდგეს პირვანდელ მდგომარეობაში (იხ. სუსგ №ას-165-158-2013, 27 იანვარი, 2014 წელი).

1.5. რაც შეეხება უშუალოდ განეული ხარჯების ოდენობას, როგორც სააპელაციო პალატამ დაადგინა და ეს გარემოება არც კერძო საჩივრის ავტორს გაუხდია სადავოდ, მას ამ ხარჯების რეალურად განევის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარუდგენია სასამართლოში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის პირველი ნაწილი კი, იმპერატიულად ადგენს შუამდგომლობის ავტორის ვალდებულებას, სასამართლოს დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საქმეში წარმოდგენილია სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობა, რომლის თანახმადაც, მოსარჩელე საკუთარი ინტერესების დაცვას ანდობს ი. პ-ს. ეს გარემოება

იძლევა პრეზუმფციის დაშვების საფუძველს, რომ მხარეთა შორის ზეპირი ფორმით შედგა სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლით განსაზღვრული შეთანხმება.

1.6. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს იურიდიული მომსახურების ხარჯების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინების უსწორობის თაობაზე და მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას. ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მხარეს წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი არ ჰქონდა წარდგენილი, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ არსებობდა მოგებული მხარისათვის სასამართლოსგარეშე ხარჯის ანაზღაურების წინაპირობები. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „როგორც წესი, მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან... ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობა, თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია (აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „პინკოვა და პინკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“). სასამართლომ მხარეს ხარჯების ანაზღაურება უნდა დააკისროს მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ისინი რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო სამოქალაქო უფლების დარღვევა (აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“). ამდენად, სასამართლომ ხარჯების განსაზღვრისას უნდა მოახდინოს მხარის სამართლიანი დაკმაყოფილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასამართლოს შეხედულებით ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას, დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, პროცენტული ცენზის დადგენა გამორიცხავს ხარჯების ხელოვნურად გაზრდას და უზრუნველყოფს იმ მხარის ინტერესების დაცვას, რომელსაც ხარჯების გადახდა უნდა დაეკისროს (იხ. სუსგ №ას-792-1114-07, 11 თებერვალი, 2008 წელი).

1.7. პალატა განმარტავს, რომ მოქმედი საპროცესო კანონ-

მდებლობა ემყარება რა პროცესუალური ეკონომიის პრინციპს, საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება არაა მიზანშეწონილი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თავადაა უფლებამოსილი, გადაწყვეტოს იგი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვებილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადანყვებილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვებილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. წინამდებარე დავის საგნის ღირებულებისა და კანონით განსაზღვრული პროცენტული ცენზის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ სს „პ-ის“ უფლებამონაცვლე სს „ს-ს“ გ. ქ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს იურიდიული მომსახურების ხარჯის სახით 71,45 ლარი, დანარჩენ ნაწილში შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს დაუსაბუთებლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. გ. ქ-ის კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 მარტის განჩინება და გ. ქ-ის შუამდგომლობა აპელანტისათვის საპროცესო ხარჯების დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
3. სს „პ-ის“ უფლებამონაცვლე სს „ს-ს“ (ს/№...) გ. ქ-ის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს იურიდიული მომსახურების ხარ-

ჯის სახით 71,45 (სამოცდათერთმეტი ლარი და ორმოცდახუთი თეთრი), დანარჩენ ნაწილში შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდეს დაუსაბუთებლობის გამო.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო სარჩების დანაწილება მხარეთა შორის

განჩინება

№ას-59-57-2016

11 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),

ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),

პ. ქათამაძე

დავის საგანი: გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 3 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით (241-244 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში – სსსკ, 230-ე მუხლი) დაკმაყოფილდა ლ. ჯ-ის (შემდეგში: მოსარჩელე, დასაქმებული ან მონინალმდევე მხარე) სარჩელი ა(ა)იპ ე-ის (შემდეგში: მოპასუხე, აპელანტი, ფონდი ან კერძო საჩივრის ავტორი) და შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა გადაწყდა მოსარჩელის სასარგებლოდ, კერძოდ:

1.1. ბათილად იქნა ცნობილი ფონდის 2014 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

1.2. მოსარჩელე აღადგინეს იურისტის თანამდებობაზე და ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, მოპასუხეს დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2014 წლის 1 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

1.3. მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, ასევე დაეკის-

რა 2014 წლის 1 ივლისიდან ყოველი დაყოვნებული დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07%-ის გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე და სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის გადახდა.

2. სასამართლოს 03.12.2014წ. დაუსრულებელ გადაწყვეტილებაზე ფონდის საჩივარი უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 3 აპრილის განჩინებით, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ფონდის სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 3 აპრილის განჩინება და იმავე სასამართლოს 2014 წლის 3 დეკემბრის დაუსრულებელი გადაწყვეტილება შეიცვალა ნაწილობრივ, კერძოდ:

3.1. დასაქმებულის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ფონდის 2014 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

3.2. მოსარჩელე აღადგინეს ფონდის იურისტის თანამდებობაზე შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადაში;

3.3. მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეს, დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება – 2014 წლის 1 ივლისიდან იმავე წლის 31 დეკემბრამდე – 12 480 ლარი.

3.4. მოსარჩელეს დაეკისრა ფონდის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 2 495 ლარისა და 90 თეთრის გადახდა.

4. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი) დასაქმებულის საკასაციო საჩივარი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის განჩინებით, განუხილველად დარჩა, დაუშვებლობის გამო, (იხ. საქმე №ას-887-837-2015).

5. საკასაციო სასამართლოდან საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების შემდეგ, დასაქმებულმა 2015 წლის 25 ნოემბერს განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებაში (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი; მოსარჩელის განცხადება) უსწორობათა გასწორება (სსსკ-ის 260-ე მუხლი).

6. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის განცხადების შესწავლის შედეგად, სსსკ-ის 372-ე, 260-ე მუხლებზე მითითებით, 2015 წლის 23 დეკემბრის განჩინებით დააკმაყოფილა დასაქმებულის მოთხოვნა და ამავე სასამართლოს 2015 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებუ-

ლი უსწორობის გასწორების მიზნით, მასში შემდეგი ცვლილება შეიტანა: ა. გადაწყვეტილებას დაემატა შემდეგი შინაარსის მე-3¹ პუნქტი: „თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

ბ. მოსარჩელეს ფონდის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 2995.2 ლარის 16.6%-ის 497.20 ლარის ანაზღაურება.“

7. საქართველოს უზენაეს სასამართლოში, 2016 წლის 13 იანვარს მოპასუხემ კერძო საჩივარი წარმოადგინა სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 დეკემბრის განჩინებაზე (საქმე №23/1921-15) და მოითხოვა მხარეთა შორის სასამართლოს მიერ არასწორად განანილებული ბაჟის საკითხი განხილვა.

7.1. კერძო საჩივრის ავტორი, სსსკ-ის 53-ე მუხლზე მითითებით, აღნიშნავს, რომ მხარეებს შორის, დაკმაყოფილებული მოთხოვნის შესატყვისად, სახელმწიფო ბაჟი შემდეგნაირად უნდა განანილებულიყო: ფონდის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა 83,4%-ით და არ დაკმაყოფილდა 16,6%-ით, შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარეს – დასაქმებულს, ფონდის სასარგებლოდ, უნდა დაჰკისრებოდა ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 2995.2 ლარის 83,4%, რაც 2497.99 ლარს შეადგენს. დამატებით არგუმენტად, ფონდი იმაზეც უთითებს, რომ მის მიერ წარდგენილ სააპელაციო საჩივარზე, სასამართლოს განჩინებით დადგინდა ხარვეზი, რომლის აღმოსაფხვრელად აპელანტს უნდა გადაეხადა დავის საგნის ღირებულების შესაბამისად, 2995.2 ლარი.

7.2. კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს, რომ მოწინააღმდეგეს დაეკისროს ფონდის მიერ კერძო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 50 ლარი;

7.3. იგი, სსსკ-ის 260-ე და 261-ე მუხლებზე მითითებით, აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს უსწორობის გასწორების განჩინებით არ ჰქონდა უფლებამოსილება ემსჯელა და, მოსარჩელის სასარგებლოდ, დამატებითი თანხები, კერძოდ, პირგასამტეხლო (0.07%) დაეკისრებინა ფონდისათვის.

8. საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 18 იანვარს გადმოეზავენა ფონდის კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად, ხოლო ამავე სასამართლოს 2016 წლის 28 იანვრის განჩინებით, ფონდს დაუდგინდა ხარვეზი კერძო საჩივარზე. საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 11 თებერვალს მომართა კერძო საჩივრის ავტორმა განცხადებით, რომლითაც ხარვეზი გამოასწორა და, იმავე წლის 22 თებერვლის განჩინებით, საქართველოს უზე-

ნაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, ფონდის კერძო საჩივარი მიიღო განსახილველად, ხოლო საქმის განხილვა, ზეპირი მოსმენის გარეშე, დაინიშნა 2016 წლის 11 მარტს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მოტივაციით:

9. სსსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით, ხოლო 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

10. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს, რამდენად მართებულად განაწილდა მოდავე მხარეებს შორის სახელმწიფო ბაჟი.

11. სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომელიც ამ განჩინების 7.1. ქვეპუნქტშია მითითებული, როგორც დასაბუთებულსა და საფუძვლიანს, ამასთან, იმ არგუმენტსაც, რომ სააპელაციო საჩივარზე, სასამართლოს 2015 წლის 15 მაისის განჩინებით, დადგენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად (საქმე №2ბ/1921-15) ფონდს დაევალა, დავის საგნის ღირებულების, სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპისათვის განსაზღვრული 4% -ის გადახდა, რაც სასამართლოსავე მითითებით 2995,2 ლარს შეადგენდა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ფონდის სააპელაციო საჩივარი (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი), შესაბამისად, კერძო საჩივრის მოთხოვნის, პროცესუალურ მონინალმდებელთა შორის სახელმწიფო ბაჟის მართებულად განაწილების თაობაზე, დაკმაყოფილების მიზნით, საკასაციო სასამართლო აუქმებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 დეკემბრის განჩინების (უსწორობის განორების შესახებ) სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალაში რჩება

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი, რომლითაც მოსარჩელეს დაეკისრა ფონდის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 2495 ლარის და 90 თეთრის გადახდა;

12. იმის გათვალისწინებით, რომ კერძო საჩივრის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ფონდის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის ნახევრის 25 ლარის გადახდა უნდა დაეკისროს მონინალმდეგე მხარეს (სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

13. საკასაციო სასამართლო ამ განჩინების 7.3. ქვეპუნქტში მითითებული კერძო საჩივრის პრეტენზიის განხილვისას, უთითებს საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის განჩინების (იხ. საქმე №ას-887-837-2015) მსჯელობასა და დასკვნებზე, კერძოდ: უზენაესმა სასამართლომ დასაქმებულის საკასაციო საჩივრის განხილვისას განმარტა: „სააპელაციო პალატამ გააუქმა რა საქალაქო სასამართლოს 3 აპრილის განჩინება და ნაწილობრივ შეცვალა ამავე სასამართლოს 2014 წლის 3 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მიღებული ახალი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით მას დაყოვნებული თანხის 0,07%-ის დამსაქმებლისათვის დაკისრებაზე უარი მოსარჩელისათვის არ უთქვამს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ეს გარემოება არა საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების, არამედ დაინტერესებული მხარის მიერ სსსკ-ის 262-ე მუხლით განსაზღვრული საშუალებით სარგებლობის წინაპირობაა (მიღებული გადაწყვეტილების განმარტება)“. უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებით დადგენილია, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს (ფონდს) დაკისრებული აქვს დაყოვნებული თანხის 0,07%. კერძო საჩივრის პრეტენზიის აღნიშნული ნაწილი სამართლებრივად დაუსაბუთებელია, რის გამოც უარყოფილია ფონდის მხოლოდ ეს პრეტენზია და გასაჩივრებული განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩება უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ ე-ის კერძო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 დეკემ-

ბრის განჩინებაზე, დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 დეკემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი;

3. ლ. ჯ-ეს ა(ა)იპ ე-ის სასარგებლოდ დაეკისროს სასამართლო განხილვისათვის განუული ხარჯის (სახელმწიფო ბაჟი) 25 ლარის გადახდა;

4. გასაჩივრებული განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა

ბანჩინება

№ას-399-379-2015

23 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „თ. ... ბ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. კ-ას მიმართ და მოითხოვა საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრება.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს „თ. ... ბ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „თ. ... ბ-მა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 თებერვლის განჩინებით სს „თ. ... ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 იანვრის განჩინებით სს „თ. ... ბ-ს“ დაუდგინდა ხარვეზი და ხარვეზის შევსების მიზნით დაევალა 7 დღის ვადაში წარმოედგინა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი სსსკ-ის 368-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. აპელანტს ასევე დაევალა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით 150 ლარის გადახდა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარმოდგენა.

ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება აპელანტს ჩაბარდა 2015 წლის 6 თებერვალს. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ ხარვეზის შევსებისთვის დაწესებული საპროცესო ვადის დენა

დაიწყო განჩინების გადაცემის მომდევნო დღიდან ე.ი. 2015 წლის 7 თებერვლიდან და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლით დადგენილი წესით ამოიწურა 2015 წლის 13 თებერვალს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში არ იყო უქმე ან დასვენების დღე. აპელანტმა კი სააპელაციო საჩივარი წარადგინა კანონით გათვალისწინებული ვადის დარღვევით 2015 წლის 17 თებერვალს, რაც გახდა სს „თ. ... ბ-ის“ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სს „თ. ... ბ-ის“ წარმომადგენელმა და მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძველით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება სს „თ. ... ბ-ს“ ჩაბარდა 2015 წლის 6 თებერვალს, შესაბამისად, საპროცესო ვადის დენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაიწყო 2015 წლის 7 თებერვლიდან და დასრულდა 2015 წლის 13 თებერვალს. ხარვეზის შევსების შესახებ განცხადება კი ფოსტის მეშვეობით გაიგზავნა სააპელაციო სასამართლოში 2015 წლის 13 თებერვალს, ანუ სასამართლოს მიერ დადგენილ 7 დღიან ვადაში.

კერძო საჩივრის ავტორი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მესამე ნაწილზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ვინაიდან აპელანტმა გზავნილი ფოსტას ჩააბარა 2015 წლის 13 თებერვალს ანუ ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადის უკანასკნელ დღეს (რის დასადასტურებლადაც წარმოდგენილი აქვს ფოსტის ბილი), საპროცესო ვადა გასულად არ ითვლება. მოცემულ შემთხვევაში საპროცესო ვადის გამოთვლისას მნიშვნელობა არა აქვს ადრესატისათვის გზავნილის ჩაბარებას. მთავარია, რომ სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩააბარდა დადგენილ 7-დღიან ვადაში. შესაბამისად, არ არსებობს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებულ განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „თ. ბ-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათ-

ვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ მას სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შევსებისთვის დაწესებული საპროცესო ვადა არ დაურღვევია.

გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას სააპელაციო სასამართლო ახდენს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ აპელანტმა სს „თ. ... ბ-მა“ გაუშვა ხარვეზის შესავსებად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 იანვრის განჩინებით დადგენილი 7-დღიანი საპროცესო ვადა. კერძოდ, ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა აპელანტს ამოეწურა 2015 წლის 13 თებერვალს, ხოლო ხარვეზი მან 2015 წლის 17 თებერვალს შეავსო.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს და კერძო საჩივრის ავტორიც არ ხდის სადავოდ იმ ფაქტს, რომ სს „თ. ... ბ-ის“ სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 იანვრის განჩინება აპელანტს ჩაბარდა 2015 წლის 6 თებერვალს. შესაბამისად, 7-დღიანი საპროცესო ვადის ათვლა დაიწყო გზავნილის ჩაბარების მომდევნო დღეს, 2015 წლის 7 თებერვალს და ამოიწურა 2015 წლის 13 თებერვალს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ საფოსტო შეტყობინების ბარათებზე, რომლითაც ირკვევა, რომ შპს „ტ-ამ“, რომელიც მინდობილობის საფუძველზე წარმოადგენს სს „თ. ... ბ-ს“, მ. კ-ს საქმესთან დაკავშირებით დადგენილი ხარვეზის გამოსწორების მიზნით სააპელაციო სასამართლოს გაუგზავნა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის ქვითართან ერთად ფოსტის მეშვეობით. აღნიშნულ გზავნილებზე დოკუმენტის გაგზავნის თარიღად მითითებულია 2015 წლის 13 თებერვალი, ანუ სასამართლოს მიერ განსაზღვრული საპროცესო ვადის ბოლო დღე.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს შპს „ს-ს“-ს მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადმოგზავნილ

ამონაწერზე გზავნილების მართვისა და მონიტორინგის ელექტრონული სისტემიდან, რომლითაც დასტურდება, რომ შპს „ტ-ას“ მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაგზავნი დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის ქვითართან ერთად ფოსტაში რეგისტრირებულია 2015 წლის 13 თებერვალს 5:58 სთ-ზე (გზავნილის შტრიხკოდი:), ხოლო სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დოკუმენტები ჩაბარდა 2015 წლის 17 თებერვალს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

ზემოაღნიშნული ნორმებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 იანვრის განჩინებით დადგენილი ხარვეზი სს „თ. ... ბ-მა“ შეავსო სასამართლოს მიერ დაწესებული 7 დღიანი ვადის ბოლო დღეს, 2015 წლის 13 თებერვალს, ფოსტის მეშვეობით, მის მიერ არ დარღვეულა ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „თ. ... ბ-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 თებერვლის განჩინება და საქმე სს „თ. ... ბ-ის“ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა

განჩინება

№ას-534-507-2015

29 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ანდერძისა და სამკვიდრო მონმობების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრში საკუთრების რეგისტრაციის გაუქმება, მოსარჩელის კანონიერი უფლების აღდგენა, მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. მ-ის მიმართ და მოითხოვა საზიარო უფლების გაუქმების გზით სადავო ქონების ნატურით გაყოფა, ასევე ნ. მ-ემ შეგებებული სარჩელი აღძრა მ. მ-ის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ლანჩხუთის სარეგისტრაციო სამსახურის, ლ. რ-ისა და ლ. ვ-ას მიმართ ანდერძისა და სამკვიდრო მონმობების ბათილად ცნობის, საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმების, მოსარჩელის კანონიერი უფლების აღდგენისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით მ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ნ. მ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 აპრილის განჩინებით ნ. მ-ის სააპელაციო საჩივარი ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებაზე დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 მარტის განჩინებით აპელანტ ნ. მ-ეს სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა 5 დღის ვადაში წარმოედგინა სახელ-

მნიფო ბაჟის, 600 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ამასთან, აპელანტს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანდა განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. აღნიშნული განჩინება კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა და ჩაბარდა აპელანტ ნ. მ-ის წარმომადგენელს, ს. ა-ეს პირადად 2015 წლის 19 მარტს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ დაწესებული ხარვეზის შევსების ვადა აპელანტს ამოეწურა 2015 წლის 24 მარტს, თუმცა მას განჩინებაში მითითებული ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობა წარუდგენია სააპელაციო სასამართლოში ხარვეზისათვის დაწესებული ვადის გაგრძელების შესახებ. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე, 368-ე მუხლებზე დაყრდნობით პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა ნ. მ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ნ. მ-ემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ. მ-ის წარმომადგენელმა ს. ა-ემ 2015 წლის 19 მარტს ჩაიბარა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ. ხარვეზის აღმოფხვრის ბოლო დღე იყო 2015 წლის 24 მარტი. 2015 წლის 23 მარტს ლ. ბ-ის თბილისის, მ-ის №... ფილიალში აპელანტის წარმომადგენელმა გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, 600 ლარი და აღნიშნულის დამადასტურებელი ქვითარი იმავე დღეს გააგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ფოსტის მეშვეობით. თუმცა გზავნილი სასამართლოში მივიდა დაგვიანებით, რის გამოც ხარვეზის შეუვსებლობის მოტივით სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი ვადაში იქნა აღმოფხვრილი. შესაბამისად, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და სააპელაციო სასამართლომ უნდა განიხილოს ნ. მ-ის სააპელაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკვსაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემომწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. მ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავ კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ მას სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შევსებისთვის დაწესებული საპროცესო ვადა არ დაურღვევია.

გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას სააპელაციო სასამართლო ახდენს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ აპელანტმა ნ. მ-ემ გაუშვა ხარვეზის შესავსებად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 მარტის განჩინებით დადგენილი 5 დღიანი საპროცესო ვადა.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს და კერძო საჩივრის ავტორიც არ ხდის სადავოდ იმ ფაქტს, რომ ნ. მ-ის სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 მარტის განჩინება აპელანტის წარმომადგენელს, ს. ა-ეს პირადად ჩაბარდა 2015 წლის 19 მარტს. შესაბამისად, 5-დღიანი საპროცესო ვადის ათვლა დაიწყო გზავნილის ჩაბარების მომდევნო დღეს, 2015 წლის 20 მარტს და ამოიწურა 2015 წლის 24 მარტს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეში არსებულ ნ. მ-ის წარმომადგენელ, ნ. დ-ის 2015 წლის 23 მარტის განცხადებაზე, რომელიც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ფოსტის მეშვეობით შევიდა 2015 წლის 20 აპრილს.

აღნიშნული განცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ 2015 წლის 23 მარტს, ნ. მ-ის წარმომადგენელმა ნ. დ-ემ, რომლის უფლებამოსილება დადასტურებულია 2014 წლის 13 აგვისტოს ნ. მ-ის მიერ 3 წლის ვადით გაცემული მინდობილობით, სს „ლ. ბ-ის“ თბილისის, მ-ის ფილიალში გადაი-

ხადა სახელმწიფო ბაჟი 600 ლარის ოდენობით. გადახდის ქვითარში – ველში „ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა“ – მითითებულია ნ. მ-ე, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული გადახდა განხორციელდა ნ. მ-ის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით. ამავ გაცხადებას ერთვის შპს „ქ. ს- ჯ-ის“ საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათი, რომლის შესაბამისად ირკვევა, რომ ადვოკატმა ნ. დ-ემ ზემოაღნიშნული ფოსტის (შპს „ქ. ს. ჯ-ის“) მემვეობით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გზავნილი გააგზავნა 2015 წლის 23 მარტს და იგი ადრესატს ჩაბარდა 2015 წლის 20 აპრილს, რაც ასევე დადასტურებულია ნ. დ-ის განცხადებაზე დასმული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ბეჭდით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

ზემოაღნიშნული ნორმებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 მარტის განჩინებით დადგენილი ხარვეზი ნ. მ-ის წარმომადგენელმა შეაესო სასამართლოს მიერ დაწესებული 5 დღიანი ვადის დაცვით, 2015 წლის 23 მარტს, ფოსტის მეშვეობით, მის მიერ არ დარღვეულა ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. მ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ბეჭდით.

ლაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 აპრილის განჩინება და საქმე ნ. მ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკროტასო მოქმედების შესრულების ვადა

განჩინება

№ა-4329-ა-18-2015

10 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

მოსამართლე: მ. თოდუა

სამოქალაქო საქმეთა პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქმის წარმოების განახლების შესახებ გ. ო-ს განცხადების წარმოებაში მიღების საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინებაზე, საქმეზე გ. გ-ის სარჩელისა გამო გ. ო-ის მიმართ უკანონო ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას 2015 წლის 13 ნოემბერს განსახილველად გადმოეცა გ. ო-ს წარმომადგენლის – ნ. ქ-ს კერძო საჩივარი, რომლითაც მოითხოვდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინების გაუქმებას და კერძო საჩივრის განხილვას.

საკასაციო პალატამ შეამოწმა წარმოდგენილი კერძო საჩივარი და მიიჩნია, რომ იგი თავისი შინაარსით წარმოადგენდა განცხადებას საქმის წარმოების განახლების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ნოემბრის განჩინებით გ. ო-ს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგინა:

ა. დადასტურება მის მიერ წარმოდგენილი კერძო საჩივრის

თაობაზე ან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა დაცვით შედგენილი განცხადება. კერძოდ, განცხადება უნდა შეიცავდეს: ა) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებას, ბ) მითითებას იმ საფუძვლებზე, რომელთა გამოც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ან საქმის განახლება; გ) მითითებას იმ გარემოებებზე, რომლებიც მოწმობენ, რომ დაცულია განცხადების შეტანის ვადა, და ამ გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე; დ) მითითებას განსჯადობის ნესების დაცვის თაობაზე; ე) მითითებას იმის შესახებ, თუ რა ზომით და რა ფარგლებში მოითხოვს განმცხადებელი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და სხვა გადაწყვეტილებით მის შეცვლას.

ბ. კერძო საჩივრის, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების შესაბამისი 50 ან 100 ლარის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ნოემბრის განჩინების თაობაზე გ. ო-ს წარმომადგენელს – ნ. ქ-ს ეცნობა სატელეფონო შეტყობინებით 2015 წლის 24 ნოემბერს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) 59-ე მუხლის შესაბამისად საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში. სსსკ-ის მე-60, 61-ე მუხლების თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ნოემბრის განჩინებით დადგენილი საპროცესო ვადის ათვლა დაიწყო 2015 წლის 25 ნოემბერს და დასრულდა იმავე წლის 30 ნოემბრის 24 საათზე. აღნიშნულ საპროცესო ვადის განმავლობაში გ. ო-ს ხარვეზი არ შეუვსია და არც საპროცესო ვადის გაგრძელების თხოვნით არ მოუმართავს სასამართლოსათვის.

სსსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია კანონით დადგენილ ვადაში შეასრულოს შესაბამისი საპროცესო მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას.

მოცემულ შემთხვევაში გ. ო-მა დაკარგა საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, ვინაიდან სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადის განმავლობაში არ შეავსო ხარვეზი, რაც განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე, 63-ე, 284-285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ო-ს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმისწარმოების განახლების თაობაზე დატოვებული იქნეს განუხილველად.
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

შეტყობინება აღკვეთის არყოფნის შემთხვევაში

განჩინება

№ას-1095-1031-2015

16 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. ფ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. დ-ის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე, ასევე შეგვებულებული სარჩელი აღძრა გ. დ-მა ნ. ფ-ის მიმართ ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და თანხის დაკისრების თაობაზე.

2. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ფ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გ. დ-ს ნ. ფ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 23 945 აშშ დოლარის გადახდა; გ. დ-ის შეგვებულებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. დ-მა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინებით გ. დ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

6. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხარვეზის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განჩინება აპელანტის წარმომადგენელს ჩაბარდა 2015 წლის 6 ივნისს. შესაბამისად, მისთვის ხარვეზის შევსების 7 დღიანი ვადის დენა დაინყო 2015 წლის 7 ივნისს და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ამოიწურა 2015

წლის 15 ივნისს. აპელანტმა კი სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი შეავსო (სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი წარადგინა) 2015 წლის 16 ივნისს. ამრიგად, პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

7. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გ. დ-მა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის სააპელაციო სასამართლოსთვის განსახილველად დაბრუნება შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

8. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 11 მაისის განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ 2015 წლის 6 ივნისს ჩაბარდა არაუფლებამოსილ პირს, ბ.მ. ამხანაგობის თავმჯდომარეს, ქ. ჯ-ს. აღნიშნული გარემოება დასტურდება კერძო საჩივარზე დართული მტკიცებულებებით: კერძოდ, კორესპონდენციის ჯ-ე ჩაბარების ბარათში აღნიშნულია, რომ ქ. ჯ-მა, ორგანიზაციის წარმომადგენელმა ჩაიბარა გზავნილი 2015 წლის 6 ივნისს, თუმცა გზავნილში ქ. ჯ-ს არ მიუთითებია, რომ იგი საადვოკატო ბიუროს თანამშრომელია. კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი არ არის არც საადვოკატო ბიუროს თანამშრომელი და არც მისი ოჯახის წევრი.

9. საჩივრის ავტორის მითითებით, ქ. ჯ-ის მიერ გაცემულია ახსნა-განმარტება, რომელშიც აღნიშნულია, რომ მან საფოსტო გზავნილი მიიღო 2015 წლის 6 ივნისს, იმ დღეს მოულოდნელად წავიდა რაიონში და დაბრუნდა 15 ივნისს. იმავე დღეს, 15 ივნისს მან საფოსტო გზავნილები გადასცა ბიუროს იურისტს ჯემალ ხუზაურაშვილს, როგორც 15 ივნისს მიღებული.

10. საადვოკატო ბიუროს იურისტის, ჯემალ ხუზაურაშვილის ახსნა-განმარტებით კი დგინდება, რომ მას ქ. ჯ-მა 2015 წლის 15 ივნისს ჩააბარა სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 11 მაისის განჩინება, რომელიც იმავე დღეს ჯ. ხ-მა გადასცა ადვოკატ ნ. გ-ეს.

11. საჩივრის ავტორი აქვე მიუთითებს კერძო საჩივარზე დართულ, საადვოკატო ბიურო „ა-ას“, მიერ გაცემულ ცნობაზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ საადვოკატო ბიურო „ა-ში“, ქ. ჯ-ი არ მუშაობს და არც 2015 წლის 6 ივნისისთვის მუშაობდა.

12. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მას, ისევე როგორც მის კანონიერ წარმომადგენელს, ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება არ ჩაბარებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით. იმ პირობებში კი, როდესაც ადვოკატს, ნ. გ-ს გზავნილი ჩაბარდა 2015 წლის 15 ივნისს, 16

ინენის ხარვეზის შეესება არ შეიძლება ჩაითვალოს სასამართლოს მიერ დანიშნული 7-დღიანი საპროცესო ვადის დარღვევად. გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებაზე გ. დ-ის ან ნ. გ-ის ნაცვლად ხელს აწერს ქ. ჯ-ი, რომელიც ადრესატთან თავის დამოკიდებულებაზე არ უთითებს და აღნიშნული არც სხვა რაიმე მტკიცებულებით დასტურდება. ამდენად, მისთვის განჩინების ჩაბარება ვერ ჩაითვლება უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარებად.

სამოტივაციო ნაწილი:

13. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. დ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

15. საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 11 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა აპელანტ გ. დ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე და აპელანტს დაევალა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის, 957.8 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარდგენა სასამართლოში.

16. დადგენილია ასევე, რომ ზემოაღნიშნული განჩინება სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე, თბილისი, ბ-ის ქ. ..., გაეგზავნა აპელანტს, გ. დ-ს. საქმეში არსებული გზავნილის ჩაბარების დასტურით კი ირკვევა, რომ აღნიშნულ მისამართზე კორესპონდენცია ჩაბარდა ქ. ჯ-ს (ორგანიზაციის წარმომადგენელს). იქვე კომენტარის სახით მითითებულია, რომ აღნიშნული პიროვნება არის „საადვოკატო ა-ას თანამშრომელი“.

17. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათ-

ვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. 74-ე მუხლის პირველი ნაწილით კი დადგენილია, რომ თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამო-საძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამარ-თზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელი-მე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზეკუტარზე აღ-ნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებუ-ლება და დაკავებული თანამდებობა.

18. საქმის მასალებით დადგენილია, რომ აპელანტ გ. დ-ის ინტერესებს სააპელაციო სასამართლოში, ისევე როგორც პირვე-ლი ინსტანციის სასამართლოში იცავდა ნ. გ-ე, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებდა 2013 წლის 29 ივნისს გ. დ-ის მიერ მის სახელზე განუსაზღვრელი ვადით გაცემული რწმუნე-ბულების საფუძველზე. დადგენილია ასევე, რომ როგორც შეგე-ბებულ სარჩელში, ასევე სააპელაციო საჩივარში გ. დ-ის ძირი-თად საკონტაქტო მისამართად მითითებულია ქ. თბილისი, ბ-ის ქ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გ. დ-ის წარმომადგენლის, ნ. გ-ის ძირითად საკონტაქტო მისამართად სააპელაციო საჩივარში, ისევე როგორც შეგებებულ სარჩელში ასევე მითითებულია ქ. თბილისი, ბ-ის ქ. ..., ამავე დოკუმენტებით ირკვევა, რომ ნ. გ-ე არის ამხანაგობა საადვოკატო ბიურო „ა-ას“ ადვოკატი.

20. ზემოაღნიშნულთან ერთად, საკასაციო სასამართლო ყუ-რადლებას მიაქცევს საქმის მასალებში არსებულ უწყების ჩა-ბარების დამადასტურებელ გზავნილს, რომლითაც ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში 2015 წლის 10 თებერ-ვალს, 12:00 საათზე დანიშნული სასამართლო სხდომის თაობა-ზე თბილისში, ბ-ის ქ. ...-ში ნ. გ-ის გაგზავნილი შეტყობინება მა-შინაც ჩაიბარა ქ. ჯ-მა. აღნიშნული პირის მიერ სასამართლო უწყების ჩაბარების ნამდვილობა კი სადავოდ არ გაუხდია არც შე-გებებული სარჩელის ავტორს (გ. დ-ს) და არც მის წარმომადგე-ნელს (ნ. გ-ეს), რომელიც 2015 წლის 10 თებერვალს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა.

21. ამრიგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშ-ნული ნორმების შესაბამისად და საქმეში წარმოდგენილი დო-კუმენტების (შეგებებული სარჩელისა და სააპელაციო საჩივ-რის, სასამართლო უწყების ჩაბარების დამადასტურებელი გზავ-ნილის, სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის თაობაზე განჩინების ჩაბარების დამადასტურებელი გზავნილის) საფუძ-ველზე, იქმნება პრეზუმფცია, რომ ქ. ჯ-ი (რომელმაც ჩაიბარა

სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 11 მაისის განჩინება) იყო გზავნილის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი, ვინაიდან ჩაბარების დასტურში მითითებულია, რომ ქ. ჯ-ი არის საადვოკატო ბიურო „ა-ს“ თანამშრომელი და მან მოცემულ საქმეზე ერთხელ უკვე ჩაიბარა სასამართლოს შეტყობინება.

22. თუმცა საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს კერძო საჩივრის ავტორის მიერ კერძო საჩივარზე დართულ წერილობით მტკიცებულებებს, რომლებმაც შესაძლებელია გააქარწყლონ ზემოაღნიშნული პრეზუმფცია. კერძოდ, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ბ-ის ქ. №...“, მთანმინდის გზის“ თავმჯდომარის, ქ. ჯ-ის მიერ 2015 წლის 8 ოქტომბერს გაცემულ ცნობასა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2015 წლის 26 მაისის საერთო კრების ოქმს, რომელთა შესაბამისად ირკვევა, რომ ქ.ჯ-ი წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ბ-ის ქ. №...“, მთანმინდის გზის“ თავმჯდომარეს, ასევე, ამხანაგობ-საადვოკატო ბიურო „ა-ას“ თავმჯდომარის, ც. ა-ის მიერ 2015 წლის 7 ოქტომბერს გაცემულ ცნობას.

23. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინება გ. დ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ და სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნდეს საქმე დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან ხელახლა განსახილველად, რომლის დროსაც სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, აქარწყლებს თუ არა წარმოდგენილი მტკიცებულებები სასამართლო უწყების უფლებამოსილი პირისადმი ჩაბარების პრეზუმფციას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. დ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინება და საქმე გ. დ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს

განჩინება

№ას-1133-1066-2015

15 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. ბ-ე (შემდეგში – „პირველი მოსარჩელე“) და გ. ჯ-ე (შემდეგში „მეორე მოპასუხე“) უძრავი ქონების მესაკუთრეები არიან. მათი საკუთრების უფლება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის 183-ე და 312-ე მუხლები].

2. პირველი მოსარჩელის საკუთრებაშია გარდაბანში, სოფ. კრ-ში, №ნ კორპუსში მდებარე ბინა №..., ხოლო მეორე მოსარჩელის საკუთრებაშია გარდაბანში, სოფ. კრ-ში, №ნ კორპუსში მდებარე ბინა №... . აღნიშნულ ბინას ფლობს ე. მ-ის (შემდეგში: „პირველი მოპასუხე ან აპელანტი“), ხოლო მეორე მოსარჩელის ბინას ფლობს შ. ბ-ს (შემდეგში: „მეორე მოპასუხე“) ოჯახი.

3. მოსარჩელებმა სარჩელი აღძრეს მოპასუხეთა წინააღმდეგ და მოითხოვეს მათი კუთვნილი უძრავი ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა და ბინიდან მოპასუხეთა გამო-სახლება [სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი].

4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რომელიც მოპასუხეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოში.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით პირველი მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მეორე მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მეორე მოსარჩელის

სარჩელი არ დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებულნი გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება აპელანტმა და მეორე მოსარჩელემ გაასაჩივრეს კასაციის წესით.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ივნისის განჩინებით მეორე მოსარჩელის საკასაციო საჩივარი, დაუშვებლობის გამო, განუხილველად იქნა დატოვებული.

8. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ივნისის განჩინებით აპელანტის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება პირველი მოპასუხის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ აპელანტის (პირველი მოპასუხის) სააპელაციო საჩივრის განხილვა დანიშნა 2015 წლის 8 ოქტომბერს, 11-00 საათზე.

10. 2015 წლის 8 ოქტომბრის სასამართლოს სხდომის თაობაზე უწყება გაეგზავნა როგორც აპელანტს, ისე მის პროცესუალურ წარმომადგენელსაც. ამ უკანასკნელს უწყება გაეგზავნა რწმუნებულება და სააპელაციო, საკასაციო საჩივრებში მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. დ-ს ..., ბინა №6-. უწყება არ ჩაჰბარდა წარმომადგენელს მისამართის შეცვლის გამო. აპელანტის სახელზე გაგზავნილი უწყება საქმეში მითითებულ მისამართზე ჩაჰბარდა ოჯახის წევრს.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, პირველი მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, განუხილველად იქნა დატოვებული [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 387-ე მუხლის მესამე და 229-ე მუხლის მეორე ნაწილები].

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ოქტომბრის განჩინება პირველმა მოპასუხემ (აპელანტმა) გაასაჩივრა კერძო საჩივრით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

ა) 2015 წლის 8 ოქტომბრის სასამართლოს სხდომის თაობაზე უწყება არ ჩაჰბარებია მისი ოჯახის წევრს. მ. ტ-ი, რომელ-

საც უწყება ჩაჰპარდა, მისი ოჯახის წევრი არ არის;

ბ) განჩინებას ხელს აწერს მოსამართლე მ. ს-ი, რომლის საქმეში მონაწილეობაც ოქმით არ დასტურდება.

13. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 10 ნოემბრის განჩინებით კერძო საჩივარი დასაშვებად ცნო და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

14. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის მოტივების შემონებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად ასკვნის, რომ კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

14.1. სსსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

14.2. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: „ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას“.

14.3. სსსკ-ის 387-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, თუ აპელანტი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე და მოწინააღმდეგე მხარე არ შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებაზე, გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სსსკ-ის ზემოაღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, სსსკ-ის 229-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, თუ მოწინააღმდეგე მხარე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის (სააპელაციო საჩივრის) განუხილველად დატოვების შესახებ.

16. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება წარმოადგენს მხარის სასამართლოს სხდომაზე არასაკმატო მიზეზით გამოუცხადებლობის პროცესუალურ შედეგს და მისი გამოყენების მართლობიერება პირდაპირ უკავშირდება საკითხს იყო თუ არა მხარე ინფორმირებული სასამართლო სხდომის შესახებ სსსკ-ის 70-78 მუხლებით დადგენილი წესის მიხედვით.

17. სსსკ-ის 70 მუხლის შესაბამისად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის შესახებ და უწყება ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაჰბარდა ერთ-ერთ მათგანს ან სსსკ-ის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

18. საქმის მასალებით, კერძოდ, უკუგზავნილით, დადგენილია რომ უწყება 2015 წლის 4 აგვისტოს გაეგზავნა პირველ მოპასუხეს (აპელანტს) მის მიერ მითითებულ მისამართზე: გარდაბნის რ-ნი, კ., მე-6 კორპუსი, ... ბინა, რომელიც ჩაჰბარდა ოჯახის წევრს, მ. ტ-ს 2015 წლის 6 აგვისტოს.

18.1. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ მ. ტ-ი არ არის მისი ოჯახის წევრი და ამიტომ უწყება ჩაბარებულად არ ჩაითვლება, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს. სსსკ-ის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების შესაბამისად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაჰბარდა ერთ-ერთ მათგანს.

18.2. უტყუარადაა დადგენილი, რომ უწყება კანონით დადგენილი წესით არა მარტო აპელანტს, არამედ მის წარმომადგენელსაც გაეგზავნა. აპელანტის წარმომადგენელს უწყება გაეგზავნა რწმუნებულებასა და სააპელაციო, საკასაციო საჩივრებში მითითებულ მისამართზე ქ. თბილისი, ქ. დ-ს №6-, ბინა №6-, მაგრამ ვერ ჩაჰბარდა მისამართის შეცვლის გამო. აპელანტის წარმომადგენლის მიერ მისამართის შეცვლა დასტურდება განსახილველი კერძო საჩივრითაც, რომელშიც წარმომადგენელს მითითებული აქვს ახალი მისამართი.

18.3. სსსკ-ის 76-ე მუხლის შესაბამისად, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან, აცნობონ სასამართლოს საქმისწარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

18.4. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტის წარმომადგენელს სასამართლოსათვის არ უცნობებია მისამართის შეცვლის შესახებ და, სსსკ-ის 76-ე მუხლის შესაბამისად, მისთვის უწყება ჩაბარებულად ითვლება, ხოლო ამავე კოდექსის 70-ე მუხლის მეორე წინადადების შესაბამისად, უწყება ჩაბარებულად ითვლება აპელანტისთვისაც.

18.5. აქედან გამომდინარე, აპელანტის ზემოაღნიშნული არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მ. ტ-ი, რომელსაც უწყება ჩაჰბარდა, მისი ოჯახის წევრი არაა, სამართლებრივად მნიშვნელოვანი ვერ იქნება იმის დასასაბუთებლად, რომ გასაჩივრებული გან-

ჩინების მიღებისას დარღვეული იყო კანონის მოთხოვნები.

19. უსაფუძვლო აპელანტის მითითება იმასთან დაკავშირებითაც, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ქ-ნი მ. ს-ი 2015 წლის 8 ოქტომბრის სასამართლოს სხდომაში მონაწილეობას არ იღებდა. სხდომის ოქმის აუდიოჩანაწერის მიხედვით, დადგენილია, რომ (11:18:03) სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა სასამართლოს შემადგენლობა: ბ. ტ-ა, თ. ს-ი-ნ-ი, მ. ს-ი და განმარტა აცილების უფლება. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება ხელმოწერილია სწორედ იმ მოსამართლეების მიერ, რომელთაც, მონაწილეობა მიიღეს საქმის განხილვაში.

20. ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ოქტომბრის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. სასამართლო მტკიცებულება

მტკიცებულებათა დასაშვებობა

ბანჩინება

№ას-1119-1066-2013

17 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ს-ემ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე ა. ლ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის 9500 აშშ დოლარის დაკისრება.

სარჩელი ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: 2010 წლის 10 სექტემბერს გ. ბ-სა და ა. ლ-ეს შორის გაფორმდა სანოტარო აქტივალის აღიარებისა და გირავნობის დადგენის შესახებ, რომლის თანახმად, ა. ლ-ემ აღიარა, რომ ჰქონდა გ. ბ-ს ვალი 26 500 აშშ დოლარის ოდენობით, და იკისრა მისი 2010 წლის 1 ოქტომბრამდე დაფარვის ვალდებულება. ამავე აქტით ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად გათვალისწინებულ იქნა გირავნობა ა. ლ-ის კუთვნილ ავტომანქანაზე. 2010 წლის 10 სექტემბრის ვალის აღიარების აქტით გათვალისწინებული ვალდებულება არ შესრულდა, ამიტომ გ. ბ-ს მოთხოვნის საფუძველზე ნოტარიუსმა 2011 წლის 29 მარტს გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმადაც უნდა მომხდარიყო დაგირავებული ავტომანქანის გ. ბ-ს საკუთრებად აღრიცხვა. 2011 წლის 21 ივნისს მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით გ. ბ-მ გ. ს-ეს დაუთმო 2010 წლის 10 სექტემბრის სანოტარო აქტიდან გამომდინარე უფლება. მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე სააღსრულებო ფურცელში 2011 წლის 22 ივნისს შევიდა ცვლილება და კრედიტორად გ. ბ-ს ნაცვლად მიეთითა გ. ს-ე. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ავტომანქანა აღირიცხა გ. ს-ის საკუთრებად. ამ უკანასკნელმა 2011 წლის 27 სექტემბერს ავტომანქანა 17000 აშშ დოლარად მიყიდა მ. მ-ს. გირავნობის საგნის რეალიზაციით სრულად არ მოხდა კრედიტორის დაკმაყოფილება.

ფილება, კერძოდ, მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა მხოლოდ 17 000 აშშ დოლარით, რის გამოც ა. ლ-ეს უნდა დაეკისროს დარჩენილი ვალის – 9 500 აშშ დოლარის გადახდა

ა. ლ-ემ სარჩელი არ ცნო. მოპასუხის განმარტებით, გირავნობის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლა გულისხმობს მის რეალიზაციას. გირავნობის საგნის ფასი კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის დროისთვის შეადგენდა 23500 აშშ დოლარს, ამასთან, კრედიტორს მიღებული აქვს 5000 აშშ დოლარი ვალის ანგარიშში. მოპასუხის მოსაზრებით, გირავნობის საგნის რეალიზაცია მისი საკუთრებაში მიღებიდან 1 წლის შემდეგ წარმოადგენს კრედიტორის არაკეთილსინდისიერ საქციელს და იმის მცდელობას, რომ გირავნობის საგნის საბაზრო ფასად მიჩნეულ იქნეს მისი ღირებულება გაყიდვის და არა კრედიტორის მიერ საკუთრებაში მიღების მომენტში. მოპასუხის მოსაზრებით, გირავნობის საგნის დროულად – 2010 წლის 30 სექტემბერს რეალიზაციის შემთხვევაში კრედიტორის მოთხოვნა სრულად იქნებოდა დაკმაყოფილებული, ვინაიდან ამ დროისთვის გირავნობის საგნის ღირებულება სწორედ 27 000 აშშ დოლარს შეადგენდა.

მოგვიანებით ა. ლ-ემ შეგებებული სარჩელი შეიტანა გ. ს-ის წინააღმდეგ და მოითხოვა:

1. გ. ს-ისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება 4000 აშშ დოლარის ოდენობით;
2. გ. ს-ისათვის უსაფუძვლოდ გადაცემული თანხის – 5000 აშშ დოლარის დაკისრება.

შეგებებული სარჩელის მიხედვით, გ. ს-ემ გააჭიანურა გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღება. მას გირავნობის საგანი საკუთრებაში უნდა მიეღო ან მოეხდინა მისი რეალიზაცია საბაზრო ფასის მიხედვით 2010 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. შეგებებული სარჩელის ავტორის მოსაზრებით, მოთხოვნის დადგომის მომენტში გირავნობის საგანი ღირდა 21000 აშშ დოლარი. იმის გამო, რომ კრედიტორმა გააჭიანურა გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღება მოვალეს მიადგა 4000 აშშ დოლარის ზიანი. გარდა ამისა, კრედიტორი მოიქცა არაკეთილსინდისიერად, ვინაიდან მოვალისაგან მიღებული 5000 აშშ დოლარი არ გამოაკლო ვალის აღიარების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას. შეგებებული სარჩელის ავტორი ამ თანხის მოპასუხისათვის დაკისრებას ითხოვს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ამ თანხას არ ჩათვლის ვალის აღიარების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილის შესრულებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

კოლეგიის 2012 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით:

1. გ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა;
2. ა. ლ-ეს გ. ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა 9500 აშშ დოლარის გადახდა.
3. ა. ლ-ეს უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა გ. ს-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 2 ივლისის საოქმოდ განჩინებით აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის – გ. ს-ის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაბმულ იქნა ს. ს-ე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 სექტემბრის განჩინებით შეწყდა წარმოება სააპელაციო საჩივარზე გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით:

1. სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
 2. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება ა. ლ-ისათვის 9500 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;
 3. გ. ს-ის უფლებამონაცვლე ს. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
 4. ა. ლ-ეს გ. ს-ის უფლებამონაცვლე ს. ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა 5500 აშშ დოლარის გადახდა;
 5. დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.
- სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2010 წლის 10 სექტემბერს გ. ბ-სა და ა. ლ-ეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ვალის აღიარებისა და გირავნობის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულებით ა. ლ-ემ აღიარა გ. ბ-სთვის 26 500 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება. ვალი უნდა დაფარულიყო 2010 წლის 1 ოქტომბრამდე. ა. ლ-ის მიერ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად დაგირავებულ იქნა მის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა სუძუკი გრანდ ვიტარა, გა-

მოშვების წელი: ...-წ, სარეგისტრაციო ნომერი: ..., ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ხელშეკრულების 3.4 პუნქტის თანახმად, გირავნობით უზრუნველყოფილი იქნა მოთხოვნა სრულად, მაგრამ არაუმეტეს 26 500 აშშ დოლარისა. ამასთან, მიეთითა, რომ ეს ნორმა არ ნიშნავს მოთხოვნის იმ ნაწილის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, რაც არ/ვერ იქნება უზრუნველყოფილი წინამდებარე აქტით დადგენილი გირავნობით. ყველა შემთხვევაში მოგირავნეს აქვს უფლება, მოთხოვნის ის ნაწილი, რომელიც არ/ვერ იქნება უზრუნველყოფილი გირავნობით, დაიკმაყოფილოს მოვალის ნებისმიერ ქონებაზე (მატერიალურ და არამატერიალურ ქონებაზე, ფულად სახსრებზე) გადახდევინების მიქცევით. ხელშეკრულების 3.6 პუნქტით, იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა, რომ გირავნობის საგნის რეალიზაციით მიღებული შემოსავლით სრულად ვერ დაკმაყოფილდება მოთხოვნა, მოგირავნე უფლებამოსილია, გირავნობის საგნის რეალიზაციამდე მიმართოს მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიებებს მოვალის სხვა ქონების მიმართ და ამ ქონების რეალიზაციის ხარჯზე დაიკმაყოფილოს ის მოთხოვნა, რომლის სრულად დაკმაყოფილება ვერ მოხდა გირავნობის საგნის რეალიზაციის ხარჯზე. ხელშეკრულების მე-8 მუხლით განისაზღვრა მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობის დადგომისას გირავნობის უფლების განხორციელების წესი. კერძოდ, 8.2 მუხლის შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ დადგა მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადა და დამგირავებელი ნებაყოფლობით არ ასრულებს მოგირავნის მოთხოვნას, მოგირავნე უფლებამოსილია თავისი არჩევანის შესაბამისად ა) გირავნობის საგანი გაყიდოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და გაყიდვით მიღებული თანხით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა მოვალის მიმართ ან ბ) ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე გირავნობის საგანი აღრიცხოს თავის საკუთრებად. ხელშეკრულების 8.5 მუხლით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოგირავნის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის საგნის რეალიზაციით მიღებული (ამონაგები) თანხით სრულად დაიფარება მოგირავნის მოთხოვნა. თუ ეს თანხა არ არის საკმარისი მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მოგირავნეს უფლება აქვს მიმართოს მოთხოვნის დაკმაყოფილების სხვა ზომებს. ხელშეკრულების 8.6 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა, რომ გირავნობის საგნის რეალიზაციით მიღებული შემოსავლით სრულად ვერ დაკმაყოფილდება მოთხოვნა, მოგირავნე უფლებამოსილია, გირავნობის საგნის რეალიზაციამდე მიმართოს მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიებებს მოვალის სხვა ქონების მიმართ

და ამ ქონების რეალიზაციის ხარჯზე დაიკმაყოფილოს ის მოთხოვნა, რომლის სრულად დაკმაყოფილება ვერ მოხდა გირავნობის საგნის რეალიზაციის ხარჯზე. ამდენად, სასამართლოს მითითებით, მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება, რომ თუ მოგირავნის დაკმაყოფილება სრულად ვერ მოხდებოდა გირავნობის საგნით, ვალდებულება არ წყდებოდა და ვალდებულება უნდა დაკმაყოფილებულიყო მოვალის სხვა აქტივებით;

ვალის აღიარებისა და გირავნობის შესახებ 2010 წლის 10 სექტემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით 2011 წლის 29 მარტს ნოტარიუსის მიერ გაცა სააღსრულებო ფურცელი. სააღსრულებო ფურცლის თანახმად, გ. ბ-ს საკუთრებად აღირიცხა ავტომანქანა სუძუკი გრანდ ვიტარა, გამოშვების წელი: ... წ; სარეგისტრაციო ნომერი: ...; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №...;

2011 წლის 21 ივნისს გ. ს-ესა და გ. ბ-ს შორის გაფორმდა მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომლითაც გ. ბ-მ (მოთხოვნის დამთმობა) მოთხოვნა დაუთმო გ. ს-ეს (მოთხოვნის მიმღებს). მოთხოვნას წარმოადგენდა ა. ლ-ისაგან 26 500 აშშ დოლარის მიღების უფლება და მისგან გამომდინარე/მასთან დაკავშირებული სხვა უფლებები იმ მოცულობითა და შინაარსით, რაც დადგენილია სანოტარო აქტით ვალის აღიარებისა და გირავნობის დადგენის შესახებ. ხელშეკრულების მე-4 პუნქტის თანახმად, მოთხოვნა უზრუნველყოფილია მოვალის საკუთრებაში არსებული ავტომანქანით სუძუკი გრანდ ვიტარა, გამოშვების წელი: ...წ; სარეგისტრაციო ნომერი: ...; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №...;

2011 წლის 22 ივნისს განხორციელდა ცვლილება ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში (კრედიტორი – გ. ბ-, მოვალე – ა. ლ-ე) და კრედიტორად გ. ბ-ს ნაცვლად მიეთითა გ. ს-ე. გირავნობის საგანი სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში აღირიცხა გ. ს-ის სახელზე;

2011 წლის 29 სექტემბერს გ. ს-ემ მის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული ავტომანქანა სუძუკი გრანდ ვიტარა, გამოშვების წელი: ..., სარეგისტრაციო ნომერი: ..., ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №..., გაასხვისა 17 000 აშშ დოლარად;

სასამართლომ აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმეში სადავოა, გირავნობის საგნის კრედიტორის საკუთრებაში აღრიცხვით შეწყდა თუ არა ვალდებულება სრულად.

სასამართლოს მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა, რომ რადგან გირავნობის საგნის კრედიტორის საკუთრებაში აღრიცხვის შემდეგ ახალი მესაკუთრის მი-

ერ მისი გაყიდვის დროს სყიდვის ფასი იყო 17 000 აშშ დოლარი, გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნა შეწყდა სწორედ 17 000 აშშ დოლარის ნაწილში და ვალდებულება შესასრულებელია 9500 აშშ დოლარის ოდენობით ($26500 - 17000 = 9500$).

სააკველიციო პალატამ მიიჩნია, რომ შეწყვეტილი ვალდებულების ოდენობის განსაზღვრისათვის უნდა ყოფილიყო დადგენილი გირავნობის საგნის ღირებულება უშუალოდ მოგირავნის საკუთრებაში გადასვლის მომენტში. პალატამ გაიზიარა პირვანდელ სარჩელზე მოპასუხის მსჯელობა მასზე, რომ რეალიზაციის დროს ნივთის საბაზრო ღირებულებად ვერ ჩაითვლება მოგირავნის საკუთრებაში ნივთის გადაცემის შემდეგ მოგირავნის მიერ ნივთის გასხვისების დროს შეთანხმებული ფასი. სასამართლოს შეხედულებით, გირავნობის საგნის საკუთრებაში აღრიცხვის შემდეგ მესაკუთრესა და ახალ შემძენს შორის დისპოზიციური ნების საფუძველზე განსაზღვრული გარიგების ფასი, თავისთავად არ გულისხმობს გამსხვისებლის მესაკუთრედ აღრიცხვის მომენტში ნივთის რეალურ საბაზრო ღირებულებას. სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში 2010 წლის 10 სექტემბრის ხელშეკრულების 8.2 მუხლის შესაბამისად, თავად მოგირავნემ მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალებად აირჩია ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე გირავნობის საგნის თავის საკუთრებად აღრიცხვა. პალატის განმარტებით, სამოქალაქო პროცესი აგებულია რა შეჯიბრებითობის პრინციპზე, მხარეებს უფლებებთან ერთად ეკისრებათ თავისივე ინტერესებისათვის აუცილებელ საპროცესო მოვალეობები, რომელთა შეუსრულებლობა ინვესს ამავე მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს. პალატის მითითებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის და 102-ე მუხლების შესაბამისად, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე კრედიტორის საკუთრებაში გირავნობის საგნის გადაცემისას გირავნობის საგნის ღირებულება სრულად ვერ ფარავდა მოთხოვნის მოცულობას, ან/და ფარავდა მხოლოდ ნაწილობრივ, ეკისრება კრედიტორს, რომელსაც ზემოაღნიშნული გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია. სასამართლომ აღნიშნა, რომ ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს გირავნობის საგნის საბაზრო ღირებულებაზე, არის მოვალის მიერ წარმოდგენილი 2012 წლის 9 თებერვლის აუდიტის დასკვნა, რომლის თანახმადაც, გირავნობის საგნის – 2008 წელს გამოშვებული „სუძუკი გრანდ ვიტარას“ საბაზრო ღირებულება 2010 წლის სექტემბერ-ოქტომბრის მდგომარეობით, მისი ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, სავარაუდოდ

შეადგენდა 21 000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოვალის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება წარმოადგენს ვალდებულების შესრულების დროისათვის გირავნობის საგნის ღირებულების განმსაზღვრელ დოკუმენტს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კრედიტორმა მოთხოვნის უფლების რეალიზაცია განახორციელა თითქმის ერთი წლის შემდეგ, რა დროსაც აღირიცხა გირავნობის საგნის მესაკუთრედ, თუმცა რაიმე მტკიცებულება, რაც მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ავტომობილის საბაზრო ღირებულება ამ პერიოდში შემცირდა და უშუალოდ კრედიტორის საკუთრებაში გირავნობის საგნის გადასვლის მომენტში ავტომობილი უფრო ნაკლები ღირებულების იყო, კრედიტორის მიერ წარმოდგენილი ვერ იქნა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საწინააღმდეგო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის გამო სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გირავნობის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის მომენტში დაგირავებული ავტომანქანის ღირებულება შეადგენდა 21 000 აშშ დოლარს. ვინაიდან ა. ლ-ის მიერ აღიარებული ვალდებულება იყო 26 500 აშშ დოლარი და გირავნობის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის მომენტში დაგირავებული ავტომანქანის ღირებულება შეადგენდა 21 000 აშშ დოლარს, სასამართლომ დაასკვნა, რომ შეუსრულებულია 2010 წლის 10 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილი 5 500 აშშ დოლარის ოდენობით (26 500-21 000=5 500);

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით დადასტურებული არ არის ა. ლ-ის მიერ ვალდებულების შესრულების მიზნით 5 000 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი. სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო პროცესი აგებულია რა შეჯიბრებითობის პრინციპზე, მხარეებს უფლებებთან ერთად აკისრებს თავისივე ინტერესებისათვის აუცილებელ საპროცესო მოვალეობებს, რომელთა შეუსრულებლობა იწვევს ამავე მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს, კერძოდ: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით, მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ განსაზღვრონ ფაქტები თავიანთი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის დასასაბუთებლად და თვითონვე მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები; ამავე კოდექსის 102-ე მუხლით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ე.ი. მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულებების წარ-

დგენით უნდა განახორციელოს; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი ადგენს ვალდებულების შესრულების მიღების წესს. ზემოაღნიშნული მუხლის პირველი ნაწილით კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. სასამართლოს განმარტებით, მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ კრედიტორი ყოველთვის ვალდებულია, გასცეს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამას მოვალე მოითხოვს. სასამართლოს შეხედულებით, კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია ვალდებულებიდან გამომდინარე მხარეთა მდგომარეობით – ნორმაში მითითებული დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის, რადგან მან მხოლოდ ამ დოკუმენტით შეიძლება დაადასტუროს ვალდებულების შესრულება. სასამართლოს მითითებით, კანონი მოვალეს აღჭურავს მთელი რიგი უფლებებით, რათა შესძლოს ვალდებულების შესრულების და კრედიტორის მიერ ამ შესრულების მიღების ფაქტის დადასტურება, ამ უფლების გამოუყენებლობა კი, წარმოადგენს მის რისკს და შეუძლებელს ხდის ზემოთ მითითებული გარემოების დადასტურებას. ამდენად, სასამართლოს მითითებით, თანხის გადახდის დამადასტურებელი გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს, შესაბამისი მტკიცებულება კი, სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის შესაბამისად, შეიძლება იყოს თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც წარმოდგენილი არ ყოფილა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილი გარემოებების შეფასებისას იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 254-ე, 276-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ ა. ლ-ე ვალდებულია, გ. ს-ის მიმართ შეასრულოს 2010 წლის 10 სექტემბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება 5500 აშშ დოლარის ოდენობით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-317-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა გ. ს-ისათვის ა. ლ-ის სასარგებლოდ 5000 აშშ დოლარის დაკისრების საფუძველი, ვინაიდან ა. ლ-ის მიერ გ. ს-ისათვის დასახელებული თანხის გადაცემის ფაქტი საქმის მასალებიდან ვერ დადგინდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-ტა პალატის 2013 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე სა-

კასაციო საჩივარი წარადგინა ა. ლ-ემ.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

სააპელაციო სასამართლო გასცდა აპელანტის მოთხოვნის ფარგლებს და მონინალმდევე მხარეს მიანიჭა ის, რაც მას არ მოუთხოვია პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას, კერძოდ, მოსარჩელეს არ მოუთხოვია გირავნობის საგნის ფასის დადგენა მისი საკუთრებაში მიღების დროისთვის. შესაბამისად, მის მიერ არ ყოფილა წარდგენილი გირავნობის საგნის ღირებულების ამსახველი მტკიცებულება, არამედ ასეთი მტკიცებულება წარადგინა მოპასუხე გ. ს-ემ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში შეგებებული სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოების დასადასტურებლად. აღნიშნულ მოთხოვნაზე აპელანტმა უარი თქვა სააპელაციო სასამართლოში, რის გამოც სასამართლოს არ შეეძლო, მონინალმდევე მხარის სასარგებლოდ გამოეყენებინა აუდიტორული დასკვნა. გარდა ამისა, აუდიტორის დასკვნა პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია დაუშვებელ მტკიცებულებად და აღნიშნულთან დაკავშირებით აპელანტის მიერ პრეტენზია წარდგენილი არ ყოფილა;

ა. ლ-ემ გ. ს-ეს ვალდებულების შესრულების მიზნით გადასცა 5000 აშშ დოლარი. გ. ს-ის განმარტებით, მან ეს თანხა მიიღო ვ. ბ-ისაგან. ვ. ბ-ე პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისას დაკითხულ იქნა მოწმის სახით და მისი ჩვენების შესაბამისად, 2011 წელს გ. ს-ეს გადასცა 5000 აშშ დოლარი ა. ლ-ის სესხის დაფარვის მიზნით. სააპელაციო სასამართლოს ხსენებულ ფაქტებზე არ უმსჯელია და არც მონმეთა ჩვენებები არ შეუფასებია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და თვლის, რომ ა. ლ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2010 წლის 10 სექტემბერს გ. ბ-სა და ა. ლ-ეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ვალის აღიარებისა და გირავნობის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულებით ა. ლ-ემ აღიარა გ. ბ-სთვის 26 500 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება. ვალი უნდა დაფა-

რულიყო 2010 წლის 1 ოქტომბრამდე. ა. ლ-ის მიერ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად დაგირავებულ იქნა მის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა სუძუკი გრანდ ვიტარა;

ვალის აღიარებისა და გირავნობის შესახებ 2010 წლის 10 სექტემბრის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ მოგირავნის დაკმაყოფილება სრულად ვერ მოხდებოდა გირავნობის საგნით, ვალდებულება არ წყდებოდა და ვალდებულება უნდა დაკმაყოფილებულიყო მოვალის სხვა აქტივებით;

ვალის აღიარებისა და გირავნობის შესახებ 2010 წლის 10 სექტემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით 2011 წლის 29 მარტს ნოტარიუსმა გასცა სააღსრულებო ფურცელი. სააღსრულებო ფურცლის თანახმად, გ. ბ-ს საკუთრებად აღირიცხა დაგირავებული ავტომანქანა სუძუკი გრანდ ვიტარა;

2011 წლის 21 ივნისს გ. ს-ესა და გ. ბ-ს შორის გაფორმდა მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომლითაც გ. ბ-მ (მოთხოვნის დამთმობმა) მოთხოვნა დაუთმო გ. ს-ეს (მოთხოვნის მიმღებს). მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ა. ლ-ისაგან 26 500 აშშ დოლარის მიღების უფლება და მისგან გამომდინარე/მასთან დაკავშირებული სხვა უფლებები იმ მოცულობითა და შინაარსით, რაც დადგენილია სანოტარო აქტით ვალის აღიარებისა და გირავნობის დადგენის შესახებ. ხელშეკრულების მე-4 პუნქტის თანახმად, მოთხოვნა უზრუნველყოფილია მოვალის საკუთრებაში არსებული ავტომანქანით სუძუკი გრანდ ვიტარა;

2011 წლის 22 ივნისს განხორციელდა ცვლილება ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში (კრედიტორი – გ. ბ-, მოვალე – ა. ლ-ე) და კრედიტორად, გ. ბ-ს ნაცვლად, მიეთითა გ. ს-ე;

გირავნობის საგანი სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში აღირიცხა გ. ს-ის სახელზე;

2011 წლის 29 სექტემბერს გ. ს-ემ ავტომანქანა სუძუკი გრანდ ვიტარა გაასხვისა 17 000 აშშ დოლარად;

გირავნობის საგნის (ავტომანქანის) კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის მომენტში მისი ღირებულება შეადგენდა 21 000 აშშ დოლარს;

ვალის აღიარებისა და გირავნობის შესახებ 2010 წლის 10 სექტემბრის ხელშეკრულებით აღიარებული ვალიდან (26500 აშშ დოლარი) მოვალეს (ა. ლ-ეს) დასაბრუნებელი აქვს 5500 აშშ დოლარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი

ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადან-
ყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის
407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამ-
ტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდე-
ბულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ
არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დასაბუთებულ პრე-
ტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვე-
ვებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს
მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი
გარემოებების არასწორად შეფასება და მატერიალურ-სამარ-
თლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ ხდის სააპელა-
ციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას
იმის შესახებ, რომ გირავნობის საგნის (ავტომანქანის) კრედი-
ტორის საკუთრებაში გადასვლის მომენტში მისი ღირებულება
შეადგენდა 21 000 აშშ დოლარს. კასატორის მოსაზრებით, სასა-
მართლოს არ ჰქონდა უფლება ხსენებული ფაქტი დაედგინა აუ-
დიტის დასკვნის საფუძველზე. კასატორის განმარტებით, მარ-
თალია, ეს მტკიცებულება სასამართლოს თავად წარუდგინა რო-
გორც შეგებებული სარჩელის ავტორმა, მაგრამ სააპელაციო სა-
სამართლოში საქმის განხილვისას მან უარი განცხადა შეგებე-
ბული სარჩელის იმ მოთხოვნაზე, რომლის დასაბუთებლადაც
იყო წარდგენილი აუდიტის დასკვნა, შესაბამისად, სასამარ-
თლოს ეს მტკიცებულება მის წინააღმდეგ არ უნდა გამოეყენე-
ბინა.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, ყურადღებას მიაქ-
ცევს იმ გარემოებას, რომ ზემოხსენებული სადავო ფაქტის დად-
გენა პირდაპირ უკავშირდება ვალის აღიარებისა და გირავნო-
ბის შესახებ 2010 წლის 10 სექტემბრის ხელშეკრულებიდან გა-
მომდინარე ვალდებულების შესრულების საკითხს.

აღნიშნული ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსის 341-ე
მუხლით გათვალისწინებულ ვალის არსებობის აღიარების ხელ-
შეკრულებას წარმოადგენს, რომელიც კრედიტორს ანიჭებს ამ
ხელშეკრულებით აღიარებული ვალდებულების შესრულების
მოთხოვნის უფლებას. მითითებული ხელშეკრულებით აღიარე-
ბული ვალდებულებაა კრედიტორისათვის 26500 აშშ დოლარის
გადახდა. ამასთან, ამავე ხელშეკრულებით კრედიტორის მოთ-
ხოვნის უზრუნველსაყოფად დაგირავებულია მოვალის ავტო-
მანქანა. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და კა-
სატორი სადავოდ არ ხდის მხარეთა შეთანხმებას იმის შესახებ,
რომ თუ მოგირავნის (კრედიტორის) დაკმაყოფილება სრულად

ვერ მოხდება გირავნობის საგნით, ვალდებულება არ წყდება და იგი უნდა დაკმაყოფილდეს მოვალის სხვა აქტივებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლი და სწორად დაადგინა, რომ განსახილველ შემთხვევაში კრედიტორის (მოგირავნის) საკუთრებაში გირავნობის საგნის – ავტომანქანის გადაცემით მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ვინაიდან ავტომანქანის ღირებულება კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის მომენტში 21000 აშშ დოლარი იყო. ამ ფაქტის მიმართ კასატორის ზემოხსენებული პრეტენზია დასაბუთებულ პრეტენზიად ვერ მიიჩნევა, ვინაიდან სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილ შესაგებელში იგი თავად მიუთითებდა, რომ აღიარებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი იყო დაგირავებული ავტომანქანის საბაზრო ღირებულება კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის და არა მისი რეალიზაციის მომენტში. რა თქმა უნდა, მოსარჩელე ეკისრებოდა იმ გარემოების დამტკიცების ტვირთი, თუ რას შეადგენდა დაგირავებული ნივთის ღირებულება კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის მომენტში, ასევე – იმ გარემოებისა, რომ ეს ღირებულება საკმარისი არ იყო მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მაგრამ საყურადღებოა, რომ კასატორი (მოპასუხე) სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილ შესაგებელში მიუთითებდა, რომ კრედიტორის საკუთრებაში ავტომანქანის გადასვლის მომენტში მისი ღირებულება იყო 23500 აშშ დოლარი, ხოლო მოგვიანებით სასამართლო სხდომაზე თავადვე ამტკიცებდა, რომ ეს ღირებულება შეადგენდა 21000 აშშ დოლარს. ამ გარემოების დასადასტურებლად მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა აუდიტის დასკვნა და იშუამდგომლა მტკიცებულების სახით მისი მიღების თაობაზე. მოპასუხის შუამდგომლობა სასამართლომ დააკმაყოფილა თავისი 20.04.2012 წლის განჩინებით. ამდენად, მოპასუხემ აუდიტის დასკვნა სასამართლოს წარუდგინა სარჩელისაგან თავის დაცვის მიზნით. მართალია, მოპასუხემ ეს დასკვნა შეგებებულ სარჩელსაც დაურთო, მაგრამ ეს არ ცვლის იმ გარემოებას, რომ ამავე დასკვნით იგი სარჩელისაგან იცავდა თავს. აქედან გამომდინარე მოპასუხემ, თავისი განმარტებით, მტკიცების ტვირთი გაუადვილა მოსარჩელეს, ვინაიდან აღიარა ისეთი გარემოება, რომელიც ადასტურებდა სწორედ იმ ფაქტს, რომ კრედიტორის (მოგირავნის) საკუთრებაში გირავნობის საგნის – ავტომანქანის გადაცემით მოთხოვნა დაკმაყოფილდა არა სრულად, არამედ ნაწილობრივ (სსკ-ის 131-ე მუხლი).

კასატორის მეორე პრეტენზია ეფუძნება სააპელაციო სასა-

მართლოს მიერ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, კერძოდ, კასატორი განმარტავს, რომ სასამართლოში მოწმედ დაკითხული პირის (ვ. ბ-ის) ჩვენებით, ამ უკანასკნელმა 2011 წელს ა. ლ-ის (მოვალის) დავალებით გ. ს-ეს (კრედიტორს) გადასცა 5000 აშშ დოლარი იმ ვალდებულების შესრულების მიზნით, რომელიც ალ.ლ-ეს გ.ს-ის მიმართ გააჩნდა. კასატორის განმარტებით, კრედიტორმა აღიარა, რომ ვ. ბ-ისაგან მიიღო 5000 აშშ დოლარი, მაგრამ ვერ ახსნა ამ თანხის მიღების დანიშნულება. მიუხედავად იმისა, რომ მითითებულ გარემოებებზე სააპელაციო საჩივარი შეიცავდა დასაბუთებულ პრეტენზიას, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია მოსარჩელის (კრედიტორის) აღიარებას, ასევე არ გამოიკვლია მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც სადავო გარემოების თაობაზე დაკითხა პირველი ინსტანციის სასამართლომ.

კასატორის ზემოაღნიშნული პრეტენზიის მართებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოპასუხის (მოვალის) წარმომადგენელმა შესაგებელში მიუთითა და სასამართლო სხდომაზეც განმარტა, რომ 2011 წელს მოპასუხე ა. ლ-ემ (მოვალემ) ვ. ბ-ის მეშვეობით გ. ს-ეს (კრედიტორს) გადასცა 5000 აშშ დოლარი 2010 წლის 10 სექტემბრის ხელშეკრულებით აღიარებული ვალდებულების შესრულების მიზნით. როგორც მოსარჩელის წარმომადგენელმა, ასევე თავად მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე დაადასტურა, რომ მან ვ. ბ-ისაგან მიიღო 5000 აშშ დოლარი, მაგრამ ეს თანხა იყო არა ა. ლ-ის ვალის, არამედ თავად ვ. ბ-ის ვალის ნაწილი. საგულისხმოა, რომ იმავე სხდომაზე მოსარჩელემ ვ. ბ-ისაგან თანხის მიღების სხვა მიზეზიც ახსენა – ამხანაგობის ვალების დაფარვა, ხოლო მოგვიანებით, მან განცხადებით მიმართა და სადავო თანხის მიღების კიდევ ერთი ახსნა შესთავაზა სასამართლოს. საყურადღებოა, რომ სამივე შემთხვევაში მოსარჩელე აღიარებს ვ. ბ-ისაგან 5000 აშშ დოლარის მიღების ფაქტს, მაგრამ უარყოფს იმას, რომ ამ თანხით მოხდა ა. ლ-ის ვალის ნაწილის დაფარვა. ამ სადავო გარემოების თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე მონმის სახით დაკითხა თავად ვ. ბ-ე, ასევე სხვა ორი პირი – ს. ზ-ე და დ. კ-ი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლზე და განმარტა, რომ მოპასუხემ (მოვალემ) ვერ დაამტკიცა კრედიტორისათვის 5000 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი, ვინაიდან ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება – კრედიტორის მიერ გაცემული ვალდებულების შესრულების მიღების დოკუმენტი ვერ წარმოადგინა. სააპელაციო

სასამართლო არაფერს ამბობს მონმეთა ჩვენებებზე, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელმაც შეუძლებლად მიიჩნია სადავო გარემოების (მოვალის მიერ კრედიტორისათვის 5000 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტის) დადასტურება მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს. გასაზიარებელია ასევე სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ ვალდებულების შესრულების მიღების ფაქტი შეიძლება დადასტურდეს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლით გათვალისწინებული შესრულების მიღების წერილობითი დოკუმენტით, რომელიც კრედიტორის მიერაა გაცემული. აქედან გამომდინარე, სწორია ასევე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების ფაქტი მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით არ შეიძლება დადგინდეს. ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულების შესრულების მიღების წერილობითი დოკუმენტი აუცილებელი არაა, როდესაც ვალდებულების შესრულება არ ინვესტს დავას, ან ვალდებულების შესრულება ვლინდება ობიექტური გარემოებებიდან ან კრედიტორის კონკლუდენტური მოქმედებებიდან, ან თუ კრედიტორი აღიარებს ისეთი გარემოების არსებობას, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიუთითებს ვალდებულების შესრულებაზე.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ კრედიტორისათვის თანხის გადაცემის ფაქტი სადავო არაა, კერძოდ, კრედიტორი თავად აღიარებს თანხის მიღების ფაქტს იმ პირისაგან, რომელიც მოვალის განმარტებით, მისი დავალებით მოქმედებდა და მის ვალს აბრუნებდა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სადავოა არა 5000 აშშ დოლარის კრედიტორისათვის გადაცემის ფაქტი, არამედ ის, თუ ეს შესრულება რამდენად ითვლება კრედიტორის მიერ მიღებულად, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელის განმარტებით, თანხის გადამცემი ასრულებდა არა მოვალის დავალებას, არამედ საკუთარ ვალს იხდიდა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მტკიცების ტვირთის განაწილების საერთო წესიდან გამომდინარე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი), მოცემულ შემთხვევაში, მოვალემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოება, რომელზედაც იგი ამყარებს თავის შესაგებელს, კერძოდ, მოქმე-

დებდა თუ არა ვ. ბ-ე მოვალის დავალებით ანუ შეასრულა თუ არა მან მოვალის სახელით ვალდებულება კრედიტორის წინაშე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვინაიდან დავალების ხელშეკრულების დასადავებლად კანონი (სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლი) არ ითვალისწინებს სპეციალურ ფორმას ან განსაკუთრებულ წესს, ის შეიძლება დაიდოს, ასევე ზეპირადაც. მითითებული ნორმის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია, შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. ამდენად, ამ გარემოებების დადგენისათვის მოწმის ჩვენება წარმოადგენს დასაშვებ მტკიცებულებას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან კრედიტორი აღიარებს ვ. ბ-ისაგან 5000 აშშ დოლარის მიღების ფაქტს, იმ გარემოების დამტკიცება, მოქმედებდა თუ არა ეს უკანასკნელი მოვალის დავალებით, შესაძლებელია მოწმეთა ჩვენებებით. მითითებული გარემოების დადგენის მიზნით სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები. იმ შემთხვევაში, თუ ამ ჩვენებებით დადგინდება, რომ ვ. ბ-ემ ა. ლ-ის (მოვალის) დავალებით გ. ს-ეს (კრედიტორს) გადასცა 5000 აშშ დოლარი იმ ვალდებულების შესრულების მიზნით, რომელიც ალ.ლ-ეს გ. ს-ის მიმართ გააჩნდა, მაშინ მოვალეს შესრულებულად უნდა ჩაეთვალოს ვალდებულება 5000 აშშ დოლარის ნაწილში, ხოლო სანინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი კრედიტორს უნდა დაეკისროს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იურიდიულად დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება გ. ს-ის უფლებამონაცვლის – ს. ს-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტის თანახმად,

გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაზედაც მითითებულია ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულის ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ა. ლ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა დასაშვებობა

ბანჩინება

№ას-426-403-2014

9 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სწავლის საფასურის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

შპს „კ-ის უნივერსიტეტმა“ (შემდგომში – მოსარჩელე) მოითხოვა თ. გ-ისათვის (შემდგომში – მოპასუხე) სწავლის გადაუხდელი საფასურის – 5 549 ფუნტი სტერლინგის დაკისრება.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მას ჩ-ის უნივერსიტეტის კურსის გადასახადის ჩათვლით ნაღდი ანგარიშსწორების გზით სრულად აქვს გადახდილი თანხა, რასაც ადასტურებს მის სახელზე დიპლომის გაცემის ფაქტი.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5 549 ფუნტი სტერლინგის გადახდა.

5.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2005-2010 წლებში მოპასუხე სწავლობდა შპს „კ-ის უნივერსიტეტის“ ბ-ს სკოლაში, ბ-სის მართვის ფაკულტეტზე, მარკეტინგის სპეციალობით.

5.1.2. 2008 წლის 20 ნოემბერს კ-ის უნივერსიტეტსა და ჩ-ის უნივერსიტეტს შორის დაიდო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

5.1.3. 2009 წლის 1 სექტემბერს შპს „კ-ის უნივერსიტეტსა“ და ჩ-ის უნივერსიტეტს შორის გაცვლით პროგრამასთან დაკავშირებით, დაიდო ხელშეკრულება.

5.1.4. 2010 წლის 18 თებერვალს, შესაბამისი ინვოისის მიღების შემდეგ, შპს „კ-ის უნივერსიტეტმა“ შეასრულა ვალდებულება და გადაიხადა 4 სტუდენტის, მათ შორის, მოპასუხის სწავლის გადასახადი, სულ – 19 234 ფუნტი სტერლინგი.

5.1.5. შპს „კ-ის უნივერსიტეტი“ სარჩელით ითხოვდა ჩ-ის უნივერსიტეტში 2009-2010 სასწავლო წლისათვის მის მიერ გადახდილი თანხის – 5 549 ფუნტი სტერლინგის ანგარიშში მოპასუხისათვის 5 549 ფუნტი სტერლინგის დაკისრებას. შესაბამისად, სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად უნდა დადგენილიყო შეასრულა თუ არა მოპასუხემ სახელშეკრულებო ვალდებულება (ჩ-ის უნივერსიტეტში სწავლის საფასურის სრულად გადახდა). სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებულ მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, და აღნიშნა, რომ საპროცესო ნორმა განსაზღვრავს იმ მტკიცებულებათა ნუსხას, რომლებიც მხარეებს შეუძლიათ, თავიანთი მოთხოვნების დასადასტურებლად გამოიყენონ. ჩამოთვლილ მტკიცებულებათაგან არცერთს არ აქვს უპირატესი იურიდიული მნიშვნელობა. თუმცა, რიგ შემთხვევებში, მტკიცებულების არჩევის აუცილებლობას თვით მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა ითვალისწინებს. სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ნორმით განსაზღვრული იურიდიული შემადგენლობის შედეგად წარმოშობილ ურთიერთობათა დასადასტურებლად ამავე ნორმით გათვალისწინებულია შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის პირობა, რაც უდავოდ გულისხმობს წერილობითი სახის მტკიცებულებას და იგი გაიცემა მოვალეზე. ვალდებულების შესრულების სადავოობის პირობებში კანონით უზრუნველყოფილია მოვალის შესაძლებლობა, ამტკიცოს ვალდებულების შესრულება. აღნიშნული ასევე მეტყველებს იმაზე,

რომ ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთის მატარებელი მხოლოდ მოვალე შეიძლება იყოს. შესაბამისად, ჩ-ის უნივერსიტეტში 2009-2010 სასწავლო წლის სწავლის საფასურის – 5 549 ფუნტი სტერლინგის გადახდა უნდა ემტკიცებინა მოპასუხეს. ამ მსჯელობის საწინააღმდეგოდ კი, პირველი ინსტანციის სასამართლომ მხარეთა შორის არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი.

5.1.6. მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდებოდა, რომ შპს „კ-ის უნივერსიტეტსა“ და ჩ-ის უნივერსიტეტს შორის არსებული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, 2009-2011 წლებში თ. გ-ი ჩართული იყო გაცვლით პროგრამაში და მივიღებოდა იყო დიდ ბრიტანეთში, ჩ-ის უნივერსიტეტში. ჩ-ის უნივერსიტეტში მოპასუხის სწავლის საფასურმა სულ 11 127 ფუნტი სტერლინგი შეადგინა, მათ შორის, 2009-2010 სასწავლო წლის საფასური – 5 549 ფუნტი სტერლინგი, 2010-2011 სასწავლოს წლის კი – 5 578 ფუნტი სტერლინგი. ამ პირობებით ჩ-ის უნივერსიტეტში სწავლებაზე თანახმა იყო მოპასუხე, რომელიც ვალდებული იყო 2009-2010 სასწავლო წლის ჩ-ის უნივერსიტეტში სწავლების საფასური გადაეხადა მოსარჩელისათვის.

5.1.7. სწავლის საფასურის სრულად გადახდის მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოპასუხე (მოვალე) მხარეს, რომელმაც ვერ უზრუნველყო სადავო გარემოების შესაბამისი მტკიცებულებით (წერილობითი მტკიცებულებით – საგადასახდო დავალებით ან/და სალაროს ჩეკით) დადასტურება.

5.1.8. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, გარემოება იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტში ანგარიშსწორება (სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით) ხდებოდა, როგორც უნაღდო, ასევე ნაღდი ანგარიშსწორებით (რის დასადასტურებლადაც მოპასუხე მიუთითებდა მონმის ჩვენებაზე, ასევე უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ შედგენილ წერილობით განმარტებებზე), ასევე არგუმენტი მასზე, რომ უნივერსიტეტს შეეძლო სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტისათვის შეეჩერებინა უფლებამოსილება, რაც თ. გ-ის შემთხვევაში უნივერსიტეტს არ გამოუყენებია და მის სახელზე გაიცა დიპლომი, არ იყო საკმარისი მოპასუხის მტკიცების გასაზიარებლად, რომ სწორედ მის მიერ მოხდა ჩ-ის უნივერსიტეტში სწავლების საფასურის – 5 549 ფუნტი სტერლინგის გადახდა მოსარჩელისათვის (სკ-ის 429-ე მუხლი).

5.1.9. სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 317-ე მუხლების 1-ლი ნაწილების, 361-ე და 629-ე მუხლების თანახმად, რადგანაც მოსარჩელემ უზრუნველყო 2009 წლის 1 სექტემბერს შპს „კ-ის უნივერსიტეტსა“ და ჩ-ის უნივერსიტეტს შორის გაცვლითი

პროგრამის ფარგლებში, თ. გ-ის სწავლება ჩ-ის უნივერსიტეტში და შესაბამისი ინვოისის მიღების შემდეგ, გადაიხადა მოპასუხის ერთის წლის სწავლის გადასახადი, თავის მხრივ, მოპასუხემ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, პალატამ სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

6.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

6.1.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. უნივერსიტეტში დამკვიდრებული წესის მიხედვით, სწავლის საფასურს, მათ შორის უცხოეთის უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამით სწავლებისას, იხდიდნენ ნაღდი ანგარიშსწორების წესით, უნივერსიტეტის ბუღალტერიაში, რა დროსაც მხოლოდ სტუდენტის მხრიდან მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის ბუღალტერია გასცემდა გადახდის დამადასტურებელ საბუთს. უმეტეს შემთხვევაში, სასწავლო დაწესებულებაში არსებული მაღალი ნდობის ხარისხის გათვალისწინებით, სტუდენტები არ ითხოვდნენ და, შესაბამისად, ხელთ არ ჰქონდათ დოკუმენტი, რომელიც მათი მხრიდან სწავლის საფასურის ნაღდი ანგარიშსწორების წესით გადახდის ფაქტს დაადასტურებდა. სწავლის საფასურის ამ წესით გადახდის ფაქტი დაფიქსირებული იყო უნივერსიტეტის ფინანსური სამსახურის მიერ წარმოებულ ელექტრონულ ბაზაში, რომელშიც ასახული იყო ინდივიდუალურად, თითოეული სტუდენტის ყველა პერსონალური მონაცემი, გადახდის ჩათვლით. სტუდენტებს, რომლებსაც ნაღდი ანგარიშსწორების წესით გადახდის დამადასტურებელი საბუთი არ გააჩნდათ, გადახდის ფაქტის დადასტურებისათვის ზემოაღნიშნული განცხადების დაწერა დასჭირდათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის პრეზიდენტმა კ. შ-ამ უნივერსიტეტის ფინანსური სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გაათავისუფლა თ. გ-ის დედა, ნ. ს-ძე. საგულისხმო ფაქტია, რომ მოწინააღმდეგე მხარემ საქმეზე არ წარმოადგინა რაიმე საბუთი, იმის დასადასტურებლად, რომ ამ სტუდენტთაგან, რომელიმემ, თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთის არქონის შესახებ უნივერსიტეტის პრეზიდენტისადმი განცხადებით მიმართვის შემდეგ გადაიხადა შესაბამისი თანხა, ანდა თანხის გადახდევინების მოთხოვნით უნივერსიტეტმა იღავა რომელი-

მე ამ სტუდენტის წინააღმდეგ სასამართლოში.

6.1.2. გარდა აღნიშნულისა, კასატორმა მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ დიპლომი არ გაიცემოდა კურსდამთავრებულზე, თუკი მას რაიმე დავალიანება ერიცხებოდა უნივერსიტეტის მიმართ. უნივერსიტეტმა აღნიშნული დავა დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც დედამისი – უნივერსიტეტის ფინანსური სამსახურის უფროსი, რომელიც მთავარი მოწმე იქნებოდა ამ პროცესზე და, შესაბამისი მტკიცებულებითაც იქნებოდა აღჭურვილი, გარდაიცვალა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თ. გ-ი ერთადერთი კურსდამთავრებულია, რომელსაც უნივერსიტეტის პრეზიდენტი თანხის გადაუხდელობას ედავება, რაც მისი პირადი ინტერესებითაა განპირობებული, ვინაიდან მოპასუხემ, რომელსაც გააჩნია შესაბამისი მტკიცებულებები, საგამოძიებო ორგანოებს მიმართა დედის თვითმკვლელობის ფაქტზე გამოძიების განახლების მოთხოვნით.

6.1.3. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ კასატორი კეთილსინდისიერია იმ ფაქტის მიმართ, რომ გადახდის მომენტში არ მოითხოვა და არ მიიღო სადავო თანხის გადახდის დამდასტურებელი საბუთი, ხოლო მოსარჩელე მხარე არაკეთილსინდისიერად იყენებს ამ ფაქტს. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა კანონზე დამყარებული მტკიცების ტვირთის იმ სტანდარტის გამოყენება, რომელიც მოვალეს აკისრებს შესაბამის საბუთზე მითითებით ამტკიცოს თანხის გადახდის ფაქტი. სასამართლომ დაავალა მოსარჩელეს კასატორის თაობაზე მასთან არსებული სრული ინფორმაციის წარდგენა, რაც არ განხორციელებულა, ეს გარემოება კი, კასატორს ათავისუფლებს მტკიცების ტვირთისაგან, ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ შესაგებელზე დართული მტკიცებულებებით, ასევე მოწმეთა ჩვენებების შესწავლით მტკიცდება მოპასუხის მიერ სადავო თანხის გადახდის ფაქტი, რაც, პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებით, არასწორად არ გაიზიარა სააპელაციო პალატამ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. განსახილველი დავის საგანი ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საზღაურის დაკისრებაა, ამ თვალსაზრი-

სით კი, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1.1.1. 2005-2010 წლებში მოპასუხე სწავლობდა მოსარჩელე უნივერსიტეტის ბ-ს სკოლაში, ბ-სის მართვის ფაკულტეტზე, მარკეტინგის სპეციალობით.

1.1.2. 2008 წლის 20 ნოემბერს მოსარჩელესა და ჩ-ის უნივერსიტეტს შორის დაიდო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

1.1.3. 2009 წლის 1 სექტემბერს, გაცვლით პროგრამასთან დაკავშირებით, მოსარჩელესა და ჩ-ის უნივერსიტეტს შორის დაიდო ხელშეკრულება.

1.1.4. 2010 წლის 18 თებერვალს, შესაბამისი ინვოისის მიღების შემდეგ, მოსარჩელე უნივერსიტეტმა შეასრულა ვალდებულება და გადაიხადა 4 სტუდენტის, მათ შორის მოპასუხის ჩ-ის უნივერსიტეტში სწავლის საფასური, სულ – 19 234 ფუნტი სტერლინგი.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.3. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მის მიერ საზღვარგარეთ სწავლების საფასურის – 5 549 ფუნტი სტერლინგის გადაუხდელობის თაობაზე და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლო, დავის თავისებურების გათვალისწინებით, არასწორად დაეყრდნო მსგავსი ურთიერთობისას დადგენილ მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ზოგად სტანდარტს.

1.4. საკასაციო პრეტენზიის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, პალატა ყურადღებას გაამახვილებს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რამდენიმე საკითხზე: სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია ნარდობის (მომსახურების) ხელშეკრულების მარეგულირებელი ზოგადი წესი და დადგენილია მხარეთა უფლება-მოვალეობები, კერძოდ, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუ-

შაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. მოცემულ შემთხვევაში, მენარდის მიერ სამუშაოს შესრულება (მომსახურების გაწევა) სადავო არაა, ასევე, საქმეში წარმოდგენილი ინვოისის თანახმად, დადასტურებულია სწავლის საფასურის მენარდის მიერ გადარიცხვის ფაქტი. გარდა ამისა, დადგენილია, რომ კანონისაგან განსხვავებულ რეგულაციაზე – მომსახურების უსასყიდლოდ გაწევაზე მხარეები არ შეთანხმებულან, თუმცა, მოპასუხემ (შემკვეთმა) ვერ შეძლო მის მიერ თანხის გადახდის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულების სასამართლოში წარდგენა.

1.5. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს გასაჩივრებული გადანყვეტილების შეფასებებსა და დასკვნებს ვალდებულების შესრულების სადავობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ზოგად წესზე, რომელიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნებთან ერთად, ემყარება მატერიალური სამართლის ნორმით განსაზღვრულ სპეციალურ წესს, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლით დადგენილ რეგულაციას, რომელიც მოვალის უფლებადამცავი ნორმაა და ადგენს კრედიტორის მხრიდან სავალ დოკუმენტის გაცემას ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ შესრულების თაობაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილებით სააპელაციო პალატამ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები, რომელთა შეფასებას, შესაძლოა, დავის სწორად გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონოდა. ამ თვალსაზრისით კი, კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (სსსკ-ის 393.3 მუხლი).

1.6. საქმეში წარმოდგენილი შესაგებლის თანახმად, მოპასუხემ განმარტა, რომ ფულადი ვალდებულება მოსარჩელის წინაშე შეასრულა ჯეროვნად, უნივერსიტეტის ბუღალტერიაში ნაღდი ანგარიშსწორების გზით გადაიხადა თანხა და სწორედ ეს თანხა გადარიცხა მოსარჩელემ ჩ-ის უნივერსიტეტში. ვალდებულების შესრულების დასტურად მოპასუხემ მიუთითა მასზე დიპლომის გაცემის ფაქტზე, ასევე განმარტა, რომ ანგარიშსწორების ამგვარი ფორმა ფაქტობრივად იყო დაშვებული უნივერსიტეტში და თანხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება მხოლოდ სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში გაცივმოდა. რაც შეეხებოდათ იმ პირებს, რომლებსაც ხელთ არ ჰქონდათ შესაბამისი ქვითარი, ისინი უნივერსიტეტის პრეზიდენტის სახელზე წერდნენ განცხადებას და უფლებამოსილი პირის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ხდებოდა სტუდენტ-

ტის ვალდებულების დაკრედიტება. რაიმე ურთიერთობა, რის გამოც მოსარჩელე სტუდენტის საზღვარგარეთ სწავლებას საკუთარი და არა სტუდენტის ხარჯით დააფინანსებდა, არ არსებობდა.

1.7. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა და არც გასაჩივრებული გადაწყვეტილებითაა უარყოფილი ის გარემოება, რომ უნივერსიტეტში დამკვიდრებული წესის მიხედვით (მიუხედავად უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ჩარჩო, თუ სემესტრული ხელშეკრულებებით განსაზღვრული სწავლების საფასურის მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ანაზღაურების შესაძლებლობისა), სტუდენტები სურვილის მიხედვით, შესაბამის თანხებს ნაღდი ანგარიშსწორების წესით უნივერსიტეტის ბუღალტერიაში იხდიდნენ და მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის ბუღალტერია გასცემდა გადახდის დამადასტურებელ სალაროს შემოსავლის ორდერებს. ამიტომ, რიგ შემთხვევაში, სტუდენტებს ხელთ ჰქონდათ ეს დოკუმენტები, რიგ შემთხვევაში – არა. საქალაქო სასამართლოს ეს დასკვნა ემყარება მოპასუხის მიერ წარდგენილ ამავე უნივერსიტეტის სტუდენტების: გ. რ-ის, თ. ც-ის, ხ. ჯ-ის, ნ. თ-ას, კ. ზ-ას, თ. კ-იას, ტ. ს-ას, ი. კ-ის განცხადებებს (რომლებითაც ირკვევა, რომ სტუდენტები სწავლის საფასურის გადახდას აწარმოებდნენ უნივერსიტეტის ბუღალტერიაში ნაღდი ანგარიშსწორებითაც და ზოგიერთ შემთხვევაში მათ ხელზე არ ჰქონდათ სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი სალაროს შემოსავლის ორდერი).

1.8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 7 ივნისის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა და საქმეს დაერთო მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის სტუდენტის სტატუსის შესახებ 2009 წლის 19 ოქტომბრის დებულების არასრული ამონარიდი (8 და 8.1 მუხლები). უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2009 წლის 19 ოქტომბრის №... ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა სტუდენტის სტატუსის დებულება და უნივერსიტეტის 2010 წლის 22 თებერვლის №... ბრძანება, რომლის 4.1 პუნქტში სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველად მითითებულია ფინანსური დავალიანება, ხოლო მე-10 პუნქტის თანახმად, დებულების 7.2.10. პუნქტში შევიდა ცვლილება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „გაუუქმოს სტუდენტს რეგისტრაცია და შესაბამისად შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი, თუ ის არ გადაიხდის სწავლების საფასურს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად“. საგულისხმოა, რომ დებულებას დაემატა 8.8-8.10. პუნქტები და 8.8. პუნქტით გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის

უფლებების ერთ-ერთ წინაპირობად მიეთითა სტუდენტის ფინანსური დავალიანების არარსებობა, ხოლო 8.10. პუნქტის თანახმად, „უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივ პროგრამაზე მონაწილეობისათვის ფინანსური მხარე უნდა უზრუნველყოს სტუდენტმა“. საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ №... ბრძანება სადავო ურთიერთობის წარმოშობის შემდგომ ამოქმედებული აქტია, თუმცა, მოსარჩელის განმარტებით, დებულება საკმაოდ მოცულობითია და ამიტომ არ წარადგინა სრულყოფილი სახით, წარდგენილი ნაწილი კი, შეესაბამება იმ დროს მოქმედ დებულებას (იხ. საქალაქო სასამართლოს 07.06.2013წ. სხდომის ოქმი, 15:14:10 სთ.). საქმის შესწავლით დგინდება, რომ მოსარჩელეს სტუდენტის სტატუსის შესახებ დებულების 2010 წლამდე მოქმედი რედაქცია სასამართლოსათვის არც მოგვიანებით წარუდგენია.

1.9. მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოსარჩელეს მოპასუხისათვის, ფინანსური დავალიანების გამო, სტუდენტის სტატუსი არ შეჩერებია/შეუწყვეტია და მასზე გაცემულია შესაბამისი დიპლომი. მოწმედ დაკითხული ნ. გ-ის ჩვენებით (რომელიც მოპასუხის მომდევნო კურსზე სწავლობდა), მას სწავლის საფასურის ნაწილი გადახდილი აქვს უნაღდო (ბანკის მეშვეობით), ხოლო ნაწილი – ნაღდი ანგარიშსწორების წესით, რომლის დამადასტურებელი მტკიცებულება არ მოუთხოვია უნივერსიტეტიდან, მონმე ასევე სწავლობდა ჩ-ის უნივერსიტეტში ერთწლიანი საბაკალავრო პროგრამით, თუმცა სწავლის საფასური შეიტანა უნივერსიტეტის ბუღალტერიაში და რაიმე დოკუმენტი, რაც ნაღდ ანგარიშსწორებას დაადასტურებდა, უნივერსიტეტს არ მიუცია. მოწმემ აჩვენა, რომ თანხის დაფარვამდე დიპლომი არ გაიცემოდა, მასაც შეექმნა გარკვეული პრობლემა დიპლომის აღებისას, თუმცა მოლაპარაკების გზით გადაწყდა დავა. მანვე მიუთითა სხვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებზე, როგორცაა მასთან ერთად საზღვარგარეთ გამგზავნილი სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გამგზავრებამდე გადახდის ფაქტი და აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ სწავლის გადასახადის 6 თვით ადრე გადახდის შემთხვევაში ეს უნივერსიტეტის ბუღალტერიაში ნაღდი ანგარიშსწორებით ხორციელდებოდა და სტუდენტი სარგებლობდა გარკვეული ფინანსური შეღავათით, თუმცა დასაშვები იყო ასევე გამგზავრების წინ თანხის ანაზღაურება, მოწმის განმარტებით, იგი არაერთხელ შეესწრო ფაქტს, როდესაც კურატორი ლექციებზე არ ასწრებდა სტუდენტს, რომელსაც სრულყოფილად არ ჰქონდა გადახდილი სწავლის საფასური (იხ. საქალაქო სასამართლოს

07.06.2013წ. სხდომის ოქმი 15:46:13-16:03:12სთ.). ამავე სხდო-
მაზე მოწმედ დაიკითხა ვ. ე-ი, რომელიც მოპასუხის თანაკურ-
სელი იყო და მასთან ერთად გაემგზავრა ჩ-ის უნივერსიტეტში.
მოწმის ჩვენებით, მას ასევე ნაღდი ანგარიშსწორების გზით აქვს
გადახდილი ჩ-ის უნივერსიტეტში სწავლის საფასური და არ გა-
აჩნია თანხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება,
თუმცა დღემდე არ აუღია საქართველოში მიღებული განათლე-
ბის დამადასტურებელი დოკუმენტი, რადგანაც მოსარჩელე
საზღვარგარეთ სწავლის საფასურის გადაუხდელობაზე ედავე-
ბა (იხ. საქალაქო სასამართლოს 07.06.2013წ. სხდომის ოქმი
16:06:15-16:09:58სთ.). სასამართლო ასევე მნიშვნელოვნად მი-
იჩნევს მოსარჩელე უნივერსიტეტის ყოფილი ფინანსისტის ბ. ა-
ის მიერ მიცემულ ჩვენებას (ბ. ა-ი უნივერსიტეტში სადავო პე-
რიოდში მუშაობდა). მოწმემ, მართალია, უარყო უნივერსიტეტ-
ში ნაღდი ანგარიშსწორების წესით საფასურის გადახდის შე-
საძლებლობა, რადგან მათ სალაროს აპარატი არ ჰქონდათ, თუმ-
ცა, განმარტა, რომ მსგავსი ფაქტი მისი თანდასწრებით არ მომ-
ხდარა, საზღვარგარეთ გამგზავრების ხარჯებს უნივერსიტეტს
უხდოდა სტუდენტი, ხოლო, სასამართლოს შეკითხვაზე მან უპა-
სუხა, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლების შვილების მიმართ
შედავათი არ ვრცელდებოდა, რადგანაც დაწესებულებას ჰქონ-
და კონკრეტული ბიუჯეტი, ხოლო თანხის გადახდის გადავა-
დების თაობაზე მოწმემ აღნიშნა, რომ ეს შეიძლებოდა ბიუჯე-
ტით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში ერთეულ შემთხვე-
ვებზე გავრცელებულიყო, მხოლოდ გარკვეული ხნით (იხ. საქა-
ლაქო სასამართლოს 21.06.2013 წ. სხდომის ოქმი, 16:16:15;
16:16:53 სთ). ამავე მოწმემ ისაუბრა დიპლომის გაცემის წესზე
და აღნიშნა, რომ შესაბამის ბარათზე ხელის მოწერით დასტურ-
დებოდა სტუდენტის დავალიანების არარსებობა და მხოლოდ
ამის შემდეგ გაიცემოდა დიპლომი (იხ. იგივე სხდომის ოქმი
16:30:09სთ.). მან ასევე ისაუბრა უნივერსიტეტში არსებულ გარ-
კვეულ ბაზებზე, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდებოდა ბი-
უჯეტთან ანგარიშსწორება, თუმცა არსებობდა ასევე სტუდენ-
ტთა სხვა ბაზა, რომელიც სრულ მონაცემებს მოიცავდა და მის-
თვის ხელმიუწვდომელი იყო. ამჟამინდელი ფინანსისტის, მ. გ-
ის განმარტებით, ბაზაში არის ინფორმაცია გადახდებზე და ეს
ინფორმაცია ამჟამად არქივშია (იხ. საქალაქო სასამართლოს
21.06.2013წ. სხდომის ოქმი, 17:05:22), თუმცა არქივში არსებუ-
ლი დოკუმენტი რომლითაც მოპასუხის დავალიანების არსებობა
დადასტურდებოდა, საქმეში არ არის წარმოდგენილი, ამ თვალ-
საზრისით მოსარჩელემ მიუთითა მხოლოდ სარჩელზე დართულ
დავალიანების შესახებ ცნობაზე.

1.10. საკასაციო პალატა სრულად ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ თანხის გადახდის ფაქტი მხოლოდ მოწმის ჩვენებით ან მხარის განმარტებით არ შეიძლება დადასტურდეს (სსსკ-ის 102.3 მუხლი), თუმცა უდავოდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და მათი შეფასება ხდება შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

1.11. პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს ქვემდგომი სასამართლოს დასკვნას, რომლის თანახმაც, მოპასუხის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულება არ შეიძლებოდა დადასტურებულიყო უნივერსიტეტში სწავლის საფასურის ნაღდი ანგარიშსწორების წესით გადახდის ფაქტზე მითითებით, ასევე მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებლობითა და მის სახელზე დიპლომის გაცემით. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით უარყოფილი, ზემოხსენებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასების გზით უნდა გაირკვეს სახეზე ხომ არ გვაქვს პრეზუმირებული ფაქტები, კერძოდ, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, იმ პირობებში, როდესაც სტუდენტის საზღვარგარეთ სწავლების დაფინანსების ვალდებულება უნივერსიტეტს არ ეკისრებოდა, უნივერსიტეტში დაშვებული იყო, როგორც უნაღდო ისე ნაღდი ანგარიშსწორების წესით გადახდა, სწავლის განმავლობაში მოსარჩელეს არ წარუდგენია მოთხოვნა მოპასუხის მხრიდან ვალდებულების დარღვევის (სწავლის საფასურის გადაუხდელობა ან დაგვიანებით გადახდა) თაობაზე და მის მიმართ არ დგინდება რაიმე ადმინისტრაციული ზომების გამოყენება (სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შენეგა), დავალიანების მქონე სტუდენტები სასწავლო პროცესში არ დაიშვებოდნენ და მათზე არ გაიცემოდა დიპლომი, ხომ არ არსებობს იმ ვარაუდის დაშვების საფუძველი, რომ ჩ-ის უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი ინვოისის შესაბამისად მოსარჩელის მიერ განხორციელებული ტრანზაქციის თანხა სწორედ მოპასუხის მიერ უნივერსიტეტში ნაღდი ანგარიშსწორების გზით შეტანილი თანხა იყო. საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ პრეზუმირებული ფაქტი ისეთი ფაქტია, რომელიც არ შედის მტკიცების საგანში, ხოლო პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი იმ მხარეს ეკისრება, რომლის სანინააღმდეგოდაც მოქმედებს იგი (ვისთვისაც არახელსაყრელი შედეგის მომტანია).

1.12. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. მოცემული ნორმის ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვროს უფლების საკითხი.

2. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

ბანჩინება

№ას-491-465-2014

22 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანამესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. შ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. შ-ის მიმართ, ქ.ბა-
თუმში,ქ. №20-ში მდებარე მ. შ-ის სახელზე რეგისტრირებუ-
ლი 1242 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 228,40 კვ.მ შენობა-ნაგე-
ბობის თანამესაკუთრედ ცნობის, ასევე, საერთო ფართში შე-
სული 800 კვ.მ მიწის ნაკვეთის 3/4-ის – 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი-
სა და 185,42 კვ.მ შენობა-ნაგებობის 3/4-ის – 138,75 კვ. მეტრის
მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უა-
რის თქმა მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 28 ოქტომბრის
გადაწყვეტილებით მ.შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც საა-
პელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2014 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით მ. შ-ის საა-
პელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალა-
ქო სასამართლოს 2013 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება
და მ. შ-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე შემდეგი
საფუძვლებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ს. შ-ს ეკუთვნოდა ხელ-
ვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავი ქონება საკადას-
ტრო კოდით №....;

ამუშავად, ამ ქონების კოდია №....., ხოლო მისამართი – ქ.ბა-
თუმი,;

ს. შ-ე გარდაიცვალა 2006 წლის 19 აპრილს და მისი სამკვიდ-
როს 3/4 მიიღო მ. შ-მ;

2008 წლის 14 მაისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკ-
რებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ სოფელ

ა-ში მდებარე 1240,66 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 198,4 კვ.მ სახლი საკუთრებაში გადასცა მ. შ-ს. ეს ქონება სრულად მოიცავდა ს. შ-ის კუთვნილ სადავო ქონებას;

ამის შემდეგ, სადავო ქონება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მ. შ-ის საკუთრებად და იგი ამჟამადაც ასეა რეგისტრირებული;

მოგვიანებით, მ. შ-მ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სამართლოში და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 14 მაისის ადმინისტრაციული აქტის არარად აღიარება და საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილებების შეტანა მოითხოვა;

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ეს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში;

მ. შ-მ კვლავ აღძრა სარჩელი და ამჯერად მოითხოვა ზემოხსენებული აქტის ბათილად ცნობა, თუმცა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 16 იანვრის განჩინებით ამ სარჩელზე საქმის წარმოება შეწყდა და ეს განჩინებაც კანონიერ ძალაში შევიდა.

პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაზე (№ას-340-325-2012, 2013 წლის 10 დეკემბერი), სადაც საკასაციო პალატამ განმარტა შემდეგი: „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მიხედვით, რეესტრის ბოლო ჩანაწერი ძალას უკარგავს ადრინდელ ჩანაწერს. მოცემულ შემთხვევაში... მოპასუხის სახელზე საჯარო რეესტრში განხორციელებულმა ჩანაწერმა ძალა დაუკარგა სადავო ქონებაზე მოსარჩელის ადრინდელ ჩანაწერს, შესაბამისად, ეს უკანასკნელი აღარ ითვლება ამ ქონების მესაკუთრედ. თავად მოსარჩელეც ვერ უარყოფს იმ გარემოებას, რომ იგი აღარ არის სადავო ქონების მესაკუთრე, ამიტომაც მოითხოვს სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობას და ამ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმებას. ამდენად, მოსარჩელის იურიდიული ინტერესია იმ სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენა, რომელიც, მისი მოსაზრებით, არსებობდა სადავო უძრავი ქონების მოპასუხის საკუთრებაში რეგისტრაციამდე... თუ უძრავი ნივთის საკუთრების შესახებ საჯარო რეესტრში არსებული რეგისტრაცია ძალადაკარგულია ახალი რეგისტრაციით, მაშინ ამ უკანასკნელი რეგისტრაციის გაუქმება (ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად გამოცხადება) და რეგისტრაციამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ წამოყენებულია მოთხოვნა რეგისტრაციის საფუძვლად არსებული სარეგისტრაციო (უფლების დამა-

დასტურებელი) დოკუმენტის (სასამართლო გადაწყვეტილების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების და სხვა) გაუქმების თაობაზე. ეს დასკვნა გამომდინარეობს, როგორც სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, ასევე „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის შინაარსიდან“. რადგან ამგვარი მოთხოვნა მოსარჩელეს დაყენებული არ ჰქონია, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მისი სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

საკასაციო პალატის განმარტების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო უძრავ ქონებაზე მ. შ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციამ ძალა დაუკარგა ამ ქონებაზე არსებულ წინა სარეგისტრაციო ჩანაწერებს და უკანასკნელი რეგისტრაციის გაუქმება (ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად გამოცხადება) და რეგისტრაციამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენა დასაშვები იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მ. შ-ე აღძრავდა სარჩელს რეგისტრაციის საფუძველზე არსებული სარეგისტრაციო (უფლების დამადასტურებელი) დოკუმენტის – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 14 მაისის ადმინისტრაციული აქტის გაუქმების (არარად აღიარების, ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადების) შესახებ. ამგვარი სარჩელები მ. შ-მ აღძრა, თუმცა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტებით მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, 266-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 14 მაისის აქტი იყო ნამდვილი, ამ ფაქტს მ. შ-ე სადავოდ ვერ გახდის. ასევე ნამდვილად იქნა მიჩნეული ამ აქტის საფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელებული რეგისტრაცია. საჯარო რეესტრში მ. შ-ის სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის ნამდვილობა დადგენილი იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მ. შ-ის სარჩელი, სწორედ ამ ჩანაწერში ცვლილებების განხორციელების თაობაზე. ამის გამო, პალატამ მიიჩნია, რომ მ. შ-ის სარჩელი უსაფუძვლო იყო და საქალაქო სასამართლომ შეცდომით დააკმაყოფილა იგი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. შ-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შემდეგი

საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ დავა განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და 266-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რადგანაც საქმეში წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებები მიღებული იყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით, სადაც მხარე საკუთრების უფლების აღიარების კომისია იყო, ხოლო დავის საგანი მოპასუხის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ადმინისტრაციული აქტები, წინამდებარე საქმე კი სამოქალაქო სამართლის წესით განსახილველი დავაა. ამასთანავე, ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებაში გარკვევითაა მითითებული, რომ კომისიის მიერ კერძო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე მ. შ-ის საკუთრების უფლების აღიარება კომისიის გადაწყვეტილების კანონშესაბამისობის შემოწმების საკითხს წარმოადგენს. აღნიშნული ადასტურებს იმას, რომ სასამართლომ იმსჯელა კომისიის უფლებამოსილებაზე და არა მ. შ-ის საკუთრების უფლებაზე. რაც შეეხება მეორე ადმინისტრაციულ საქმეს, ამ სარჩელზე საქმის წარმოება აქტის გასაჩივრების ვადის დარღვევის გამო შეწყდა. ამდენად, მითითებულმა გადაწყვეტილებებმა არ შეიძლება გავლენა იქონიონ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებულ საკუთრების უფლებაზე.

საგულისხმოა, რომ მოპასუხეს არც სააპელაციო საჩივრით და არც სასამართლო სხდომაზე არ გაუხდია სადავოდ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო, რაც შეეხება აპელანტის მსჯელობას, რომ სადავო ქონება არ შედიოდა სამკვიდრო მასაში, ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება მოპასუხეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია. სააპელაციო პალატამ, გადაწყვეტილების დასაბუთებისას მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელიც, მისი შინაარსიდან გამომდინარე, განსახილველ საქმესთან კავშირში არაა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ დაარღვია მოსარჩელის საკუთრებისა და მემკვიდრეობის კონსტიტუციით აღიარებული უფლება და მოსარჩელე დადგა საკუთარი ქონებიდან გამოსახლების საკითხის წინაშე. ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილია საქმის მასალებში.

დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა მ. შ-ის სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე, ვინაიდან მოსარჩელის მიერ მემკვიდრეობით მიღებული ქონება მოპასუხის

სახელზე რეგისტრირებულ ქონებაში შედის. ეს ფაქტი სადავოს არ წარმოადგენს, რეესტრის ჩანაწერში ცვლილების შეტანა კი, კანონით განსაზღვრული ქმედებაა, რომელიც სასამართლო წესით დადგენილი ქონებრივი უფლების შესაბამისად ხორციელდება.

მ. შ-ს საკუთრების უფლება ქონებაზე მოპოვებული აქვს როგორც რეგისტრირებული ქონებით, ისე კომლის წევრობით და მისი საკუთრების უფლება წარმოიშვა მანამ, ვიდრე მ. შ-ე აღირიცხებოდა ქონების მესაკუთრედ. გასაჩივრებული გადანაცვეტილების დასაბუთება კი, არაკონსტიტუციურია რადგანაც, ამ გადანაცვეტილების თანახმად, მოსარჩელეს ისე ჩამოერთვა ქონებრივი უფლება კომლის წევრობიდან, ასევე სამკვიდრო მონაწილეობიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს ამის თაობაზე მიღებული სასამართლო გადანაცვეტილება ან სხვა რაიმე მტკიცებულება.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, მე-5, 102-ე, 103-ე და 105-ე მუხლებით გარანტირებული პროცესის ფუნდამენტური პრინციპები, იმჯერა გარემოებებზე, რომლებიც სააპელაციო საჩივრით სადავოს არ წარმოადგენდა, ამასთანავე, მოსარჩელის მიმართ დაირღვა თანასწორობის უფლება, რაც გადანაცვეტილების გაუქმების საფუძველია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადანაცვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. შ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებულია ყველა პირის უფლება, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. აღნიშნული ნორმა სამართლიანი სასამართლოს უფლების მარეგულირებელი ცენტრალური ნორმაა, რომელშიც მოცემულია მნიშვნელოვანი სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი გარანტიები. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტი სრულად იზიარებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დათქმას, რომელიც ასევე ეძღვნება უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისათვის წარმოშობილი დავა უნდა აკმაყოფილებდეს

შემდეგ კრიტერიუმებს: ა) დავა უნდა იყოს ორ სუბიექტს შორის; ბ) დავის საგანი უნდა იყოს უფლება ან მოვალეობა; გ) დავას უნდა ჰქონდეს სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრის ხასიათი. ამდენად დავას უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მომჩივნის დარღვეულ უფლებასთან.

სასამართლოსადმი მიმართვისას ამა თუ იმ პირს ამოძრავებს დარღვეული უფლების აღდგენის ან უფლების აღიარების სურვილი, თუმცა, მხოლოდ სურვილი არ არის საკმარისი, რათა სასამართლომ უზრუნველყოს საპროცესო მოქმედებების განხორციელება. გარკვეული საპროცესო მოვალეობები მომჩივანსაც ეკისრება, კერძოდ, მან ისე უნდა წარმოუჩინოს საკუთარი პოზიცია სასამართლოს, რომ მოცემულ დავაში იკვეთებოდეს მისი ნამდვილი იურიდიული ინტერესი, მოიპოვოს ან აღიდგინოს უფლება, ანუ მიიღოს ის შედეგი, რომლის მიღწევაც სინამდვილეში სურს. მომჩივნისათვის მისაღები იურიდიული შედეგის დადგომას კი უმთავრესად განაპირობებს მომჩივნის სწორად ფორმულირებული მოთხოვნა და მის საფუძვლად არსებული ფაქტობრივი აღწერილობა.

განსახილველ შემთხვევაში, მ. შ-ს სასარჩელო მოთხოვნას მ. შ-ის საკუთრებად რეგისტრირებული 1242 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 228,40 კვ.მ შენობა-ნაგებობის (ს/№.....) თანამესაკუთრედ ცნობა, ასევე საერთო ფართში შემავალი 800 კვ.მ მიწის ნაკვეთის 3/4-ის – 600 კვ.მ მიწის ნაკვეთის და 185,42 კვ.მ შენობა-ნაგებობის 3/4-ის – 138,75 კვ.მ ფართის მესაკუთრედ ცნობა წარმოადგენს. მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძვლად კი, მოსარჩელემ მიუთითა შემდეგი: მ. შ-ე ან გარდაცვლილი ს. შ-ის მეუღლეა, რომელმაც, როგორც კანონისმიერი, ისე ანდერძისმიერი მემკვიდრეობის გზით მიიღო მამკვიდრებლის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების – 800 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 185,42 კვ.მ შენობა-ნაგებობის 3/4 (ს/№.....). მოპასუხე მ. შ-ე ასევე გარდაცვლილი ს. შ-ის პირველი რიგის მემკვიდრე, შვილია, რომელმაც 2008 წელს მიმართა საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და არასწორი ინფორმაციის წარდგენით საკუთარი კომლის ქონებასთან ერთად გახდა მოსარჩელის ქონების მესაკუთრე. ქონება გაერთიანდა №..... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 1242 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და 228,40 კვ.მ შენობა-ნაგებობასთან. 2011 წელს მოსარჩელემ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სამკვიდრო ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, თუმცა, აღმოჩნდა, რომ მოსარჩელის ქონებაზე დაფიქსირდა მოპასუხის ქონების ზედდება. სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო მ. შ-ის სახელზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ბათილად და არა-

რად აღიარება, თუმცა, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით ადმინისტრაციული სარჩელები არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკუთრების უფლების არსის ცნებას გვთავაზობს სამოქალაქო კოდექსის მეორე წიგნი – სანივთო სამართალი, თუმცა საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები მხოლოდ სანივთო სამართალში არ მოიპოვება, იმის მიხედვით, თუ რა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი გვაქვს სახეზე, განსხვავებულია ამ ფაქტიდან გამომდინარე საკუთრების უფლების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი. საკუთრების უფლების რეალიზაციისათვის კი, კანონმდებლობა, რიგ შემთხვევაში, ითვალისწინებს გარკვეული იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედების განხორციელების სავალდებულობას (უძრავ ნივთზე უფლების რეგისტრაცია). საერთო საკუთრების იურიდიული რეჟიმის ცნება მოცემულია სწორედ სანივთო სამართლებრივ ნორმებში და 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილის პირველი წინადადებით დადგენილია, რომ საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. შესაბამისად, თანამესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილებისათვის სახეზე უნდა იყოს ნორმის აღწერილობით ნაწილში მოცემული ერთ-ერთი წინაპირობა: თანასაკუთრების წარმოშობის საკანონმდებლო დათქმა (მაგალითად, როგორც ეს იყო ს.შ-ის სამკვიდროს მიმართ მისი პირველი რიგის მემკვიდრეებს შორის სამემკვიდრო ურთიერთობიდან გამომდინარე №..... ქონებაზე) ან მხარეთა გარიგება, თუმცა საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული №..... უძრავი ქონების მიმართ ამგვარი ფაქტები არც მოსარჩელეს მიუთითებია და არც საქმის განხილვისას დაუდგენიათ ქვემდგომ სასამართლოებს, ამდენად, №..... უძრავი ქონების თანამესაკუთრედ მოსარჩელის ცნობის მოთხოვნის ნაწილში სარჩელი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები.

რაც შეეხება მ. შ-ის მოთხოვნას, მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული ქონებიდან (800 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 185,42 კვ.მ შენობა-ნაგებობის) 3/4-ის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე, სარჩელის ამ მოთხოვნის იურიდიული საფუძვლიანობის გარკვევისათვის პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს: №..... საკადასტრო კოდით მოპასუხის სახელზე უძრავი ქონების რეგისტრაციით გაუქმდა №..... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ან გარდაცვლილი ს. შ-ის საკუთრება? №..... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში, რომლის ზუსტი საზღვრებიც უცნობია, მოპასუხის საკუთრე-

ბის უფლების რეგისტრაციისას შედგენილმა ნახაზმა გააუქმა სამკვიდროს მიღების გზით მოსარჩელის მიერ მოპოვებული საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე?

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოსარჩელემ, როგორც ს. შ-თან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა მეუღლემ, მემკვიდრეობით მიიღო ს. შ-ის სახელზე რეგისტრირებული სამკვიდრო ქონების 3/4;

ს. შ-ე გარდაიცვალა 2006 წლის 19 აპრილს და მამკვიდრებელს ეკუთვნოდა ხ. რაიონის სოფელ კ-ში (ამჟამად ქ.ბათუმში,) მდებარე უძრავი ქონება საკადასტრო კოდით №.....;

სააპელაციო პალატამ ისე მიიჩნია დადგენილად ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოპასუხის სახელზე საჯარო რეესტრში განხორციელებულმა ჩანაწერმა მოიცვა №..... კოდით მამკვიდრებლის სახელზე რეგისტრირებული საკუთრების უფლება, რომ არ გამოუკვლევიან მოსარჩელის მტკიცება საკუთრების უფლების იმ საფუძვლით აღურიცხაობის თაობაზე, რომ საჯარო რეესტრში მოდავე მხარეთა ქონებაზე ფიქსირდება ზედდება. ამ თვალსაზრისით სარჩელს ერთგვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილი, სადაც სააგენტომ მოსარჩელეს განუმარტა, რომ მის მიერ ელექტრონული ვერსიით წარდგენილ საკადასტრო აზომვით ნახაზზე ფიქსირდება №..... მიწის ნაკვეთის ზედდება, რომლის ფართობიც 1242 კვ. მეტრია. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას (რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებას ემყარება), რომ საჯარო რეესტრში მოპასუხის სახელზე განხორციელებულმა ჩანაწერმა ძალა დაუკარგა ადრინდელ ჩანაწერს, რადგანაც სააპელაციო პალატას არ გამოუკვლევიან, მოპასუხის უფლების დამდგენი დოკუმენტი მოიცავს თუ არა ს. შ-ის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებას, თუ სახეზეა საკადასტრო ზედდება. ასეთ ვითარებაში, შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს შემთხვევასთან, როდესაც იურიდიულად მოსარჩელის მიერ მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების უფლება რჩება (მამკვიდრებელ ს. შ-ის სახელზე წარმოდგენილია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სადაც №.... უძრავ ქონებაზე აღრიცხულია საკუთრების უფლება), თუმცა, იმავდროულად მ. შ-ის მიერ მოპოვებული საკუთრების უფლების ობიექტი, საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, მოქცეულია მოპასუხის საკუთრების ტიტულის ქვეშ.

ამ კუთხით საკასაციო პალატა იზიარებს მ. შ-ის მტკიცებას სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე და მი-

ინნეცს, რომ ამ საპროცესო დარღვევას შედეგად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა, შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი დაუსაბუთებლობის გამო, მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია და სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები.

საკასაციო პალატა დამატებით მიზანშეწონილად მიიჩნევს, იმსჯელოს უძრავ ნივთებზე საკუთრების შექმნის მარეგულირებელ ნორმებზე, ასევე საჯარო რეესტრის წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ საკითხებზე.

მოცემულ შემთხვევაში, სადავოს არ წარმოადგენს, ის გარემოება, რომ №... ქონებაზე უფლება მოსარჩელემ მოიპოვა მემკვიდრეობის გზით. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. დასახელებული ნორმით მოწესრიგებულია სამკვიდრო ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი და ნორმის ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ სამკვიდროს მიღების ცნების შინაარსს წარმოადგენს ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც იურიდიული ძალის მატარებელი მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც დასრულდება მისი ობიექტურად შეცნობადად გამოხატვის პროცესი. კანონის აღნიშნული დათქმის სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მოთხოვნებთან მოდიფიცირებას მივყავართ მესამე პირებთან მიმართებაში უძრავ ნივთზე მოპოვებული საკუთრების უფლების ნამდვილობის წინაპირობასთან – უფლება უნდა აღირიცხოს საჯარო რეესტრში, რომელიც ახორციელებს მატერიალური საჯაროობის პრინციპს. მასთან დაკავშირებულია საკუთრების გადაცემის მომენტი (183-ე და 1424-ე მუხლები), საკუთრების უფლების არსებობის პრეზუმფცია (312-ე მუხლი) და კეთილსინდისიერება (185-ე და 312-ე მუხლები).

საკუთრების უფლების გადაცემის მომენტიდან მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელმეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუმგვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას (სკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილი). სამოქალაქო კოდექსი

ასევე გვთავაზობს საკუთრების უფლების დაცვის ისეთ საშუალებებს, როგორცაა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის ან ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის წარდგენა (სკ-ის 172-ე მუხლი). აღნიშნულ მოთხოვნათა გამოყენება ხორციელდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მომჩივანი იურიდიულად რჩება მესაკუთრე, ანუ საკუთრების ტიტულის მატარებელი, თუმცა, საკუთრების ხელყოფა ხორციელდება ან ნივთის ფაქტობრივი ჩამორთმევით, ან თავისუფალი ფლობისა და სარგებლობის უფლებაში ჩარევით.

მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებით №.... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ქონებაზე მ. შ-ის საკუთრების უფლების დადგენისა, ქვემდგომ სასამართლოებს არ უმსჯელიათ ამან რა გავლენა მოახდინა №.... კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებასა და ამ ქონებაზე მოსარჩელის მიერ მოპოვებული უფლების ბედზე. აღნიშნული საკითხის სწორად შეფასების მიზნით კი, პალატა მიიჩნევს, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 25-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრის დადგენის რეალიზაციას, ასევე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მსგავს საკითხზე დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა (აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. სუსგ-ებები: №ას-314-299-2013, 17 აპრილი, 2015 წელი; №ას-394-373-2013, 20 მაისი, 2014 წ; №ას-1648-1545-2012, 6 სექტემბერი, 2013წ; №ას-144-137-2013, 4 მაისი, 2015 წელი).

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს აღძრული აქვს არა მიკუთვნებითი ან ამკრძალავი, არამედ აღიარებითი სარჩელი, კერძოდ, მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხის საკუთრებად რეგისტრირებულ ქონებაში შემავალი ს.შ-ის დანაშთი ქონების 3/4-ის მესაკუთრედ აღიარებას. ასეთ შემთხვევაში კი, როგორც აღინიშნა, შეფასებას ექვემდებარება მოსარჩელის მიერ მოპოვებული უფლების ობიექტის სამართლებრივი მდგომარეობა, რაც თავისთავად იქნება პირდაპირი პასუხი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით დადგენილ აღიარებითი სარჩელის მიმართ მოსარჩელის ინტერესის კანონიერებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპრო-

ცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან არ არის დადგენილი დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს გადანყვეტილება წინამდებარე საქმეზე, შესაბამისად, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მოცემულ განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის ფარგლებში უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მხოლოდ ამის შემდეგ გადანყვიტოს უფლების საკითხი.

რაც შეეხება საკასაციო საჩივარზე დართულ სასამართლო გადანყვეტილების ასლს, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მისი საქმისათვის დართვის საფუძველი, რამდენადაც იგი 407-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ საკასაციო სამართალწარმოების მიზნებს არ ემსახურება. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადანყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. შ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო

ლაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სამართლოს.

3. კასატორს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული გადაწყვეტილების (სუსგ №ას-340-325-2012) ასლი 6 (ექვსი) ფურცლად.

4. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

№ას-742-703-2015

4 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შემცირება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2013 წლის 25 სექტემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით ვ-ა ვ-ამ (შემდეგში: „მოსარჩელე, ან მსესხებელი“) შპს „ე-ისაგან“ (შემდეგში: „მოპასუხე, ან გამსესხებელი“) ერთი თვით ისესხა 50 000 აშშ დოლარი. სესხის სარგებელი განისაზღვრა თვეში 3 პროცენტით, ხოლო პირგასამტეხლო 0,15%-ით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 623-ე, 625-ე და 417-418-ე მუხლები].

2. სესხის დაბრუნების ვადა 2013 წლის 25 ოქტომბრით იყო განსაზღვრული. ხელშეკრულების მესამე პუნქტის თანახმად, მხარეთა შეთანხმებით ამ ვადის გაგრძელება შესაძლებელი იყო თითო-თითო თვით.

3. სესხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად იპოთეკით და-

იტვირთა მსესხებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ჭ-ას ქ. №2-სა და ჩ-ის ქ. №7-ს შორის, კორპ. 1, ბინა ..., ს/კ 01.10.17.0-0-01.01.1- [სსკ-ის 286.1 და 289.1 მუხლები].

4. მსესხებელი ყოველთვიურად უხდიდა გამსესხებელს 1500 აშშ დოლარს და მის მიერ გადახდილმა თანხამ, 2013 წლის 25 სექტემბრიდან 2014 წლის 7 აპრილის ჩათვლით, ჯამში შეადგინა 9 000 აშშ დოლარი.

5. 2014 წლის 28 აპრილს გამსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე, ნოტარიუსმა გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის მიხედვითაც: ძირითადი სასესხო ვალდებულებაა 50 000 აშშ დოლარი, საპროცენტო სარგებელი 1500 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო 795,67 აშშ დოლარი, სააღსრულებო ფურცლის გაცემის ხარჯი – 126,7 ლარი [სსკ-ის 302-ე მუხლის მე-3¹ ნაწილი და „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38.5 და 40-ე მუხლები].

6. მსესხებელმა სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა ნოტარიუსის მიერ 2014 წლის 28 აპრილს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ძირითადი ვალდებულების 11 367,67 აშშ დოლარით შემცირება და მისი განსაზღვრა 41 000 აშშ დოლარით. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ 9000 აშშ დოლარის ნაწილში ძირითადი ვალდებულება ნაწილობრივ შეწყდა შესრულებით, ხოლო 2295,67 აშშ დოლარისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის ხარჯის – 126,72 ლარის მოთხოვნა, მისი მოსაზრებით, უსაფუძვლო იყო.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მსესხებლის მიერ გადახდილი 9000 აშშ დოლარი წარმოადგენდა არა ნასესხები თანხის ნაწილს, არამედ ექვსი თვის საპროცენტო სარგებელს. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 50-ე, 52-ე, 623-625-ე მუხლები, 626-ე მუხლის მესამე ნაწილი, 361.2, 417-418-ე მუხლები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 102-ე და 105-ე მუხლები.

8. საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტან-

ციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები. პალატამ სსკ-ის 52-ე და 338-ე მუხლების საფუძველზე დაასკვნა შემდეგი:

9.1. „... მართალია, ხელშეკრულების თანახმად, სესხი უნდა დაბრუნებულიყო ერთი თვის ვადაში – 25.10.2013, თუმცა, ზემოაღნიშნული ხელშეკრულება იმთავითვე განსაზღვრავდა ამ ვადის შემდგომ მხარეთა სამომავლო სამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ, ხელშეკრულებაში საუბარია: მომავალი თვიდან სარგებლის დარიცხვის წესზე, ვადის გაგრძელების უფლებამოსილებაზე, ვადის თითო-თითო თვით გაგრძელებაზე მსესხებლის მიერ ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში და სარგებლის გადაუხდელობისას ხელშეკრულების შეწყვეტაზე... შესაბამისად, ეს პირობები ერთობლიობაში გულისხმობდა სწორედ იმას, რომ მხოლოდ პროცენტის კეთილსინდისიერად გადახდა იწვევდა ხელშეკრულების თითო-თითო თვით გაგრძელებას... მოცემულ შემთხვევაში მსესხებელი ყოველთვის უნდა იხდიდა ზუსტად ძირი თანხის 3%-ს, ანუ მხოლოდ პროცენტს – 1500 აშშ დოლარს, რაც იწვევდა ხელშეკრულების ვადის თითო-თითო თვით გაგრძელებას ვალდებულების ძირის შემცირების გარეშე...“

9.2. „... მსესხებელმა მარტის თვის გადახდა განახორციელა 07.04.2014წ, რითაც აღნიშნული ხელშეკრულების ვადა გაგრძელდა 2014 წლის აპრილის თვის ჩათვლით, გამსესხებელს გააჩნია აპრილის თვის საპროცენტო სარგებლის მოთხოვნის უფლება, რაც ასახულია კიდევ 28.04.2014წ. ნოტარიუს ე. შ-ის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში...“

10. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მაისის განჩინება კასაციის წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ. საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია შემდეგნაირად:

ა) სააპელაციო სასამართლომ სსკ-ს 52-ე და 338-ე მუხლების გამოყენებით არასწორად განმარტა 2013 წლის 25 სექტემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მესამე პუნქტი, კერძოდ, ხელშეკრულების ვადის გაგრძელების საკითხი. მოპასუხემ სასამართლოს ვერ წარუდგინა სესხის დაბრუნების ვადის გაგრძელების დამადასტურებელი კანონით დასაშვები მტკიცებულება.

ბ) სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 335-ე და 345-ე მუხლები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 102.3 მუხლი. მოპასუხემ საქმის განხილვისას დაადასტურა ის გარემოება, რომ 2013 წლის 25 სექტემბრის სესხისა და

იპოთეკის ხელშეკრულება სტანდარტულ დებულებებს შეიცავდა და მესამე მუხლის შინაარსი ხარვეზიანი იყო.

გ) მოცემულ საქმეზე დავის საგანი იყო შესასრულებელი ფულადი ვალდებულების ოდენობის განსაზღვრა და არა მოსარჩელის მხრიდან ვალდებულების დარღვევის ფაქტის დადგენა, თუმცა სასამართლომ სწორედ ამ ფაქტებზე იმსჯელა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 361.2-ე და 417-718-ე მუხლები;

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

11. საქმის მასალების გაცნობა, შესწავლა და ანალიზი, ასევე მიღებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს გამოიტანოს დასკვნა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვის მიზნით იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების თაობაზე.

12. სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები [სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი], რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი სამართლებრივი დასკვნა სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე. სახელდობრ:

12.1. მხარეთა შორის სსკ-ის 623-ე მუხლით მონესრიგებული სასესიო ურთიერთობის არსებობა დავას არ ინვესს. სადავოა 2014 წლის 28 აპრილს გამსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით დადგენილი ფულადი ვალდებულების მოცულობა.

12.2. ფულადი ვალდებულების ოდენობის განსაზღვრა დამოკიდებული იყო სამართლებრივად მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტების დადგენაზე, სახელდობრ:

ა) სესხის დაბრუნების ვადის სწორად განსაზღვრაზე, რადგანაც მოთხოვნის ვადამოსულობა განსაზღვრავს კრედიტორის უფლებას მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. თუ ხელშეკრულებით განსაზღვრულია დრო, მაშინ პრეზუმირებულია ის, რომ კრედიტორს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადამდე, ხოლო მოვალეს კი შეუძლია ვალდებულების ვადამდე შესრულება [სსკ-ის 366-ე მუხლი].

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები არ გა-

მომდინარეობს საქმის მასალებიდან და აქედან გამომდინარე წინააღმდეგობრივია. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38.5 მუხლის თანახმად, ნოტარიუსი გაცემს საალსრულებო ფურცელს იმ ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ, რომლის შესრულების ვადაც დამდგარია. მოცემულ შემთხვევაში, 2013 წლის 25 სექტემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული საალსრულებო ფურცლის პ.6-ით ვალდებულების შესრულების დროდ განსაზღვრულია 2013 წლის 25 ოქტომბერი, მაშინ, როდესაც სააპელაციო სასამართლოს დასკვნით ხელშეკრულების ვადა გაგრძელდა 2014 წლის აპრილის ჩათვლით (იხ. წინამდებარე განჩინების 9.2 პუნქტი). სასამართლოს ამ მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში, გამსესხებელს 2014 წლის 26 აპრილს არ შეეძლო მოეთხოვა სესხის დაბრუნება, რადგანაც ვადა ჯერ არ იყო დამდგარი!

ბ) 2013 წლის 25 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მესამე პუნქტის განმარტებასა და მისი ნამდვილობის დადგენაზე – სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მსესხებლის მიერ პროცენტის კეთილსინდისიერად გადახდა იწვევდა ხელშეკრულების თითო-თითო თვით გაგრძელებას, სამართლებრივად დაუსაბუთებელია. ცალსახაა, რომ სასამართლომ ხარვეზიანად ჩათვალა ხელშეკრულების აღნიშნული დებულება და ამის გამო მან მოიშველია სსკ-ის 52-ე და 338-ე მუხლებით დადგენილი განმარტების წესები, თუმცა, სასამართლომ ეს განმარტა ცალმხრივად, მხოლოდ გამსესხებლის ინტერესებით და არ გაითვალისწინა მსესხებლის პოზიცია, იმასთან დაკავშირებით, რომ ვადა არ გაგრძელებულა. ამ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების პირობების შემთავაზებელი იყო გამსესხებელი (მენარმე სუბიექტი) და შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა რამდენად კეთილსინდისიერად მოქმედებდა იგი [სსკ-ის 325-ე მუხლის პირველი ნაწილი]. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო სსკ-ის 337-ე მუხლის დანაწესი, რომლის მიხედვითაც: „თუ ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამები შეიძლება გაგებულ იქნეს სხვადასხვანაირად, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, რომელიც ჩვეულებრივ, მიღებულია ხელშეკრულების დამდები მხარეების საცხოვრებელ ადგილზე. თუკი მხარეებს სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილი აქვთ, გადამწყვეტია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი“.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა სადავო დებულების ნამდვილობის საკითხი, კერძოდ:

ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება ხომ არ მო-

ითხოვდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებისათვის კანონით დადგენილი ფორმის დაცვას [სსკ-ის 302-ე მუხლის 3¹ ნაწილი და 625-ე მუხლის 1-3 ნაწილები], სადავო დებულების ამგვარი ფორმულირება ვალდებულების შინაარსის დადგენას ემსახურებოდა (ამ გარემოების დადგენის შემთხვევაში ფორმის დაუცველობა, სადავო დებულების ბათილობას გამოიწვევდა), თუ მიმართული იყო ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული რისკების განეიტრალებისაკენ, რადგანაც ამ დებულების შემთავაზებელია გამსესხებელი, ხომ არაა წინასწარ ჩამოყალიბებული მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული სტანდარტული დებულება (ამ გარემოებაზე კასატორიც მიუთითებდა, მაგრამ სხდომის ოქმის მიხედვით ეს საკითხი არ ყოფილა სასამართლოს კვლევის საგანი) და იქცა თუ არა იგი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად [სსკ-ის 344-ე მუხლი] და ა.შ.

13. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას სწორად უნდა გაანალიზოს მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის [სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი], სრულყოფილად გამოიკვლიოს და ობიექტურად შეაფასოს როგორც სარჩელის გარემოებები, ისე მოპასუხის შესაგებელი, გამოიკვლიოს წინამდებარე განჩინების პ.12-ში მითითებული გარემოებები და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

14. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

15. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნა-

წილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. ვ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა

განჩინება

№ას-245-230-2014

16 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: საზოგადოების დირექტორის მიერ მიყენე-
ბული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ბ. რ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ლ-ის უფლე-
ბამონაცვლე ფ. ა-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების სახით 27000
ლარის დაკისრების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უა-
რის თქმა მოითხოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის
განჩინებით შპს „ბ. რ-ის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ყა-
დალა დაედო ფ. ა-ის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხულ
უძრავ ქონებას, მინის ნაკვეთს, მდებარე ქ.რუსთავში, თ-ას
ქ.№11-ში, საკადასტრო კოდი №..... ამავე სასამართლოს 2011
წლის 18 იანვრის განჩინებით ფ.ა-ის განცხადება უზრუნველ-
ყოფის გარანტიის გამოყენებს თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 ნოემბრის
გადანყვეტილებით შპს „ბ. რ-ის“ სარჩელი მოპასუხე ფ. ა-ის მი-
მართ ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა. რაც
შეეხება უზრუნველყოფის ღონისძიებას, სასამართლოს მისი გა-
უქმების საკითხზე არ უმსჯელია.

საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება სააპელაციო წე-
სით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახა-
ლი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აღნიშნული საქმე განხილულ იქნა ზემდგომი სასამართლო-
ების მიერ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-
ქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 იანვრის განჩინებით საქა-
ლაქო სასამართლოს გადანყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გა-

ასაჩივრა შპს „ბ. რ-მა“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 მარტის განჩინებით შპს „ბ. რ-ის“ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ფ. ა-მა და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სხვა ღონისძიებით – გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვით შეცვლა. განმცხადებელმა მოთხოვნა დაამყარა შემდეგზე:

ფ. ა-ის განმარტებით, მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებზე, თუმცა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესაძლებლობის შემოღებით, კანონმდებელი იცავს ასევე მოპასუხის ინტერესებს, რათა ამ უკანასკნელის უფლებები დაუსაბუთებლად არ შეიზღუდოს.

უძრავი ქონება, რომელიც დაყადაღებულია, წარმოადგენს კომერციული დანიშნულების ფართს და ყადაღის გამო ფ. ა-ი ვერ იღებს შემოსავალს. განცხადებაზე დართული მტკიცებულების გათვალისწინებით, განმცხადებელმა განმარტა, რომ არის რეალური კონტრაჰენტი, რომელსაც სურს იჯარის გაფორმება ფ. ა-ის ქონებაზე. ამ გარემოების გათვალისწინებით, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ყადაღის არსებობა უძრავ ქონებაზე გაუმართლებელია, ხოლო მისი გასვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვით შეცვლის შემთხვევაში, მხარეთა ინტერესები თანაბრად იქნება დაცული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, ფ. ა-ის განცხადების საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეზე სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია მოპასუხის ქონების დაყადაღების ღონისძიება;

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინებით ყადაღა დაედო ფ. ა-ის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხულ უძრავ ქონებას, მდებარე ქ.რუსთავში, თ-ას ქ.№11-ში, უძრავი ქონების საკადასტრო კოდია №.....;

უდავოა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებული ღონისძიება საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე არ გაუქმებულა და არ შეცვლილა;

საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ფ. ა-მა და მოითხოვა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვით.

განცხადება დასაბუთებულია იმით, რომ ქონება, რომელსაც დაედო ყადაღა, წარმოადგენს კომერციული დანიშნულების ობიექტს, განმცხადებელი ვერ სარგებლობს ამ ნივთით და არის რეალური კონტრაჰენტი, რომელსაც სურს იჯარის ხელშეკრულების გაფორმება. გარიგების დადებას კი, ხელს უშლის ქონებაზე არსებული შეზღუდვა.

განცხადებას ერთვის შპს „ჯ-ს“ წერილობითი დასტური, ყადაღის გაუქმების შემთხვევაში, უძრავ ქონებაზე იჯარის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმადაც მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. ნორმის მეორე ნაწილით დადგენილია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

განსახილველ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის მხარეთა დასწრებით განხილვის წინაპირობა.

სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს ღირექტორის ქმედებით გამოწვეული მატერიალური ზიანის ანაზღაურება, ანუ სადავოა თანხის დაკისრების ფაქტი.

ამ ტიპის სარჩელის უზრუნველსაყოფად პალატა საკმარისად მიიჩნევს მოპასუხის გადახდისუნარიანობის ფაქტის დადასტურებას, ანუ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობა-სა თუ ხელშემლას გამორიცხავს მოპასუხის საკუთრებაში უძრავი ქონების არსებობა.

საგულისხმოა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ეტაპზე, მოსარჩელე მხარე №..... ქონების დაყადაღებას უზრუნველყოფის საკმარის ზომად მიიჩნევდა (ანუ ქონების ღირებულება საკმარისია სასარჩელო მოთხოვნაში მითითებული თანხის აღსრულებისათვის).

საკასაციო პალატა იზიარებს განმცხადებლის პოზიციას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი თანაბრად იცავს მოდავე მხარეთა ინტერესებს, რაც არც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართ წარმოადგენს გამოწვევას. ამ მხრივ, პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლზე, რომლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე. ამდენად, სპეციალური ნორმებით დადგენილი თავისებურების გათვალისწინებით, სამართალწარმოების თითოეულ ეტაპზე მართლმსაჯულება მხარეთა თანასწორობის საწყისზე ხორციელდება.

განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე ყადაღის შეცვლას მოითხოვს სხვა ღონისძიებით – გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვით, რათა მესაკუთრეს ჰქონდეს კომერციული ფართის იჯარით გაცემის შესაძლებლობა და დაუსაბუთებლად არ იღაზებოდეს მისი ინტერესი, რასაც საკასაციო პალატა იზიარებს და თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ზომა – მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა უზრუნველყოფის საკმარისი და თანაზომიერი სახეა, რომელიც თანაბრად დაიცავს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ინტერესებს. აღნიშნული გარემოება ფ. ა-ის განცხადების დაკმაყოფილების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ფ. ა-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა შეიცვალოს გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვით.

3. ფ. ა-ს აეკრძალოს მისი კუთვნილი, ქ.რუსთავში, თ-ას ქ.№11-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №.....) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. საქმის წარმოების შეწყვეტა

განჩინება

№ას-66-63-2016

16 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ნ. ბაქაქუჩი

დავის საგანი: ნასყიდობის ღირებულებისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „თ-ომ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. ჯ-ის მიმართ და მოითხოვა მხარეთა შორის დადებული ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ნასყიდობის საგნის ღირებულების – 160 000 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის სახით 160 000 ლარის წლიური 15%-ის ანაზღაურება.

2. მოსარჩელემ განმარტა, რომ ქ. ჯ-ეს ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების დაცვით გადასცა ნასყიდობის საგანი, ხოლო მოპასუხეს ავტომანქანის ღირებულება არ გადაუხდია.

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2008 წელს სადავო ავტომანქანა აჩუქა შპს „ს-ის“ 100% წილის მესაკუთრე ა. ნ-მა (მოპასუხის მამამთილმა), თუმცა მოძრავი ნივთი მის საკუთრებად აღირიცხა მოგვიანებით, 2011 წლის 24 მარტს. ფაქტობრივად, არანაირი ნასყიდობა არ გაფორმებულა.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 160 000 ლარისა და 2011 წლის 24 აპრილიდან ნასყიდობის თანხის სრულად გადახდამდე მიუღებელი შემოსავლისთვის ზიანის – 160 000 ლარის წლიური 8%-ის ანაზღაურება, რაც ქ. ჯ-ემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის განჩინებით ქ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. სააპელაციო სასამართლოს განჩინება ქ. ჯ-ემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუ-

ნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 თებერვლის განჩინებით ქ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

8. 2016 წლის 15 მარტს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა სს „თ-ოს“ დირექტორმა ზ. მ-მა და საზოგადოების სახელით უარი განაცხადა სს „თ-ოს“ მიერ ქ. ჯ-ის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ აღძრულ სარჩელზე. განმცხადებელმა მოითხოვა მითითებულ სარჩელზე მიმდინარე საქმის წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

9. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საქმეზე, – სს „თ-ოს“ სარჩელის გამო, ქ. ჯ-ის მიმართ ნასყიდობის ღირებულებისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

10. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოქმედი დისპოზიციურობის პრინციპის ძალით, მხარეს შესაძლებლობა ეძლევა, საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს მისთვის მინიჭებული საპროცესო უფლებები.

11. აღნიშნული მსჯელობა განმტკიცებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით, რომლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე.

12. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო შეფასების საგანს წარმოადგენს სს „თ-ოს“ დირექტორ ზ. მ-ის განცხადება, რომლითაც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა სს „თ-ოს“ სარჩელზე და მოითხოვა მოცემული საქმის წარმოების შეწყვეტა.

13. საკასაციო სასამართლომ შეამოწმა ზ. მ-ის, როგორც სს „თ-ოს“ დირექტორის უფლებამოსილება 2016 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით სამენარმეო და არასამენარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის ელექტრონული ამონაწერის მეშვეობით (<https://enreg.reestri.gov.ge>).

14. მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს საქმის წარმოების დამთავრების შესაძლებლობას გადაწყვეტილების მიღების გარეშე, რა დროსაც სასამართლოს დავაზე მატერიალური სამართლის ნორმათა შეფარდების გზით, არსებითად არ მსჯელობს და საქმე სრულდება პროცესუალურ-სამართლებრივი პროცედურის საფუძველზე. ერთ-ერთ ასეთ სა-

შუალეზას წარმოადგენს საქმის წარმოების შეწყვეტა.

15. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონმდებელი განსაზღვრავს საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობას, კერძოდ, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

16. ამდენად, მოსარჩელე უფლებამოსილია, კანონით გათვალისწინებული შედეგების გათვალისწინებით, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დაუბრკოლებლად უარი განაცხადოს თავის სარჩელზე. ასეთ პირობებში მოქმედებს სასამართლოს მოვალეობა, შეწყვიტოს მის წარმოებაში არსებული დავის განხილვა მიუხედავად იმისა, რომელ სასამართლო ინსტანციაში იმყოფება საქმე და რამდენად პერსპექტიულია სარჩელი მისი არსებითად დაკმაყოფილების კუთხით. შესაბამისად, მატერიალურ სამართალში მოქმედი ნების ავტონომიის მსგავსად, მხარეს შეუძლია თავისი სურვილის მიხედვით განახორციელოს საპროცესო უფლება სარჩელზე უარის თქმასთან დაკავშირებით.

17. ამასთან, საყურადღებოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

18. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლისა (საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს) და 372-ე მუხლის (საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით) საფუძველზე საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს იმავე კოდექსის მე-3, 272-ე 273-ე მუხლებით და მიიჩნევს, რომ მოსარჩელე სს „თ-ოს“ მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო, მოცემული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

19. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილს თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო იმავე ნორმის მეოთხე ნაწილით დადგენილია, რომ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება

ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

20. კანონის აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელის მიერ საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვამდე სარჩელზე უარის თქმის გამო, კასატორ ქ. ჯ-ეს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით ქ. ჯ-ისა და თ. ფ-ის მიერ 2016 წლის 7 თებერვალს №1 საგადახდო დავალებით გადახდილი 6000 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შეწყდეს საქმის წარმოება სს „თ-ოს“ სარჩელის გამო, ქ. ჯ-ის მიმართ ნასყიდობის ღირებულებისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ.

2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით დაუშვებელია.

4. კასატორ ქ. ჯ-ეს (პირადი №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით ქ. ჯ-ისა და თ. ფ-ის მიერ 2016 წლის 7 თებერვალს №1 საგადახდო დავალებით გადახდილი 6000 ლარი.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გააჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა

ბანჩინება

№ას-1257-1179-2015

16 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
ნ. ბაქაქუერი

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „მ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ა-ის“ მიმართ და მოითხოვა 404 007 ლარის გადახდა, საიდანაც მიმდინარე დავალიანებაა 134 387,33 ლარი, ხოლო საურავი – 269 619,67 ლარი

2. მოსარჩელემ განმარტა, რომ 2007 წლის 1 აპრილს მხარეებს შორის დაიდო ურთიერთჩართვის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მხარეთა ქსელების საშუალებების ურთიერთდაკავშირება უწყვეტი, საიმედო და ხარისხიანი კავშირის უზრუნველყოფის, ტრაფიკის აღრიცხვისა და მხარეთა მიერ შეთავაზებული მომსახურეობის მიღების მიზნით.

3. 2007 წლის ივნისიდან 2011 წლის მარტის ჩათვლით მოსარჩელის მხრიდან მოპასუხის ქსელის მიმართულებით ხორციელდებოდა შემავალი ტრაფიკები, ხოლო შპს „მ-იდან“ გამავალი ტრაფიკი ამავე პერიოდში უფრო ნაკლები იყო, რამაც გამოიწვია მოპასუხისათვის დავალიანების დაგროვება. აღნიშნული დავალიანება მოპასუხემ დაფარა ვადაგადაცილებით, რის გამოც მას უნდა დაეკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

4. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელემ დავალიანების წარმოშობის პერიოდად დაასახელა 2007 წლის 10 ივნისიდან 2011 წლის მარტამდე მონაკვეთი. მტკიცებულებების სახით საოქმო გადაწყვეტილებებიც ამ პერიოდისათვის წარადგინა, თუმცა სარჩელით მოითხოვს, მოპასუხეს საურავი დაერიცხოს 2007-2011 წლების 20 ივნისის პერიოდისათვის. აღნიშნული დროის გათვალისწინებითაა შედგენილი მისი სასარჩელო გაანგარიშებაც. მითითებული გარემოება საჭიროებს განმარტებას მოსარჩელის მხრიდან.

5. მოპასუხებმ აღნიშნა, რომ გააჩნდა ვალდებულების შესრულების უმნიშვნელო გადაცილებები, რაზეც სარჩელის აღდგრამდე მხარეს პრეტენზია არ გამოუთქვამს. ამავდროულად, მხარემ მიუთითა, რომ 2007 წლის 1 აპრილის ხელშეკრულების თანახმად, საურავის განაკვეთი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეადგენს 0,07%-ს, შესაბამისად, უსაფუძვლოა და რაიმე წერილობით მტკიცებულებას არ ეფუძნება მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი 0,1%.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „მ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხა – 144 594,97 ლარი და პირგასამტეხლო – 73 743,87 ლარი, რაც ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

7. შპს „ა-მაც“ აღძრა სარჩელი სასამართლოში შპს „მ-ის“ მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ და მიუთითა, რომ მხარეთა შორის 2007 წლის 1 აპრილის ხელშეკრულების ფარგლებში 2009 წელს შპს „ა-ში“ ჩატარდა გეგმიური გასვლითი საგადასახადო შემონმება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ შპს „ა-ის“ მომწოდებლების, მათ შორის, შპს „მ-ის“ მიერ დღგ-ს ჩასათვლელი ანგარიშვაქტურები შპს „ა-ისათვის“ წარდგენილ იქნა კანონდარღვევით. აღნიშნულის გამო, მოსარჩელეს დაერიცხა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დღგ-ს ძირითადი თანხისა და საურავის გადახდა.

8. მოსარჩელის მითითებით, შპს „ა-ა“ შპს „მ-ის“ ბრალით გადაიხდა 161 622,42 ლარი. თანხის გადახდის მიზნით, შპს „ა-ი“ იძულებული გახდა, აელო ბანკიდან სესხი, რისთვისაც იხდის სარგებელს. შესაბამისად, მოსარჩელემ მოითხოვა შპს „მ-ის“ ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, კერძოდ, შპს „მ-ის“ მიერ ანგარიშვაქტურების კანონდარღვევით წარდგენისათვის შპს „ა-ის“ სახელზე დარიცხული და მის მიერვე გადახდილი 161 622,46 ლარისა და აღნიშნული თანხის გადასახდელად მოსარჩელის მიერ აღებულ სესხზე დარიცხული და გადახდილი სარგებლის – 13 328,34 ლარის ანაზღაურება.

9. მოპასუხებმ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2009 წლის 20 ნოემბრის საგადასახადო შემონმების შუალედური აქტით არ დასტურდება ის გარემოება, რომ შპს „ა-ისათვის“ გადასახადის დარიცხვა განხორციელდა შპს „მ-ის“ მიერ ანგარიშვაქტურების კანონით დადგენილი წესის დარღვევით წარდგენის გამო. შპს „მ-ს“ შპს „ა-ისათვის“ ზიანი არ მიუყენებია, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „ა-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხა – 161 622,46 ლარი და პირგასამტეხლო – 13 328,34 ლარი, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

11. ზემოაღნიშნული სამოქალაქო საქმეების წარმოება გაერთიანდა.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა, შპს „ა-ს“ დაეკისრა შპს „მ-ის“ სასარგებლოდ 171 049.5 ლარის გადახდა, ხოლო შპს „მ-ს“ დაეკისრა შპს „ა-ის“ სასარგებლოდ 140 275.63 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

13. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2007 წლის 1 აპრილს შპს „ა-სა“ და შპს „მ-ს“ შორის დაიდო ურთიერთჩართვის ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენს „ა-ისა“ და „მ-ის“ ქსელების და საშუალებების ურთიერთდაკავშირება მომხმარებელთა უწყვეტი, საიმედო და ხარისხიანი კავშირის უზრუნველყოფის და მხარეთა მიერ შეთავაზებული მომსახურების მიღების მიზნით.

14. ამავე ხელშეკრულების მე-5 მუხლით განისაზღვრა ანგარიშსწორების პირობები. 5.3. პუნქტის თანახმად, დადგინდა, რომ „მხარეები შემოსავლების აღრიცხვის მიზნით მონაცემთა უწყისებს გაცვლიან და ერთობლივ საოქმო გადაწყვეტილებას ხელს მოაწერენ ყოველი მომსახურების განევიდან მომდევნო თვის 10 რიცხვამდე, სადაც აღნიშნული იქნება ინფორმაცია გრაფიკის შესახებ და მხარეთა კუთვნილი თანხები. ოქმი წარმოადგენს ძირითად საბუთს (შეთანხმებას) მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებით არსებული ვალდებულებების შესახებ და მასზე ხელმოწერის შემდეგომ არც ერთ მხარეს აღარ ექნება უფლება, მომავალში იდავოს მის სისწორეზე, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა იგი რეალურ მონაცემებს.

15. ხელშეკრულების 5.5. პუნქტის მიხედვით, „ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება შემოსავლების შესახებ საოქმო გადაწყვეტილებების საფუძველზე ოქმის ხელმოწერიდან 30 დღის ვადაში, რეალურად განხორციელებული ზარების, ერთი წამის სიზუსტის მიხედვით.“

16. ხელშეკრულების 5.6. პუნქტის შესაბამისად, „5.5. პუნქტში აღნიშნული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე ვალდებულია, გადაუხადოს მეორე მხარეს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღე-

ზე გადაუხდელი თანხის 0,07%-ის ოდენობით“.

17. ურთიერთჩართვის ხელშეკრულების 9.1. პუნქტის თანახმად, თითოეული მხარე ვალდებულია, შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ორმხრივი კეთილი ნებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების შესაბამისად.

18. თავდაპირველად სასამართლოში წარდგენილი სარჩელით მოსარჩლე შპს „მ-ი“ მოითხოვდა, მოპასუხე შპს „ა-ისათვის“ მხარეთა შორის 2007 წლის 1 აპრილს გაფორმებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების არაფეროვანი შესრულების (მომსახურების თანხის გადახდის ვადაგადაცილების) გამო, პირგასამტეხლოს და მიმდინარე დავალიანების 404 007 ლარის დაკისრებას.

19. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 26 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელეს დაუდგინდა ხარვეზი სასარჩელო მოთხოვნისა და მოპასუხის დაზუსტების თაობაზე. სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული ხარვეზი მოსარჩელემ შეავსო და მიუთითა, რომ მის მიერ აღძრულ სარჩელზე მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა შპს „ა-ი“, ხოლო სასარჩელო მოთხოვნას შეადგენდა შპს „მ-ის“ სასარგებლოდ შპს „ა-ისათვის“ 404 007 ლარის დაკისრება, საიდანაც 269 619,67 ლარი წარმოადგენდა პირგასამტეხლოს ვალდებულების დარღვევისათვის, ხოლო 134 387,33 ლარი – მიმდინარე დავალიანებას.

20. პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნული სახით მიიღო სარჩელი წარმოებაში, თუმცა აქვე სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას, კერძოდ, სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის სხდომაზე მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა, იმავდროულად, შემცირებული სასარჩელო მოთხოვნა დააზუსტა 2011 წლის 23 ივლისის ფინანსური ექსპერტიზის №... დასკვნის შესაბამისად და საბოლოოდ შპს „მ-მა“ მოითხოვა მის სასარგებლოდ შპს „ა-ისათვის“ 218 338,84 ლარის დაკისრება, საიდანაც 144 594,97 ლარის მიმდინარე დავალიანებაა, ხოლო 73 743,87 ლარი – პირგასამტეხლო.

21. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დაუშაბუთებლად მიიჩნია აპელანტ შპს „ა-ის“ მოსაზრება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნა და მხარეს მიაკუთვნა ის, რაც მას არ უთხოვია, კერძოდ კი, აპელანტი მიუთითებს, რომ მოსარჩელე მოითხოვდა მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის მიმდინარე დავალიანების სახით 134 387,33 ლარის დაკისრებას, სასამართლომ კი, მოპასუხეს დააკისრა მოსარჩელის სა-

სარგებლოდ მიმდინარე დავალიანების გადახდა 144 584,97 ლარის ოდენობით.

22. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა 404 007 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ საბოლოოდ შეამცირა 218 338,84 ლარამდე, ამ შემცირებული თანხის ფარგლებში დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა (აღნიშნული უფლება მოსარჩელეს გააჩნია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და 83-ე მუხლების მიხედვით. 83-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის შემცირება, არ მიიჩნევა სარჩელის შეცვლად) და საბოლოოდ მოითხოვა მოპასუხისათვის მიმდინარე დავალიანების სახით 144 594,97 ლარის, ხოლო პირგასამტეხლოს სახით – 73 743,87 ლარის დაკისრება, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილი იყო, ამ ფარგლებში ემსჯელა სარჩელის საფუძვლიანობაზე.

23. სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მის წარმობაშია ორი გავრთიანებული სამოქალაქო საქმე (№2ბ/637-13, რომელზეც მოსარჩელეა შპს „მ-ი“, მოპასუხე – შპს „ა-ი“, დავის საგანი კი – თანხის დაკისრება და №2ბ/5376-13 მოსარჩელე – შპს „ა-ი“, მოპასუხე – შპს „მ-ი“, დავის საგანი – ზიანის ანაზღაურება) და მიიჩნია, რომ პირველ რიგში უნდა განისაზღვროს საკითხები, რომელთაც გააჩნიათ არსებითი მნიშვნელობა შპს „ა-ისა“ და შპს „მ-ის“ სააპელაციო საჩივრებზე დავის სწორად გადანეციისათვის, კერძოდ, უნდა დადგინდეს:

24. შპს „ა-სა“ და შპს „მ-ს“ შორის დადებული 2007 წლის 1 აპრილის „ურთიერთიართვის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე, გააჩნდა თუ არა შპს „ა-ს“ მოსარჩელე შპს „მ-ის“ მიმართ მიმდინარე დავალიანებისა და, ანგარიშსწორების ვადების გადაცილების გამო, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება;

25. რას შეადგენს ამ თანხების ოდენობა;

26. მართებულია თუ არა შპს „ა-ის“ პრეტენზია, პირგასამტეხლოს (47289,34 ლარის) მოთხოვნის ნაწილში შპს „მ-ის“ სარჩელის ხანდაზმულად ცნობის თაობაზე;

27. მიაღმა თუ არა ზიანი შპს „მ-ის“ ქმედებით (შპს „მ-ის“ მიერ საგადასახადო ორგანოში არასწორად გამოწერილი ანგარიშფაქტურების წარდგენა, რამაც განაპირობა საგადასახადო ანგარიშფაქტურებით მიღებული ჩათვლების გაუქმება და აღმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შპს „ა-ისათვის“ ჯარიმისა და საურავის დაკისრება) შპს „ა-ს“ და თუ ზიანი არსებობს, რას შეადგენს მისი ოდენობა.

28. შპს „ა-სა“ და შპს „მ-ს“ შორის დადებული 2007 წლის 1 აპრილის „ურთიერთიართვის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე,

რე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ ხელშეკრულების ფარგლებში განეული მომსახურების ანგარიშსწორების პირობები განისაზღვრა ხელშეკრულების მე-5 მუხლით, რომელიც ცხადყოფს, რომ ვალდებულება უნდა შესრულებულიყო განსაზღვრულ პერიოდებში, – ყოველთვიურად; შესაბამისად, არსებობს პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება და მასზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული შემდეგი მოთხოვნა: ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია; ე.ი. თითოეული შესრულების დარღვევა დამოუკიდებლად წარმოშობს უფლებამოსილი პირის მიერ მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლებას და ეს მოთხოვნა მისი წარმოშობიდან სამი წლის ვადაში უნდა წარედგინოს ვალდებულების დამრღვევ მხარეს. რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადის დანყებას, ამავე კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

29. საქმის მასალებით სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ შპს „მ-ის“ მიერ შპს „ა-ის“ მიმართ სარჩელი აღიძრა 2011 წლის 19 სექტემბერს.

30. ასევე, საქმის მასალებში წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 23 ივლისის №... ფინანსური დასკვნის შესაბამისად, დადგენილია, რომ ურთიერთჩართვის ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ა-ის“ მიერ შპს „მ-ის“ მიმართ გადასახდელი დავალიანების ძირითადი თანხა (მიმდინარე დავალიანება) შეადგენს 144 594,97 ლარს. ამავე დასკვნის თანახმად, ვინაიდან შპს „ა-ის“ მიერ შპს „მ-ისთვის“ თანხის გადახდები ხორციელდებოდა როგორც წინასწარ, ასევე, ვადაგადაცილებით, შესაბამისად, დავალიანების ძირითად თანხას პირგასამტეხლოს სახით ერიცხება 73 743,87 ლარი.

31. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, შპს „ა-ის“ დავალიანება 2007 წლის 10 ივნისიდან 2011 წლის 10 ივნისამდე განვიღო პერიოდში განისაზღვრა სულ 218 338,84 ლარით.

32. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ამავე ფინანსური ექსპერტიზის დასკვნის იმ ნაწილზეც, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს დავალიანების წარმოშობის პერიოდს, რაც უკავშირდება მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტს. ექსპერტიზის დასკვნით ცალსახად დგინდება, რომ მოსარჩე-

ლე შპს „მ-ის“ მიერ შპს „ა-ისადმი“, ვალდებულების ვადაგადაცილების გამო, პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი 73743,87 ლარიდან 47 289,34 ლარის პირგასამტეხლოს მოთხოვნა განეკუთვნება (გამომდინარეობს) 2007 წლის 1 ივნისიდან 2008 წლის 19 სექტემბრამდე პერიოდს, შესაბამისად, რადგან სარჩელი აღიძრა 2011 წლის 19 სექტემბერს, შპს „მ-ის“ სასარჩელო მოთხოვნა პირგასამტეხლოს – 47 289,34 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში, სამოქალაქო კოდექსის 129-ე, 130-ე მუხლების მიხედვით, ხანდაზმულია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

33. აქვე სააპელაციო სასამართლომ სრულად დაეთანხმა შპს „ა-ის“ წარმომადგენლის მოსაზრებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დასახელებული გარემოების მტკიცების ტვირთი არასწორად გაანაწილა. სასამართლომ ამ ნაწილში სარჩელი არ მიიჩნია ხანდაზმულად და აღნიშნა, რომ შპს „ა-ის“ სამტკიცებელი იყო ის გარემოება, რომ მის მიერ წარმოებული გადახედები არ იყო მიმართული ხანდაზმული დავალიანების დასაფარად.

34. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების განსაზღვრის შემდეგ უნდა განსაზღვროს სადავო და უდავო ფაქტები. სადავო ფაქტები მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს წარმოადგენს და მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესიც სწორედ აქ ჰპოვებს გამოვლინებას. სასამართლომ, როგორც საპროცესო საქმიანობის სუბიექტმა, მტკიცების ტვირთი იმგვარად უნდა გაანაწილოს, რომ საფრთხე არ შეექმნას მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი უფლების რეალიზაციას.

35. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპზე უნდა განხორციელდეს, რომლის თანახმადაც, თითოეული მხარე სარგებლობს თანაბარი შესაძლებლობით, განკარგოს ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საპროცესო საშუალებები. ამდენად, სამოქალაქო სამართალწარმოებაში თითოეული მხარის უფლებრივ ტვირთს წარმოადგენს იმ ფაქტების მითითება და დამტკიცება, რომლითაც მხარეებს სურთ დაასაბუთონ საკუთარი სასარჩელო მოთხოვნები ან გააქარწყლონ სასარჩელო მოთხოვნათა დასასაბუთებლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

36. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლებით და მიუთითა, რომ სამოქალაქო საქმის წარმოებისას სასამართლოში შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული პროცესი მხარეებს უფლებებთან ერთად აკისრებს თავისივე ინტე-

რესებისათვის აუცილებელ საპროცესო მოვალეობებს, რომელთა შეუსრულებლობა იწვევს ამავე მხარისათვის არახელსაყრელი შედეგის დადგომას. მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ განსაზღვრონ საქმისათვის არსებითი ფაქტები და თვითონვე მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რომელი მტკიცებულებით უნდა დაადასტურონ ეს ფაქტები.

37. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია და დავის საგანს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოდავე მხარეები, სამეწარმეო სუბიექტები, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან და მიზნებიდან გამომდინარე, იმყოფებოდნენ და კვლავ რჩებიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რასაც ცხადია უკავშირდება ურთიერთმომსახურების და ურთიერთშეთანხმების ფარგლებში სხვადასხვა სახის ფულადი გადახდები და ანგარიშსწორება. შესაბამისად, დავის შემთხვევაში სწორედ მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, რომ არ არსებობს მისი მოთხოვნის ხანდაზმულად ცნობის საფუძველი. აღნიშნული თვალსაზრისით მოპასუხის პოზიცია შემოიფარგლება დავალიანების წარმოშობის პერიოდის მითითება-დადასტურებით. საწინააღმდეგოს დადასტურება კი (რომ მოპასუხე აღიარებდა ხანდაზმულ დავალიანებას და ეტაპობრივად ფარავდა მას), ეკისრება მოსარჩელეს, რაც მან საპროცესო კოდექსის დასახელებული ნორმების დაცვით ვერ უზრუნველყო და მხოლოდ ზეპირი მითითებით შემოიფარგლა.

38. რაც შეეხება შპს „ა-ისათვის“ მიმდინარე დავალიანების – 144 594,97 ლარის გადახდის დაკისრებას, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

39. უპირველესად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებული ოდენობით მოპასუხის მიმდინარე დავალიანების არსებობა მოსარჩელის მიმართ დადასტურებულია საქმის მასალებით – 2011 წლის 23 ივლისის №... ფინანსური დასკვნით. ამასთან, მას არ უარყოფდა არც მოპასუხე შპს „ა-ი“ (მაგრამ მისი შესაგებელი სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში ემყარებოდა იმ არგუმენტს, რომ თავის მხრივ, შპს „ა-ს“ გააჩნდა შპს „მ-ის“ მიმართ მოთხოვნა (ანგარიშფაქტურებით მიღებული ჩათვლების გაუქმებიდან გამომდინარე) და აქედან გამომდინარე აწარმოებდა დასახელებული თანხის გაქვითვას. სწორედ ამ გარემოებაზე მითითებით ახსნა მოპასუხემ მისი მხრიდან მიმდინარე დავალიანების გადაუხდელობა.

40. ზემოაღნიშნული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, საფუძვლიანია შპს „ა-ის“ მხრიდან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, 2008 წლის სექტემბრიდან 2011 წლის ივნისამდე პერიოდზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში

სარჩელის მოთხოვნა. №... ფინანსური დასკვნით ასევე დადგენილია ამ პერიოდის პირგასამტეხლოს ოდენობა და იგი შეადგენს 26 454,53 ლარს.

41. სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის, 361-ე მუხლის მეორე ნაწილის, 417-ე მუხლის, 418-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის მიმართ გადასახდელი მიმდინარე დავალიანებისა და პირგასამტეხლოს ოდენობა და სამართლებრივი საფუძვლები დადასტურებულია, შესაბამისად, შპს „ა-ს“ შპს „მ-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 171 049,5 (მიმდინარე დავალიანება 144.594,97 ლარი + პირგასამტეხლო 26454,53 ლარი) ლარის გადახდა.

42. რაც შეეხება შპს „მ-ის“ სააპელაციო საჩივარს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებაზე, სააპელაციო პალატის შეფასებით, აპელანტის მოთხოვნა ნაწილობრივ საფუძვლიანია.

43. სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

44. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2009 წლის 28 სექტემბრის №მ-796 ბრძანების საფუძველზე აუდიტის დეპარტამენტის გეგმიური შემოწმებების მთავარმა სამმართველომ ჩაატარა შპს „ა-ის“ საქმიანობის გეგმიური გასვლითი საგადასახადო შემოწმება და 2009 წლის 20 ნოემბერს შედგა საგადასახადო შემოწმების შუალედური აქტი, რომლის თანახმად, შპს „ა-ის“ მიმწოდებლების (მათ შორის შპს „მ-ის“) მიერ დღგ-ს ჩათვლაზე ანგარიშფაქტურები შპს „ა-ისათვის“ წარდგენილი იყო კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით, კერძოდ, გადამხდელის მიერ ანგარიშფაქტურის გამოწერის თარიღი წინ უსწრებდა ანგარიშფაქტურის საგადასახადო ორგანოდან გამოტანის თარიღს.

45. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადახდელთა ინსპექციის 2009 წლის 21 დეკემბრის №224 საგადასახადო მოთხოვნით შპს „ა-ს“ დღგ-ს ნაწილში გადასახდელად დაერიცხა 907954.40 ლარი, საიდანაც ძირითადი თანხა შეადგენდა 415 248 ლარს, ჯარიმა – 295 984 ლარს, საურავი – 196 721.40 ლარს.

46. შპს „ა-ის“ გენერალურმა დირექტორმა 2010 წლის 19 თებერვლის №132 წერილით შპს „მ-ს“ შეატყობინა, რომ შპს „ა-ზე“ დღგ-ს თანხების ძირითადი ნაწილის დარიცხვა განპირობებული

ლი იყო შპს „მ-ის“ მიერ კანონის დარღვევით შედგენილი ანგარიშვაქტურების წარდგენით, რის გამოც ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დაერიცხა ძირითადი გადასახადი – 76 517,46 ლარი, ჯარიმა – 38 257 ლარი და საურავი – 46 847 ლარი, სულ – 161 622,46 ლარი.

47. შპს „ა-ის“ გენერალურმა დირექტორმა შპს „მ-ს“ აცნობა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის უწყებას და შპს „ა-ს“ შორის მიმდინარეობდა დავა. ვინაიდან შპს „მ-ის“ მიერ გამოწერილი ანგარიშვაქტურები წარმოადგენდა აღნიშნული დავის საფუძველს, უკანასკნელს სთხოვა ჩართულიყო ამ დავაში მესამე პირად.

48. ამავე წერილით შპს „ა-ამ“ გააფრთხილა მოპასუხე, რომ დავის წაგების შემთხვევაში მოითხოვდა შპს „მ-ისაგან“ ზიანის ანაზღაურებას.

49. შპს „ა-ამ“ მისთვის დარიცხული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის მიზნით, სს „თ-იდან“ სესხის სახით აიღო 500000 ლარი 14%-იანი წლიური სარგებლით. შპს „ა-ის“ მიერ აღებულ სესხზე დარიცხულმა და გადახდილმა სარგებელმა (პროცენტმა) შეადგინა 13 328,34 ლარი.

50. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 992-ე, 408-ე მუხლებით.

51. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახეს დელიქტური ვალდებულება წარმოადგენს. ამგვარი ვალდებულებები არასახელმეკრულებო ვალდებულებათა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც ზიანის მიყენების შედეგად წარმოიშობა. სამოქალაქო კოდექსის ზემოთ მითითებული ნორმა განსაზღვრავს იმ აუცილებელ წინაპირობებს, რომლებიც უნდა არსებობდეს დელიქტური ურთიერთობის წარმოშობისათვის; კერძოდ, უნდა არსებობდეს ზიანი, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

52. ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ ნორმაში მითითებულ კონსტრუქციას. უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია, რომ ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი ემსახურება არა ზიანის მიმყენებლის დასჯას, არამედ იმ დანაკლისის შევსებას, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად სხვა პირს მიადგა. ზიანი შეიძლება გამოიხატოს პირადი ქონების დაზიანებაში ან განადგურებაში, ანდა ისეთ ქმედებაში, როდესაც პირი კარგავს მის კუთვნილ ქონებას ან სხვაგვარად აუარესებს

მის ქონებრივ მდგომარეობას.

53. სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შპს „მ-ის“ ქმედებით შპს „ა-ის“ მიმართ მიყენებული ზიანის ოდენობის გაანგარიშებას.

54. სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება, რომ შპს „მ-ის“ მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის დარღვევის საფუძველზე 2006 წლის 31 დეკემბერს (...), 2006 წლის 31 დეკემბერს (...), 2007 წლის 30 აპრილს (...), 2007 წლის 30 აპრილს (...), 2007 წლის 31 ივლისს (...) და 2007 წლის 31 ივლისს (...) გამოწერილი საგადასახადო ანგარიშფაქტურებით მიღებული ჩათვლების გაუქმებამ განაპირობა საგადასახადო ორგანოს მხრიდან შპს „ა-ის“ დაჯარიმება.

55. პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი მასალების მიხედვით, შპს მ-ის“ ზემოაღნიშნული ქმედების შედეგად შპს „ა-ისათვის“ მიყენებული ზიანის ოდენობამ ჯარიმასა და საურავთან ერთად შეადგინა 161 622 ლარი, ხოლო შპს „ა-ის“ მიერ დაავალიანების დასაფარად აღებულ მიზნობრივ სესხზე დარიცხულმა სარგებელმა – 13 328,34 ლარი.

56. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ შპს „მ-ის“ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების, სააპელაციო სასამართლოში შპს „ა-ის“ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებების მიხედვით, დგინდება შემდეგი გარემოებები:

57. შპს „ა-ა“, საგადასახდო შეთანხმების გაფორმების მიზნით, განცხადებით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურს და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2009 წლის 20 ნოემბრის შემოწმების აქტის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახდო ინსპექციის 2009 წლის 21 დეკემბრის №224 საგადასახდო მოთხოვნით დამატებით გადასახდელად დარიცხული თანხის (საგადასახდო ვალდებულების) გადასახდელად დარჩენილ ნაწილზე საგადასახდო შეთანხმების გაფორმება.

58. დადგენილია, რომ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 აგვისტოს №1043 განკარგულებით საქართველოს საგადასახდო კოდექსის 128² მუხლის საფუძველზე შპს „ა-ის“ მიერ წარდგენილი წინადადებების გათვალისწინებით სსიპ შემოსავლების სამსახურმა შპს „ა-თან“ გააფორმა საგადასახდო შეთანხმების აქტი საგადასახდო ინსპექციის საგადასახდო მოთხოვნით დამატებით გადასახდელად დარიცხული საგადასახდო ვალდებულების ნაწილის შემცირების თაობაზე.

59. შემოსავლების სამსახურის უფროსი აუდიტორის 2015 წლის 4 მარტის წერილობითი ინფორმაციის თანახმად, შპს „ა-ისათვის“ დღგ-ს ნაწილში დამატებით განხორციელებული გადასახადის ძირითადი თანხის და ჯარიმა-საურავის დარიცხვა განპირობებული იყო შპს „მ-ის“ მიერ გამოწერილი ზემოაღნიშნული ექვსი საგადასახადო ანგარიშფაქტურებით განხორციელებული ჩათვლების გაუქმებით.

60. ამავე წერილობით ინფორმაციაში მითითებულია, რომ აღნიშნული დამატებით დარიცხული გადასახადის და ჯარიმა-საურავის თანხები მონაწილეობს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 2009 წლის 21 დეკემბრის №224 საგადასახადო მოთხოვნით განსაზღვრულ საგადასახადო ვალდებულებაში, რომლის შემცირების მიზნითაც, შემოსავლების სამსახურსა და შპს „ა-ს“ შორის 2010 წლის 20 აგვისტოს გაფორმებულია საგადასახადო შეთანხმება.

61. ასევე დადასტურებულია, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა დეპარტამენტის 2010 წლის 3 სექტემბრის №... საგადასახადო მოთხოვნით შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 25 აგვისტოს №1572 ბრძანების საფუძველზე შპს „ა-ს“ შეუმცირდა დამატებით გადასახდელად დარიცხული საგადასახადო ვალდებულება და იგი განისაზღვრა 179998,32 ლარით, რაც შეადგენს საგადასახადო ორგანოს მიერ დღგ-ს ნაწილში დაკისრებული 907 954,40 ლარის 19,82%-ს.

62. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სწორედ ამ პროპორციით (19,82%-ით) უნდა შემცირდეს შპს „ა-ის“ სასარჩელო მოთხოვნა (161 622,46 ლარი) და შპს „მ-ისათვის“ დასაკისრებელი თანხის ოდენობა და იგი უნდა განისაზღვროს 129 588, 89 ლარით. ასევე, ამ პროცენტული გაანგარიშებით (19,82%-ით) უნდა შემცირდეს შპს „ა-ის“ სასარჩელო მოთხოვნა დავალიანების დასაფარად აღებულ მიზნობრივ სესხზე დარიცხულმა სარგებელის (13 328,34 ლარი) ანაზღაურების ნაწილში და იგი უნდა განისაზღვროს 10 686,74 ლარით.

63. ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობს შპს „მ-ის“ მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება (კანონის დარღვევით ანგარიშფაქტურების გამოწერა), შპს „ა-ისათვის“ მიყენებული ზიანი 140 275,63 ლარის ოდენობით (129 588, 89 + 10 686,74 ლარი) და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

64. სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, შპს „ა-ი“ წარმოადგენს უფლებამოსილ პირს, მოსთხოვოს შპს „მ-ს“ ზიანის – 140 275,63 ლარის ანაზღაურება და

გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით, შპს „მ-ს“ უნდა დაეკისროს შპს „ა-ის“ სასარგებლოდ 140 275,63 ლარის გადახდა.

65. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ა-ისათვის“ მოსარჩელის სასარგებლოდ დავალიანების – 144 594,97 ლარისა და პირგასამტეხლოს – 26454,53 ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში შპს „ა-ამ“ გაასაჩივრა საკასაციო ნესით, მოითხოვა მითითებულ ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით დავალიანების ოდენობის – 134 387,33 ლარამდე, ხოლო პირგასამტეხლოს – 17095 ლარამდე შემცირება შემდეგი საფუძვლებით:

66. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ შპს „ა-ისათვის“ 144 584,97 ლარის დაკისრების ფაქტი, ვინაიდან შპს „მ-ის“ სასარჩელო მოთხოვნას შეადგენდა 134 387,33 ლარის ანაზღაურება. სასამართლოს მიერ ხარვეზის დადგენის შედეგად მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა დააზუსტა და კვლავ ანალოგიური ოდენობის თანხის ანაზღაურება მოითხოვა. შესაბამისად, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის დანაწესი და მოპასუხეს დააკისრა იმაზე მეტის გადახდა, ვიდრე ამას მოსარჩელე ითხოვდა.

67. მხარის მოსაზრებით, სააპელაციო პალატას არ მიუთითებია ისეთ მტკიცებულებაზე, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის დაცვით სასარჩელო მოთხოვნის შემცირების ან გაზრდის ფაქტს.

68. კასატორმა აღნიშნა, რომ 2012 წლის 28 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე გამართული პაექრობის დასასრულს მოსამართლის კითხვაზე, აყენებდა თუ არა მოსარჩელე სარჩელს ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, მოსარჩელის წარმომადგენელმა დადებითი პასუხი გასცა, თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, ზრდიდა თუ ამცირებდა სასარჩელო მოთხოვნას. სააპელაციო პალატამ აღნიშნული პასუხი სარჩელის შემცირებად შეაფასა, ფაქტობრივად კი, აღნიშნულის შედეგად სასარჩელო მოთხოვნა გაიზარდა, რისი უფლებაც მოცემულ ეტაპზე მოსარჩელეს არ გააჩნდა. აღნიშნულის თაობაზე კასატორმა მაშინვე დააფიქსირა თავისი უარყოფითი მოსაზრება. ამდენად, მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნა არ გაუზრდია და სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრებინა იმაზე მეტი, ვიდრე ეს უკანასკნელი მოითხოვდა.

69. კასატორმა აღნიშნა, რომ სასარჩელო განცხადებითა და სასამართლოს სხდომებზე მიცემული ახსნა-განმარტებებით შპს

„მ-ი“ მიმდინარე დავალიანებად სხვა თანხებთან ერთად თვლი-
და 2010 წლის სექტემბრიდან 2011 წლის მარტის ჩათვლით შედ-
გენილ საოქმო გადაწყვეტილებებში მითითებულ თანხებს და
შპს „ა-იდან“ ითხოვდა ამ თანხების ანაზღაურებას დარიცხულ
პირგასამტეხლოსთან ერთად.

70. ამ საკითხთან დაკავშირებით მოპასუხე შპს „ა-ამ“ სასა-
მართლოს წარუდგინა მთელი რიგი მტკიცებულებები, საგადა-
სახადო ორგანოების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენ-
ტები, რომლითაც უდავოდ დასტურდება შპს „მ-ის“ ბრალით (სა-
გადასახადო ორგანოში ანგარიშფაქტურების კანონდარღვევით
წარდგენის გამო) შპს „ა-ის“ გადახდილი დღგ-ს თანხის, სულ –
76 517,53 ლარის გაუქმების ფაქტი, რასაც დაემატა საგადასა-
ხადო კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმა-საურავები და შპს
„ა-ს“ საბოლოოდ მოუხდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებ-
ლოდ 161 622.46 ლარის გადახდა. იგი იძულებული გახდა, ბანკი-
დან აელო სესხი და გადაეხადა ამ სესხისთვის გათვალისწინე-
ბული პროცენტი 13 334 ლარის ოდენობით.

71. სასამართლოს წარუდგინა შპს „ა-ის“ მიერ მოსარჩელი-
სათვის გაგზავნილი წერილები, რომლითაც მოპასუხე ატყობი-
ნებდა მოსარჩელეს, რომ შპს „მ-ის“ ბრალით შპს „ა-ზე“ დარიც-
ხულ თანხებთან დაკავშირებით დავა მიმდინარეობდა საგადა-
სახადო ორგანოებში და სთხოვდა, მონაწილეობა მიეღო ამ და-
ვაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შპს „მ-ს“ მოუხდებოდა ამ თან-
ხების გადახდა. შპს „მ-მა“ მოპასუხის აღნიშნული მიმართვა სა-
ერთოდ რეაგირების გარეშე დატოვა, რის გამოც შპს „ა-ა“, სა-
ქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის შესაბამი-
სად, თანხა გაქვითა მხარეთა შორის 2007 წლის 1 აპრილს გა-
ფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებუ-
ლების ანგარიშში. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც,
რომ აღნიშნულ გაქვითვებს შპს „ა-ი“ აწარმოებდა 7 თვის გან-
მავლობაში, რის თაობაზეც ყოველ თვეში ატყობინებდა შპს „მ-
ს“ მხარეთა შორის ანგარიშსწორების ძირითად დოკუმენტებზე
– საოქმო გადაწყვეტილებებზე შესრულებული მინაწერით (რო-
მელიც დადასტურებული იყო შპს „ა-ის“ გენერალური დირექ-
ტორის ხელმოწერითა და მოპასუხის ბეჭდით), მაგრამ ამ მიმო-
წერებით შპს „მ-ს“ არც მითითებული თანხის დაქვითვის პერი-
ოდში და არც შემდეგ – 2011 წლის ივლისამდე არავითარი პრე-
ტენზია არ განუცხადებია.

72. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამარ-
თლომ მიმდინარე დავალიანების სახით დარიცხულ თანხებთან
ერთად შპს „ა-ს“ დააკისრა აღნიშნულ 7 დღეში მის მიერ დარიც-
ხული პირგასამტეხლოც. ამგვარი გადაწყვეტილების მიღება სა-

სამართლომ დაასაბუთა იმით, რომ არ შეუძლია, იმსჯელოს გაქვითვის კანონიერებაზე, ვინაიდან შპს „ა-ს“ ამ საკითხზე შეგებებული სარჩელი არ აღუძრავს. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული გაქვითვის საფუძველზე შპს „ა-ის“ მოთხოვნა შპს „მ-ის“ მიმართ უკვე დაკმაყოფილებული იყო. ასეთ ვითარებაში, ცხადია, შპს „ა-ს“ არ სჭირდებოდა ახალი სარჩელის აღძვრა სასამართლოში და კუთვნილი თანხის განმეორებით მოთხოვნა. თვითონ „მ-ს“ კი გაქვითვის უკანონოდ ცნობაზე სარჩელი არ აღუძრავს.

73. კასატორის მოსაზრებით, უსაფუძლო და კანონსაწინააღმდეგოა სააპელაციო სასამართლოს არგუმენტი, რომ ზემოაღნიშნული 7 თვის მანძილზე დარიცხული პირგასამტეხლო შპს „ა-ამ“ უნდა გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის. ეს გარემოება მით უფროა მხედველობაში მისაღები, რომ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის არსებული ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენებით (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებით ან კანონით. მოცემულ შემთხვევაში საუბარია არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობაზე, არამედ, ზიანის ანაზღაურების მიზნით, თანხის გაქვითვაზე, რაც სრულ შესაბამისობაშია სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლთან. ამდენად, შპს „ა-ს“ არ შეიძლება, დაკისრებოდა არც გაქვითული თანხა და არც მასზე დაკისრებული პირგასამტეხლო. შპს „ა-ისათვის“ პირგასამტეხლოს დაკისრება არასწორი იქნებოდა აღნიშნული გაქვითვის უკანონოდ ცნობის შემთხვევაშიც, რადგან მხარეთა ურთიერთობა ექცევა სამოქალაქო კოდექსის 376-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის რეგულირების რეჟიმში. არც ამავე კოდექსის 378-ე მუხლი არ ითვალისწინებს უკანონოდ მიღებული ქონების დაბრუნებას დარიცხულ პირგასამტეხლოსთან ერთად. ასეთ ვითარებაში სააპელაციო სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, შპს „ა-ის“ მიერ გაქვითულ თანხაზე მოსარჩელე შპს „მ-ის“ მიერ უსაფუძვლოდ დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება შპს „ა-ისათვის“ დაეკისრებინა.

74. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 იანვრის განჩინებით შპს „ა-ის“ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

75. 2016 წლის 11 მარტს მხარეებმა განცხადებით მიმართეს საკასაციო სასამართლოს და მოითხოვეს მათ მიერ განცხადე-

ბაზე თანდართული მორიგების აქტის დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით შპს „ა-ისათვის“ შპს „მ-ის“ სასარგებლოდ დაკისრებული თანხა შემცირდეს 9 780 ლარით და მხარეთათვის დაკისრებული დავალიანებები განისაზღვროს შემდეგნაირად:

2. შპს „ა-ს“ დაეკისროს შპს „მ-ის“ სასარგებლოდ 161,269.00 ლარის გადახდა;

3. შპს „მ-ს“ შპს „ა-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს 140,275.63 ლარის გადახდა;

4. გაიქვითოს შპს „ა-სა“ და შპს „მ-ს“ შორის ზემოაღნიშნული ურთიერთვალდებულებები და გაქვითვის შედეგად, საბოლოოდ, შპს „ა-ს“ შპს მ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს 20,993.37 (ოცი ათას ცხრაას ოთხმოცდაცამეტი ლარი და ოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარის გადახდა;

5. მორიგების ხელშეკრულების მხარეებმა დაადასტურეს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მათ ერთმანეთის მიმართ არ ექნებათ არანაირი სახის პრეტენზია ან ნებისმიერი სხვა მოთხოვნა მოცემული შეთანხმებით დარეგულირებულ საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე, ისეთ საკითხებთან მიმართ, რომლებიც გამომდინარეობს ამ შეთანხმებით გადარეგულირებულ საკითხზე ახლად აღმოჩენილი გარემოებებიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

76. საკასაციო სასამართლო გაეცნო მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა მორიგების დამტკიცების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადარეგულირება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

77. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებულია სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის მნიშვნელოვანი დისპოზიციურობის პრინციპი, რაც უმთავრესად ნიშნავს მხარეთა მიერ საკუთარი ნების საფუძველზე კანონით მათთვის მინიჭებული უფლებების განკარგვას. მათ შორისაა ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული უფლება, მხარეებმა დავის შეწყვეტის მიზნით, მიაღწიონ შეთანხმებას გარკვეულ პირობებზე (მორიგდნენ), რომელიც ორმხრივ მავალდებულებელია და სასამართლოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში ექვემდებარება აღსრულებას.

78. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე წარ-

მოდგენილი მორიგების აქტით განსაზღვრული პირობები გამო-
ხატავს მხარეთა ნებას, რაც დასტურდება სანოტარო წესით და-
მონმებული მორიგების აქტით, ამავდროულად, მორიგების აქ-
ტის შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონს.

79. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მხარეე-
ბისათვის ცნობილია წინამდებარე მორიგების აქტის სასამარ-
თლოს მიერ დამტკიცების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ,
მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო განჩი-
ნების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს მიერ
საქმის წარმოება წყდება და მხარეებს აღარ აქვთ უფლება, გან-
მეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე სა-
ფუძვლით.

80. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“
ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარეთა განცხადებით
ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხა-
რები მორიგდნენ. იმავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწი-
ლის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სა-
სამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარე-
ებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

81. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე
ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მო-
სარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს
ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდე-
ბიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

82. ამდენად, მხარეთა მორიგების საფუძველზე კასატორ შპს
„ა-ს“ სრულად უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბიუჯეტის სა-
სარგებლოდ მის მიერ 2015 წლის 23 სექტემბერს №2576 საგა-
დასახადო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 978 ლა-
რი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-
როცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით, 272-ე მუხლის „დ“
ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობე-
ბით:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით შპს „ა-
ისათვის“ შპს „მ-ის“ სასარგებლოდ დაკისრებული თანხა შემ-

ცირდეს 9 780 ლარით და მხარეთათვის დაკისრებული დავალიანებები განისაზღვროს შემდეგნაირად:

2. შპს „ა-ს“ დაეკისროს შპს „მ-ის“ სასარგებლოდ 161,269.00 ლარის გადახდა;

3. შპს „მ-ს“ შპს „ა-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს 140,275.63 ლარის გადახდა;

4. გაიქვითოს შპს „ა-სა“ და შპს „მ-ს“ შორის ზემოაღნიშნული ურთიერთვალდებულებები და გაქვითვის შედეგად, საბოლოოდ, შპს „ა-ს“ შპს მ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს 20,993.37 (ოცი ათას ცხრაას ოთხმოცდაცამეტი ლარი და ოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარის გადახდა;

5. მორიგების ხელშეკრულების მხარეებმა დაადასტურეს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მათ ერთმანეთის მიმართ არ ექნებათ არანაირი სახის პრეტენზია ან ნებისმიერი სხვა მოთხოვნა მოცემული შეთანხმებით დარეგულირებულ საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე, ისეთ საკითხებთან მიმართ, რომლებიც გამომდინარეობს ამ შეთანხმებით გადაწყვეტილ საკითხზე ახლად აღმოჩენილი გარემოებებიდან.

2. მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს და გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის ყველა გადაწყვეტილება;

3. განემარტოს მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში დაუშვებელია სასამართლოსათვის ხელმოწერედ მიმართვა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით;

4. კასატორ შპს „ა-ს“ (საიდენტიფიკაციო კოდი №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს მის მიერ 2015 წლის 23 სექტემბერს №2576 საგადასახადო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 978 ლარი.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

8. საკანსაცმო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

№ას-85-79-2015

2 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

მოსამართლე ნ. ბაქაქური

დავის საგანი: პროცენტის და პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს მ. „ბ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ზ-სა და მ. ბ-ის მიმართ პროცენტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

მოპასუხე მ. ბ-ემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო, ხოლო ი. ზ-ემ სარჩელი არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით შპს მ. „ბ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ი. ზ-ეს და მ. ბ-ეს შპს მ. „ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ სესხის ძირითადი თანხის – 28 758.78 აშშ დოლარის გადახდა; თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მისი გადახდა უნდა განხორციელებულიყო იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მდებარე: 1) ქ. ბათუმი, კ-ას ქ. №..., ბ. №10, ს/კ 2) ქ. ბათუმი, კ-ას ქ. №..., ბ. №10, ს/კ ... რეალიზაციით; სესხის პროცენტის და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე შპს მ. „ბ-ის“ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს მ. „ბ-მა“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს მ. „ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება სესხის პროცენტისა და პირგასამტეხლოს დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ი. ზ-ეს დაეკისრა შპს მ. „ბ-ის“ სასარგებლოდ 28 758 აშშ დოლარის და 78 ცენტის წლიური 10%-ის გადახდა, 2013 წლის 9 სექტემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე; ი. ზ-ეს დაეკისრა შპს მ. „ბ-ის“ სასარგებლოდ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველდღიურად 11.5 აშშ დოლარის

ოდენობით, 2013 წლის 9 სექტემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მ. ბ-ემ და ი. ზ-ემ შეიტანეს საკასაციო საჩივარი და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ზ-სა და მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე მ. ბ-ის მოთხოვნის ნაწილში უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემული საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის გადასაწყვეტად საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებებზე: საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით შპს მ. „ბ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ი. ზ-ეს და მ. ბ-ეს შპს მ. „ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ სესხის ძირითადი თანხის – 28 758.78 აშშ დოლარის გადახდა; თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მისი გადახდა უნდა განხორციელებულიყო იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მდებარე: 1) ქ. ბათუმი, კ-ას ქ. №..., ბ. № 10, ს/კ 2) ქ. ბათუმი, კ-ას ქ. №..., ბ. №..., ს/კ ... რეალიზაციით; სესხის პროცენტის და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე შპს მ. „ბ-ის“ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ბ-ეს და ი. ზ-ეს სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მხოლოდ შპს მ. „ბ-მა“ მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში. შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება შპს მ. „ბ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ი. ზ-სა და მ. ბ-ის მიმართ შესულია კანონიერ ძალაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს მ. „ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება სესხის პროცენტისა და პირგასამტეხლოს დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა

ახალი გადაწყვეტილება; ი. ზ-ეს დაეკისრა შპს მ. „ბ-ის“ სასარგებლოდ 28 758 აშშ დოლარის და 78 ცენტის წლიური 10%-ის გადახდა, 2013 წლის 9 სექტემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე; ი. ზ-ეს დაეკისრა შპს მ. „ბ-ის“ სასარგებლოდ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველდღიურად 11.5 აშშ დოლარის ოდენობით, 2013 წლის 9 სექტემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრეს ი. ზ-ემ და მ. ბ-ემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 თებერვლის განჩინებით ი. ზ-ის საკასაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და კასატორს დაევალა მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში 1061.006 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარმოდგენა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

რაც შეეხება მეორე კასატორის, მ. ბ-ის მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო მისი მოთხოვნის ნაწილში საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის შესწავლისას ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება არ არის გამოტანილი კასატორ მ. ბ-ის მიმართ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით (მე-3 და მე-4 პუნქტებით) ირკვევა, რომ ი. ზ-ეს დაეკისრა შპს მ. „ბ-ის“ სასარგებლოდ 28 758 აშშ დოლარის და 78 ცენტის წლიური 10%-ის გადახდა, 2013 წლის 9 სექტემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე; ი. ზ-ეს დაეკისრა შპს მ. „ბ-ის“ სასარგებლოდ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველდღიურად 11.5 აშშ დოლარის ოდენობით, 2013 წლის 9 სექტემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისთვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო მხარის გან-

ცხადებით ან თავისი ინიციატივით განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სარჩელი (განცხადება) დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება.

განსახილველ შემთხვევაში ვინაიდან საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება არ არის გამოტანილი მ. ბ-ის მიმართ, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი არ იყო უფლებამოსილი გაესაჩივრებინა აღნიშნული სასამართლო აქტი. მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც სადავო გადაწყვეტილება მის მიმართ შესულია კანონიერ ძალაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს მ. ბ-ის საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წინაპირობები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩეს განუხილველად;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

9. საქმის წარმოების შეჩერება

განჩინება

№ას-624-591-2015

22 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: შესრულებული სამუშაოს აღიარება და ავანსიდან გამოკეცვითვა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ნ. ქ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „ე-ა ...-ის“ მიმართ და მოითხოვა შესრულებული სამუშაოს აღიარება და ავანსიდან გამოკეცვითვა. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „ნ. ქ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; აღიარებულ იქნა შპს „ნ. ქ-ის“ მიერ შესრულებული სამუშაო ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მიმართ 486 78 ლარზე დღეს ჩათვლით და გამოიქვითა ავანსიდან, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ნ. ქ-მა“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 მაისის განჩინებით შეჩერდა შპს „ნ. ქ-ის“ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებული სამოქალაქო საქმის წარმოება საქმე №2/ბ-40-15 სამოქალაქო საქმე №2/ბ-954-14-ის გადაწყვეტამდე შპს „ნ. ქ-ის“ სარჩელის გამო, ქ. ფოთის თვითმმართველი მერიისა და მესამე პირის შპს „ე-ა ...-ის“ მიმართ, სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ამავე მხარეთა შორის, ამავე სახელშეკრულებო ურთიერთობაზე ნაწარმოებია სამოქალაქო საქმე, რომლის განხილვის საგანსაც წარმოადგენს მხარეთა შორის სადავო ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება, (რო-

მელი ხელშეკრულების შეწყვეტის გამოც ითხოვს შპს „ნ. ქ-ი“ მოპასუხისათვის თანხების დაკისრებას.

იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ერთ, ისე მეორე დავაში ერთი და იგივე მხარეები მონაწილეობენ, რაც შემთხვევებში ორივე დავაში სადავოა ერთი და იგივე ფაქტობრივი გარემოებები, ერთი და იგივე ხელშეკრულებიდან (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №197 ხელშეკრულება) გამომდინარე, პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წინამდებარე დავის შეჩერება მანამ, სანამ არ იქნებოდა საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული №2/ზ-954-14ნ. სამოქალაქო საქმეზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შპს „ნ. ქ-ის“ სარჩელით ქალაქ ფოთის თვითმმართველი მერიისა და მესამე პირის შპს „ე-ა ...-ის“ მიმართ მხარეთა შორის სადავოა ხელშეკრულების შეწყვეტის კანონშესაბამისობის საკითხი. თუ კანონშესაბამისად იქნება მიჩნეული მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა, პალატის აზრით, შპს „ნ. ქ-ის“ სარჩელს მოპასუხისათვის თანხის დაკისრების თაობაზე (ანუ წინამდებარე დავას) გარკვეულნილად საფუძველი გამოეცლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია სამოქალაქო საქმე №2/-40-15-ის წარმოების შეჩერება, შპს „ნ. ქ-ის“ სარჩელთან დაკავშირებით, ქალაქ ფოთის თვითმმართველი მერიის მიმართ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საქმე №2/-954-14-ზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი დასაბუთებით:

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, განსახილველი საქმის წარმოების შეჩერება ზიანს მიაყენებს ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას, ამასთან, ეს დავა არ არის კავშირში იმ სამოქალაქო საქმესთან, სადაც უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის კანონშესაბამისობის საკითხი.

საჩივრის ავტორის განმარტებით, შპს „ე-ა ...-ის“ მიმართ, რომელიც №2/-954-14 სამოქალაქო საქმეში წარმოადგენდა ქვეკონტრაქტორს, ასრულებდა სამუშაოებს და საქმეში ჩართული იყო მესამე პირად, აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე და გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, სადაც ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია დაზარალებულად არის ცნობილი.

ამასთან, ქ. ფოთში, სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოე-

ბის შესყიდვასთან დაკავშირებით ახალი ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა 2014 წლის 10 ოქტომბერს. ტენდერი დასრულდა 2014 წლის 31 ოქტომბერს და გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ს. კ. კ. ხ-ი“. გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულება დაიდო 2014 წლის 3 დეკემბერს და კომპანია შეუდგა მუშაობას.

ამრიგად, კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ არ არსებობდა მოცემული საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. ფოთის მერიის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, გასაჩივრებული განჩინებით დაკმაყოფილდა შპს „ნ. ქ-ის“ წარმომადგენლის გ. ნ-ის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ და მოცემულ საქმეზე შეჩერდა წარმოება №2/-954-14 სამოქალაქო საქმის გადაწყვეტამდე, შპს „ნ. ქ-ის“ სარჩელის გამო, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისა და მესამე პირის შპს „ე-ა ...-ის“ მიმართ, სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო

სასამართლომ საქმე შეაჩერა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეჩერების წინაპირობების დარღვევით შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული საფუძვლით საქმის წარმოების შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა საქმეთა შორის ისეთი აუცილებელი კავშირი, რაც შეჩერების ღონისძიების გამოუყენებლობის პირობებში ობიექტურად შეუძლებელს გახდის სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის განხილვას. საქმის წარმოების შეჩერება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა საქმეზე გამოცანილ გადაწყვეტილებას შეიძლება მიეცეს პრეიუდიციული მნიშვნელობა სასამართლოს განხილვაში არსებული საქმის გადაწყვეტისას. აქედან გამომდინარე, საქმის წარმოების შეჩერებამდე, სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს, რა კავშირი არსებობს მის მიერ განსახილველ საქმესა და იმ საქმეს შორის, რომელიც სხვა სასამართლოს მიერ განიხილება, კერძოდ, გამომდინარეობს თუ არა ისინი ერთი და იგივე ფაქტობრივი საფუძვლებიდან და სამართლებრივი ურთიერთობიდან.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ დავის საგანია შპს „ნ. ქ-ის“ მიერ შესრულებული სამუშაოს აღიარება ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ და ავანსიდან გამოქვითვა. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლად მითითებული №2ბ/-954-14 საქმის დავის საგანი კი, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, არის მხარეთა შორის სადავო ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული საქმის (№2ბ/-954-14) დასრულებამდე უნდა შეჩერებულიყო განსახილველი დავა, ვინაიდან №2ბ/-954-14 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება გავლენას იქონიებდა მის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე. თუმცა სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ რაში მდგომარეობს სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში არსებული №2ბ/-954-14 სამოქალაქო საქმის განხილვამდე მოცემული სამოქალაქო საქმის განხილვის შეუძლებლობა, რა კავშირია მოცემულ საქმეებს შორის, გამომდინარეობენ თუ არა ისინი ერთი და იმავე ფაქტობრივი საფუძვლებიდან და სამართლებრივი ურ-

თიერთობიდან. უფრო მეტიც, საქმეში არ მოიპოვება არც ერთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ სააპელაციო სასამართლოს წარმომებაში ნამდვილად არის სამოქალაქო საქმე №2ბ/-954-14. სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ განჩინებას (საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე) ერთვის იმავე რიცხვით (2015 წლის 14 მაისით) დათარიღებული განცხადება, რომლითაც ირკვევა, რომ მოსამართლის თანაშემწემ ამავე სასამართლოს მოსამართლე დ. გ-ისაგან გამოითხოვა სამოქალაქო საქმე №2ბ/-954-14 დროებით სარგებლობის მიზნით. ამდენად, გაუგებარია, რა მტკიცებულებას დაეყრდნო სააპელაციო პალატა საქმის წარმოების შეჩერებისას იმ პირობებში, როდესაც განჩინების გამოტანისას მის ხელთ არ იყო რაიმე სახის დოკუმენტი, რაც დაადასტურებდა განსახილველი საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლიანობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, ამ განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია. შუამდგომლობის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სადავო საკითხის დამადასტურებელ მტკიცებულებათა საფუძველზე უნდა იმსჯელოს წარმოდგენილი საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლიანობაზე და თავისი დასკვნები დაასაბუთოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 მაისის განჩინება და საქმის შეჩერების თაობაზე შუამდგომლობის განხილვის სტადიიდან საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

10. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

№ას-107-100-2015

26 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: უფლების განხორციელება, ზიანის ანაზღა-
ურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ტ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გორის მუნიციპალი-
ტეტის მერიის მიმართ უფლების განხორციელებისა და ზიანის
ანაზღაურების თაობაზე.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო.

გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 18 ივნისის დაუს-
წრებელი გადაწყვეტილებით გ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება
საჩივრით გაასაჩივრა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ.

გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 25 სექტემბრის
განჩინებით გორის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივარი არ დაკ-
მაყოფილდა. ძალაში დარჩა გასაჩივრებული გორის რაიონული
სასამართლოს 2014 წლის 18 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვე-
ტილება.

რაიონული სასამართლოს განჩინება სააპელაციო წესით გა-
ასაჩივრა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2014 წლის 15 დეკემბრის განჩინებით გორის მუნი-
ციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი დაუშვებლობის გა-
მო დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ გო-
რის რაიონულ სასამართლოში 2014 წლის 25 სექტემბერს გა-
მართულ სასამართლო სხდომას ესწრებოდნენ აპელანტის წარ-
მომადგენლები – მ. ს-ი და თ. მ-ი, რომელთაც იმავე სასამარ-
თლო სხდომაზე ეცნობათ განჩინების სარეზოლუციო ნაწილი
და განემარტათ განჩინების ჩაბარებისა და გასაჩივრების წესი.
სასამართლომ ასევე დადგინილად მიიჩნია, რომ დასაბუთებუ-

ლი განჩინება აპელანტის წარმომადგენელმა ჩაიბარა ხელზე 2014 წლის 6 ნოემბერს, ხოლო მის მიერ განჩინების ჩაბარების მიზნით სასამართლოსთვის უფრო ადრე მიმართვა საქმის მასალებით არ დგინდებოდა.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ვინაიდან განჩინების გამოცხადების თარიღი მოპასუხის (აპელანტის) წარმომადგენლებისათვის – განჩინების გასაჩივრების უფლების მქონე პირებისათვის ცნობილი იყო, წარმომადგენლები ვალდებული იყვნენ განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადებულიყვნენ სასამართლოში და ჩაებარებინათ განჩინების ასლი. რადგან მათ არ მიუშართათ სასამართლოსთვის გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლით განსაზღვრულ ვადაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს – 2014 წლის 25 ოქტომბერს და გასაჩივრების ვადა ამოიწურა 2014 წლის 7 ნოემბერს. სააპელაციო საჩივარი კი წარდგენილია 2014 წლის 10 ნოემბერს, დადგენილი ვადის დარღვევით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გორის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია 2014 წლის 25 სექტემბერს. განჩინების გამოტანიდან 30-ე დღე არის 25 ოქტომბერი, 25 ოქტომბრიდან მე-14 დღე კი 8 ნოემბერი. ვინაიდან 8 ნოემბერი დაემთხვა დასვენების დღეს გორის მუნიციპალიტეტის მერიამ სააპელაციო საჩივარი წარადგინა სამუშაო დღის მომდევნო დღეს, 2014 წლის 10 ნოემბერს. ამრიგად, კერძო საჩივრის ავტორის აზრით, დაცულია გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სა-

სამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ მას გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადა არ დაურღვევია.

გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას სააპელაციო სასამართლო ახდენს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორი, მისი წარმომადგენლების სახით ესწრებოდა 2014 წლის 25 სექტემბრის სასამართლო სხდომას და აღნიშნულ სხდომაზე განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა დაიწყო 2014 წლის 25 ოქტომბრიდან (გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს) და ამოიწურა 2014 წლის 7 ნოემბერს. საქმის მასალებით კი დადგენილია, რომ სააპელაციო საჩივარი წარდგენილი იქნა 2014 წლის 10 ნოემბერს. აღნიშნულის სამართლებრივ დასაბუთებას სააპელაციო სასამართლო ახდენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60.2 მუხლის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, 61.3 მუხლისა და 259¹-ე მუხლის საფუძველზე.

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ აპელანტი მხარისათვის ცნობილი იყო 2014 წლის 25 სექტემბერს სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის თაობაზე, თუმცა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადის დენის დაწყებასთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცემის მომენტიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას

ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადის დენის ათვლა, 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, დაიწყო 2014 წლის 25 ოქტომბრიდან, ანუ 30-ე დღიდან, რაც ეწინააღმდეგება იმავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესს, რომლის თანახმადაც, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის თანახმად, გასაჩივრების მსურველ მხარეს გააჩნია არა უფლება, არამედ ვალდებულება ჩაიბაროს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება მხოლოდ უშუალოდ მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის შინაარსი არ შეიძლება გაგებულ იქნეს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გარეშე. განსახილველი ნორმა ანესრიგებს გასაჩივრების უფლების წარმოშობის წინაპირობებს, ხოლო გასაჩივრების ვადის დენის დაწყებას კი ანესრიგებს იმავე კოდექსის 60-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი (იხ. სუს დიდი პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის განჩინება №ას-1161-1106-2014).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე მითითებით საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ სასამართლოს მიერ პროცედურული წესის, განსაკუთრებით კი გასაჩივრების უფლების გამოყენების ვადების

განსაკუთრებით მკაცრმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა ხელყოს სასამართლოსადმი წვდომის უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მართალია „სასამართლო უფლება“, განსაკუთრებით სასამართლოსადმი წვდომის უფლება არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება ნაგულისხმევ შეზღუდვებს, თუმცა ამ შეზღუდვებმა არ უნდა შეზღუდონ მოსარჩელის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა იმ სახით და იმ დონემდე, რომ მან გავლენა იქონიოს სასამართლო უფლების არსზე. შეზღუდვები აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფს მხოლოდ მაშინ, თუ აქვს დასახული ლეგიტიმური მიზანი და თუ არის დაცული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებასა და დასახულ მიზანს შორის (Liakopoulou v. Greece, 20627/04, §17, 2006, ECHR).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლი, როგორც სპეციალური ნორმა, რომელიც გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლის მომენტად მისი გამოცხადებიდან 30-ე დღეს განსაზღვრავს, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-ე მუხლი კი მიიჩნია ზოგად ნორმად, რომელიც მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც იმავე კოდექსის სპეციალური ნორმა განსხვავებულ ქცევის წესს არ ადგენს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის განმარტება უნდა მოხდეს ამავე კოდექსის მე-60 მუხლის დანაწესის გათვალისწინებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლი აწესრიგებს ამავე კოდექსის სხვადასხვა ინსტიტუტებით გათვალისწინებული საპროცესო ვადის დენის დასაწყისის მომენტს და, შესაბამისად, ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლით დადგენილ ვადებზეც.

პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლით განსაზღვრულ გასაჩივრების წესს საფუძვლად უდევს გადაწყვეტილების ჩაბარების ინსტიტუტი, კერძოდ, სასამართლო შეტყობინების (უწყების) ჩაბარების მსგავსად, გასაჩივრების უფლების მქონე მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებაში იგულისხმება როგორც უმუშაოდ ამ მხარისათვის (ან მისი წარმომადგენლისათვის) გადაწყვეტილების ჩაბარება, ასევე ამ გადაწყვეტილების ჩაბარების პრეზუმფცია, რომელიც მიუთითებს, რომ გასაჩივრების უფლების მქონე მხარემ ჩაიბარა გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის დათქმა იმის შესახებ, რომ „წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს“, მიგვიითებებს პრეზუმფციაზე, რომლის თანახმად, კანონი ადგენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს დაინტერესებული მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებისათვის. აღნიშნული ფაქტი უკავშირდება საპროცესო მოქმედების შესრულების ზუსტ კალენდარულ თარიღს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილი), რომლის ათვლის საპროცესო წესი მოცემულია ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილით.

შესაბამისად, გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების ინსტიტუტი მოიცავს, როგორც უშუალოდ დაინტერესებული მხარისათვის (ან მისი წარმომადგენლისათვის) გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებას, ასევე ამ ჩაბარების ფაქტის არსებობის პრეზუმფციასაც, რაზეც ვრცელდება საპროცესო ვადის გამოთვლის ერთიანი საპროცესო წესი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლი).

ამრიგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტმა მხარემ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დენის დასაწყისად სწორად მიიჩნია 2014 წლის 26 ოქტომბერი და ამ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის წარდგენის ბოლო დღე არის 2014 წლის 8 ნოემბერი. ვინაიდან 8 ნოემბერი იყო არასამუშაო დღე (შაბათი), სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა ამოიწურა მომდევნო სამუშაო დღეს, ანუ 10 ნოემბერს, როცა წარდგენილ იქნა კიდევ სააპელაციო საჩივარი, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.2 მუხლის თანახმად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გორის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი დაკმა-

ყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 დეკემბრის განჩინება და საქმე გორის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების სტადიიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

ბანჩინება

№ას-930-880-15

30 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ს-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. შ-სა და ვ. კ-ის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დადგენის თაობაზე.

2. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით მ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ს-მა.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ივლისის განჩინებით მ. ს-ის სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებაზე დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

6. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

7. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება მ. ს-ს ჩაბარდა 2015 წლის 26 ივნისს. სააპელაციო საჩივარი კი მან ბათუმის საქალაქო სასამართლოში ფოსტის მეშვეობით გააგზავნა 2015 წლის 14 ივლისს.

8. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-61-ე, 259¹-ე, 369-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ ვინაიდან მ. ს-მა გადაწყვეტილების ასლი ჩაიბარა 2015 წლის 26 ივნისს, მისთვის გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისთვის დადგენილი 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2015 წლის 27 ივნისს და ამოიწურა 2015 წლის 9 ივლისს 24:00 საათზე. ამდენად პალატამ მიიჩნია, რომ 2015 წლის 14 ივლისს საფოსტო განყოფილებისათვის ჩაბარებული სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი.

9. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. ს-მა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

10. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო საჩივრის წარდგენისთვის დადგენილი ვადების გამოთვლისას ერთმანეთში აქვს არეული საფოსტო გზავნილის თბილისში ჩაბარების დღე (10 ივლისი) და გზავნილის ბათუმის საფოსტო განყოფილების მიერ მიღების დღე (14 ივლისი). საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივარი მან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ფოსტის მეშვეობით გააგზავნა არა 2015 წლის 14 ივლისს, როგორც ამას სააპელაციო სასამართლო უთითებს, არამედ იმავე წლის 10 ივლისს, რაც დასტურდება მის მიერ წარდგენილი გზავნილის მიღების დოკუმენტებით.

სამოტივაციო ნაწილი:

11. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ს-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

12. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი,

რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

13. საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ მას გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადა არ დაურღვევია.

14. გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას სააპელაციო სასამართლო ახდენს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორს, მ. ს-ს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება ჩაბარდა 2015 წლის 26 ივნისს. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დენა დაიწყო 2015 წლის 27 ივნისს და ამოიწურა 9 ივლისს 24:00 საათზე, ხოლო აპელანტმა სააპელაციო საჩივარი ფოსტის მეშვეობით გააგზავნა 2015 წლის 14 ივლისს.

15. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება და კერძო საჩივრის ავტორიც არ ხდის სადავოდ იმ გარემოებას, რომ მან ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 29-ე დღეს, 2015 წლის 26 ივნისს და პირადად ჩაიბარა აღნიშნული დაწყვეტილება, შესაბამისად 14 დღიანი გასაჩივრების ვადის დენა მისთვის დაიწყო 2015 წლის 27 ივნისიდან და დასრულდა 2015 წლის 10 ივლისს. ამრიგად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახულ დასკვნას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა მ. ს-ს ამოიწურა 2015 წლის 9 ივლისს 24:00 საათზე.

16. პალატა ასევე არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ აპელანტმა მ. ს-მა სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩააბარა 2015 წლის 14 ივლისს.

17. საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ, სააპელაციო საჩივარზე დართული საფოსტო კონვერტით ირკვევა, რომ მ. ს-მა სააპელაციო საჩივარი საქართველოს ფოსტის თბილისის ფილიალს ჩააბარა 2015 წლის 10 ივლისს, ხოლო აღნიშნული კონვერტის მეორე მხარეს დასმული ფოსტის ბეჭდით ირკვევა, რომ საქართველოს ფოსტის ბათუმის ფილიალს გზავნილი გადაეცა იმავე წლის 14 ივლისს.

18. საკასაციო სასამართლომ დამატებით შეისწავლა მ. ს-ის კერძო საჩივარზე დართული საქართველოს ფოსტის შეტყობინებები საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ და მიიჩნევს,

რომ აღნიშნული დოკუმენტებით ასევე დასტურდება მ. ს-ის მიერ საქართველოს ფოსტის თბილისის ფილიალისთვის გზავნილის 2015 წლის 10 ივლისს ჩაბარის ფაქტი. ამავე დოკუმენტებით ირკვევა, რომ საქართველოს ფოსტის ბათუმის განყოფილებას გზავნილი გადაეცა 2015 წლის 14 ივლისს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ იგი მიიღო იმავე წლის 15 ივლისს. ამრიგად, საკასაციო სასამართლო თელის, რომ მ. ს-მა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო საჩივრით მიმართა კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადის დაცვით.

19. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი საფუძვლიანია და არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ს-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ივლისის განჩინება და საქმე მ. ს-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

№ას-1180-1110-2015

15 დეკემბერი 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ა. ქო-ემ (შემდგომში: „მოსარჩელე, აპელანტი ან კერძო საჩივრის ავტორი“) სარჩელი აღძრა მა-ე კო-ის (შემდგომში „პირველი მოპასუხე, ან პირველი მონინალმდეგე მხარე“) და ირ-აკე-ის მიმართ (შემდგომში „მეორე მოპასუხე“ ან „მეორე მონინალმდეგე მხარე“) მიმართ და მოითხოვა: ა) 2013 წლის 15 იანვრის მხარეთა შორის ვალის სანაცვლოდ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემისა და მისი გამოსყიდვის უფლების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა. ბ) 2011 წლის 6 ივნისს მხარეთა შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით წარმოშობილი ვალდებულების 15 220.00 აშშ დოლარით განსაზღვრა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

5. პალატამ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველად მიუთითა აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის დარღვევაზე. (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის 369-ე მუხლი).

5.1 პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება აპელანტის წარმომადგენელს ჩაპბარდა 2015 წლის 31 ივლისს, გადაწყვეტილების გასაჩივრების

14 დღიანი გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2015 წლის 1 აგვისტოს და ამოიწურა 2015 წლის 14 აგვისტოს. აპელანტმა კი, სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2015 წლის 27 აგვისტოს, გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევით.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა აპელანტმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

7. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო საჩივარი ფოსტას – შპს „სნ-ს“ (შემდგომში „ფოსტა“) ჩააბარა 2015 წლის 11 აგვისტოს (სსსკ-ის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილი), რაც დასტურდება – ფოსტის მხრიდან ხელმოწერით დადასტურებული, საფოსტო გზავნილისა და ფოსტაზე ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტით (ბინის №1066), ასევე, 2015 წლის 8 ნოემბრის განცხადებაზე ფოსტის – წერილობითი პასუხით. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო საჩივარი საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით და განსაზღვრულ ვადაში წარადგინა და არ არსებობდა მისი განუხილველად დატოვების სამართლებრივი საფუძველი.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ნოემბრის განჩინებით კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

9. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

10. სსსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

11. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია სააპელაციო პალატის მიერ სააპელაციო საჩივრის ვადის დარღვევით შეტანის გამო განუხილველად დატოვების კანონიერება.

13. საქმის მასალებით ირკვევა, რომ გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა იმ საფუძვლით, რომ აპელანტმა საჩივარი შეიტანა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის

შეტანის 14-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2015 წლის 1 აგვისტოს და ამოიწურა ამავე წლის 14 აგვისტოს, ხოლო, სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა 2013 წლის 27 აგვისტოს.

14. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მან საპროცესო ნორმების სრული დაცვით წარადგინა სააპელაციო საჩივარი. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად წარმოადგინა საფოსტო გზავნილისა და ფოსტაზე ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი – (ბინის №1066), ასევე, ფოსტის დირექტორის წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩააბარა 2015 წლის 11 აგვისტოს, საფოსტო გზავნილის (წარმოდგენის, ჩაბარებისა და გაგზავნის) დამადასტურებელი დოკუმენტის ეგზემპლარი – ბინის მანდენტიფიცირებული ნომრით – 1066, გადაეცა აპელანტს, სასამართლოს და ერთი ინახება ფოსტაში.

15. სსკ-ის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

16. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მტკიცებულება, რომელსაც კერძო საჩივრის ავტორი, სააპელაციო საჩივრის ვადის დარღვევით წარდგენის გამომრიცხავ ფაქტად მიიჩნევს, მართალია საქმის მასალებს დადგენილი წესით არ ახლავს, თუმცა სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთ ასლს, რომელიც განკუთვნილია მოწინააღმდეგე მხარისთვის გადასაცემად, (სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ) თან ერთვის ფოსტის კონვერტი, სადაც აღნიშნულია აპელანტის მიერ საფოსტო გზავნილის ჩაბარების თარიღი „11.08.2015“ და ნომერი „1066“. შესაბამისად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარზე დართული მტკიცებულებები და ზემოაღნიშნული დოკუმენტები ცალსახად ადასტურებს სააპელაციო საჩივრის ვადაში გაგზავნის ფაქტს, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების წინაპირობას წარმოადგენს.

18. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა

დამატებითი გამოკვლევა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ განწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

19. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ სააპელაციო საჩივარი კანონმდებლობის სრული დაცვით ნარედგინა სააპელაციო პალატას. ამდენად, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ქო-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 სექტემბრის განჩინება და საქმე ა. ქო-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

11. სააკველაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადანყვიბილება აკველანტის არასაკველაციო მიჯნით გამოუცხადებლობის გამომ

განჩინება

№ას-72-66-2015

30 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება, იპო-
თეკის საგნის რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
კოლეგიას სარჩელით მიმართა სს „მ. კ-მა“ მოპასუხეების: მ. ს-
ას, გ. თ-ისა და რ. მ-ის მიმართ და მოითხოვა:

1. მ. ს-ასა და გ. თ-ისათვის მის სასარგებლოდ სოლიდარუ-
ლად 44860.28 აშშ დოლარის, მათ შორის: ძირითადი თანხის –
25000 აშშ დოლარის, პროცენტის – 1505.32 აშშ დოლარის და
პირგასამტეხლოს – 18354.96 აშშ დოლარის დაკისრება;

2. გ. თ-ისათვის მის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით
ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2013 წლის 3 აპრილიდან
ვალდებულების შესრულებამდე, მაგრამ არა უმეტეს 1 წლის
ვადით, საერთო თანხის – 25000 აშშ დოლარის 0.1%-ის, ყოველ-
დღიურად 2.5 აშშ დოლარის დაკისრება;

3. ფულადი დავალიანების დაფარვის მიზნით სს „მ. კ-ის“ სა-
სარგებლოდ იპოთეკით დატვირთული, რ. მ-ის საკუთრებაში არ-
სებული უძრავი ქონების – ქ.თბილისში, ყ-ას №35-ში მდებარე
№1 ბინის სარეალიზაციოდ მიქცევა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
კოლეგიის 2014 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით:

1. სს „მ. კ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
2. გ. თ-სა და მ. ს-ას სს „მ. კ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარუ-
ლად დაეკისრათ 28340.81 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც ძი-
რითადი თანხა 25000 აშშ დოლარს, პროცენტი 1505.32 აშშ დო-
ლარს, პირგასამტეხლო 1835.49 აშშ დოლარს შეადგენდა;
3. სარჩელი არ დაკმაყოფილდა გ. თ-ისა და მ. ს-ასათვის პირ-

გასამტეხლოს სახით 16519.46 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში;

4. გ. თ-ს სს „მ. კ-ის“ სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით დაეკისრა ყოველდღიურად 2013 წლის 3 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, მაგრამ არა უმეტეს 1 წლის ვადით, 0.5 აშშ დოლარის გადახდა;

5. ფულადი დავალიანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიექცა სს „მ. კ-ის“ სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული, რ. მ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – ქ.თბილისში, ყ-ას №35-ში მდებარე ...კვ.მ ფართის მქონე №1 ბინა.

პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ს-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით:

1. მ. ს-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა აპელანტის გამოუცხადებლობის გამო;

2. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს საჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მონინალმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას – 2014 წლის 23 სექტემბერს, გამოცხადდა მონინალმდეგე მხარის – სს „მ. კ-ის“ წარმომადგენელი თ. ე-ე. ამასთან, ამავე სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი – მ. ს-ა, რომელსაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დღისა და ადგილის თაობაზე და რომელსაც სასამართლოსათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი. მონინალმდეგე მხარის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე უნდა მიღებულიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უა-

რის თქმის შესახებ.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე მ. ს-ამ შეიტანა საჩივარი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ნოემბრის განჩინებით:

1. მ. ს-ას საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

2. უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად იმ გარემოებაზე მიუთითებდა, რომ უწყებაში მითითებული თარიღი „23“ ძალიან ნააგავს „29-ს“, რის გამოც აპელანტის შვილმა, რომელსაც უშუალოდ ჩაბარდა შეტყობინება, თარიღი „23“ აღიქვა „29-ად“ და შეცდომით შეატყობინა დედას (აპელანტს), რომელსაც უწყება პირადად არ უნახავს. აპელანტმა, თავის მხრივ, შეცდომით შეატყობინა წარმომადგენელს.

სააპელაციო სასამართლომ, საჩივრის ავტორის ზემოთ მოყვანილი მსჯელობა დამაჯერებლად არ მიიჩნია, ვინაიდან საქმეში არსებული მ. ს-ასათვის გაგზავნილი უწყების ასლიდან ცალსახად ირკვეოდა, რომ სხდომის თარიღი „23“ ოქტომბერი იყო და ეს თარიღი ვიზუალური აღქმის კუთხით არანაირ სიძნელეს არ ქმნიდა. ამ მოცემულობაში ის ფაქტი, რომ აპელანტის შვილმა უწყებაში მითითებული სხდომის დრო სწორად ვერ აღიქვა, აპელანტს შეცდომით შეატყობინა სხდომის თარიღი და ამ უკანასკნელს უწყება პირადად არ უნახავს, არ წარმოადგენდა აპელანტის გამოუცხადებლობის საპატიოობის დამადასტურებელ გარემოებას და შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძველოდ მიიჩნია საჩივრის ავტორის არგუმენტი იმის შესახებ, რომ სასამართლომ შეტყობინება გაუგზავნა მხოლოდ მხარეს და სხდომის თაობაზე წარმომადგენლისათვის არ უცნობებია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გაგზავნოს უწყება და არ არის ვალდებული დაიცვას თანმიმდევრობა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ საჩივრის ავტორის ეს არგუმენტი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად არ განიხილა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საჩივრის ავტორის მესამე არგუმენტს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმე-

ბის თაობაზე წარმოადგენდა ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მთავარ სხდომაზე მეორე მოპასუხის – რ. მ-ის გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული, რის გამოც მასზე ვერ გავრცელდებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლის დანაწესი გადაწყვეტილების ჩასაბარებლად სასამართლოში გამოცხადების ვალდებულების თაობაზე და მას გაშვებული არ ჰქონდა გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება წარმოადგენს ერთგვარ პროცესუალურ სანქციას იმ პირის მიმართ, რომელიც განსაზღვრულ ვადაში არ წარადგენს შესაგებელს ან არ გამოცხადდება სხდომაზე არასაპატიო მიზეზით. ასეთ დროს, გადაწყვეტილების გამოტანა ხდება დადგენილად მიჩნეული გარემოებების მატერიალურ კანონმდებლობასთან ფორმალური შესაბამისობის კვლევის საფუძველზე, ისე, რომ სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, არ აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს და საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სარჩელში მიითვებული გარემოებები დადგენილად მიიჩნევა და ხდება მხოლოდ დადგენილი გარემოებებისა და სარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი დასაბუთების შემოწმება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილება მ. ს-ას სააპელაციო საჩივარზე გამოტანა ამ უკანასკნელის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის საფუძველზე და საჩივრის ავტორის მესამე არგუმენტი სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი ვერ გახდებოდა.

სააპელაციო სასამართლოს როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ისე მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინება, საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ს-ამ.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლი, რომელიც თავდებობის ნამდვილობისათვის, თავდებობის ხელშეკრულებასთან ერთად, მოითხოვს თავდების წერილობით თანხმობას, რომელიც საქმეში არ არის წარმოდგენილი. ასეთ ვითარებაში, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სარჩელის მოთხოვნას, რის გამოც არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.

მეორე მოპასუხე, რ. მ-ი, სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, არ ყოფილა მინვეული საქმის განხილვაზე, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს მას ჯერ კიდევ ჰქონდა სააპელაციო საჩივრის წარდგენის უფლება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული არგუმენტი არ გაითვალისწინა, თუმცა – რა მოტივით, განჩინებაში ჯეროვნად არ დაასაბუთა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ს-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი, რის გამოც სასამართლომ მის წინააღმდეგ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. დადგენილია, ისიც, რომ აპელანტი კანონით დადგენილი წესით მოწვეული იყო საქმის განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ამდენად, გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ იგი საქმის განხილვაზე მოწვეული იყო კანონით დადგენილი წესით.

კასატორი განსაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმებას მოითხოვს იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლი, რომელიც თავდებობის ნამდვილობისათვის,

თავდებობის ხელშეკრულებასთან ერთად, მოითხოვს თავდებობის წერილობით თანხმობას, რომელიც საქმეში არ არის წარმოდგენილი. ასეთ ვითარებაში, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სარჩელის მოთხოვნას, რის გამოც არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.

საკასაციო პალატა კასატორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მონინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ, თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა აპელანტის მონინააღმდეგე მხარე (სააპელაციო მოპასუხე), მაგრამ არ გამოცხადდა აპელანტი (სააპელაციო მოსარჩელე), სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, მაგრამ მხოლოდ ორი პირობის ერთდროულად არსებობისას: პირველი – აპელანტის მონინააღმდეგე მხარემ (სააპელაციო მოპასუხემ) უნდა იშუამდგომლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; მეორე – არ უნდა არსებობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ აპელანტის მონინააღმდეგე მხარემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, ასევე არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები.

ზემოაღნიშნული გარემოება, შესაძლებელია ყოფილიყო სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდებოდა აპელანტი და არ გამოცხადდებოდა მისი მონინააღმდეგე მხარე. ასეთ დროს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ის, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გა-

რემოებები იურიდიულად ამართლებდეს აპელანტის მოთხოვნას (სსკ-ის 387.2-ე და 230-ე მუხლები). იმ შემთხვევაში კი, როდესაც სასამართლო სხდომაზე არ ცხადდება თავად აპელანტი, მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს სასამართლო არ აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და არც მთლიანად საქმეს სამართლებრივი თვალსაზრისით. სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ აპელანტის გამოუცხადებლობის გამო და არა საქმის მასალების მიხედვით.

ამდენად, კასატორის ზემოაღნიშნული პრეტენზია დაუსაბუთებელია და იგი გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება.

კასატორი გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმებას მოითხოვს ასევე იმ საფუძველით, რომ მეორე მოპასუხე, რ. მ-ი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, არ ყოფილა მიწვეული საქმის განხილვაზე, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს მას ჯერ კიდევ ჰქონდა სააპელაციო საჩივრის წარდგენის უფლება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხე რ. მ-ს არ გაუსაჩივრებია. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები იძლევა იმ ვარაუდის (პრეზუმფციის) საფუძველს, რომ მოპასუხე რ. მ-ს ჩაბარდა როგორც სარჩელი და თანდართული მასალები, ასევე სასამართლო უწყება. ამ პრეზუმფციის გაქარწყლების უფლება აქვს თავად მოპასუხე რ. მ-ს და არა საქმეში მონაწილე სხვა პირებს. იმ შემთხვევაშიც, თუ მივიჩნევთ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვაში მოპასუხე რ. მ-ი კანონით დადგენილი წესით არ ყოფილა მიწვეული და, აქედან გამომდინარე, არ დაუკარგავს სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება, ამ უფლების რეალიზაცია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, შეუძლია თავად მოპასუხე რ. მ-ს და არა მოპასუხე მ. ა-ს.

ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი ვერც კასატორის მიერ მითითებული მეორე გარემოება გახდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძ-

ვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმის, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კასატორის მიერ მითითებული კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მ. ს-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2014 წლის 28 ნოემბრის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი
გადანყვიტილება აპელანტის არასაკატიო მიზეზით
გამოუცხადებლობის გამო**

ბანკინება

№ას-675-641-2015

22 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: საიჯარო ფართით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა, ქვეიჯარის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, მოძრავი ნივთების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა, ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2009 წლის 5 მარტს მ. ფ-ძესა (შემდეგში: „პირველი მოპა-სუხე, აპელანტი, კასატორი ან გამსესხებელი“) და შპს „ლ-ს“ (შემდეგში: „მსესხებელი“) შორის დაიდო სესხის წერილობითი ხელშეკრულება. მსესხებელმა 2 წლით, 2011 წლის 5 მარტამდე, ისესხა 150 000 აშშ დოლარი. ყოველთვიური სარგებელი (პროცენტი) შეადგენდა 5%-ს [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდგომში სსკ-ის 623-ე და 625-ე მუხლები].

2. 2009 წლის 11 მარტს სესხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად გამსესხებლის სასარგებლოდ მეორე რიგის გირავნობის უფლებით დაიტივრთა დაბა ხელვაჩაურში მდებარე მსესხებლის საკუთრებაში არსებული სამშენებლო ბლოკების დამამზადებელი საამქრო. გირავნობა დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში [სსკ-ის 254-ე და 258-ე მუხლების პირველი ნაწილები]. მითითებულ ქონებაზე, ზემოაღნიშნული გირავნობის რეგისტრაციამდე, 2007 წლის 2 ნოემბრიდან, რეგისტრირებული იყო სს „თ-ი ბ-ის“ (შემდეგში: „ბანკი“) გირავნობის უფლება.

3. 2009 წლის 31 დეკემბერს ბანკმა იძულებით აუქციონზე 112 889 ლარად შეიძინა მსესხებლის კუთვნილი ძირითადი საშუალებები: სამშენებლო ბლოკის ქარხანა, ამზელი მიქსერი, ქვესადგამები და ანალოგიური ბაქნები, მასისა და ცემენტის ბუნკერები, რაზეც გაიცა შესაბამისი განკარგულება №... . განკარგულების მიხედვით, შემძენის საკუთრებაში გადავიდა უფლებ-

რივად დაუტვირთავი ქონება [სსკ-ის მუხლი 285-ე მუხლის 1-ლი ნაწილი]

4. 2012 წლის 30 ნოემბერს ბანკმა დაბა ხელვაჩაურში მდებარე სამშენებლო ბლოკის ქარხანა, ამზელი მიქსერი, ქვესადგამები და ანალოგიური ბაქნები, მასისა და ცემენტის ბუნკერები მიჰყიდა შპს „G-A“-ს (შემდეგში: „მესაკუთრე ან გამყიდველი“) [სსკ-ის 477-ე მუხლი].

5. 2012 წლის 15 დეკემბერს მესაკუთრემ დაბა ხელვაჩაურში მდებარე მისი კუთვნილი ქონების ნაწილი, მათ შორის: სამშენებლო ბლოკის ქარხანა, ამზელი მიქსერი, ქვესადგამები და ანალოგიური ბაქნები, მასისა და ცემენტის ბუნკერები, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე დროებით სარგებლობაში გადასცა მოსარჩელეს [სსკ-ის 581-ე მუხლის 1-ლი ნაწილი].

6. 2013 წლის 28 მარტს მხარეთა შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება შეწყდა და იჯარის საგანი დაუბრუნდა მესაკუთრეს [სსკ-ის 564-ე და 581.2. მუხლები]

7. 2013 წლის 28 მარტს გამყიდველთან (G-A) დადებული ნასყიდობის საფუძველზე მოსარჩელეს საკუთრებაში გადაეცა სამშენებლო ბლოკის ქარხანა, ამზელი მიქსერი, ქვესადგამები და ანალოგიური ბაქნები, მასისა და ცემენტის ბუნკერები [სსკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილი].

8. 2013 წლის 1 მაისს მოსარჩელესა და შპს „ჩ. 2-ს“ (შემდგომში: „მეორე მოპასუხე ან მეიჯარე“) შორის დაიდო ქვეიჯარის ხელშეკრულება და მოსარჩელეს დროებით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმში, მა-ის დასახლება ფ. ხ-ის ქ. №225-ში მდებარე 2500 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთი, 342 მ² სასაწყობო შენობა და 19,3 მ² დამხმარე სათავსო. მოსარჩელემ შექმნილი სამშენებლო ბლოკის ქარხანა დაშალა და გადაიტანა ქვეიჯარით აღებული ტერიტორიაზე და შეუდგა სამეწარმეო საქმიანობას.

9. 2014 წლის თებერვალში მოსარჩელის წარმომადგენელს (დირექტორს), დაუკავშირდა პირველი მოპასუხე, რომელმაც გააცნო ვინმე რ. ხ-ძე (შემდეგში: „მესამე პირი“), როგორც სამშენებლო ბლოკის დამამზადებელი ქარხნის შექმნით დაინტერესებული პირი.

10. მესამე პირი მონაწილეობდა მოსარჩელის კუთვნილი სამშენებლო ბლოკის მწარმოებელი ქარხნის შექმნასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში, რომელმაც ქარხნის შექმნის ერთ-ერთ პირობად წამოაყენა მიწის ნაკვეთის პირდაპირ მათ სახელზე ქვეიჯარით გადაცემა. ამ პირობის გათვალისწინებით, 2014 წლის 19 თებერვალს მოსარჩელემ უარი თქვა მეიჯარესთან დადებულ 2013 წლის 1 მაისის ქვეიჯარის ხელშეკრულებაზე.

11. 2014 წლის 4 თებერვალს მეორე და მესამე მოპასუხეებს

შორის გაფორმდა ქვეიჯარის ხელშეკრულება. მოიჯარეს დროებით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმში, მ-ის დასახლება ფ. ხ-ის ქ. №225-ში მდებარე 2500 მ² ფართის მიწის ნაკვეთი, 342 მ² ფართის სასაწყობო შენობა და 19,3 მ² ფართის დამხმარე სათავსო.

12. მოიჯარემ, რომლის დირექტორი, დაკვირვებას აწარმოებდა ქარხნის მუშაობაზე, ქვეიჯარით გადაცემულ ტერიტორიაზე დააყენა დაცვა და მოსარჩელის წარმომადგენლებს აღარ უშვებდა ტერიტორიაზე.

13. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეების წინააღმდეგ და მოითხოვა:

ა) 2014 წლის 19 თებერვალს მის მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნების ბათილად ცნობა, რომლითაც მან უარი თქვა 2013 წლის 1 მაისის ქვეიჯარის ხელშეკრულებაზე.

ბ) 2014 წლის 4 თებერვალს მეორე და მესამე მოპასუხეებს შორის გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

გ) მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან ქ. ბათუმში, მ-ის დასახლება ფ. ხ-ის ქ. №225-ში მდებარე 2500 მ² მიწის ნაკვეთი, 342 მ² ფართის სასაწყობო შენობისა და 19,3 მ² დამხმარე სათავსოს გამოთხოვა და სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა;

დ) 2014 წლის 21 იანვარს პირველ და მესამე მოპასუხეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

ე) მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან მოსარჩელის კუთვნილი მოძრავი ქონებების გამოთხოვა.

ვ) 2014 წლის 19 თებერვლიდან სარჩელის შეტანამდე საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლით მიყენებული ზიანის, 17168 ლარის, ხოლო სარჩელის წარდგენის შემდეგ გადაწყვეტილების აღსრულებამდე ზიანის 6 777 ლარის, მოპასუხეებისათვის დაკისრება.

14. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რომელიც აპელაციის წესით გაასაჩივრა პირველმა მოპასუხემ.

15. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2014 წლის 5 მარტს მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და პირველი მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადნენ აპელანტი და მისი წარმომადგენელი.

16. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-

ტის 2014 წლის 5 მარტის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა პირველმა მოპასუხემ შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო სასამართლოს არ უნდა მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ვინაიდან:

ა) სასამართლოსათვის წინასწარ იყო ცნობილი აპელანტის წარმომადგენლის ავადმყოფობის შესახებ;

ბ) აპელანტი სათანადო წესით არ იყო გაფრთხილებული სასამართლო სხდომის შესახებ.

17. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 აპრილის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა 2014 წლის 5 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა პირველმა მოპასუხემ.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

19. საქმის მასალების გაცნობის, მათი ანალიზის, ასევე საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად, პალატა მიდის იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობს საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

19.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ კანონის სრული დაცვით მიიღო გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ასევე სწორად არ დააკმაყოფილა კასატორის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე სახელდობრ:

19.2. სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, XLVI თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით [სსსკ-ის 372-ე მუხლი]. საქმეზე სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 5 იანვრის განჩინებით დაინიშნა მთავარი სხდომა იმავე წლის 12 თებერვლის 15:30 საათისათვის [სსსკ-ის 373-

ე და 376-ე მუხლები]. მთავარ სხდომაზე სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა პირველი მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა და საქმის მოსმენა გადადო 2015 წლის 5 მარტის 15:30 საათისათვის. იმავე წარმომადგენელმა 4 მარტს სასამართლოს აცნობა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებდა სხდომაზე გამოცხადებას და კვლავ მოითხოვა საქმის განხილვის სხვა დროისთვის გადადება. 5 მარტის სხდომაზე არც აპელანტი და არც მისი წარმომადგენელი არ გამოცხადდა. მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 387-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი. კასატორის მტკიცება, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინამძღვრები დაუსაბუთებელია.

19.3. საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში [სსსკ-ის 216-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება]. რასაკვირველია, მხარეს/ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ საქმის განხილვის გადადების შუამდგომლობით მიმართონ სასამართლოს; ამასთან, ისინი ვალდებული არიან სათანადოდ დაასაბუთონ გადადების მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შუამდგომლობა შეიძლება პროცესის გაჩივრების მცდელობას ემსახურებოდეს. დადგენილია, რომ მოცემულ საქმეზე პირველი მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობით ა/წლის 12 თებერვალს დანიშნული საქმის მოსმენა გადაიდო 5 მარტისათვის. ამის თაობაზე კანონით დადგენილი წესით ეცნობათ მხარეებს. 4 მარტის სხდომის გადადების საპატიო მიზეზად პირველი მოპასუხის წარმომადგენელი ასახელებდა მის ავადმყოფობას. მოგვიანებით საჩივარზე დართული ცნობით დადგინდა, რომ წარმომადგენელს ექიმმა დაუსვა დიაგნოზი: „ზედა სასუნთქი გზების ინფექცია, დაუზუსტებელი“ და მისცა ბინაზე მკურნალობის რეკომენდაცია. სააპელაციო სასამართლომ სწორად არ ჩათვალა აღნიშნული გარემოება საქმის გადადების კანონიერ საფუძველად და გააკეთა დასკვნა იმის თაობაზე, რომ წარმოდგენილი ცნობა პირდაპირ არ მიუთითებდა სასამართლო პროცესზე წარმომადგენლის გამოცხადების შეუძლებლობაზე [სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბოლო წინადადება].

19.4. დადგენილია, რომ მხარის (პირველი მოპასუხე) გამოუცხადებლობასაც არ გააჩნია საპატიო მიზეზი. სააპელაციო სასამართლომ ასევე სწორად შეაფასა საქმის გარემოებები და დაასკვნა, რომ ა/წლის 12 თებერვლის სხდომაზე კასატორის წარმომადგენელს კანონით დადგენილი წესით ეცნობა მომავალი

სხდომის თარიღისა და ადგილის შესახებ, ეს კი კანონის დანაწესიდან გამომდინარე, გულისხმობს იმას, რომ აღნიშნულის შესახებ ეცნობა კასატორსაც [სსსკ-ის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილი].

20. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას არ დაურღვევია კანონი და სწორად დატოვა იგი ძალაში; შესაბამისად, საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ფ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის განჩინება.
3. მ. ფ-ძე გათავისუფლებულია საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

12. სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

ბანჩინება

№ას-361-340-2014

29 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ საც-
ხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. წ-მა და ო. ხ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ვ. ფ-სა და ლ. უ-ის, ასევე, მესამე პირების: ა. რ-ის, ზ. მ-ისა და რ. მ-ის მიმართ ქ.თბილისში, მდებარე, მოპასუხეთა სარგებლობაში არსებულ 68.89 კვ.მ საცხოვრებელ სადგომზე, მისი საბაზრო ღირებულების 75%-ის – 29 932 ლარის გადახდის სანაცვლოდ, მფლობელობის შეწყვეტის მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. წ-ისა და ო. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მ. წ-სა და ო. ხ-ს ვ. ფ-ისა და ლ. უ-ის სასარგებლოდ, დაეკისრათ 68.89 კვ.მ საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების – 39 909 ლარის 75%-ის – 29 932 ლარის გადახდა, რის სანაცვლოდაც ვ. ფ-სა და ლ. უ-ს შეუწყდათ მფლობელობა ქ.თბილისში, მდებარე, მოსარჩელების კუთვნილ საცხოვრებელ სადგომზე და იგი გადაეცათ მესაკუთრებს. ვ. ფ-სა და ლ. უ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრათ სახელმწიფო ბაჟის – 897,96 ლარის გადახდა. ამავე სასამართლოს 2013 წლის 9 ოქტომბრის დამატებითი გადაწყვეტილებით მოპასუხეებს: ვ. ფ-სა და ლ. უ-ს მოსარჩელების სასარგებლოდ დააკისრათ წარმომადგენლის მომსახურებისათვის განუხილავი ხარჯის – 500 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა, მოითხოვეს მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით წარმომადგენლის მომსახურების გამო 1 200 ლარის, ასევე, ექსპერტიზი-

სათვის გაწეული ხარჯის – 318,89 ლარის მოპასუხეებისათვის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით მ. წ-ისა და ო. ხ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 9 ოქტომბრის დამატებითი გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ფ-სა და ლ. უ-ს მ. წ-ისა და ო. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრათ ექსპერტიზის ხარჯის – 318.89 ლარის ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით:

პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა მოპასუხეებისთვის იურიდიული დახმარებისთვის გასაწევი ხარჯის – 500 ლარის დაკისრების თაობაზე ემყარებოდა იმ გარემოებას, რომ მოსარჩელებმა წარადგინეს მ. წ-ის მიერ მ. ლ-თვის საადვოკატო მომსახურების მხოლოდ 500 ლარის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დააკისრა მოპასუხეებს იურიდიული დახმარებისთვის გაწეული ხარჯი 500 ლარის ოდენობით, რადგანაც მოცემული დავის მხარეებს წარმოადგენენ მოსარჩელები: მ. წ-ი და ო. ხ-ი, მოპასუხეებს კი – ვ. ფ-ი და ლ. უ-ი.

საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და მ. წ-სა და ო. ხ-ს ვ. ფ-ისა და ლ. უ-ის სასარგებლოდ დაეკისრათ 68.89 კვ.მ საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების – 39 909 ლარის 75% – 29 932 ლარი. ამ თანხის სანაცვლოდ მოპასუხეებს შეუწყდათ მფლობელობის უფლება მ. წ-ისა და ო. ხ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სადგომზე.

მოსარჩელები მიუთითებენ, რომ მათ მიერ წარდგენილ იქნა სასამართლოში წარმომადგენლის მომსახურებისათვის 1 700 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები. საქმეში წარმოდგენილი ქვითრებით კი, ირკვეოდა მ.წ-ის მიერ წარმომადგენელ მ. ლ-თვის საადვოკატო მომსახურების ხარჯის – 500 ლარის გადახდა. საქმეში განთავსებული ქვითრებით დასტურდებოდა, რომ საადვოკატო მომსახურების თანხა 500-500 ლარის ოდენობით მ. ლ-თვის გადახდილი იყო ვინმე ნ. წ-ის მიერ, რომლის შემხებლობა მოცემულ საქმესთან არ დასტურდებოდა, შესაბამისად, აპელანტების მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული პირველი არგუმენტი სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალია.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო ო. ხ-ის მიერ საინჟინრო-სასაქონლო ექსპერტიზისათვის გაღებულ ხარჯის – 318.89 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. პალატის განმარტებით, სასამართლოს თავისი ინიციატივით დამატებითი გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული ხარჯი მხარეთა შორის ხარჯების განაწილებისას, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ექსპერტიზის ჩატარების ხარჯი შეადგენს საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯს, შესაბამისად, ამ ნაწილში აპელანტის მოთხოვნა დასაბუთებულად იქნა მიჩნეული.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ფ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, აპელანტის მონინალმდეგე მხარეს არ აცნობა სააპელაციო საჩივრის არსებობის თაობაზე, არ გადასცა სააპელაციო საჩივარი თანდართული მასალებით, სასამართლომ არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376¹ მუხლის შესაბამისად შეატყობინა მას სააპელაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე, რის შედეგადაც დაირღვა ამავე კოდექსის 83-ე მუხლით გარანტირებული აპელანტის მონინალმდეგე მხარის უფლებები.

კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების დარღვევა, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე და 376¹ მუხლები, ხოლო საპროცესო დარღვევას შედეგად უკანონო გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, ვ. ფ-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულია გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების ჩამონათვალი და კანონმდებელი განსახილველი

ნორმით ადგენს ზემდგომი სასამართლოს ვალდებულებას, მიუხედავად სამართლებრივი შედეგისა, გააუქმოს ქვემდგომი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, თუ სახეზეა მითითებულთაგან ერთ-ერთი დარღვევა. თავის მხრივ, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების არსებობისას, ზემდგომი სასამართლო არ არის შეზღუდული ამ დარღვევის თაობაზე კასატორის მითითებით.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორი გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნებას იმ საფუძვლით ითხოვს, რომ სააპელაციო სასამართლოს მისთვის არც მოწინააღმდეგე მხარის სააპელაციო საჩივრის არსებობის და არც საქმის განხილვის თაობაზე არ უცნობებია.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. წ-ისა და ო. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მ. წ-სა და ო. ხ-ს ვ. ფ-ისა და ლ. უ-ის სასარგებლოდ დაეკისრათ 68.89 კვ.მ საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების – 39 909 ლარის 75%-ის – 29 932 ლარის გადახდა, რის სანაცვლოდაც ვ. ფ-სა და ლ. უ-ს შეუწყდათ მფლობელობა ქ.თბილისში, მდებარე, მოსარჩელების კუთვნილ საცხოვრებელ სადგომზე და იგი გადაეცათ მესაკუთრეებს. ვ. ფ-სა და ლ. უ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრათ სახელმწიფო ბაჟის – 897,96 ლარის გადახდა;

საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 9 ოქტომბერს საკუთარი ინიციატივით გამოიტანა დამატებითი გადაწყვეტილება და მოპასუხეებს: ვ. ფ-სა და ლ. უ-ს მოსარჩელების სასარგებლოდ დააკისრა წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯი – 500 ლარი;

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ასევე დამატებითი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ფ-მა, რაც სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 10 თებერვლის განჩინებით დარჩა განუხილველად ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, ხოლო საკასაციო პალატის 2014 წლის 5 იანვრის განჩინებით ეს განჩინება უცვლელად იქნა დატოვებული (იხ. ვ. ფ-ის 06.12.2013 წ. განცხადება; 20.12.2013 წ. დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი; 10.02.2014 წ. განჩინება; 05.06.2014 წ. განჩინება);

საქმეში წარმოდგენილია მ. წ-ისა და ო. ხ-ის სააპელაციო საჩივარი, რომლითაც აპელანტებმა სადავო გახადეს საქალაქო

სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილება და მისი ნაწილობრივ გაუქმებით მოითხოვეს წარმომადგენლის მომსახურების გამო 1 200 ლარის, ასევე, ექსპერტიზისათვის განეული ხარჯის – 318,89 ლარის ანაზღაურება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 ნოემბრის განჩინებით მ.წ-ისა და ო.ხ-ის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად, დადგინდა სააპელაციო საჩივრისა და თანდართული მასალების მონინალმდეგე მხარისათვის გადაგზავნა და შესაგებლის წარდგენის ვადა განისაზღვრა 7 დღით, განიმარტა შესაგებლის წარუდგენლობის ნეგატიური შედეგები და დაინიშნა საქმის ზეპირი მოსმენა 2014 წლის 6 თებერვალს, 11:00 საათზე;

საქმეში არ მოიპოვება არც ერთი დოკუმენტი, რომელიც დადასტურებდა მ. წ-ისა და ო. ხ-ის სააპელაციო საჩივრის, ასევე საქმის განხილვის თაობაზე სასამართლო უწყებისა თუ სხვა საპროცესო დოკუმენტების მონინალმდეგე მხარისათვის გაგზავნას, ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილია საქმეში, ვ. ფ-ის ხელწერილია იმის შესახებ, რომ მან გადაიღო სააპელაციო საჩივრის ასლი 24 ფურცლად, თუმცა ამ ხელწერილით არც ის დასტურდება, რომ ვ. ფ-ი გაეცნო საქმეს და არც ის გარემოება, რომ მან სწორედ მ. წ-ისა და ო. ხ-ის სააპელაციო საჩივრის ასლი გადაიღო, უფრო მეტიც, ხელწერილში მითითებული ფურცლების რაოდენობა არ ემთხვევა საქმეში არსებულ არც ერთ სააპელაციო საჩივარს, ამასთანავე, წინამდებარე საქმეზე დართული მასალებით (მე-2 ტომი) ირკვევა, რომ ამავე მხარეებს შორის იხილებოდა სხვა დავაც, რაც ქმნის იმის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ მ. წ-ისა და ო. ხ-ის სააპელაციო საჩივარი მონინალმდეგე მხარეს არ გადასცემია;

საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საქმეში წარმოდგენილ მოხსენებით ბარათს, რომლის საფუძველზეც წინამდებარე საქმე განსახილველად გადაეცა სააპელაციო პალატის სხვა შემადგენლობას. სააპელაციო სასამართლომ კოლეგიური შემადგენლობით, 2014 წლის 28 იანვრის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 31 ნაწილის თანახმად, ზეპირი მოსმენის გარეშე დანიშნა სააპელაციო საჩივრის განხილვა და ამჯერად საქმის განხილვის თაობაზე შეტყობინება არც ერთი მხარისათვის არ გაუგზავნია, ხოლო 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით ვ. ფ-სა და ლ. უ-ს აპელანტების სასარგებლოდ დამატებით დააკისრა ექსპერტიზის ხარჯების – 318,89 ლარის გადახდა, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტით მხარეებს განემარტათ მისი გასაჩივრების წესი

(სსსკ-ის 2591 მუხლის პირველი ნაწილი).

მითითებული გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით. ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი წარმოადგენს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმას და ნორმის დებულებებით მოწესრიგებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტის წესი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე და 399-ე მუხლების შესაბამისად, ამ ნორმის დებულებებით, ბუნებრივია, შეიძლება იხელმძღვანელოს, როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო სასამართლომ, თუმცა მითითებული საპროცესო ნორმის დანაწესებზე შეიძლება დაამყაროს მხოლოდ მის წარმოებაში არსებულ სააპელაციო/საკასაციო საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილებისას დაშვებული ხარვეზი, ანუ შემდგომი სასამართლოები 261-ე მუხლის შესაბამისად ხელმძღვანელობენ მაშინ, როდესაც შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ სახეზეა ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ ან „გ“ ქვეუწყვეტით გათვალისწინებული წინაპირობა. ამგვარ ვითარებაში, სასამართლო დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმას, იმის მიხედვით, თუ რა წარმოადგენს დამატებითი გადაწყვეტილების ობიექტს, წყვეტს სწორედ 261-ე მუხლის მე-3 ან 3¹ მუხლის შესაბამისად. რაც შეეხება განსახილველი ნორმის მე-4 და მე-5 ნაწილით განსაზღვრულ გასაჩივრების წესს, ასეთ დროს სახეზე გვაქვს სააპელაციო (საკასაციო) ან კერძო საჩივარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLV თავით დადგენილია საქმის სააპელაციო წესით განხილვის მარეგულირებელი ნორმები (კერძო საჩივართან მიმართებით გამოიყენება ეს თავის დებულებები) და მითითებულთაგან არც ერთი არ ითვალისწინებს დამატებითი გადაწყვეტილების თაობაზე წარდგენილი სააპელაციო საჩივრის საერთო წესისაგან განსხვავებულად განხილვის შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, ამგვარი სააპელაციო საჩივრის განხილვისას შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა და მისი წარმოებაში მიღების საკითხი, 373-ე მუხლის შესაბამისად, მოამზადოს საჩივარი სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად, კერძოდ, ჩააბაროს მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო საჩივარი თანდართული მასალებით, 201-ე მუხლის შესაბამისად, განუსაზღვროს ვადა შესაგებლის წარდგენისათვის, განუმარტოს მისი წარუდგენლობის შედეგები და განსაზღვროს ზეპირი მოსმენის თარიღი,

რის თაობაზეც მხარეებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად, უწყების ჩაბარების გზით აცნობებს.

ასეთ ვითარებაში, სააპელაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პრეტენზიის ფარგლებში ამონმებს გასაჩივრებული დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის გამოყენების/გამოყენებაზე უარის თქმის მართლზომიერებას და ამავე კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის სრულად/ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

რაც შეეხება ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვას, აღნიშნული რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376¹ მუხლით და ამ წესით საქმის განხილვა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის აღწერილობითი ნაწილით დადგენილი წინაპირობები, კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ემყარება კანონის დარღვევას და აპელანტი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემონმებას; აპელანტი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) არა მარტო სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ მისი ფაქტობრივი საფუძვლიანობის შემონმებას, მაგრამ აპელანტის მიერ არ არის წარმოდგენილი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები ან წარმოდგენილია ამ კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დაუშვებელი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისათვის სასამართლოს უნდა ჰქონდეს მხარეთა წერილობითი თანხმობა, თუმცა, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, სასამართლოს ევალება განჩინებით საქმის განხილვის თარიღის განსაზღვრა და ამ თარიღის თაობაზე მხარეთა წინასწარი ინფორმირება, რაც, როგორც აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არაა.

ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა

იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

რაც შეეხება ვ. ფ-ის 2015 წლის 8 ივნისის განცხადებაში მითითებულ გარემოებებს გარიგების მხოლოდ 14 კვ.მ ფართზე დადებისა თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სხვა საპროცესო დარღვევის თაობაზე, აღნიშნული საკასაციო პალატის შეფასების საგანს არ წარმოადგენს, ვინაიდან მოპასუხეს დადგენილი წესით საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია (ვ. ფ-ის სააპელაციო საჩივარი დატოვებულია განუხილველად ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო), სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დავის მატერიალურ ნაწილში იგი კანონიერ ძალაშია შესული და საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის ობიექტი ვერ გახდება. ამასთანავე, პალატა მიიჩნევს, რომ ვ. ფ-ს უნდა დაუბრუნდეს ამავე განცხადებაზე დართული მტკიცებულებები, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შემოღებით კანონმდებელმა იმპერატიულად განსაზღვრა საკასაციო სასამართლოს მსჯელობის ფარგლები და დაადგინა, რომ საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება, მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები.

საკასაციო სამართალწარმოების თავისებურების გათვალისწინებით, ამ ინსტანციის სასამართლოში ახალი ფაქტების მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარეს არ ჰქონდა საქმის ქვემდგომი წესით განხილვისას მათი წარდგენის ობიექტური შესაძლებლობა. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო და-

აბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განანილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, რა დროსაც სააპელაციო პალატამ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოებაც, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 სექტემბრის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, კასატორს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის – 200 ლარის გადახდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო მის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილია 100 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. ფ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის ნაწილი – 100 ლარი გადახდილია.
4. ვ. ფ-ს დაუბრუნდეს 2015 წლის 8 ივნისის №ა-2122-15 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 2 (ორი) ფურცლად.
5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

13. საქმის წარმოების განახლება

სასამართლო გადაწყვეტილების გათილად ცნობის საფუძვლები

განჩინება

№ას-2-2-2015

18 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუური,
თ. თოდრია

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 თებერვლის განჩინებით ს. ჩ-ას სარჩელი, მოპასუხე ვ. ქ-ის მიმართ საზიარო უფლების გაუქმების შესახებ დარჩა განუხილველად, მოსარჩელის მიერ სარჩელის გამომხმობის გამო. 2014 წლის 21 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა ვ. ქ-ის წარმომადგენელმა – გ. მ-მ, რომელმაც დამატებითი განჩინების მიღებით მოითხოვა, მოპასუხის მიერ გაღებული საპროცესო ხარჯების მოსარჩელისათვის დაკისრება, რაზედაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 8 აპრილის განჩინებით ეთქვა უარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 მაისის განჩინებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 8 აპრილის განჩინება და ვ. ქ-ის განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოსარჩელე ს. ჩ-ას მოპასუხე ვ. ქ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო ხარჯების ანაზღაურება 1021,50 ლარის ოდენობით. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹-ე მუხლის მეორე ნაწილით, რომელიც მოსარჩელის მიერ სარჩელის გამომხმობის გამო სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, ადგენს მოპასუხის მიერ განეული სასამართლო ხარჯების მოსარჩელის მიერ ანაზღაურების ვალდებულებას და დადგე-

ნილად მიიჩნია, რომ ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდებოდა მოპასუხე ვ. ქ-ის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის არსებობა 1000 ლარის ოდენობითა და საჯარო რეესტრიდან დოკუმენტების გამოთხოვის ხარჯის არსებობა 21,50 ლარის ოდენობით, სახეზე იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით მოპასუხის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის და საჯარო რეესტრიდან დოკუმენტების გამოთხოვისათვის განეული ხარჯის მოსარჩელის მიერ ანაზღაურების ფაქტობრივ-სამართლებრივი წანამძღვრები.

ზემოთ აღნიშნული განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ს. ჩ-ას წარმომადგენელმა – ნ. ე-ამ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის განჩინებით კანონიერ ძალაში შესული განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ს. ჩ-ას განცხადება არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. განჩინების დასაბუთებისას სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები. 422-ე პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად კი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა 419-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კერძო საჩივრის მიღებიდან 2 თვის ვადაში. განჩინება გამოიტანება საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს კერძო საჩივრის ზემოირი განხილვა, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. საქმის ზეპირი განხილვის შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია, განჩინება გამოიტანოს სათათბირო ოთახში გაუსვლელად.

ზემოთ მოხმობილ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო კო-

დექსის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის სამართლებრივი საფუძვლით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილობის წინაპირობები არსებობს მაშინ, როდესაც დარღვეულია საქმის განხილვაში მხარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) მოწვევის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესი, იმ შემთხვევაში, სადაც კანონი აწესებს საქმის განხილვაში მხარის (მისი წარმომადგენლის) მოწვევის სავალდებულობას.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ ვ. ქ-ის კერძო საჩივარი განხილულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლების შესაბამისად ზეპირი მოსმენის გარეშე. ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა კი, პალატის მოსაზრებით, გულისხმობს საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით საქმეზე მსჯელობას, რაც შეეხება მხარეთა ინფორმირებას ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვისას მხარეებისათვის წერილობითი ფორმით მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობის მიცემა დამოკიდებულია მხარეთა მოსაზრებების წარმოდგენის აუცილებლობაზე კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის მიზნებისათვის. შესაბამისად, უპირობოდ წერილობითი შეჯიბრის გამართვის აუცილებლობა არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის დანაწესიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ზემოთ აღნიშნულ განჩინებაზე კანონით დადგენილ ვადაში კერძო საჩივარი წარადგინა ს. ჩ-ას წარმომადგენელმა – ნ. ე-ამ, რომელმაც მოითხოვა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 მაისის განჩინების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის საფუძველზე ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, დარღვეულია ვ. ქ-ის კერძო საჩივრის განხილვისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლითა და 419-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი პროცედურული წესი, რაც საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შემთხვევაში, ადგენს მხარეთა ინფორმირების სავალდებულობას. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ისე განიხილა ვ. ქ-ის კერძო საჩივარი და დააკისრა მოსარჩელე ს. ჩ-ას მოპასუხე ვ. ქ-ის მიერ ადვოკატის მომ-

სახურებისათვის და საჯარო რეესტრიდან დოკუმენტის გამოთხოვისათვის განეული ხარჯი, რომ ს. ჩ-ასათვის არც წერილობითი ფორმით და არც სატელეფონო შეტყობინებით არ უცნობებია საქმის განხილვის წესი, აღნიშნული კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დარღვევაზე მიუთითებს და თავის მხრივ, ამავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით განაპირობებს კანონიერ ძალაში შესული განჩინების ბათილად ცნობას. ამავდროულად, კერძო საჩივრის ავტორი იმედოვნებს, რომ განჩინების ბათილად ცნობისა და ვ. ქ-ის კერძო საჩივარზე წარმოების განახლების შემთხვევაში, არსებითად შეიცვლება კერძო საჩივარზე მისაღები განჩინება საქმის ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით. გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹-ე მუხლის მეორე ნაწილის გამოყენების წინაპირობები მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით ნაკარნახევი არ არის (იხ., კერძო საჩივრის საფუძვლები).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 იანვრის განჩინებით ს. ჩ-ას კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და საჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ს. ჩ-ას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

ზემოთ აღნიშნული ნორმის მიზნიდან გამომდინარე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა თუ განჩინების გაუქმების ან ბათილად ცნობის შესახებ განცხადება შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ კანონით – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებს, რადგან საქმის წარმოების განახლება არ წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების მორიგ ეტაპს და

შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების დამატებით საპროცესო მექანიზმს. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და ისიც, კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

მოცემულ შემთხვევაში, ს. ჩ-ას კერძო საჩივრის ძირითადი დასაბუთება იმაში მდგომარეობს, რომ ს. ჩ-ა არ იყო ინფორმირებული ვ. ქ-ის კერძო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ, რითაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაარღვია კერძო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლითა და 419-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი პროცედურული წესი, რაც თავის მხრივ განაპირობებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და კერძო საჩივარზე წარმოების განახლებას.

სამოქალაქო საქმეთა პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის ზემოთ აღნიშნულ პრეტენზიას საქმის განხილვის შესახებ ინფორმირების სავალდებულობის შესახებ და განმარტავს, რომ პროცესის მონაწილე მხარე უფლებამოსილია იყოს ინფორმირებული საქმის განხილვის შესაბამისი ინსტანციისათვის გათვალისწინებული წესის შესახებ, ვინაიდან კონკრეტულ საქმეზე მიღებული საბოლოო/შემაჯამებელი განჩინება თუ გადაწყვეტილება ეხება მის კანონიერ უფლებებს და აკისრებს მას კანონით დადგენილ შესაბამის ვალდებულებებს. სწორედ ეს აზრია გატარებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის დისპოზიციაში, რომელიც ბლანკეტური ხასიათისაა და დათქმას აკეთებს ამავე კოდექსის 376-ე მუხლზე, რომლის დანაწესით სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინებით სასამართლო განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რის შესახებაც მხარეებს აცყობინებს ამ განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ ვინაიდან ვ. ქ-ის კერძო საჩივარი განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე, ამიტომ მხარეთა ინფორმირების სავალდებულობა არ გამომდინარეობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის დანაწესიდან, ვერ იქნება

გაზიარებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 376-ე მუხლის ვინროდ განმარტება დაუშვებელია იმ პირობებში, როდესაც იგი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს პროცესის მონაწილე მხარეს ზღუდავს რა მის თეორიულ თუ პრაქტიკულ შესაძლებლობას ჩაერთოს საქმის განხილვაში, განხილვის ფორმის მიუხედავად და ამგვარად არღვევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-მე-4 მუხლებში განმტკიცებულ სამართალწარმოების ფუძემდებლურ პრინციპებს (დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები).

ამავდროულად, სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ვ. ქ-ის კერძო საჩივარზე წარმოების განახლების შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილის განმარტების აუცილებლობა ამავე კოდექსის 83¹-ე მუხლის მეორე ნაწილთან მიმართებით, გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს მოპასუხის მიერ განეული სასამართლო ხარჯის ანაზღაურებას, ხოლო სასამართლო ხარჯებისა და სასამართლოს გარეშე ხარჯების სამართლებრივი განმარტება მოცემულია ამავე კოდექსის 37-ე მუხლში, რომლის თანახმად, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. ხოლო სასამართლოს გარეშე ხარჯებს კი, წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 419-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ჩ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის განჩინება გაუქმდეს.

3. ბათილად იქნეს ცნობილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 მაისის განჩინება და ვ. ქ-ის კერძო საჩივარზე განახლდეს საქმის წარმოება.

4. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების გათილად ცნობის საფუძვლები

განჩინება

№ა-226-ბ-2-2015

30 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსნებელი),
ბ. ალავეიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებით:

1. ე. ჯ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
2. მოპასუხე რ. ჩ-ეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 59618 აშშ დოლარის გადახდა;
3. ამავე გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა ნ. კ-ს მიმართ მოთხოვნის ნაწილში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ჩ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით:

1. რ. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;
2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება გაუქმდა გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;
3. ე. ჯ-ის სარჩელი რ. ჩ-ის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა;
4. ე. ჯ-ეს რ. ჩ-ის სასარგებლოდ დაექისრა 3928 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ ბაჟის სახით გადახდილი თანხის სანაცვლოდ.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ჯ-ემ. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 ივნისის განჩინებით ე. ჯ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

ე. ჯ-ემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

განცხადების საფუძვლები:

ე. ჯ-ემ საკასაციო სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის განჩინება ჩაიბარა 2014 წლის 25 დეკემბერს. ამ დროს მისთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში მონაწილეობდა მოსამართლე ვ. რ-ი. დასახელებულ მოსამართლეს უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში, რადგან იგი ე. ჯ-ის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე ზედამხედველ პროკურორს წარმოადგენდა, რომელმაც განმცხადებელი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მისცა, ხოლო შემდეგ გაამართლა. აქედან გამომდინარე, მითითებული მოსამართლე ე. ჯ-ის საქმეს მიუკერძოებლად ვერ განიხილავდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, ე. ჯ-ის განცხადების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქ-

ნეს ცნობილი, თუ:

ა. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში;

ბ. ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას კანონიერი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მონაწილე საქმის განხილვაზე;

გ. პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მონაწილე საქმის განხილვაზე.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი მიიჩნევს, რომ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განჩინების ბათილად ცნობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, განმცხადებელი მიუთითებს შემდეგ გარემოებებზე: ე. ჯ-ემ საკასაციო სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის განჩინება ჩაიბარა 2014 წლის 25 დეკემბერს. ამ დროს მისთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში მონაწილეობდა მოსამართლე ვ. რ-ი. დასახელებულ მოსამართლეს უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში, რადგან იგი ე. ჯ-ის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე ზედამხედველ პროკურორს წარმომადგენდა, რომელმაც განმცხადებელი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მისცა, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი გამართლდა. აქედან გამომდინარე, მითითებული მოსამართლე ე. ჯ-ის საქმეს მიუკერძოებლად ვერ განიხილავდა.

საკასაციო პალატა, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ განცხადებაში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები განმცხადებელს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია. საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განაჩენი და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 სექტემბრის განჩინება, რომლითაც ირკვევა, რომ ე. ჯ-ე ნაყენებული ბრალდებების ნაწილში გამართლდა, ნაწილში კი დამნაშავედ იქნა ცნობილი. ამასთან, საქმის მასალებით არ ირკვევა, თუ რა შეხება ჰქონდა მოსამართლე ვ. რ-ს ამ საქმესთან. გარდა ამისა, განცხადების შინაარსითაც გაურკვეველი რჩება, თუ რა კავშირი აქვს განმცხადებლის მიერ ნახსენებ სისხლის სამართლის საქმეს საკასაციო სასამართლოს მიერ განხილულ სამოქალაქო საქმესთან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მი-

ერ მითითებული გარემოებების არსებობა რომც დასტურდებოდეს, არ არსებობს მოსამართლის აცილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. ამ ნორმის თანახმად, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება ვერ ასაბუთებს მოსამართლის საქმის შედეგით დაინტერესების ფაქტს. მითითებული გარემოება ასევე არ ქმნის ამავე მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს. შესაბამისად, არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოსამართლის აცილების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. ჯ-ის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ე. ჯ-ის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის
საფუძვლები**

ბანჩინება

№ა-1915-ბ-8-2015

22 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაძური,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნო-
ბა, უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით ტ. და ა.
ჯ-ების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილი-
სის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება და მ. ჯ-ის სარჩელი არ
დაკმაყოფილდა.

2015 წლის 22 მაისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს
განცხადებით მომართა მ. ჯ-ემ და მოითხოვა საქართველოს
უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015
წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქ-
მის წარმოების განახლება.

განცხადება დასაბუთებულია იმ გარემოებაზე მითითებით,
რომ საქმის წარმოებისას გარდაიცვალა ტ. ჯ-ე, ხოლო სამოქა-
ლაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახ-
მად სასამართლო ვალდებული იყო შეეჩერებინა საქმის წარმო-
ება.

ასევე, განმცხადებელმა მიუთითა სამოქალაქო საპროცესო
კოდექსის 403-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად,
საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩი-
ნებით სასამართლო განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის
დროს, რის შესახებაც მხარეებს ატყობინებს ამ განჩინების მი-
ღებიდან 3 დღის განმავლობაში, ხოლო 218-ე მუხლის თანახ-
მად, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და უნ-
და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხა-
რეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. მოსამართლეს შეუძ-

ლია მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები. მოცემული საქმე კი, საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა, რითაც მხარეებს არ მისცა საშუალება მორიგებულებიყვნენ.

განმცხადებელმა სადავოდ გახადა კასატორის მითითება იმის თაობაზე, თითქოს მ. ჯ-ემ უარი თქვა მემკვიდრეობაზე. განმცხადებელი უარყოფს ამ გარემოებას და აღნიშნავს რომ აპირებს ჩაატაროს ექსპერტიზა და დაადასტუროს, რომ განცხადებაზე ხელმოწერა არ არის შესრულებული მ. ჯ-ის მიერ.

ამასთან, განმცხადებლის განმარტებით სარჩელი არ არის ხანდაზმული რადგანაც მ. ჯ-ემ ფაქტობრივი ფლობით მიიღო მემკვიდრეობა, ხოლო თავის მხრივ, სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან, ხოლო სამკვიდროს გახსნის დღედ კი, მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე მიიჩნევა.

აღნიშნული კი, წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ივნისის განჩინებით მ. ჯ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა განცხადების საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ჯ-ის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით ტ. და ა. ჯ-ეების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება და მ. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

წარმოდგენილი განცხადებით სადავოდა გამხდარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების კანონიერება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესუ-

ლი გადაწყვეტილებით დასრულებული საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით წარდგენილი განცხადების საფუძვლიანობის კვლევისათვის პირველ რიგში, ყურადღებაა გასამახვილებელი კანონის იმ დანაწესზე, რომელიც საქმის წარმოების განახლების საპროცესო სამართლებრივ მექანიზმს ითვალისწინებს, ხოლო შემდგომ დასადგენია ამ საპროცესო მოქმედების განხორციელებისათვის კანონით გათვალისწინებული წინამძღვრების არსებობა.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები.

კანონის შემდგომი ნორმებით კი, ამომწურავადაა განმარტებული, თუ რა შეიძლება იქნას მიჩნეული ახლად აღმოჩენილ გარემოებად ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ: ა) გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში; ბ) ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე; გ) პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

მოცემულ შემთხვევაში, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ წარმოდგენილი განცხადების ძირითადი დასაბუთება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საქმის წარმოებისას გარდაიცვალა ერთ-ერთი კასატორი (მოპასუხე) – ტ. ჯ-ე, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად სასამართლო ვალდებული იყო შეეჩერებინა საქმის წარმოება.

განმცხადებლის ზემოთ აღნიშნულ პრეტენზიას, როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველს, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და განმარტავს, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 279-ე მუხლის „ა“ პუნქტი მოქალაქის გარდაცვალებისას მართლაც ითვალისწინებს საქმის წარმოების შეჩერებას იმგვარი სამართალურთიერთობისას, როდესაც სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა მატერიალური თვალსაზრისით, დასაშვებად მიიჩნევა უფლებამონაცვლეობას, თუმცა, ამ საპროცესო მოქმედების განხორციელების უპირატეს საფუძველს წარმოადგენს მხარის შუამდგომლობა ანდა სასამართლოსათვის სხვა წყაროებიდან უნდა იყოს ცნობილი, რომ ადგილი აქვს საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო საფუძველს. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. სასამართლო მხოლოდ მხარეთა მიერ მითითებული გარემოებებისა და მათ მიერვე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იხილავს საქმეს და გამოაქვს საბოლოო (შემაჯამებელი) გადაწყვეტილებები, აგრეთვე, შუალედური განჩინებები.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოსათვის საქმის წარმოების შეჩერების იმგვარ საფუძველზე მითითება, რომელსაც მოქალაქის გარდაცვალება წარმოადგენდა, მხარის მითითების ტვირთი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ვერ შეიტყობდა ინფორმაციას ამ მოვლენის შესახებ. გარდა ამისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ა“ პუნქტის გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლის კვლევისათვის წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო დოკუმენტი მხარის გარდაცვალების თაობაზე, (როგორიცაა გარდაცვალების მოწმობა), ვინაიდან სამოქალაქო სამართალწარმოებისას სასამართლო, მხარის მითითების გარეშე, არ იკვლევს საქმის გარემოებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვა განხორციელდა საპროცესო ნორმების სრული დაცვით.

საკასაციო პალატა გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველად ვერ მიიჩნევს მხარის იმ მოსაზრებასაც, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე, რითაც ხელი არ შეუწყო მხარეთა შორის მორიგებას.

პირველ რიგში, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო პალატას მინიჭებული აქვს პროცესუალური უფლებამოსილება საკასაციო საჩივარი განიხილოს და გადაწყვეტილება გა-

მოტიანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე, სასამართლოს ამ უფლებამოსილების წყაროა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა არ ზღუდავს ადამიანის სასამართლოში მიმართვის კონსტიტუციურ უფლებას (იხ., 03.07.2003წ-ის გადაწყვეტილება საქმე №2/6/205.232).

საკასაციო პალატისათვის მინიჭებული ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების როლის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. შესაბამისად, საკასაციო პალატა არ ამონშებს საქმის ფაქტობრივ მხარეს, გადაწყვეტილების ფაქტობრივ საფუძველს, რის გამოც მხარეთა მონაწილეობის გარეშე, უფლებამოსილია გააკეთოს შეფასება და მიიღოს გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში, არსებითია არ დაირღვეს პრინციპი, რომელსაც ემყარება სამოქალაქო საქმის წარმოება, კერძოდ კი, იგივე შეჯიბრებითობის პრინციპი. მით უფრო, რომ როცა მხარეები მიმართავენ საკასაციო ინსტანციის სასამართლოს, მათთვის წინასწარვეა ცნობილი, რომ საქმის განხილვა შეიძლება ზეპირი მოსმენის გარეშეც მოხდეს, თუ ამას სასამართლო მიიჩნევს საჭიროდ.

ერთ-ერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა განმცხადებლის პრეტენზია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმითა (საკუთრების უფლება) და კონვენციის მე-6 მუხლით მინიჭებული (სამართლიანი სასამართლოს უფლება) უფლებათა დარღვევასთან მიმართებაში (იხ., *Fredin v. Sweden*, 18.02.1991წ. განაცხადის №12033/86). განმცხადებლის პრეტენზია იმ არგუმენტს ეფუძნებოდა, რომ იგი მოკლებულ იქნა საქმის განხილვაში მონაწილეობის საპროცესო სამართლებრივ შესაძლებლობას, ხოლო სამოქალაქო უფლებათა სრულყოფილად რეალიზებისათვის ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ზეპირი მოხსენების გაკეთების შესაძლებლობა და შესაბამისად, საქმის მხარეთა დასწრებით განხილვა. მოცემულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უპირველესად, დადგინა, რომ ვინაიდან მატერიალური თვალსაზრისით განმცხადებლის მოთხოვნა შეეხებოდა საკუთრების უფლებას, რომელიც სამართლებრივი ბუნებით „სა-

მოქალაქო“ ხასიათისა იყო, ამიტომ კონვენციის მე-6 მუხლით მინიჭებული უფლების დარღვევის საკითხიც სამოქალაქო ქრილ-ში უნდა განხილულიყო. ეს ყოველივე კი, ნათელს ჰფენდა იმას, რომ „წრფელი და ღრმააზროვანი“ კამათი (შეჯიბრი) მხარეთა შორის და საქმის განმხილველი სასამართლოს წინაშე, გადამწყვეტი იყო თითოეულის უფლებათა დასადგენად. თუმცა საკვანძო საკითხი, მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის, სასამართლოს მოსაზრებით, სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ „წრფელ და ღრმააზროვან“ ზეპირ განხილვაზე სავალდებულო მოთხოვნა არ ვრცელდებოდა ზემდგომ და საბოლოო ინსტანციის სასამართლოზე.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოცემული საქმის განხილვა პირველ და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში განხორციელდა ზეპირი მოსმენით, მხარეთა დასწრებით. ასევე დადგენილია, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.08.2014წ-ის განჩინება ტ. ჯ-ისა და ა. ჯ-ის საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების თაობაზე ეცნობა მ. ჯ-ეს, რომელმაც წარმოადგინა თავისი წერილობითი მოსაზრება (საკასაციო შესაგებელი) განხილულ საკასაციო საჩივართან დაკავშირებით. აღნიშნული კი იმაზე მიუთითებს, რომ მხარეთა კონსტიტუციური უფლება მათივე მონაწილეობით საქმის განხილვაზე დაცულია, მხარეებს სრულად აქვთ რელიზებული საშეჯიბრო ეტაპზე მონაწილეობის უფლება და ამდენად, რაიმე დარღვევას, საპროცესო უფლებათა რეალიზების კუთხით, მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია განმცხადებლის მითითება იმის თაობაზე, რომ საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვით თითქოსდა დაირღვა მხარის სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.

ხოლო რაც შეეხება პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ საკასაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვა იმით უნდა ყოფილიყო მოტივირებული, რომ მხარეთა შორის შემდგარიყო მორიგება, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეებს სრული მოცულობით ჰქონდათ იმისი პროცესუალური ბერკეტი რომ მორიგებულებიყვნენ პირველ და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე, ხოლო საკასაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე კი, კასატორის მოწინააღმდეგე მხარე (განმცხადებელი) საქმის მორიგებით დამთავრების წინააღმდეგი იყო და ეს პოზიცია მან დააფიქსირა საკასაციო შესაგებელში. ამდენად, ვარაუდის საფუძველი, რომ შესაძლებელი იყო მხარეთა მორიგება და ამ მიზნით, ჩატარებუ-

ლი იყო საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა, მინიმუმადე იყო დაყვანილი.

განმცხადებელი ასევე სადავოდ ხდის კასატორის მითითებას იმის თაობაზე, თითქოს მ. ჯ-ემ უარი თქვა მემკვიდრეობაზე. განმცხადებელი უარყოფს ამ გარემოებას და აღნიშნავს რომ აპირებს ჩაატაროს ექსპერტიზა და დაადასტუროს, რომ განცხადებაზე ხელმოწერა არ არის შესრულებული მ. ჯ-ის მიერ (იხ., განცხადება გადანყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ).

უპირატესად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გადანყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლების კვლევის პროცესულურ ეტაპზე, განცხადებაში მითითებულ გარემოებას მნიშვნელობა არ აქვს, გამომდინარე იქიდან, რომ კანონმდებელი კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების ბათილად ცნობასა და საქმის წარმოების განახლებას უკავშირებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლით იმპერატიულად განსაზღვრულ შემთხვევებს, რადგან საქმის წარმოების განახლება, როგორც საპროცესო მოქმედება, არ წარმოადგენს სასამართლო გადანყვეტილების გასაჩივრების მორიგ ეტაპს და ამდენად, გადანყვეტილების კანონიერების შემონახვის დამატებით საპროცესო მექანიზმს. კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით დასრულებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და ისიც, კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას.

ამდენად, კასატორის მითითება მ. ჯ-ის მხრიდან მემკვიდრეობაზე უარის თქმის შესახებ, რასაც სადავოდ ხდის კასატორის მოწინააღმდეგე მხარე წარმოადგენს ფაქტს, რომელი ფაქტიც კასატორს (მოპასუხეს) უნდა მიეთითებინა სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში. ვინაიდან საკასაციო სასამართლო შეზღუდულია ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე მითითებისა და გამოკვლევის პროცესუალური შესაძლებლობით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლი), ამიტომ კასატორის მიერ მითითებული გარემოება, საკასაციო პალატას არც გამოუკვლევია და ამ გარემოებას არც საკასაციო პალატის მიერ მიღებული 2015 წლის 22 აპრილის გადანყვეტილება დაფუძნებია.

იგივე შეიძლება ითქვას, განმცხადებლის იმ პოზიციაზე, რომლითაც იგი მიუთითებს ხანდაზმულობაზე და აღნიშნავს, რომ ისარჩელი არ არის ხანდაზმული რადგანაც მ. ჯ-ემ ფაქტობრივი ფლობით მიიღო მემკვიდრეობა, ხოლო თავის მხრივ, სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან, ხოლო სამკვიდროს გახსნის დღედ კი, მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე მიიჩნევა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამო-

ქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა დაეფუძნა არა იმ გარემოებას, რომ სარჩელი ხანდაზმული იყო, არამედ იმას, რომ ტ. ჯ-ე და ა. ჯ-ე იყვნენ დედა – შვილი, შესაბამისად, ტ. ჯ-ეს, როგორც სადავო ქონების ერთადერთ მესაკუთრეს, სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 524-ე მუხლების საფუძველზე შეეძლო თავისი შვილისათვის – ა. ჯ-ისათვის საჩუქრად გადაეცა ქონება და არ არსებობდა ამ ხელშეკრულებების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის დანაწესის გათვალისწინებით, რის გამოც მ. ჯ-ის სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე (ამ და გადაწყვეტილების სხვა საფუძველებთან დაკავშირებით იხ., სუს 22.04.2015 წლის გადაწყვეტილება).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც, მ. ჯ-ის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე, 422-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მ. ჯ-ის განცხადება კანონიერ ძალაში შესული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით არ დაკმაყოფილდეს.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლები

ბანჩინება

№ას-1098-1034-2015

22 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაძური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

1. დ. და შ. შ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობების „ი. ...“-სა და ი. ...“-ის მიმართ და მოითხოვეს სამართლებრივი ურთიერთობის აღიარება, საცხოვრებელი ფართისა და ავტოფარეხის გადაცემა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით დ. და შ. შ-ის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ივლისის განჩინებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად, რაზეც დ. და შ. შ-მა საკასაციო საჩივარი შეიტანეს.

4. მოცემული საქმე არაერთხელ იქნა განხილული სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიერ.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით დ. შ-ის და შ. შ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმდა და სარჩელი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი. ...“-ის მიმართ მოთხოვნების ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; დ. და შ. შ-ი აღიარებულ იქნენ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი. ...“-ის პირველი კატეგორიის მენაშენებლად, რომელთაც შესრულებული აქვთ

ვალდებულება – ქ. თბილისში, ქ-ის ქუჩასა და ვ-ას გამზირს შორის ამიერკავკასიის სამხედრო მუზეუმის დასავლეთით კორპუსში დ. შ-ეს ანაზღაურებული აქვს 114.40 კვ.მ ოთხოთახიანი ბინის, ხოლო შ. შ-ეს – 100 კვ.მ სამოთახიანი ბინის ღირებულება, დ. შ-ის და შ. შ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა, რაც ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი. ...“-მა საკასაციო წესით გაასაჩივრა.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ივნისის განჩინებით ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი. ...-ის“ საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

7. 2014 წლის 17 ივლისს რ. ბ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 ივნისის განჩინებით რ. ბ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

9. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა ფიზიკურ პირებს დ. და შ. შ-ს და ამხანაგობას შორის დავაზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილებულია აღიარებითი მოთხოვნა მოსარჩელების მიერ ამხანაგობის წინაშე ორი ბინის ღირებულების გადახდის ვალდებულების შესრულების აღიარების თაობაზე.

10. ამის შემდეგ, დ. შ-ემ აღძრა მიკუთვნებითი სარჩელი ამხანაგობების და დამფუძნებელ წევრთა წინააღმდეგ, რაზეც მიღებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებით დ. შ-ის სარჩელი ლ. ლ-ის, ლ. მ-ას და ლ. დ-ის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სააპელაციო პალატის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლო აღნიშნულ გადაწყვეტილებაში დაეყრდნო იმ გარემოებას, რომ მართალია, მოპასუხე ლ. მ-ა, ლ. დ-ე და ლ. ლ-ი არ მონაწილეობდნენ მხარედ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 აპრილის №2ბ/4323-11 გადაწყვეტილებით განხილულ დავაში, მაგრამ ისინი ვერ აქარწყლებენ ამ გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებებს (იხ.: თბილისის სა-

ქალაქო სასამართლოს 20.12.2013წ. გადაწყვეტილება, 3.2.7. პუნქტი); ანუ, იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ მითითებული ამხანაგობის წევრები პირადად არ მონაწილეობდნენ თავდაპირველ სარჩელში მოპასუხის სახით (თავდაპირველ სარჩელში მოპასუხეები იყვნენ ამხანაგობა „ი. ...“ და ამხანაგობა „ი. ...“), შემდგომი საქმის თბილისის საქალაქო სასამართლოში განხილვის დროს სასამართლომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ მიიჩნია პრეიუდიციულად მათ მიმართ და თავიდან იმსჯელა მტკიცების საგანში შემავალ სადავო გარემოებაზე (რომ დ. შ-ის სრულად აქვს შესრულებული 114,40 კვ.მ ფართის ღირებულების გადახდის ვალდებულება). პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით და კანონიერ ძალაში შესული არ არის.

11. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შ. შ-ის უფლებამოსილი პ. შ-ის მიერ აღძრულ სარჩელში (თანხის დაკისრების თაობაზე) მოპასუხე ფიზიკურ პირთა შორის ერთ-ერთ მოპასუხედ დასახელებულია რ. ბ-ე. მოპასუხეებმა სასამართლოს წარუდგინეს მტკიცებულებები და სასამართლო განჩინებითაც მოხდა მტკიცებულებათა გამოთხოვა. მაგალითად, 2014 წლის 2 აპრილის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა ერთ-ერთი მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა და მოსარჩელეს დაევალა დაზუსტებულ სარჩელზე თანდართული განკარგულების და კრების ოქმების დედნის წარმოდგენა. სააპელაციო პალატის განმარტებით, ამ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. შესაბამისად, რ. ბ-ე უფლებამოსილია საქმეში, სადაც ის დასახელებულია ერთ-ერთ მოპასუხედ, სხვა მოპასუხეთა მსგავსად დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვით სრულად უზრუნველყოს თავისი მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური უფლებების რეალიზაცია კანონით დადგენილი წესის დაცვით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

12. რაც შეეხება განმცხადებლის მითითებას, რომ მას ამხანაგობის სხვა წევრებთან არანაირი საქმიანი ურთიერთობა არ ჰქონდა და არც რაიმე სახის ინფორმაცია გააჩნდა შ-ის საქმის თაობაზე, სააპელაციო პალატის განმარტებით, აღნიშნული გარემოება სასამართლოს მსჯელობის საგანი ვერ გახდებოდა.

13. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე რ. ბ-ის წარმო-

მადგენელმა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება.

14. კერძო საჩივრის ავტორი არ იზიარებს გასაჩივრებულ განჩინებაში გაკეთებულ დაკვნას იმის თაობაზე, რომ რადგან დღეისათვის პ. შ-ეს აღძრული აქვს სარჩელი ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების მიმართ, სადაც მოპასუხედ დასახელებულია რ. ბ-ე, არსებობდა რ. ბ-ის მიერ საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა. სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა ის ფაქტი, რომ რ. ბ-ის უფლებებს ზიანს აყენებს ასევე სადავო გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებული საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება, სადაც იგი ასევე არ ყოფილა მხარედ მოწვეული. საჩივრის ავტორის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ პ. შ-ე არ აღძრავდა სარჩელს ისმებოდა კითხვა – ექნებოდა თუ არა სასამართლოს იგივე საფუძველი უარი ეთქვა საქმის წარმოების განახლებაზე. სადავო გადაწყვეტილების მიღებით, სააპელაციო პალატამ დაარღვია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-6 მუხლი – სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. მხოლოდ ის გარემოება, რომ სასამართლომ ეს გადაწყვეტილება არ მიიჩნია პრეიუდიციად, არ ნიშნავს პირისათვის პროცესში მონაწილეობის უფლების მოსპობას, თუნდაც მონაწილეობა სხვა პროცესში არ გამორიცხავს პირის შესაძლებლობას დაიცვას უფლებები მის წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა პროცესში, სადაც საპროცესო უფლებების განხორციელება მხარის უფლებაა.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესში, სადაც მოსარჩელეა შ. შ-ის უფლებამონაცვლე პ. შ-ე, მტკიცებულებად წარმოდგენილია ის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა ფაქტი დ. და შ. შ-ის მიერ ამხანაგობის წინაშე ორი ბინის ღირებულების გადახდის ვალდებულების შესრულების აღიარების თაობაზე. კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლო ვერ მიიღებს აღნიშნულის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას, რადგან ეს ფაქტი ერთხელ უკვე დაადგინა სასამართლომ და თუ იგივე ფაქტი სხვაგვარად იქნება დადგენილი, გამოდის, რომ ერთ ან მეორე შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება არასწორია. აღნიშნული განჩინებით სასამართლომ პრაქტიკულად მოუსპო მხარეს სასამართლოსთვის მიმართვისა და საკუთარი უფლებების დაცვის კონსტიტუციით აღიარებული უფლება. აღნიშნული განჩინება ეწინააღმდეგება ასევე 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

სამოტივაციო ნაწილი:

16. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემომწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ბ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

17. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

18. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

19. მითითებული ნორმის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლში. კერძოდ, ამ ნორმის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

20. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი, რ. ბ-ე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას მოითხოვს იმ საფუძველით, რომ იგი, როგორც ამხანაგობა „ი. ...“-ის დამფუძნებელი წევრი, აღნიშნული

საქმის განხილვაზე არ იყო მოწვეული მხარის სტატუსით, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება უშუალო გავლენას ახდენდა მის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებზე.

21. საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით დ. შ-სა და შ. შ-ის სააპელაციო საჩივარი ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი. ...“-ისა და ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი. ...“-ის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოცემულ საქმეზე საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმდა და სარჩელი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი. ...“-ის მიმართ მოთხოვნების ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; დ. და შ. შ-ი აღიარებულ იქნენ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი. ...“-ის პირველი კატეგორიის მენაშენებად, რომელთაც შესრულებული აქვთ ვალდებულება – ქ. თბილისში, ქ-ის ქუჩასა და ვ-ას გამზირს შორის ამიერკავკასიის სამხედრო მუზეუმის დასავლეთით კორპუსში დ. შ-ეს ანაზღაურებული აქვს 114.40 კვ.მ ოთხოთახიანი ბინის, ხოლო შ. შ-ეს – 100 კვ.მ სამოთახიანი ბინის ღირებულება, დ. შ-ის და შ. შ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი. ...“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი არის რ. ბ-ე, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს ამხანაგობა „ი. ...“-ის პირველი კატეგორიის მენაშენს.

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს განმცხადებლის მითითებას, რომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის ბათილად ცნობასაც მოითხოვს რ. ბ-ე, უშუალოდ ეხება მის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს და იგი არ იყო მოწვეული მხარის სტატუსით საქმის განხილვაზე. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული საფუძვლებით გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ შეიძლება, თუ მხარეს შეეძლო ამ საფუძვლების წამოყენება საქმის განხილვისას, შესაბამისად, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

23. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2005 წლის 28 ივნისს მიღებულ განჩინებას ამხანაგობა „ი. ...“-ისა და ამხანაგობა „ი. ...“-ის მიმართ დ. და შ. შ-ის მიერ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, რომლითაც ირკვევა, რომ დ. და შ. შ-ის განცხა-

დება დაკმაყოფილდა: ყადაღა დაედო ქ. თბილისში, ქ-ის ქუჩასა და ვ-ას გამზირს შორის, ამიერკავკასიის მუზეუმის დასავლეთის საცხოვრებელი მშენებარე სახლის მე-2 და მე-3 სართულზე განთავსებულ ფართს და მოპასუხეებს ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი. ...“-სა და ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი. ...“-ს აეკრძალათ პირველი კატეგორიის მენაშენეთათვის განთავსებულ ფართში, კერძოდ, მე-2 და მე-3 სართულზე განთავსებული ბინების განაწილება. აღნიშნულ განჩინებაზე 2005 წლის 26 ივლისს კერძო საჩივარი შეიტანეს რ. ბ-ემ და ბ. ბ-მა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 2 აგვისტოს განჩინებით რ. ბ-სა და ბ. ბ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა: ნაწილობრივ გაუქმდა საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 28 ივნისის განჩინება და მოეხსნა ყადაღა რ. ბ-სა და ბ. ბ-ის საკუთრებას მდებარე, ქ. თბილისში, ქ-ის ქუჩასა და ვ-ას გამზირს შორის ... მუზეუმის დასავლეთით ... სადარბაზო, სართული III (მშენებარე) ბინა №..., ნილობრივი მონაცემი 178.3.

24. აღნიშნული დოკუმენტებით დგინდება, რომ დ. და შ. შ-სა და ბინათმშენებლობის ამხანაგობებს „ი. ...“-ს და „ი. ...“-ს შორის ქ. თბილისში, ქ-ის ქუჩასა და ვ-ას გამზირს შორის, ...-ის მუზეუმის დასავლეთით მდებარე საცხოვრებელ სახლში განთავსებული ფართების თაობაზე მიმდინარე სამოქალაქო დავის შესახებ რ. ბ-ე ინფორმირებული იყო ჯერ კიდევ 2005 წლის 26 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე და აღნიშნული საქმის წარმოების შესახებ მისთვის ცნობილი არ გამხდარა შ. შ-ის მიერ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი. ...“-ისა და ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი. ...“-ის წევრების წინააღმდეგ აღძრული სარჩელის ჩაბარების შემდეგ. ამრიგად, მას შეეძლო მოეთხოვა დავაში შესაბამისი საპროცესო სტატუსით ჩაბმა ჯერ კიდევ 2005 წელს – საქმის განხილვის საწყის ეტაპზე, ისევე როგორც სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. აღნიშნული უფლება კი რ. ბ-ეს არ გამოუყენებია.

25. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის შესაბამისად, განცხადება გადანყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადანყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა.

26. ამრიგად, იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალებით დასტურდება რ. ბ-ის მიერ ზემოაღნიშნულ სამოქალაქო დავა-

ზე ინფორმირების ფაქტი ჯერ კიდევ მოცემული საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის დროს, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ მას გასაჩივრებული განჩინებით (გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე) შეეზღუდა სასამართლო პროცესში მონაწილეობის კანონით გარანტირებული უფლება. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მართებულად დაადგინა, რომ არ არსებობდა მითითებული გადანაცვლების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროცესუალური საფუძველი.

27. საკასაციო სასასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ შ. შ-ის უფლებამონაცვლე პ. შ-ის მიერ რ. ბ-ის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელთან დაკავშირებით მიმდინარე დავაში რ. ბ-ე უფლებამოსილია, სხვა მოპასუხეთა მსგავსად, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვით, კანონით დადგენილი წესით, უზრუნველყოს თავისი მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური უფლებების რეალიზაცია.

28. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ რ. ბ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 419-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. რ. ბ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამოსაქმის
წარმოების განახლება**

განჩინება

№ას-83-77-2015

12 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით: მ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება შპს „კ.-თ-ის“ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებისა და მ. გ-ისათვის „კ.-თ-ის“ სასარგებლოდ საპროცესო ხარჯის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და, ამ ნაწილში, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. შპს „კ.-თ-ის“ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი შპს „კ.-თ-სა“ და მ. გ-ს შორის 2009 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. შპს „კ.-თ-სა“ და მ. გ-ს შორის 2009 წლის 8 ოქტომბრიდან დადებულად იქნა ცნობილი 1 000 000 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქციის სამომავლო ნასყიდობის ხელშეკრულება – საქონლის მიწოდების პირობით და შპს „კ.-თ-ის“ კუთვნილი ქონება მდებარე ქ. ბათუმი, ლ-ის ქ. №109 (უძრავი ქონების ს/კ: №.....) დაიტვირთა იპოთეკით მ. გ-ის სასარგებლოდ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– 2009 წლის 8 ოქტომბერს მ. გ-სა და შპს „კ. თ-ს“ შორის გაფორმდა სანოტარო აქტი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების სახელწოდებით, რომლის მიხედვით მ. გ-მა შპს „კ. თ-ს“ სესხად გადასცა 1 000 000 აშშ დოლარი სარგებლის გარეშე, ორი თვის ვადით.

– მხარეთა შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიცვირთა შპს „კ.თ-ს“ კუთვნილი უძრავი ქონება მდებარე, ქ.ბათუმში, ლ-ის ქ.№109-ში.

– საქმეში არსებული მტკიცებულებების, ასევე, მონმეთა ჩვენებების საფუძველზე დადგენილია, რომ 2009 წლის 08 ოქტომბრის გარიგებაში მითითებული თანხა – 1 000 000 აშშ დოლარი მ. გ-ს შპს „კ.თ-სათვის“ არ გადაუციცა.

– 2009 წლის 8 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის სახელწოდებით გაფორმებული გარიგებით დაიფარა მხარეებს შორის რეალურად არსებული ურთიერთობა და გარიგებაში მითითებული თანხა ემსახურებოდა მხარეებს შორის ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე, სამომავლო ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო მასალების მიწოდების შესახებ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. 2014 წლის 30 სექტემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა მ. გ-ის წარმომადგენელმა – გ. ნ-ემ, რომელმაც მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით:

განმცხადებელმა მიუთითა საქართველოს სსკ-ის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ: ე) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელს ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიაჩნია საქართველოს შსს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის წერილი, რომლითაც მას ეცნობა, რომ 2011 წლის 29 აგვისტოს 15:46სთ-ზე მ. გ-ი შეიყვანეს შსს აჭარის მთავარი სამმართველოს ტერიტორიაზე. საქმის განხილვისას მ. გ-ი ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ ის რამდენიმე საათის განმავლობაში ჰყავდა პოლიციას არაკანონიერად თავისუფლება შეზღუდული, რომ მას 15:46სთ-დან 19:55სთ-მდე არ ჰყავდა თარჯიმანი და ადვოკატი. შესაბამისად, ამ დროის განმავლობაში გამომძიებელმა ვ. დ-ემ განახორციელა მასზე იმგვარი არა-

კანონიერი ზემოქმედება, რომ აიძულა ხელი მოეწერა უკვე ად-
ვოკატისა და თარჯიმნის თანდასწრებით გაფორმებულ დაკით-
ხვის ოქმზე, რომლითაც მ. გ-ი განმარტავდა, რომ თითქოსდა
მას 1 000 000 აშშ დოლარი სესხის სახით არ გადაუცია შპს „კ.თ-
ს“ დირექტორ მ. კ-სათვის. განმცხადებლის მოსაზრებით, ამ ახა-
ლი მტკიცებულებით უდაოდ დგინდება, რომ 2011 წლის 29 აგ-
ვისტოს 15:46თ-დან 19:55სთ-მდე მ. გ-ს არაკანონიერად ჰქონ-
და შეზღუდული თავისუფლება. ამ უდავო ფაქტიდან და მონმე
ი. ბ-ას საქმეში არსებული ჩვენებით შესაძლოა გაკეთდეს დას-
კვნა, რომ მ. გ-ი 04სთ-ზე მეტ ხანს შეგნებულად დააყოვნეს
პოლიციაში, რომ იგი მიეყვანათ პოლიციისათვის სასურველ ფსი-
ქოლოგიურ კონდიციამდე, რის შედეგადაც ხელი მოაწერა მისი
ინტერესების საწინააღმდეგო ოქმს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2014 წლის 21 ნოემბრის განჩინებით მ. გ-ის წარმო-
მადგენლის – გ. წ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოე-
ბათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყო-
ფილდა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპრო-
ცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტზე,
რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილე-
ბა შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გა-
მო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათ-
ვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები,
რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში
საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი
გადაწყვეტილების გამოტანას. სასამართლომ დადგენილად მი-
იჩნია, ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ქუთაისის სააპელაციო
სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 მარ-
ტის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო, როგორც საქალა-
ქო სასამართლოს მიერ გამოკვლეული და შეფასებული მტკი-
ცებულებები, მათ შორის, მ. გ-ის მიერ შინაგან საქმეთა სამი-
ნისტროს გამოძიებლისათვის მიცემული განმარტება, ბათუ-
მის რაიონული პროკურატურის 2012 წლის 28 იანვრის დადგე-
ნილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის
შესახებ, ასევე, სასამართლოს სხდომაზე დაკითხული მოწმის
ჩვენება. განმცხადებლის მიერ საქმის წარმოების განახლების
საფუძვლად მითითებული მტკიცებულებით კი, დასტურდება
და მხოლოდ ის გარემოება, რომ მ. გ-ი შსს აჭარის ა.რ. მთავარი
სამმართველოს ტერიტორიაზე შეიყვანეს 15:46სთ-ზე, რომელ-
მაც ეს ტერიტორია დატოვა 21:15სთ-ზე. ამ გარემოებით კი, არ
დასტურდებოდა მ. გ-ზე იძულების განხორციელებისა და ამის

შედეგად, არასწორი ჩვენების მიცემის ფაქტი. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება რომც არსებულებოდა საქმის არსებითად განხილვის დროს აღნიშნული მაინც ვერ დაედებოდა საფუძვლად მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას.

ამასთან, სასამართლოს მოსაზრებით, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საბუთი საქმის წარმოების განახლების საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო, თუ იგი იარსებებდა საქმის არსებითად განხილვის დროს და მასში მითითებული მონაცემები გააქარწყლებდა სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებს. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ სასამართლოსათვის წარმოდგენილი მიმართვა შედგენილი იყო 2014 წლის 27 აგვისტოს, ე.ი. სასამართლოში საქმის არსებითად განხილვის დასრულების შემდეგ. ამიტომ, ეს მტკიცებულება სასამართლოსათვის წარდგენილი ვერ იქნებოდა და მასზე დაყრდნობით სასამართლო გადაწყვეტილებას ვერ გამოიტანდა. შესაბამისად, ამ მტკიცებულების საფუძველზე, საქმის წარმოების განახლება დაუშვებელია.

ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, არ არსებობდა განმცხადებლის მიერ განცხადებაში მითითებული გარემოებების საფუძველზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა მ. გ-ის წარმომადგენელმა – გ. ნ-ემ, რომლითაც მოითხოვა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძველებით:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველად კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს იმავე გარემოებებსა და საფუძველებზე, რომლებზედაც მითითებული აქვს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით წარმოდგენილ განცხადებაში, კერძოდ, იგი აპელირებს მტკიცებულებაზე, რომლითაც მისი მოსაზრებით, დგინდება მ. გ-ზე სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული იძულებისა და ზეწოლის ფაქტები, რამაც საბოლოოდ, გავლენა იქონია მ. გ-ზე მიეცა მისი ინტერესების საწინააღმდეგო ჩვენება თითქოს 2009 წლის 8 ოქტომბერს მ. გ-სა და შპს „კ. თ-ს“ შორის გაფორმებულ გარიგებაში მითითებული

თანხა – 1 000 000 აშშ დოლარი შპს „კ. თ-ს“ ღირეკტორისათვის რეალურად არ გადაუცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 თებერვლის განჩინებით მ. გ-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემონების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-ის წარმომადგენლის – გ. წ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მოცემულ საქმეზე დგინდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით: მ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება შპს „კ. თ-ის“ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებისა და მ. გ-ისათვის „კ. თ-ის“ სასარგებლოდ საპროცესო ხარჯის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და, ამ ნაწილში, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. შპს „კ. თ-ის“ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი შპს „კ. თ-სა“ და მ. გ-ს შორის 2009 წლის 08 ოქტომბერს გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. შპს „კ. თ-სა“ და მ. გ-ს შორის 2009 წლის 08 ოქტომბრიდან დადებულად იქნა ცნობილი 1 000 000 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქციის სამომავლო ნასყიდობის ხელშეკრულება – საქონლის მიწოდების პირობით და შპს „კ. თ-ის“ კუთვნილი ქონება მდებარე ქ. ბათუმი, ლ-ის ქ. №109 (უძრავი ქონების ს/კ: №.....) დაიტვირთა იპოთეკით მ. გ-ის სასარგებლოდ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთება იმაში მდგომარეობს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზისა და ამავდროულად, მოცემულ საქმეზე მონმის სახით დაკითხული ი. ბ-ს ჩვენებით დადასტურდა საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე იმგვარი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მიუთითებდნენ სადავო გარიგების მოწვევებითობაზე, რაც თავის მხრივ, აქარწყლებდა ამ გარიგებიდან წარმოშობილ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას (1 000 000 აშშ დოლარის სესხად გადაცემისა და ამავე ოდენობის თანხის უკან დაბრუნების შესახებ).

საქმის მასალებითა და წარმოდგენილი კერძო საჩივრის შესაბამისად, დადასტურებულია, რომ საქმის წარმოების განახლების საფუძვლად განმცხადებელმა მიუთითა შემდეგ ძირითად გარემოებებზე:

განმცხადებელს ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიაჩნია საქართველოს შსს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის წერილი, რომლითაც მას ეცნობა, რომ 2011 წლის 29 აგვისტოს 15:46სთ-ზე მ. გ-ი შეიყვანეს შსს აჭარის მთავარი სამმართველოს ტერიტორიაზე, სადაც მას რამდენიმე საათის განმავლობაში არაკანონიერად ჰქონდა შეზღუდული თავისუფლება და 15:46სთ-დან 19:55სთ-მდე პერიოდში კი, არ ჰყავდა თარჯიმანი და ადვოკატი. შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვის დროს მ.გ-ი ცდილობდა ემტკიცებინა, რომ ამ დროის განმავლობაში გამომძიებელმა – ვ. დ-ემ განახორციელა მასზე იმგვარი არაკანონიერი ზემოქმედება, რომ აიძულა ხელი მოეწერა უკვე ადვოკატისა და თარჯიმნის თანდასწრებით გაფორმებულ დაკითხვის ოქმზე, რომლითაც მ. გ-ი განმარტავდა, რომ თითქოსდა მას 1 000 000 აშშ დოლარი სესხის სახით არ გადაუცია შპს „კ.თ.ს“ დირექტორ მ. კ-სათვის. განმცხადებლის მოსაზრებით, ამ ახალი მტკიცებულებით უდაოდ დგინდება, რომ 2011 წლის 29 აგვისტოს 15:46სთ-დან 19:55სთ-მდე მ. გ-ს არაკანონიერად ჰქონდა შეზღუდული თავისუფლება. ამ უდავო ფაქტიდან და მონმე ი. ბ-ას საქმეში არსებული ჩვენებით შესაძლოა გაკეთდეს დასკვნა, რომ მ. გ-ი 4სთ-ზე მეტ ხანს შეგნებულად დააყოვნეს პოლიციაში, რომ იგი მიეყვანათ პოლიციისათვის სასურველ ფსიქოლოგიურ კონდიციამდე, რის შედეგადაც ხელი მოაწერა მისი ინტერესების სანინააღმდეგო ოქმს.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხო-

ლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების ნანამძღვრები. კანონის შემდგომი ნორმებით ამომწურავადაა განმარტებული, თუ რა შეიძლება იქნას მიჩნეული ახლად აღმოჩენილ გარემოებად ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ: ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია; ბ) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვება უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება; გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება; დ) სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა; ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ; ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას; ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს.

უდავო გარემოებაა, რომ მ. გ-ის წარმომადგენელი – გ. წ-ე საქმის წარმოების განახლების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიიჩნევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტს (იხ. განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე). პალატა აღნიშნავს, რომ საქმის წარმოების განახლება ზემოხსენებული საფუძვლით დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითე-

ბინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე (საქართველოს სსკ-ის 423.3 მუხ.). ამ გარემოებათა მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლიდან გამომდინარე, ეკისრება ამ გარემოებაზე მიმთითებელ მხარეს (განმცხადებელს).

ზემოთმხმობილ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველად კანონმდებელი მიიჩნევს კუმულაციური პირობის ერთდროულად არსებობას: ა) მხარის მიერ ახალი გარემოებისა და მტკიცებულების, ანუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი ფაქტის (ფაქტობრივი ვითარების) და ისეთი მტკიცებულების შეტყობას, რომელიც საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე არსებობდა, ობიექტურად იყო უცნობი და საშუალო წინდახედულობის ფარგლებში მათი შეტყობა მხარისათვის შეუძლებელი იქნებოდა; ბ) მხარის მიერ მითითებული მტკიცებულება, რომ ყოფილიყო წარმოდგენილი საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, აღნიშნული უთუოდ დაედებოდა საფუძველად მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ძირითადი დასაბუთება შსს აჭარის მთავარი სამმართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე საათის განმავლობაში მ.გ-ის თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვისა და ამ დროის განმავლობაში გამომძიებელ ვ. დ-ის მხრიდან მასზე განხორციელებული ზენოლის თაობაზე, რომელიც განმცხადებლის შეფასებით გამორიცხავს 2009 წლის 08 ოქტომბერს მ. გ-სა და შპს „კ. თ-ს“ შორის 1 000 000 აშშ დოლარზე გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მოჩვენებითობას და ადასტურებს 2009 წლის 8 ოქტომბრის სანოტარო აქტის (სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება) ნამდვილობას, საქმის მასალებით არ დასტურდება.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მ. გ-ის წარმომადგენელს – გ. ნ-ეს სწორად უთხრა უარი საქმის წარმოების განახლებაზე. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილისა და შესაბამისად, 423-ე მუხლის, რომლითაც რეგულირებულია ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საპროცესო სამართლებრივი საფუძველები, ლოგიკური განმარტების მიზნებიდან გამომდინარე აღნიშნავს შემდეგს: სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ფუნქციური დატვირთვით ქვეყნის სახელით გამოტანილი მართლმსაჯულების აქტია, რომლის უმთავრესი ამოცანა ამ გადან-

ყვეტილებით დადგენილი მართლწესრიგის რეალურად არსებობა. სასამართლო გადაწყვეტილება, ობიექტური და სუბიექტური ფარგლების გათვალისწინებით, კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, სავალდებულოა როგორც მოდავე მხარეთათვის, ისე ნებისმიერი სხვა პირისათვის, რომელთაც ენიჭებათ ან/და ერთმევათ რაიმე უფლება, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება თუ სამართლებრივი შედეგი კვლავ გახადონ სადავო (სსსკ მე-10 მუხლი, XXVIII თავი), ერთადერთი საგამონაკლისო შემთხვევაა, როდესაც დასრულებული საქმის წარმოება შესაძლოა განახლდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების გზით, როგორც უკვე ითქვა, გათვალისწინებულია ამავე კოდექსის მე-14 კარით და აღნიშნული, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს არა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა თუ მართლმსაჯულების სხვა აქტის შემდგომი გასაჩივრების შესაძლებლობას, არამედ მიმართულია მხარის უფლებაზე, კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევების არსებობისას, როდესაც საქმის წარმოების განახლების საფუძველი განმცხადებლისათვის ობიექტურად იყო უცნობი საქმის წარმოების დასრულებამდე, არ აღმოჩნდეს არათანაბარ მდგომარეობაში. ამასთანავე, ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ ასეთი გარემოების არსებობა საკმარისი არაა და კანონმდებელი სავალდებულოდ მიიჩნევს, ერთი მხრივ, ამ გარემოების საფუძვლიანობის უტყუარად დადასტურებას და, მეორე მხრივ, საპროცესო ვადების დაცვას, რათა არ შეილახოს მართლმსაჯულების სტაბილური როლი (სსსკ 426-ე მუხლი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. გ-ის (წარმომადგენელი – გ. ნ-ე) კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ნოემბრის განჩინება.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამოსაქმის
წარმოების განახლება**

განჩინება

№ას-582-553-2015

15 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ბაქაქურო,
ბ. ალავიძე**

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

10.12.2008წ-ს ვ. თ-ემ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე გ. ნ-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა 21.08.2006წ-ს მასსა და გ. ნ-ს შორის გაფორმებული სანოტარო აქტის (რეგისტრაციის №1-...) – ქ.ბათუმში ხ. და ქ. ქ.№4/30-ში მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გამოსყიდვის უფლებით ბათილად ცნობა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 19.08.2009წ-ის გადაწყვეტილებით ვ. თ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ვ. თ-ესა და გ. ნ-ს შორის 21.08.2006წ-ს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით.

გ. ნ-ის მიერ ზემოთ მითითებული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შედეგად გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 19.08.2009წ-ის გადაწყვეტილება და 27.11.2009წ-ს ქ. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. თ-ის სარჩელი მოპასუხე გ. ნ-ის მიმართ 21.08.2006წ-ს მასსა და გ. ნ-ს შორის დადებული გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ზემოთმითითებულ გადაწყვეტილებაზე დ.თ-ის მიერ წარდგენილი საკასაციო საჩივარი 02.12.2010წ-ის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველად. უფრო ადრე კი, ამავე სასამართლოს 16.09.2010წ-ის განჩინებით გარდაცვლილი ვ. თ-ის უფლებამონაცვლედ საქმის განხილვაში ჩაერთო დ. თ-ე.

24.02.2015წ-ს ქ. სააპელაციო სასამართლოს განცხადებით

მიმართა ვ. თ-ის უფლებამონაცვლე დ. თ-ემ და მოითხოვა 27.11.2009წ-ის ქ. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით. განმცხადებელმა მიუთითა შემდეგზე:

2011 წლის 14 დეკემბერს ვ. თ-ის ვაჟიშვილის დ. თ-ისა და მისი მეუღლის მ. ს-ის საჩივრების საფუძველზე, საქართველოს შსს-ს ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მესამე განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით – ვ.თ-ის საკუთრებაში არსებული, ბათუმში ხ./ქ. ქუჩის №4/30-ში მდებარე ბინის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე. სისხლის სამართლის საქმეს მიენიჭა ნომერი: ვ. თ-ის გარდაცვალების გამო საქმეში დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ჩაერთო დ. თ-ე. მოგვიანებით, მოპასუხე გ. ნ-ის ადვოკატმა დ. ბ-ემ და დ. თ-ის ინტერესების დამცველმა რ. რ-ემ მოატყუეს ბათუმის რაიონული პროკურორი – ა. ხ-ძე, რომ თითქოსდა დ. თ-ე მოურიგდა გ. ნ-ს, რის შედეგადაც ბათუმის რაიონული პროკურატურის დადგენილებით №.. საქმეზე შეწყდა გამოძიება. გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა რ. თ-მ თავის დადგენილებაში დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ნასყიდობის გამოსყიდვის უფლებით ხელშეკრულების დადების მიზანი იყო მ. ს-ის მევალეებისათვის გარანტიის შექმნა და ორი წლის განმავლობაში თანხის დაფარვის შემთხვევაში ბინის უკან გამოსყიდვა. მოგვიანებით, დ. თ-ის მოთხოვნით, მის საქმეს ჩამოცილდა ადვოკატი რ. რ-ე და დ. თ-ის ინტერესების დაცვა გამოძიებაში გააგრძელა დ. ჯ-მ, რომელმაც აჭარის ა/რ პროკურატურაში გაასაჩივრა აღნიშნული დადგენილება და მოითხოვა გამოძიების განახლება შემდეგ გარემოებათა გამო: პროკურორმა ტ-მ, გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებაში დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ნ-მა მოტყუებით, მ. ს-ის დაზარალებულ-მევალეებისათვის ვალების გადახდის ცრუ დაპირებით მოითხოვა 25.000 აშშ დოლარი და ამ თანხის გადახდის უზრუნველსაყოფად გაფორმდა უძრავ ქონებაზე ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით. ამავე დადგენილებაში, პროკურორმა თაღლითობად არ მიიჩნია გ. ნ-ისა და გ. ვ-ის ქმედებები, რადგან მათ მიმართ მიმდინარეობდა გამოძიება ცრუ ჩვენებების მიცემის ფაქტზე. ადვოკატმა დ. ჯ-მ გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება გაასაჩივრა არა ფაქტობრივი გარემოებების ეჭვქვეშ დაყენების მოტივით, არამედ ამ გარე-

მოებების არასწორი შეფასების გამო. აღნიშნული საჩივრების საფუძველზე აჭარის ა/რ პროკურატურის განყოფილების პროკურორმა დ. ჭ-ემ გააუქმა გასაჩივრებული დადგენილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ და №... სისხლის სამართლის საქმეზე განაახლა გამოძიება.

განმცხადებლის განმარტებით, გ. ნ-მა, როგორც სისხლის სამართლის საქმეზე დაკითვისას, ასევე სამოქალაქო საქმის წარმოების დროს თავის შესაგებელში განაცხადა, რომ ნასყიდობა გამოსყიდვის უფლებით ნამდვილად შედგა და მან ვ. თ-ეს გადაუხადა 25.000 დოლარი. გ. ნ-ისა და მ. ვ-ის მიერ გამოძიებაში მიცემული ჩვენების მიხედვით გ. ნ-ის მეუღლემ მ. ვ-მა ლაგოდეხის რაიონში გაყიდა მიწის ნაკვეთი და აღებული თანხიდან იქნა გადახდილი 25.000 აშშ დოლარი ვ. თ-ისათვის. დ. თ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ს მიერ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციით გაირკვა, რომ 2006 წლის 1 სექტემბრამდე მოქალაქე მ. ვ-ზე ლაგოდეხის რაიონში საკუთრების უფლება არ დარეგისტრირებულა და შესაბამისად, მას არც რაიმე უძრავი ქონება გაუსხვისებია.

განმცხადებლის განმარტებით, ბათუმის რაიონული პროკურატურის 2015 წლის 4 თებერვლის დადგენილებით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ შესულია კანონიერ ძალაში და ამ დადგენილებით დადგენილია კავშირი გ. ნ-სა და მ. ს-ს შორის, კერძოდ, დადგენილია, რომ გ. ნ-მა აღიარა, რომ მან გადასცა თანხა მ. ს-ს დასაქმების (ზღვაში გაშვების) სანაცვლოდ, ანუ დადგენილია ის ძირითადი გარემოება, რომელზე დაყრდნობითაც სააპელაციო სასამართლომ შეცვალა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება – კავშირი გ. ნ-სა და მ. ს-ს შორის.

გამოძიებით ასევე დადგენილ იქნა, რომ გ. ნ-ს არ გადაუხდია რეალურად ვ. თ-ისათვის 25 000 აშშ დოლარი, ვინაიდან იგი ამ დროისათვის არსად არ მუშაობდა და არ გააჩნდა შესაბამისი შემოსავალი. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ვ. თ-ესა და გ. ნ-ს შორის არანაირი გარიგება არ დადებულა და ეს ე.წ. გარიგება დაიდო იმის გამო, რომ ნ-ი დაპირდა ვ. თ-ეს მ. ს-ის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის დასრულებას ს-ის სასარგებლოდ, (მ. ს-ი არის ვ. თ-ის შვილის, დ. თ-ის მეუღლე).

განმცხადებლის განმარტებით, თუ ეს მტკიცებულებები მათ ხელთ ექნებოდათ 2009 წელს, მაშინ ქ. სააპელაციო სასამართლო უცვლელად დატოვებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ვ. თ-ის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

ქ. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 17.04.2015წ-ს განჩინებით დ.თ-ის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 27.11.2009წ-ის გადაწყვეტილების გაუქმებისა და წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

ქ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება ეფუძნება შემდეგ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებას:

დადგენილია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ვ. თ-ემ, მოპასუხედ მიუთითა გ. ნ-ი და მოითხოვა ვ. თ-ესა და გ. ნ-ს შორის 21.08.2006წ-ს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

დადგენილია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 19.08.2009წ-ის გადაწყვეტილებით ვ. თ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ვ. თ-ესა და გ. ნ-ს შორის 21.08.2006წ-ს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით.

დადგენილია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით იქნა გასაჩივრებული გ. ნ-ის მიერ. ქ. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 27.11.2009წ-ის გადაწყვეტილებით გ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 19.08.2009წ-ის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ვ. თ-ის სარჩელი, 21.08.2006წ-ს მასსა და გ. ნ-ს შორის დადებული გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნით, არ დაკმაყოფილდა.

ქ. სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების მიღებისას დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– 21.08.2006წ-ს მოსარჩელე ვ. თ-ესა და გ. ნ-ს შორის დაიდო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით;

– ორი წლის განმავლობაში მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია გარიგების ნამდვილობა;

– ხელშეკრულება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში და გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ მოსარჩელე თანმხლებ პირებთან ერთად გამოსახლდა საცხოვრებელი ბინიდან.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით: საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ვერ დადგინდა რაიმე კავშირი საქმეზე მოწმის სახით დაკითხული მოსარჩელის რძლის – მ. ს-ის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესა და განსახილველ სამოქალაქო დავას შორის. მოსარჩელის მიერ სასამარ-

თლოში არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა ს-ის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან ნ-ის რაიმე სახის სტატუსით შემცნობობის ფაქტი. ამავე გადანყვეტილებით მსჯელობის საგანი იყო ნასყიდობის საფასურის გადაუხდელობა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ, მტკიცებულებათა არარსებობის გამო ასევე დაუდასტურებლად მიიჩნია (გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, კერძოდ, გადანყვეტილების მე-5 გვერდის, ბოლო აბზაცი).

დასახელებული გადანყვეტილება საკასაციო გასაჩივრების შემდგომ შევიდა კანონიერ ძალაში. განმცხადებელმა მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ქ. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ზემოაღნიშნული გადანყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება და ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიიჩნია ბათუმის რაიონული პროკურატურის 2015 წლის 4 თებერვლის დადგენილებას – სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ. სისხლის სამართლის გამოძიება დაწყებული იყო საქმეზე, ქ.ბათუმში, ბ. ქ. №...ში მდებარე საცხოვრებელი ბინის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მ. ს-ის განცხადების საფუძველზე. დადგენილების აღწერილობით ნაწილში აღნიშნულია, რომ გამოძიების პროცესში დადგენილ იქნა, რომ გ. ნ-ს, ყიდვა – გამოსყიდვის ხელშეკრულების გაფორმებისას ვ. თ-ისათვის 25 000 აშშ დოლარი არ გადაუცია. ამასთან მითითებულია, გ. ნ-სა და მ. ს-ს შორის კავშირზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლზე, ასევე, 423-ე მუხლის პირველ ნაწილის მიხედვით კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ: ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადანყვეტილება ემყარება, ყალბია; ბ) დადგენილია მონმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადანყვეტილების მიღება; გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება; დ) სასამართლო განაჩენი, გადანყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძველად დაედო ამ გადანყვეტილებას, გაუქმდა; ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადანყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მი-

მართ; ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანას. ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადანყვეტილებიდან გამომდინარეობს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“-„ვ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადანყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადანყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართალი ითვალისწინებს საქმეთა გადასინჯვას, კანონიერ ძალაში შესულ გადანყვეტილებათა გაუქმების განსაკუთრებულ წესს საქმის წარმოების განახლების სახით (სსკ-ის 421-ე-432-ე მუხლები), კერძოდ, სამოქალაქო სამართალწარმოებაში სასამართლო დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მისი გამოტანის დროს არსებობდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რომლებიც არსებობდა, მაგრამ ადრე არ იყო ცნობილი და არც შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო ერთ – ერთი ან ორივე მხარისათვის. მოცემულ გარემოებებს ახლად აღმოჩენილი გარემოებები ეწოდება.

კონკრეტულ შემთხვევაში ასეთ ახალ გარემოებად განმცხადებელმა მიიჩნია „სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ 04.02.2015წ-ის, აჭარის ა/რ პროკურატურის დადგენილება“. ახალ ფაქტად, მტკიცებულებად, თუ გარემოებად მიიჩნია, თავად ამ დადგენილების აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილში მითითებული გარემოებები, სახელდობრ ის, რომ გ. ნ-ი და გ. გ.-ი წარმოადგენდნენ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების კვალიფიკაციით ძებნაში მყოფი მ. ს-ის ქმედებებით დაზარალებულ პირებს. გ. ნ-ის და გ. გ-ის მიერ ყველა დაზარალებულისათვის ზიანის ასანაზღაურებლად მოთხოვნილი თანხების 25 000 აშშ დოლარის 2 წლიან ვადაში აუნაზღაურებლობის გამო, ქ. ბათუმში, ხ. და ქ. ქუჩების №4/30-ში მდებარე 90 586 აშშ დოლარად ღირებული 94,36 კვ.მ. ფართის

მქონე ვ. თ-ის კუთვნილი უძრავი ქონება 2008 წლის 21 აგვისტოს შემდეგ გახდა გ. ნ-ის შეუზღუდავი საკუთრება, რომლითაც იგი უსაფუძვლოდ გამდიდრდა, ხოლო ვ. თ-ემ დაკარგა საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე და ა.შ.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლად, კანონმდებელი მიიჩნევს მხარის მიერ ახალი გარემოებისა თუ მტკიცებულების, ანუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი ფაქტის (ფაქტობრივი გარემოების) და ისეთი მტკიცებულებების შეტყობას, რომელიც საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე არსებობდა, ობიექტურად იყო უცნობი და გონივრული წინდახედულობის ფარგლებში მათი შეტყობა მხარისათვის შეუძლებელი იქნებოდა.

მოცემულ შემთხვევაში, 04.02.2015წ-ის დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ ცხადია არ არის ახალი გარემოება თუ მტკიცებულება, რადგან ეს მტკიცებულება, გარემოება (დოკუმენტი) არ არსებობდა საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს, არამედ მიღებულია 04.02.2015წ-ს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თუ ახალ გარემოებაზე მითითებად ჩავთვლით მითითებულ დოკუმენტში აღნიშნულ გარემოებებს (რომ გ. ნ-ი უსაფუძვლოდ გამდიდრდა, რომ რეალურად ადგილი არ ქონია ნასყიდობის ხელშეკრულებას, რასაც მოწმეები ადასტურებენ), ასეთ შემთხვევაშიც ვერ იქნება გაზიარებული განმცხადებლის პოზიცია, გამომდინარე იქიდან, რომ სამართალწარმოების შეჯიბრებითობის პრინციპის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მითითებისა და დამტკიცების ტვირთი, რომელიც მისთვის სასარგებლო შედეგის დადგომას გამოიწვევს. მოცემულ შემთხვევაში კი, განმცხადებელმა ვერ მიუთითა, რატომ იყო მისი მხრიდან შეუძლებელი იმ გარემოებებზე მითითება საქმის არსებითი განხილვის დროს, რაც სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებაში იყო ასახული. აღნიშნული კი, სააპელაციო სასამართლოს მითითებით გამორიცხავდა განცხადების დაკმაყოფილებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს.

სააპელაციო სასამართლოს ზემოთმითითებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა დ. თ-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული ქ. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 27.11.2009წ-ის გადაწყვე-

ტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით ძირითადი არგუმენტი, რის გამოც ქ. სააპელაციო სასამართლომ 27.11.2009წ-ის გადაწყვეტილებით გააუქმა ვ. თ-ის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 19.08.2009წ-ის გადაწყვეტილება, იყო ის, რომ საქმის მასალებით არ დგინდებოდა რაიმე სახის კავშირი მოპასუხე გ. ნ-სა და მოსარჩელე ვ. თ-ის რძალს – ძებნაში მყოფ მ. ს-ს შორის; ასევე არ დგინდებოდა ნასყიდობის საფასურის გადაუხდელობის შესახებ ფაქტობრივი გარემოებები, სახელდობრ, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მართალია ნასყიდობის ხელშეკრულებაში არაფერი იყო მითითებული ნასყიდობის საფასურის გადახდის თაობაზე, თუმცა მყიდველი – გ. ნ-ი განმარტავდა რომ მას თანხა გადახდილი ჰქონდა.

მოცემულ შემთხვევაში, 04.02.2015წ-ის დადგენილება „სისხლის სამართლის №... საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ“ წარმოადგენს ახალ გარემოებას, რომლის, სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის მომენტისათვის, არსებობის შემთხვევაში, უცვლელად დარჩებოდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 19.08.2009წ-ის გადაწყვეტილება ვ. თ-ის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. სახელდობრ, მითითებული დადგენილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით გამომდინარეობს დასკვნა იმის თაობაზე, 21.08.2006წ-ს დ. თ-ესა და გ. ნ-ს შორის გაფორმებული სანოტარო აქტი (რეგისტრაციის №1-..) – ქ.ბათუმში ხ. და ქ. ქ. №4/30-ში მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გამოსყიდვის უფლებით, წარმოადგენს ბათილ გარიგებას, ანუ ეს გარემოებები, ეს დადგენილება წარმოადგენს იმ საპროცესო დოკუმენტს, რომელიც გამოიტანდა მოსარჩელისათვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებას.

კერძო საჩივრის ავტორის ეს პიზიცია ეყრდობა გამოძიებით დადგენილ შემდეგ გარემოებებს: გ. ნ-ი და გ. გ-ი წარმოადგენენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტების სამართლებრივი საფუძვლით ძებნაში მყოფი მ. ს-ის ქმედებების შედეგად დაზარალებულ პირებს. გ. ნ-ი აპირებდა საჩივრის შეტანას მ. ს-ის მიმართ და მოხდებოდა მისი დაზარალებულად ცნობა და მისთვის ასანაზღაურებელი ზიანი შეადგენდა 1000 აშშ დოლარს. ყველა დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად მ. ს-ის მეუღლემ დ. თ-ემ გააფორმა ვალის აღიარების ხელწერილი 16900 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ. 2006წ-ს მ. ს-ის მამათილი ვ. თ-ე დაითანხმეს, რომ ყველა დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის – 25 000 აშშ დოლარის გადახდის გა-

რანტად გადაეფორმებინა ქ.ბათუმში ხ. და ქ. ქ. №4/30-ში მდებარე უძრავი ქონება ორ წლიანი გამოსყიდვის უფლებით. 21.08.2006წ-ს შეთანხმებისამებრ შედგა გარიგება ვ. თ-ესა და გ. ნ-ს შორის. ხელშეკრულებაში მითითებული თანხა – 25 000 აშშ დოლარი გ. ნ-ს ვ. თ-ისათვის არ გადაუხდია.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით გამოძიება ხანგრძლივი პროცესია, რასაც ადასტურებს მოცემულ საქმეზე წარმართული საგამოძიებო მსვლელობა. მოსარჩელე მხარე გამოძიების დაწყებას 2008 წლიდან მოითხოვდა თაღლითობის ფაქტზე და გამოძიებამ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს შეფასება მხოლოდ 2015წ-სათვის მისცა. პრაქტიკულად დოკუმენტი, რომელსაც ემყარება განცხადება შეიქმნა 24.02.2015წ-ს და მითითებული დოკუმენტით დადგენილია კავშირი მოსარჩელე ვ. თ-ის რძალს – მ. ს-სა და მოპასუხე გ. ნ-ის შორის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ივნისის განჩინებით დ.თ-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და საჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. თ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს საჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 19.08.2009წ-ის გადაწყვეტილებით ვ.თ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ვ. თ-ესა და გ. ნ-ს შორის 21.08.2006წ-ს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით.

გ. ნ-ის მიერ ზემოთ მითითებული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შედეგად გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 19.08.2009წ-ის გადაწყვეტილება და 27.11.2009წ-ს ქ. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. თ-ის სარჩელი მოპასუხე გ. ნ-ის მიმართ 21.08.2006წ-ს მასსა და გ. ნ-ს შორის დადებული გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ზემოთმითითებულ გადაწყვეტილებაზე დ. თ-ის მიერ წარ-

დგენილი საკასაციო საჩივარი 02.12.2010წ-ის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველად. უფრო ადრე კი, ამავე სასამართლოს 16.09.2010წ-ის განჩინებით გარდაცვლილი ვ. თ-ის უფლებამონაცვლედ საქმის განხილვაში ჩაერთო დ. თ-ე.

დადგენილია, რომ 24.02.2015წ-ს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ვ. თ-ის უფლებამონაცვლედ. თ-ემ და მოითხოვა 27.11.2009წ-ის ქ. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილების გაუქმება.

ქ. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 17.04.2015წ-ს განჩინებით დ. თ-ის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქ. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 27.11.2009წ-ის გადაწყვეტილების გაუქმებისა და წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

წარმოდგენილი კერძო საჩივრით სადავოდაა გამხდარი ქ. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 17.04.2015წ-ს განჩინების კანონიერება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებული საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით წარდგენილი განცხადების საფუძვლიანობის კვლევისათვის პირველ რიგში, ყურადღებაა გასამახვილებელი კანონის იმ დანაწესზე, რომელიც საქმის წარმოების განახლების საპროცესო სამართლებრივ მექანიზმს ითვალისწინებს, ხოლო შემდგომ დასადგენია ამ საპროცესო მოქმედების განხორციელებისათვის კანონით გათვალისწინებული წინამძღვრების არსებობა.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები. კანონის შემდგომი ნორმებით კი, ამომწურავადაა განმარტებული, თუ რა შეიძლება იქნეს მიჩნეული ახლად აღმოჩენილ გარემოებად ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ: ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადანყვეტილება ემყარება, ყალბია; ბ) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვება უკანონო ან დაუსაბუთებელი გადანყვეტილების მიღება; გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება; დ) სასამართლო განაჩენი, გადანყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადანყვეტილებას, გაუქმდა; ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადანყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ; ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანას; ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადანყვეტილებიდან გამომდინარეობს.

უდავოა, რომ დ. თ-ე საქმის წარმოების განახლების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტს მიიჩნევს (იხ. განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე, კერძო საჩივარი). მითითებული ნორმის ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლად კანონმდებელი მიიჩნევს მხარის მიერ ახალი გარემოებისა და მტკიცებულების, ანუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი ფაქტის (ფაქტობრივი ვითარების) და ისეთი მტკიცებულების შეტყობას, რომელიც საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე არსებობდა, ობიექტურად იყო უცნობი და საშუალო წინდახედულობის ფარგლებში მათი შეტყობა მხარისათვის შეუძლებელი იქნებოდა.

კანონმდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებისა თუ განჩინების გაუქმების ან ბათილად ცნობის შესახებ განცხადება შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ კანონით – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებით იმპერატიულად

განსაზღვრულ შემთხვევებს, რადგან საქმის წარმოების განახლება, როგორც საპროცესო მოქმედება, არ წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების მორიგ ეტაპს და ამდენად, გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების დამატებით საპროცესო მექანიზმს. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და ისიც, კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ახლად აღმოჩენილად ვერ მიიჩნევს მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას 04.02.2015წ-ის დადგენილებას „სისხლის სამართლის №... საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ“, რომლითაც დადასტურებულია ის გარემოებები, რომ გ. ნ-ი და გ. გ.-ი წარმოადგენენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტების სამართლებრივი საფუძვლით ძებნაში მყოფი მ. ს-ის ქმედებების შედეგად დაზარალებულ პირებს. გ. ნ-ი აპირებდა საჩივრის შეტანას მ. ს-ის მიმართ და მოხდებოდა მისი დაზარალებულად ცნობა და მისთვის ასანაზღაურებელი ზიანი შეადგენდა 1000 აშშ დოლარს. ყველა დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად მ. ს-ის მეუღლემ დ. თ-ემ გააფორმა ვალის აღიარების ხელწერილი 16900 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ. 2006წ-ს მ. ს-ის მამათილი ვ. თ-ე დაითანხმეს, რომ ყველა დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის – 25 000 აშშ დოლარის გადახდის გარანტიად გადაეფორმებინა ქ.ბათუმში ხ. და ქ. ქ.№...-ში მდებარე უძრავი ქონება ორ წლიანი გამოსყიდვის უფლებით. 21.08.2006წ-ს შეთანხმებისამებრ შედგა გარიგება ვ. თ-ესა და გ. ნ-ს შორის. ხელშეკრულებაში მითითებული თანხა – 25 000 აშშ დოლარი გ. ნ-ს ვ. თ-ისათვის არ გადაუხდია. საკასაციო პალატის მითითებით წარმოდგენილ დადგენილებაში მითითებული ყველა ფაქტი შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ მტკიცებულებად და არ წარმოადგენს ახალ გარემოებას, ვინაიდან გარემოებები: დაზარალებულებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარანტიად სანოტარო აქტის გაფორმების შესახებ, სანოტარო აქტში მითითებული ნასყიდობის საფასურის გადაუხდელობისა და მოპასუხე გ. ნ-სა და მოსარჩელე ვ. თ-ის რძალს – ძებნაში მყოფ მ. ს-ს შორის კავშირის შესახებ ვ. თ-ის სარჩელისა და საკასაციო საჩივრების საფუძველი იყო, რაც უაღბურ-ნატივოდ გამორიცხავს მითითებული ფაქტების ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიჩნევის პროცესუალურ შესაძლებლობას, კანონმდებლის მოთხოვნაა, რომ ახლად აღმოჩენილი მტკიცებულება უნდა ადასტურებდეს ისეთ გარემოებას, რომელიც არ

ყოფილა მსჯელობის საგანი დავის არსებითი განხილვის დროს და ვერც იქნებოდა, ვინაიდან მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. საკასაციო პალატის შეფასებით, განმცხადებელს 04.02.2015წ-ის დადგენილებით „სისხლის სამართლის №... საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ“, სურს, დაამტკიცოს 21.08.2006წ-ს დ. თ-ესა და გ. ნ-ს შორის გაფორმებული სა-ნოტარო აქტის (რეგისტრაციის №..) – ქ.ბათუმში ხ. და ქ. ქ.№..-ში მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გამოსყიდვის უფლებით, ბათილობის საფუძვლების არსებობა ანუ, ეს დადგენილება წარმოადგენს იმგვარ საპროცესო დოკუმენტს, რომელიც გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის არსებობის შემთხვევაში, განაპირობებდა მოსარჩელისათვის კეთილსაიმედო გადაწყვეტილების გამოტანას. შესაბამისად, 04.02.2015წ-ის დადგენილებაში მითითებული ფაქტები მტკიცების საგანს შეადგენდა, რისი დადასტურებაც მოსარჩელემ (აპელანტის მონინაალმდეგე მხარემ) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად ვერ უზრუნველყო საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე.

ამდენად, საკასაციო პალატის დასკვნით, განმცხადებლის მიერ მითითებული მტკიცებულება არ წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის „ვ“ პუნქტით გათვალისწინებულ ისეთ მტკიცებულებას, რომელიც საფუძვლად დაედგებოდა საქმის წარმოების განახლებას.

ხოლო კერძო საჩივრის ავტორის ის მოსაზრება, რომ მითითებული დადგენილება ობიექტურად ვერ იარსებებდა სამოქალაქო საარჩელის განხილვის მომენტისათვის ვინაიდან გამოძიება ხანგრძლივი პროცესია, მოსარჩელე კი, გამოძიების დაწყებას 2008 წლიდან მოითხოვდა თაღლითობის ფაქტზე და გამოძიებამ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს შეფასება მხოლოდ 2015წ-სათვის მისცა (იხ., კერძო საჩივრის საფუძვლები), გასაზიარებელია, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით საქმის წარმოების განაცხლების საფუძველს, რადგან მოცემული ნორმა არ ითვალისწინებს იმგვარ შემთხვევას, როდესაც ობიექტურად არსებული საფუძვლით ქიანურდება ამა თუ იმ მტკიცებულების წარმოდგენა.

საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ კერძო საჩივარში მითითებული ზემოაღნიშნული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მოსარჩელეს (აპელანტის მონინაალმდეგე მხა-

რეს) ჰქონდა პროცესუალური შესაძლებლობა მოეთხოვა საქმის წარმოების შეჩერება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ვინაიდან საპროცესო კოდექსის 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია ჯერ კიდევ ითვალისწინებდა აღნიშნული საფუძვლით საქმის წარმოების შეჩერების შესაძლებლობას. დადგენილია, რომ ამ საპროცესო მოქმედებით მხარეს არ უსარგებლია, რითაც მან პრაქტიკულად ვერ უზრუნველყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებით გათვალისწინებული მტკიცების პროცესუალური ვალდებულების სათანადოდ რეალიზაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დ. თ-ეს სწორად უთხრა უარი საქმის წარმოების განახლებაზე, ამასთანავე, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, განმარტოს რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ფუნქციური დატვირთვით ქვეყნის სახელით გამოტანილი მართლმსაჯულების აქტია, რომლის უმთავრესი ამოცანა ამ გადაწყვეტილებით დადგენილი მართლწესრიგის რეალურად არსებობაა. სასამართლო გადაწყვეტილება, ობიექტური და სუბიექტური ფარგლების გათვალისწინებით, კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, სავალდებულოა როგორც მოდავე მხარეთათვის, ისე ნებისმიერი სხვა პირისათვის, რომელთაც ერთმევათ უფლება, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება თუ სამართლებრივი შედეგი კვლავ გახადონ სადავო (სსსკ მე-10 მუხლი, XXVIII თავი). ერთადერთი საგამონაკლისო შემთხვევა, როდესაც დასრულებული საქმის წარმოება შესაძლოა განახლდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების გზით, როგორც უკვე ითქვა, გათვალისწინებულია ამავე კოდექსის მე-14 კარით და აღნიშნული, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს არა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა თუ მართლმსაჯულების სხვა აქტის შემდგომი გასაჩივრების შესაძლებლობას, არამედ მიმართულია მხარის უფლებაზე, კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევების არსებობისას, როდესაც საქმის წარმოების განახლების საფუძველი განმცხადებლისათვის ობიექტურად იყო უცნობი საქმის წარმოების დასრულებამდე, არ აღმოჩნდეს არათანაბარ მდგომარეობაში. ამასთანავე, ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ ასეთი გარემოების არსებობა საკმარისი არაა და კანონმდებელი სავალდებულოდ მიიჩნევს, ერთი მხრივ, ამ გარემოების საფუძვლიანობის უტყუარად დადასტურებას და, მეორე მხრივ, საპროცესო ვადების

დაცვას, რათა არ შეილახოს მართლმსაჯულების სტაბილური როლი (სსსკ 426-ე მუხლი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 419-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დ. თ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქ. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის
წარმოების განახლება**

განჩინება

№ას-995-939-2015

10 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

1. დ. ხ-ქემ (შემდეგში: „მონინალმდეგე მხარე“) სარჩელი აღძრა შპს „სა-ეს“ (შემდეგში: „განმცხადებელი, სანარმო ან მომჩივანი“) წინააღმდეგ სანარმოში მისი კუთვნილი 25%-იანი წილის შესაბამისად, 2012 წლის მიუღებელი დივიდენდის, 13

133,77 ლარის, დაკისრების მოთხოვნით [„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1.2 , მერვე და 57-ე მუხლები].

2. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რომელიც აპელაციის წესით გაასაჩივრა მონინაალმდეგე მხარემ.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და განმცხადებელს მონინაალმდეგე მხარის სასარგებლოდ დაეკისრა 13 133,77 ლარის გადახდა. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 264-ე მუხლი].

4. 2015 წლის 22 მაისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა საწარმომ. მან მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება [სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი] შემდეგი საფუძვლებით:

4.1. საქმის განხილვის დროს განმცხადებელს არ მიეცა საბუღალტრო დოკუმენტაციის წარდგენის შესაძლებლობა. 2012 წლის მდგომარეობით, საწარმოს საგადასახადო მოგებამ შეადგინა 52 535 ლარი; 2012 წლის 6 მარტს მან სარგებელთან ერთად დაფარა სესხი, 52000 ლარი, რომელიც 2008 წელს ისესხა შპს „ე-გან“. ამდენად, საწარმოს რეალური (საფინანსო) მოგება იყო 535 ლარი, რომლიდანაც მონინაალმდეგე მხარეს დივიდენდად უნდა მიეღო ამ თანხის 25% – 133.75 ლარი და არა სასამართლოს მიერ დაკისრებული 13 133 ლარი;

4.2. შპს „ა-ის“ 2015 წლის 29 აპრილის №36 და 2015 წლის 12 ივნისის №50 აუდიტორული დასკვნებით დასტურდება, რომ მონინაალმდეგე მხარემ, მიიღო რა საპარტნიორო წილის 13 811 ლარის კომპენსაცია, 2009 წლიდან დივიდენდების მიმღებ პარტნიორს აღარ წარმოადგენდა. კომპენსაციის მიღება დადასტურებულია ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 3 თებერვლის განჩინებით, რომლითაც დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგება. მორიგების ერთ-ერთი პირობა კი იყო ის, რომ განმცხადებელი უარს ამბობდა საკუთარ სასარჩელო მოთხოვნაზე – მონინაალმდეგე მხარეს დაჰკისრებოდა მითითებული საკომპენსაციო თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები მას არ ჰქონდა. ისინი ამოიღო ფინანსურმა პოლიციამ. აქედან გამომდინარე, მას არ გააჩნდა მათი მოპოვებისა და სასამართლოსათვის წარდგენის შესაძლებლო-

ბა. გარდა ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკაც მოწმობს, რომ საწარმოში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების გარეშე დივიდენდი არ უნდა განაწილდეს, ხოლო თავისი წილის საწარმოდან გამტანი პარტნიორი კი, კარგავს უფლებას, მიიღოს დივიდენდი. განმცხადებლის აზრით ამ მტკიცებულებების სასამართლო განხილვის დროს წარდგენა გამოინვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივლისის განჩინებით განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. განჩინება ფაქტობრივად და სამართლებრივად შემდეგნაირად დასაბუთდა:

5.1. სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები არ არის საქმის წარმოების განახლების საფუძველი, რადგანაც იმავე გარემოებებზე მითითებდა იგი უშუალოდ საქმის არსებითი განხილვის დროსაც და ეს გარემოებები სხვა გარემოებებთან ერთად, ასევე იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსჯელობის საგანი. აღსანიშნავია ისიც, რომ აუდიტორის სამართლებრივი შეფასებები პარტნიორის მიერ წილის საკომპენსაციო თანხის მიღების შემდეგ დივიდენდის მიღების უფლების დაკარგვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების უკანონობის თაობაზე ვერ იქნება მიჩნეული ახლად აღმოჩენილ ფაქტობრივ გარემოებად.

5.2. გარდა ამისა, განმცხადებელს, სსსკ-ის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, არ დაუსაბუთებია, თუ რატომ არ შეეძლო ამ გარემოებებზე მითითება და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა საქმის არსებითი განხილვის დროს. თუ ამის ობიექტური მიზეზები არსებობდა, მაშინ მას უფლება ჰქონდა, სსსკ-ის 134-ე მუხლის მეორე ნაწილით მინიჭებული უფლებით ესარგებლა და დასაბუთებული შუამდგომლობით მიემართა სასამართლოსათვის მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე, რაც მას არ გაუკეთებია.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივლისის განჩინება განმცხადებელმა გაასაჩივრა კერძო საჩივრით. საჩივრის ავტორის მოსაზრებით:

6.1. საფუძველს მოკლებულია სასამართლოს მტკიცება, რომ აუდიტორული დასკვნის წარდგენა შესაძლებელი იყო დავის სასამართლო განხილვის დროს;

6.2. არასწორია სასამართლოს მტკიცება, რომ აუდიტორული დასკვნა არ არის ახლად აღმოჩენილი გარემოება საქმესთან

მიმართებით.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 სექტემბრის განჩინებით კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

8. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სსსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

10. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები. სახელდობრ:

ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია;

ბ) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვება უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება;

გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება;

დ) სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა;

ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ;

ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი

სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგინილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს.

11. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი საქმის წარმოების განახლების მოთხოვნას ამყარებს სსსკ-ის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე. იგი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საწარმოს საბუღალტრო დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნის უსაფუძვლობას, თავის დროზე ამოიღო ფინანსურმა პოლიციამ და ამის გამო მან ვერ შეძლო მათი წარდგენა საქმის განხილვისას. გარდა ამისა, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 3 თებერვლის სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარემ უარი თქვა 2010 წლის დივიდენდის მიღებაზე, რაც საფუძვლად დაედო მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტას. შესაბამისად, მას აღარ ჰქონდა უფლება, ხელახლა განეცხადებინა იგივე მოთხოვნა [სსსკ-ის 271-ე მუხლის „დ“ პუნქტი].

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ არ არსებობს საქმის წარმოების განახლების საფუძველი, რადგანაც გარემოებები, რომლებზედაც განმცხადებელი აპელირებს, თავის დროზე მან ასახა საკასაციო საჩივარში და შესაბამისად, მათზე იმსჯელა საკასაციო სასამართლომ, რომელმაც შემდეგი დაასკვნა გამოიტანა: „ამდენად, მოცემულ საქმეზე დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებებისა და აგრეთვე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დივიდენდის გამოცხადებისა და გადახდის კომპეტენციას „მენარმეთა შესახებ“ კანონი დირექტორს აკუთვნებს, დაუშვებელია დირექტორის ეს უფლება არამართლზომიერად იქნეს გამოყენებული და უსაფუძვლოდ შეზღუდოს პარტნიორის უფლება დივიდენდის მიღებაზე. ნებისმიერი სამოქალაქო უფლება შემოფარგლულია მისი განხორციელების მართლზომიერებით (სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი.) და ამდენად, სამართალური თვითობის მონაწილე სუბიექტის ნების გამოვლენით არ უნდა ირღვეოდეს პირის ძირითადი უფლებები და სამართლის ზოგადი პრინციპები. სასამართლოს უპირველესი ამოცანა კი, უფლების გამოყენების მართლზომიერების შემოწმებაა. მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო საჩივ-

რის სამართლებრივ საფუძვლად დივიდენდის განაწილების პროცედურული წესის დარღვევაზე კასატორის მითითება, საკასაციო პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია და თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომლითაც დ. ხ-ს მიეკუთვნა საზოგადოების 2012 წლის დივიდენდი სამართლებრივად სწორია. კასატორის იმ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ „დივიდენდების სახით პარტნიორთა შორის ნაწილდება საფინანსო მოგება და არა საგადასახადო მოგება, ხოლო დ. ხ-ს მიერ დასახელებული თანხა – 52 535 ლარი იყო შპს-ს 2012 წლის საგადასახადო მოგება. საზოგადოებას კი, სამენარმეო საქმიანობის პროცესში უწევს ისეთი ხარჯების განწევა, რომელიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება, ან ხდება შეზღუდული რაოდენობით მათი გამოქვითვა“, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია „მოგება“, ფინანსური გაგებით, არის მთლიანი შემოსავლისა და ხარჯების სხვაობა (არარეალიზებული შემოსავლის და ხარჯების გაუთვალისწინებლად), თუმცა კასატორის მითითებული პოზიცია შესაგებლად შესადავებელი ფაქტია, რომელზე შედავების პროცესულური უფლებამოსილება მოპასუხემ (კასატორმა) დაკარგა პრველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელზე შესაგებლის წარუდგენლობით“ (იხ. საქმე №ას-1063-1018-2014 2015 წლის 8 აპრილი).

12. საკასაციო სასამართლო ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნევს მომჩივანის პოზიციას, იმასთან დაკავშირებით, რომ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 3 თებერვლის განჩინებით, რომლითაც დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგება, მოწინააღმდეგე მხარემ დაკარგა დივიდენდის ხელახლა მოთხოვნის უფლება. მითითებული განჩინებით მოწინააღმდეგე მხარე მოითხოვდა საწარმოში მისი კუთვნილი წილის შესაბამისად, 2010 წლის მიუღებელი დივიდენდისა და მისი მიუღებლობით მიყენებული ზიანის 17 490 ლარის საწარმოს დირექტორისათვის დაკისრებას. 2014 წლის 1 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საგანს კი, რომლის გაუქმებასაც განმცხადებელი მოითხოვს, წარმოადგენდა საწარმოში მოწინააღმდეგე მხარის კუთვნილი 25%-იანი წილის შესაბამისად, 2012 წლის მიუღებელი დივიდენდის, 13 133.77 ლარის დაკისრება.

13. ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ს-ეს“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გ ა ნ ს ჯ ა დ ო ბ ა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-2422-ა-12-2015

9 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

მოსამართლე მ. თოდუა

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გ. დ-ის განცხადების დასაშვებობის საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 9 დეკემბრის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე. საკასაციო სასამართლომ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

ნ. დ-მ სარჩელი აღძრა თ. გ-ის მიმართ ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში და მოითხოვა მინის ნაკვეთის ნასყიდობის ხელსეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრში მინის ნაკვეთის საკუთრების რეგისტრაციისა და საკუთრების მონუმბის გაუქმება. ოზურგეთის რაიონული სასამართლო 2003 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება აპელაციის წესით გასაჩივრდა ნ. დ-ის მიერ.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო

და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 4 მარტის განჩინებით ნ. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 4 მარტის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ნ. დ-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 9 დეკემბრის განჩინებით ნ. დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 4 მარტის განჩინება.

2015 წლის 29 ივნისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა გ. დ-ემ და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 9 დეკემბრის განჩინებით დამთავრებულ საქმეზე წარმოების განახლება მოითხოვა.

თავის მოთხოვნას განმცხადებელი აფუძნებს იმ გარემოებას, რომ სასამართლოში სადაოდ გამხდარი ნასყიდობის ხელშეკრულება (2000 წლის 26 სექტემბერი, დამონმებული ნოტარიუს მ. მ-ის მიერ, რეესტრი №2-2452), პალატის ინფორმაციით, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის არქივში არ იძებნება. აღნიშნული ინფორმაცია განმცხადებლისთვის ცნობილი გახდა 2015 წლის 28 მაისის წერილით. განმცხადებლის აზრით, დასახელებული ინფორმაცია სასამართლოში წარდგენილი რომ ყოფილიყო, მიღებული იქნებოდა მოსარჩელის სასარგებლო გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო გ. დ-ის განცხადების გაცნობის შემდეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი განცხადება განუხილველად უნდა იქნას დატოვებული, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლი ადგენს საქმეზე წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვაზე განსჯად სასამართლოს. კანონის აღნიშნული ნორმის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. საკასაციო სასამართლო

მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

მოცემულ შემთხვევაში, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების განცხადება არ ეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას. საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2004 წლის 9 დეკემბრის განჩინებით საქმე არსებითად არ განუხილავს და ვერც ახალ ფაქტებს მიიღებდა მხედველობაში, რისი კომპეტენცია საპროცესო კანონმდებლობით მას არ გააჩნია. აღნიშნული განჩინებით არ დაკმაყოფილდა ნ. დ-ის საკასაციო საჩივარი, რის შედეგადაც უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 4 მარტის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება. რამდენადაც საქმეზე გადაწყვეტილება გამოტანილია ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მიერ, განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განხილულ უნდა იქნას ოზურგეთის სასამართლოს მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. დ-ის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილვას არ ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 429-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. დ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 9 დეკემბრის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დატოვებულ იქნეს განუხილველად.

2. გ. დ-ეს დაუბრუნდეს ზ. მ-ის მიერ (პირადი №...) გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 100 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი ..., მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განცხადების შიტანის ვადა

განჩინება

№ას-1093-1029-2015

2 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქური,
ბ. ალავიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მ. ს-ისა და თ. ქ-ის კერძო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ოქტომბრის განჩინებაზე და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.06.2008წ-ის №2ბ/1876-07 გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა გ. დ-ს სააპელაციო საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 31.05.2007წ-ის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. დ-ს სარჩელი მოპასუხე ამხანაგობა „ვ...“-ის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. დაევალა ამხანაგობა „ვ...“-ს საკუთრებაში გადაეცა მოსარჩელისათვის ქ-ში, კ-ის №66-ში (ამჟამად, ჟ-ს ქ.) საცხოვრებელი სახლის მეხუთე სართულზე არსებული 163 კვ.მ. ფართის მქონე ოთხოთახიანი ბინა და პირველ სართულზე არსებული ავტოსადგომი. ამავე გადაწყვეტილებით სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 04.12.2008წ-ის განჩინებით ამხანაგობა „ვ...“-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.06.2008წ-ის გადაწყვეტილებაზე, დარჩა განუხილველად.

3. 20.08.2015წ-ს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა მოქალაქე მ. შ-მა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.06.2008წ-ის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

4. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მითითებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის

პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებზე.

განმცხადებლის განმარტებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 17.07.2015წ-ის გადაწყვეტილებით მოსარჩელე გ. დ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა და ამხანაგობის წევრებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ თანხის ანაზღაურება. სასამართლომ იხელმძღვანელა სააპელაციო პალატის 16.06.2008წ-ის გადაწყვეტილებით, სადაც მხარეები არიან აპელანტი – გ. დ-ი და მონინაალმდეგე მხარე – ამხანაგობა „ვ...“. აღნიშნული გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ მხარეებს შორის გაფორმებული ყოფილა ხელშეკრულება, რომლით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

განმცხადებლის განმარტებით თბილისის საქალაქო სასამართლოს 17.07.2015წ-ის გადაწყვეტილებაში მოსამართლის მსჯელობით დადასტურდა, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შეეხება მათ ამხანაგობას „ვ...“-ს და არა ამხანაგობა „ვ...“-ს, რასაც სადავოდ ვერ გახდიდნენ. ამდენად, მათთვის ახლა გახდა ცნობილი და გადაწყვეტილებითაც ირკვევა, რომ სააპელაციო პალატის მიერ საქმის განხილვისას ამხანაგობის წევრები არ იყვნენ ინფორმირებული და მიწვეული მხარეების სახით. გადაწყვეტილება კი, უშუალოდ ეხება ამხანაგობის წევრთა უფლებებსა და ქონებას.

განმცხადებლის მითითებით, 16.06.2008წ-ს გადაწყვეტილების გამოტანას საფუძვლად დაედო 2001 წლის 16 სექტემბრის ხელშეკრულება, რომელიც ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლს, რაც ითვალისწინებს გარიგების დადებისას ყველა მონაწილის თანხმობას. გარდა აღნიშნულისა, ასევე, არსებობს ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების მიერ როგორც მანამდე არსებული ისე, 17.08.2004წ-ს ნოტარიალურად დამოწმებული ხელშეკრულება, რომლის 5.2.4 და 5.2.7 ქვეპუნქტების დარღვევით დადებული ყველა გარიგება ბათილია. 16.09.2001წ-ს ხელშეკრულებით მხარეებმა შეცდომაში შეიყვანეს სასამართლო და სხვა პირის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მათ, როგორც ამხანაგობის ამჟამინდელ წევრებს, ეკისრება თანხის გადახდა. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებას აქამდე სადავოდ ვერ გახდიდნენ და ვერც გაასაჩივრებდნენ, რადგან მხარეს არ წარმოადგენდნენ, ვიდრე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ვალდებულება არ გავრცელდა ამხანაგობა „ვ...ის“ წევრებზე.

ზემოაღნიშნულ გარემოებზე დაყრდნობით, განმცხადებელმა მოითხოვა სააპელაციო პალატის 16.06.2008წ-ის გადაწყვე-

ტილების ბათილად ცნობა, ამხანაგობის წევრების მონაწილეობით საქმის ხელახლა განხილვა და ახალი გადაწყვეტილებით გადასარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.06.2008წ-ის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით 31.08.2015წ-ს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ასევე თ. ქემ, რომელიც სრულად დაეთანხმა მოქალაქე მ. შ-ის მიერ წარმოდგენილ განცხადებას იმავე მოთხოვნით და დამატებით აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 17.07.2015წ-ის გადაწყვეტილებით ისინი მიჩნეულ იქნენ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.06.2008წ-ის გადაწყვეტილების მხარეებად, რომლის განხილვაშიც მას, როგორც ფიზიკურ პირს ან ამხანაგობა „ვ...“-ის წევრს, მონაწილეობა არ მიუღია. იგი არც არასოდეს ყოფილა ამხანაგობა „ვ...“-ის წევრი და გ. ც-სათვის, რომელიც პროცესზე მონაწილეობდა როგორც ამხანაგობის თავმჯდომარე, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ მიუნიჭებია.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 02.10.2015წ-ს განჩინებით მ. ს-ისა და თ. ქ-ის განცხადება, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.10.2008წ-ის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განუხილველად იქნა დატოვებული.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლით, რომლის თანახმად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს, რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

7. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა.

8. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად გა-

დანყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველად მ. ს-ის განცხადებაში მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის როგორც „ბ“, ასევე „გ“ პუნქტისა, წარმოდგენილი განცხადებების შინაარსის გათვალისწინებით, მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა დასახელებული მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც განსაზღვრავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესაძლებლობას, რომლის დანაწესით, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით, განცხადების დაუშვებლობის პირობად სასამართლო არ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან გასულია ხუთი წელი, რაც სსსკ-ის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კრძალავს საქმის განახლების შესახებ განცხადების შეტანას, საიდანაც გამონაკლისს სსსკ-ის 422.1 „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განცხადებების დასაშვებობაზე მსჯელობისას, სასამართლო ამონმებს მხოლოდ იმ საკითხს, დაცულია, თუ არა კანონით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა განმცხადებელთა მიერ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველად მიჩნეული გარემოების მათთვის შეტყობიდან განცხადების წარდგენამდე.

განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესული 16.06.2008წ-ის გადაწყვეტილების მათ უფლებამოვალეობებთან შემხებლობა განისაზღვრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 17.07.2015წ-ის გადაწყვეტილებით, რომელმაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული ამხანაგობა „ვ-ის“ ვალდებულებები გაავრცელა ამხანაგობა „ვ-ის“ წევრ ფიზიკურ პირებზე. შესაბამისად, ამავე გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღს უკავშირებდნენ ბათილად ცნობის შესახებ განცხადების წარდგენისათვის განსაზღვრული ვადის ათვისებას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მასალებით, მათ შორის, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 17.07.2008წ-ის გადაწყვეტილებით ირკვევა შემდეგი:

– გ. დ-ს მიერ აღძრული იქნა სარჩელი მოპასუხეებისათვის სოლიდარულად 156 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით იმ საფუძველზე მითითებით, რომ „თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.06.2008წ-ის გა-

დანყვეტილებით იბა „ვ...“-ს დაევალა თბილისში, კ-ის ქ.№66-ში (ამჟამად ყ-ს ქ.) საცხოვრებელი სახლის მე-5 სართულზე 163 კვ.მ. ფართისა და პირველ სართულზე არსებული ავტოფარეხის მოსარჩელის საკუთრებაში გადაცემა. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახდა, რადგან ბინა გასხვისდა მესამე პირზე. სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო მოსარჩელეს მიადგა ზიანი“.

– სარჩელზე ერთხელ გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა 30.07.2013წ-ს, რომლითაც მოთხოვნა დაკმაყოფილდა მხოლოდ ო. გ-სა და იბა „ვ...“-ის თავმჯდომარის მიმართ თანხის დაკისრების ნაწილში, რა ნაწილშიც გადაწყვეტილება შევიდა ძალაში. რაც შეეხება დანარჩენ პირთა მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, გადაწყვეტილება გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 03.06.2014წ-ის განჩინებით და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს. საქმის ხელახლა განხილვის შემდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა 17.07.2015წ-ს გადაწყვეტილება, რომლითაც თანხის გადახდა დაეკისრა ასევე მოპასუხედ მითითებულ სხვა პირებს, მათ შორის, განმცხადებლებს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადებების დასაშვებობის ეტაპზე, სასამართლო ამონიშნავდა მხოლოდ იმ საკითხს, თუ როდის შეიტყვეს განმცხადებლებმა გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლად მათ მიერ მიჩნეული გარემოება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის განცხადების წარდგენის ვადის ათვლა უნდა დაკავშირებული იყოს არა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 17.07.2015წ-ის გადაწყვეტილების გამოტანის და/ან მხარისათვის ჩაბარების მომენტს, როდესაც სასამართლომ, სააპელაციო პალატის 16.06.2008წ-ის გადაწყვეტილებაზე, როგორც ერთ-ერთ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, დააკმაყოფილა გ. დ-ს სარჩელი მოპასუხეების, მათ შორის, განმცხადებელთა მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე, არამედ, იმ მომენტს, როდესაც მოპასუხეებისათვის ცნობილი გახდა გ. დ-ს სასარჩელო მოთხოვნა მათ მიმართ და ამ მოთხოვნის საფუძველი.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, მოთხოვნის ერთ-ერთ საფუძვლად თბილისის სააპელაციო სასამართლოს 16.06.2008წ. გადაწყვეტილება მითითებული იყო სარჩელშივე, რასაც ადასტურებს 17.07.2015წ. გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი და 03.06.2014წ. განჩინების შინაარსი, რაც განმცხა-

დებელთათვის, როგორც იმ დავაში მოპასუხის სტატუსის მქონე პირთათვის, დავის წარმოების პროცესშივე ცნობილი იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განცხადებები გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის განახლების შესახებ, წარმოდგენილი იყო სსსკ-ის 426-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადის დარღვევით, რაც მათი განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 02.10.2015წ-ის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინეს მ. ს-მა და თ. ქ-ემ. კერძო საჩივრის ავტორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

10. მ. ს-ი წარმოდგენილ კერძო საჩივარში არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ განჩინების შინაარსი 03.06.2014წ-ის გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში ცნობილი იყო. მისი განმარტებით, საქმეში მონაწილე მხარე იყო სხვა ამხანაგობა „ამხანაგობა ვ...“ და არა „ამხანაგობა „ვ...“. 17.07.2015წ-ის გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მხარეებს განემარტა, რომ დავა იყო მათი ამხანაგობის შესახებ, ამდენად, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილებიდან.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებზე და განმარტავს, რომ მათ კანონიერ უფლებებსა და ინტერესს შეეხო გადაწყვეტილება, რომლის განხილვამაც მათ მონაწილეობა არ მიუღიათ, რაც წარმოადგენს აღნიშნული გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველს.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ ვინაიდან მისთვის 17.07.2015წ-ის გადაწყვეტილებით გახდა ცნობილი, რომ გადაწყვეტილება სწორედ მათ ამხანაგობას შეეხება, ამიტომ გასაჩივრების ერთ თვიანი ვადაც სწორედ ამ გადაწყვეტილებიდან უნდა აითვალოს.

11. თ. ქ-ე წარმოდგენილ კერძო საჩივარში მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების წარდგენის ვადა აითვალა იმ მომენტიდან, როდესაც მას გადაეცა გადაწყვეტილება, რაც მისი მოსაზრებით, არასწორია, რადგან იგი არ იყო ამ პროცესის მონაწილე მხარე, არც არასოდეს ყოფილა ამხანაგობა „ვ...“-ის წევრი და არც 2008წ-ის გადაწყვეტილება გადასცემია.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით მ. ს-ის,

ხოლო 9 ნოემბრის განჩინებით თ. ქ-ის კერძო საჩივრები მიღებული იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

13. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა კერძო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებულ განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

15. საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.06.2008წ-ის №2ბ/1876-07 გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა გ. დ-ს სააპელაციო საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 31.05.2007წ-ის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. დ-ს სარჩელი მოპასუხე ამხანაგობა „გ...“-ის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. დაევა-ლა ამხანაგობა „გ...“-ს საკუთრებაში გადაეცა მოსარჩელისათვის ქ-ში, კ-ის №66-ში (ამჟამად, ჟ-ს ქ.) საცხოვრებელი სახლის მეხუთე სართულზე არსებული 163 კვ.მ. ფართის მქონე ოთხოთახიანი ბინა და პირველ სართულზე არსებული ავტოსადგომი. ამავე გადაწყვეტილებით სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 04.12.2008წ-ის განჩინებით ამხანაგობა „გ...“-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.06.2008წ-ის გადაწყვეტილებაზე, დარჩა განუხილველად.

შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამო-

ქალაქო საქმეთა პალატის 16.06.2008წ-ის №28/1876-07 გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

17. 20.08.2015წ-ს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა მოქალაქე მ. ს-მა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.06.2008წ-ს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

31.08.2015წ-ს ამავე გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოს მიმართა თ. ქ-ემაც.

18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით განცხადებები გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის განახლების შესახებ, როგორც სსსკ-ის 426-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის დარღვევით წარმოდგენილი, განუხილველად იქნა დატოვებული.

19. წარმოდგენილი კერძო საჩივრებით სადავოდაა გამხდარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ოქტომბრის განჩინების კანონიერება.

20. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადებების დასაშვებობის ეტაპზე, სასამართლოს კვლევის საგანს განცხადების საფუძვლიანობა როდი წარმოადგენს. სასამართლო არ მსჯელობს იმ საკითხზე შეეხო თუ არა უფლება-მოვალეობებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და რამდენად არსებობს საქმის წარმოების განახლების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საპროცესო-სამართლებრივი საფუძველი. წარმოდგენილი განცხადებების დასაშვებობის ეტაპზე სასამართლო პირველ რიგში, ამონმებს მხოლოდ იმ საკითხს, თუ როდის შეიტყვეს განმცხადებლებმა გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლად მათ მიერ მიჩნეული გარემოება, რადგან კანონმდებელი განცხადების შეტანისათვის ადგენს ერთ თვიან ვადას, რომლის გაგრძელება არ დაიშვება და რომლის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობის გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა (სსკ-ის 426-ე მუხლი).

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.06.2008წ-ს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების წარდგენის ერთთვიანი ვადის დენა დაიწყო არა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 17.07.2015წ-ის გადაწყვეტილების გამოტანის ანდა გან-

მცხადებლებისათვის/მხარეებისათვის ჩაბარების მომენტიდან, არამედ იმ მომენტიდან, როდესაც მოპასუხე მ. ს-ისა და თ. ქ-ისათვის ცნობილი გახდა გ. დ-ს სასარჩელო მოთხოვნა მათ მიმართ და ამ მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი.

საკასაციო პალატის ამგვარი დასკვნის საფუძველს განსახილველი საქმის სწორედ ის მოცემულობა წარმოადგენს, რომ გ. დ-ს სასარჩელო მოთხოვნის ერთ-ერთ ფაქტობრივ საფუძველად სხვა მოპასუხეების, მათ შორის, მ. ს-ისა და თ. ქ-ის მიმართ, მითითებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.06.2008წ-ის გადაწყვეტილება, რომლის ბათილად ცნობასაც კონკრეტულ შემთხვევაში, მოითხოვენ კერძო საჩივრის ავტორები. მითითებული გარემოება დადასტურებულია როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 17.07.2015წ-ის გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილით ისე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 03.06.2014წ. განჩინების შინაარსით, რაც განმცხადებელთათვის, როგორც იმ დავაში მოპასუხის სტატუსის მქონე პირთათვის, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის დროისათვისაც ცნობილი იყო. უფრო მეტიც, მითითებული სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილით ირკვევა, რომ გ. დ-ს სარჩელთან დაკავშირებით მ. ს-ის წარმომადგენელმა გ. ა-მ და თ. ქ-ის წარმომადგენელმა ფ. კ-მ დააფიქსირეს რა თავიანთი მოსაზრებები, სარჩელი არ ცნეს.

21. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მ. ს-ისა და თ. ქ-ის განცხადებები გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის განახლების შესახებ, წარმოდგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადის დარღვევით, რაც მათი განუხილველად დატოვების საპროცესო-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. შესაბამისად, არ უნდა დაკმაყოფილდეს მათივე კერძო საჩივრები, ხოლო გასაჩივრებული განჩინება კი, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 410-ე, 420-ე, მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ს-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თ. ქ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ოქტომბრის განჩინება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკიბელო

1. უწყებრივი ქვემდებარეობა 3; 14
2. პროცესის ხარჯები
სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლება 27
სასამართლო ხარჯების დანაწილება მხარეთა შორის 31; 40
3. საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა 46; 50; 54
4. სასამართლო შეტყობინება და დაბარება
შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში 57
მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს 62
5. სასამართლო მტკიცებულება
მტკიცებულებათა დასაშვებობა 67; 83
მტკიცებულებათა შეფასება 95; 106
6. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა 113
7. საქმის წარმოების შეწყვეტა 117; 121
8. საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება 139
9. საქმის წარმოების შეჩერება 143
10. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 148; 154; 158
11. სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი
გადაწყვეტილება აპელანტის არასაპატიო
მიზეზით გამოუცხადებლობის გამო 162; 170
12. სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების
აბსოლუტური საფუძვლები 176
13. საქმის წარმოების განახლება
სასამართლო გადაწყვეტილების
ბათილად ცნობის საფუძვლები 185; 191; 195; 203
ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო
საქმის წარმოების განახლება 211; 220; 234
განსჯადობა 240
განცხადების შეტანის ვადა 243

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 2982103
www.supremecourt.ge